ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტი

ر ო ლ ა ნ დ ი ს ა კ ა ძ ე

ქუთაისი XV-XVIII საუკუნეებში

(არქეოლოგიური მასალებისა და ისტორიული წყაროების მიხედვით)

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

07. 00. 06. არქეოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:სტორიის მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი **ომარ ლანჩავა.**

2006 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინათქმა.

შესავალი.

თავი I.

თავი II.

თავი III.

თავი IV.

დასკვნა.

შენიშვნები.

წყაროები და ლიტერატურა.

შემოკლებათა განმარტება.

წ ი ნ ა თ ქ მ ა

XV საუკუნის მეორე ნახევარში, ერთიანი ქართული სახელმწიფოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ ქუთაისი, როგორც დასავლეთ საქართველოს ისტორიულად და ბუნებრივად ჩამოყალიბებული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და კულტურულ-ეკონომიკური ცენტრი, ახლად წარმოქმნილი იმერეთის სამეფოს დედაქალაქი გახდა, რის შემდეგაც ქალაქის ისტორიის მორიგი, წინააღმდეგობებით აღსავსე, რთული და საინტერესო ეტაპი იწყება.

უძველეს ქართულ ქალაქთა შორის ქუთაისს სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რომლის შორეული წარსულის სრულყოფილი შესწავლა კვლავაც დღის წესრიგში დგას.

უახლესი არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე ქუთაისის, როგორც ურბანისტული ტიპის დასახლების ისტორია ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებიდან უნდა დავიწყოთ.

მიუხედავად იმისა, რომ ანტიკური და შუასაუკუნეების ქუთაისის შესახებ ასე თუ ისე მოგვეპოვება წერილობითი ცნობები, უკანასკნელ ხანებამდე არ იყო იმის შესაძლებლობა, რომ შედარებით სრულყოფილად ყოფილიყო გააზრებული ქალაქის ისტორია (წარმოშობა, გენეზისი, განვითარების სტადიები, ტოპოგრაფია და გარეგნული სახე, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ვითარება და აშ.), რის გამოც ქართველ და უცხოელ ისტორიკოსთა ნაშრომებში, სხვა ქართული ქალაქებისგან განსხვავებით ქუთაისის ძველი ისტორიის პრობლემებს მოკრძალებული ადგილი ეჭირა.

ქალაქის ისტორიის კვლევა-ძიების ახალი ეტაპი იწყება 1963 წლიდან, როდესაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებულმა ექსპედიციამ ფართო მასშტაბის დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა ქუთაისსა და მის მიდამოებში, რასაც შედეგად მოჰყვა ქუთაისის «ქვეყნის” არქეოლოგიური რუკის შედგენა.

ქალაქის ძველი და უძველესი ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზა სრულიდ ახალი და უცნობი მასალებით შეივსო იმ გეგმაზომიერი არქეოლოგიური გათხრების შედეგად, რომელსაც ქუთაისსა და მის შემოგარენში 1984 წლიდან დღემდე ახორციელებს ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტისა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი (2003 წლიდან) არქეოლოგიური ექსპედიცია, რომლის მიერ მოპოვებულმა არქეოლოგიურმა მასალებმა თითქმის მთლიანად შეავსო მცირერიცხოვანი და ნაკლებ ინფორმაციული წერილობითი წყაროებით გამოწვეული ცალკეული ხარვეზები და ქრონოლოგიური ლაკუნები.

მრავალწლიანმა არქეოლოგიურმა გათხრებმა სრულიად ახლებული წარმოდგენა შეგვიქმნეს ქალაქის ისტორიის ცალკეულ ეტაპებზე. განსაკუთრებულ მიღწევად უნდა ჩაითვალოს საქალაქო ცხოვრების ჩასახვა-აღმოცენების ეტაპის (ადრერკინის ხანა) დადგენა, ადრეშუასაუკუნეების მონუმენტური საფორტიფიკაციო, საერო, საკულტო, საზოგადოებრივი და საკომუნიკაციო დანიშნულების ნაგებობათა გამოვლენა-შესწავლა;

განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების სტრატიგრაფიის დადგენა და ქალაქის ციტადელში ეგრის-აფხაზთა სამეფოს დროინდელი სასახლის ნანგრევებზე ერთიანი საქართველოსა და იმერეთის მეფეების რეზიდენციების გამოვლენა; საკუთრივ საკვლევი ეპოქის კულტურული ფენებისა და სამშენებლო ეტაპების ქრონოლოგიური გამიჯვნა და წერილობით წყაროებთან შესაბამისობაში მოყვანა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული თვალსაზრისით შუასაუკუნეების ქუთაისი სამეფო დომენის კუთვნილი სატახტო ქალაქია. მისი ასეთი მნიშვნელობა განპირობებული იყო მთელი რიგი ფაქტორებით, რომელთა შორის უმთავრესად უნდა ჩაითვალოს ძალზე ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობა და მის გარშემო მდებარე მდიდარი სასოფლო-სამეურნეო ოლქის არსებობა.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია გაარკვიოს თუ რა ადგილი ეჭირა ქუთაისს გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს (განსაკუთრებით იმერეთის სამეფოს) სხვა ქალაქებს შორის, რა გავლენა მოახდინა მის განვითარებაზე ეპოქის რთულმა საგარეო და საშინაო პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა, სოციალურმა თუ კულტურულმა პირობებმა, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანოს მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი არქეოლოგიური არტეფაქტები, რომელთა შორის აღსანიშნავია საფორტიფიკაციო, საერო, საკულტო, საზოგადოებრივი და საკომუნიკაციო ნაგებობანი, ხელოსნური ნაწარმი, ნუმიზმატიკური მასალა, იმპორტი და სხვა.

ნაშრომში შეჯამებულია ავტორის მიერ ქუთაისის ნაქალაქარზე წარმოებული საველე და კამერალური კვლევა-ძიების შედეგები და ეძღვნება ქალაქის ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პერიოდს, იმერეთის სამეფოს დედაქალაქობის ხანას (XV ს-ის შუახანებიდან XIX ს-ის 10-იან წლებამდე).

დისერტაციის წყაროთმცოდნეობითი ბაზა ძირითადად არქეოლოგიურია და დაფუძნებულია ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ავტორის უშუალო მონაწილეობით ნაქალაქარზე წარმოებული კვლევა ძიების უმთავრეს შედეგებზე.

საკვლევი ეპოქის ქუთაისის შესახებ წინა პერიოდებთან შედარებით ისტორიული წყაროები გაცილებით მეტია და ამასთანავე მრავალფეროვანიც: გვაქვს წმინდა ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური ხასიათის ცნობები, ცალკეულ ძეგლთა აღწერილობანი, ქრონიკები, ეპიგრაფიკული მასალა, გრაფიკული ილუსტრაციები და

სხვა, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უცხოური წყაროების მონაცემები. კერძოდ: მისიონერების, ვაჭრების, მოგზაურების, ელჩების აღწერილობანი, ჩანაწერები, ჩანახატები თუ შთაბეჭდილებანი, რომელთა შესახებაც ნაშრომში დაწვრილებით იქნება მსჯელობა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ცნობების უმთავრესი ნაწილი აღწერილობით ინფორმაციებს ნაკლებად შეიცავენ (რაც ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე ჩვენთვის განსაკუთრებით საჭირო და ფასეულია), რიგ შემთხვევაში მათი მონაცემები დეტალური სიზუსტით იქნა დადასტურებული ზოგიერთ არქეოლოგიურ (განსაკუთრებით არქიტექტურულ) ძეგლთან მიმართებაში, რამაც მნიშვნელოვანწილად გაგვიადვილა კვლევა და უფრო სანდო გახადა ჩვენს მიერ გამოტანილი ზოგიერთი დასკვნა.

ამთავითვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: როგორც ცნობილია, წინა ეპოქებთან შედარებით საკვლევი პერიოდის ძეგლები საქართველოში (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში) გეგმაზომიერი არქეოლოგიური გათხრებით ნაკლებად შესწავლილია. მათი უმეტესი ნაწილი სხვადასხვა მრავალფენიანი ძეგლის გათხრასთან დაკავშირებითაა გამოვლენილი და რაც გამოვლენილია ან გამოუქვეყნებელია, ანდა მხოლოდ ნაწილობრივაა შესწავლილი. ამ მხრივ გამონაკლისს აღმოსავლეთ საქართველოს რამდენიმე ძეგლი (გრემი, ყარაღაჯი, ნოსტე, თბილისის დედაციხე და სხვა) წარმოადგენს. დასავლეთ საქართველოში კი (განსაკუთრებით იმერეთის რეგიონში) არქეოლოგიურ მონაცემებზე დაფუძნებული საკვლევი ეპოქის ქალაქების ტოპოგრაფიასთან, ქალაქთმშენებლობის ეტაპებთან, სტრატიგრაფიასთან და სხვა მთელ რიგ პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების სათანადო მიზანდასახულობითა და სიღრმით კვლევა არსებითად ყურადღების მიღმა დარჩა.

აღნიშნული გარემოების გამოც ნაშრომში ვერ ხერხდება პარალელური მასალის სრულყოფილი გამოყენება და ამ ფონზე შემაჯამებელი ხასიათის განმაზოგადებელი დასკვნების გაკეთება, რაც სამომავლოდ ამ მიმართულებით სხვადასხვა მკვლევართა მიერ უკვე დაგროვილი თუ ახლად გამოვლენილი მასალების შეჯერების შემდეგ გახდება შესაძლებელი. კვლევის ამ ეტაპზე კი ავტორის მონაწილეობით მოპოვებული

არქეოლოგიური არტეფაქტების, წერილობითი წყაროებისა და პარალელური მასალების კომპლექსური ანალიზის შედეგად დახასიათებულია ქუთაისის ტოპოგრაფია და შემადგენელი ნაწილები; დადგენილია ქალაქის ცალკეული ნაწილების (მაგ: «ქუთაისის ციხის» და «ოქროს ჩარდახის») ჩამოყალიბების დრო და ისტორიული პირობები, საკვლევი ეპოქის ქუთაისის სტრატიგრაფია და ქრონოლოგიური ეტაპები, გამოვლენილი და შესწავლილია ქალაქის საფორტიფიკაციო სისტემა, საერო, საკულტო, სამეურნეო, საზოგადოებრივი თუ საკომუნიკაციო ნაგებობები და მდიდარი არქეოლოგიური არტეფაქტები. გარკვეული ყურადღება ეთმობა ქალაქის სამეურნეო-ეკონომიკურ მდგომარეობას, გარესამყაროსთან ურთიერთობას, მოსახლეობის სოციალურ თუ ეთნიკურ შემადგენლობას, კულტურულ განვითარებას და სხვა. ჩამოთვლილ პრობლემათა არა თუ ფართოდ განხილვა, საკითხის დასმაც კი თითქმის შეუძლებელი იყო ამ 10-15 წლის წინათ. ჩატარებული კვლევის შედეგად კი დღეს ბევრ მათგანზე უკვე თითქმის ამომწურავი ინფორმაცია გვაქვს, ხოლო ზოგიერთების სამომავლო შესწავლას მყარი საფუძველი ჩაეყარა.

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი შეიძლება გამოყენებული იქნას გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ქალაქების ისტორიის კვლევისას, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოების შექმნისას და სალექციო-პრაქტიკული მუშაობისათვის. კვლევა-ძიების შედეგები გასათვალისწინებელია ქუთაისის ნაქალაქარზე აღმოჩენილი სხვადასხვა ხასიათის ძეგლების კონსერვაცია-რესტავრაციის პროცესში, ასევე გზამკვლევებისა და ტურისტული მარშრუტების შედგენის დროს.

ნაშრომის აპრობაცია ხდებოდა 1985 წლიდან ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილ სესიებზე, რესპუბლიკურ და შიდასაუნივერსიტეტო (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი) კონფერენციებზე, ქუთაისის ნ.ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო სესიებზე, თბილისისა და ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტების კულტურის ისტორიის, საქართველოს ისტორიის და არქეოლოგიის კათედრებზე.

სადისერტაციო ნაშრომი შედგება წინათქმის, შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნისაგან, თან ერთვის შენიშვნები, გამოყენებული ლიტერატურისა და წყაროების სია და ალბომი ილუსტრაციებით.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

1. მდებარეობა და ეკონომიკური გარემო

შუასაუკუნეთა ქალაქების წარმოშობისა და განვითარების ერთ-ერთ უცილობელ პირობად თითქმის ყოველთვის ეკონომიკური და გეოგრაფიული ფაქტორები ითვლება. ამ მხრივ ქუთაისი არა თუ გამონაკლისია, არამედ თამამად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ადგილის მოხერხებულმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ და მდიდარმა სასოფლო_სამეურნეო რეგიონმა პოლიტიკურ მომენტთან კავშირში განაპირობეს ქალაქის წარმოშობა და მისი ასეთი დიდი როლი და ადგილი საქართველოს ისტორიაში.

ქუთაისი დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს. ქალაქი გაშენებულია იქ, სადაც მთავრდება მთისწინა ზოლი და იწყება კოლხეთის დაბლობი. ამ ადგილზე მდინარე რიონი ვიწრო და ღრმა ხეობიდან გამოდის და კოლხეთის დაბლობზე იშლება. ასეთი მოხერხებული მდებარეობა და მის ტერიტორიაზე გამავალი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი კომუნიკაციების კონტროლის საშუალება ყველა ეპოქაში ხელს უწყობდა ქალაქის ეკონომიკურ და დროდადრო პოლიტიკურ ცენტრად გადაქცევას.

ქალაქის ისტორია ორგანულ კავშირშია მის ირგვლივ მდებარე ვრცელ ისტორიულ-გეოგრაფიულ და ეკონომიკურ ერთეულთან, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში «ქვეყნის» სახელითაა ცნობილი (ნ. ბერძენიშვილი 1975, გვ. 17 და შემდეგ) და ქართულ წყაროებში ტერმინებით «ქუთაისის სამოქალაქო» (ქართლის ცხოვრება 1955, გვ. 299), «სამოქალაქო» (იქვე... გვ. 319; 367., ქართლის ცხოვრება 1959, გვ. 49) და «ქუეყანა ქუთათისისა» (ქართლის ცხოვრება 1955, გვ. 354) აღინიშნება.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გაზიარებული მოსაზრებით ბერძნული წყაროების (აპოლონიოს როდოსელი) «ქუთაისის ხმელეთი», «ქუთაისის მიწა» და ქართული

წყაროების ზემოთდასახელებული ტერმინები «ძირითადად სინონიმური ცნებებია და გულისხმობს ქუთაისსა და მის ირგვლივ ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტერიტორიას, რომელიც ბიზანტიურ წყაროებში მუხურისის და მოხირისის სახელით იხსენიება» (ო. ლორთქიფანიძე 1994, გვ. 3 და შემდეგ).

აღნიშნულ ტერიტორიას დასავლეთიდან მდინარე ცხენისწყალი ესაზღვრება, აღმოსავლეთიდან სკანდა-შორაპნის სასაზღვრო ხაზი, სამხრეთით მდინარე რიონი და ჩრდილოეთით ხვამლის მთისა და ნაქერალას ქედის ფერდობებზე გამავალი ხაზი (ო.ლანჩავა 1974, გვ.129-136. გ. გაბუნია 1993.)

მდინარე რიონი ქალაქს ორ ძირითად ნაწილად ყოფს და საკვლევ ეპოქაში კვლავ მნიშვნელოვან საკომუნიკაციო საშუალებას წარმოდგენს.

საკვლევი ეპოქის ქალაქის ძირითადი ნაწილი გორაკ-ბორცვიან ზოლში მდებარეობს, რომელიც ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნებით გამოირჩევა და დასავლეთ საქართველოს ნოტიო სუბტროპიკულ ოლქშია განლაგებული.

მთავარ საწყლო არტერია_რიონთან დაკავშირებული მდინარეთა ხშირი ქსელი (ყვირილა, წყალწითელა თავისი პატარა შენაკადებით, გუბისწყალი, ჭიშურა, ოღასკურა, რუა.), რომლებიც უძველესი დროიდან გამოიყენებოდა სარწყავად, სანაოსნოდ და კვების რაციონის შესავსებად, ატმოსფერული ნალექების სიუხვე, მდიდარი მიწისქვეშა წყლები და წყაროები, ჰავის თავისებურებანი, საერთო ტემპერატურული რეჟიმი ყოველ ეპოქაში ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მიწათმოქმედებისა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების განვითარებისათვის (მეხილეობა, მებოსტნეობა, მებაღეობა, მევენახეობა და სხვა), რაც საკვლევი ეპოქის წერილობითი წყაროებითაც დასტურდება. კერძოდ: რუსი ელჩების ტოლოჩანოვისა და იევლევის ანგარიშებში აღწერილია რეგიონის ბუნებრივი პირობები, მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა და სამეურნეო კულტურები.

ქუთაისის შემოგარენი გამოირჩევა მრავალფეროვანი ჯიშის ტყეების სიმრავლით, რასაც ვახუშტი ბაგრატიონი საგანგებოდ აღნიშნავდა: «არს ქუეყანა ესე ფრიად ტყიანი» (ვახუშტი ბაგრატიონი 1973, გვ. 743). ნადირ ფრინველის სიმრავლე და კვების რაციონში მისი განსაკუთრებული როლი ქუთაისის ნაქალაქარზე განვითარებული და განსაკუთრებით გვიანი შუასაუკუნეების კულტურულ ფენებში მრავლად აღმოჩენილი

ოსტეოლოგიური მასალითაც დასტურდება, ამასთანავე ხე-ტყე უძველესი დროიდან მოყოლებული საკვლევი პერიოდის ჩათვლით ფართოდ გამოიყენებოდა საშენ მასალად (რაც კარგად დასტურდება წყაროებითა და არქეოლოგიური მონაცემებით), სათბობ-საწვავად, მეტალურგიულ და კერამიკულ წარმოებაში. ამ უკანასკნელის განვითარებისათვის კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქალაქის შემოგარენში თიხის მდიდარი საბადოების არსებობას.

ყოველივე ზემოაღნიშნული, უძველესი დროიდან მოყოლებული საკვლევი პერიოდის ჩათვლით, კვლავ რჩებოდა იმ ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად, რაც განაპირობებდა ქუთაისის განსაკუთრებულ როლს და ადგილს დასავლეთ საქართველოს ქალაქებს შორის (დაწვრილებით იხ. ვ. ჯაოშვილი 1989, გვ. 12-55).

2. ისტორიის წყაროები

2.1. წერილობითი წყაროები

ქუთაისის ისტორიის პრობლემების კვლევისას არაერთხელ აღნიშნულა, რომ ქალაქის ძველი ისტორიის სრულყოფილ «მეცნიერულ შესწავლას სათანადო წყაროების სიმცირე აბრკოლებს» (ძველი და ახალი ქუთაისი 1973, გვ. 7).

მართალია, წინა ეპოქებთან შედარებით გვიანი შუასაუკუნეების ქუთაისის გარეგანი იერსახის, მშენებლობის ეტაპების, ეკონომიკური და კულტურული განვითარებისა თუ სხვა ნიუანსების შესახებ საისტორიო წყაროთა ცნობები გაცილებით მეტია, მაგრამ იმის გამო რომ მათი უდიდესი ნაწილი აღწერილობით მონაცემებს ნაკლებად შეიცავენ, მხოლოდ მათზე დაყრდნობით ჩვენთვის საჭირო სურათის სასურველი სრულყოფით აღდგენა ძალზე ძნელია და ხშირ შემთხვევაში შეუძლებელიც. ეს განსაკუთრებით შეეხება ქართული წყაროების მონაცემებს. ამ მხრივ შედარებით სრულყოფილია უცხოურ წყაროთა მონაცემები, რომლებიც გარდა იმისა რომ საკმაოდ მრავალრიცხოვანია, იმითაც გამოირჩევიან, რომ მათი დიდ ნაწილი კონკრეტული ძეგლების შესახებ გვაძლევენ საკმაოდ მრავალისმეტყველ ინფორმაციას. ნაქალაქარის გათხრებმა ზოგიერთი უცხოური წყაროს მონაცემები დეტალური სიზუსტით დაადასტურა. უცხოურ წყაროთა ერთი ნაწილი ქართულ წყაროებში მოცემული თარიღის, მოვლენის ან დეტალის კიდევ უფრო დაზუსტების ან

გადასინჯვის საკმაოდ კარგ შესაძლებლობას იძლევა. ჩვენთვის ხელმისაწვდომი წყაროები წარმომავლობის მიხედვით ოთხ ჯგუფად იყოფა: ქართული, რუსული, ევროპული და თურქული.

ა. ქართული წყაროები

ქართული წყაროების სიმცირისა და ზემოაღნიშნული ხარვეზის მიუხედავად საქალაქო ცხოვრების ცალკეული პრობლემური საკითხების შესახებ ისინი მაინც მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავენ. დავიწყოთ «ქართლის ცხოვრებით". მასში შემავალი თხზულებებიდან ჩვენთვის ის ცნობებია განსაკუთრებით საინტერესო, რომლებიც მეტ-ნაკლები სისრულით შეიცავენ მონაცემებს სამშენებლო-აღდგენითი სამუშაოების შესახებ.

«ახალი ქართლის ცხოვრების" სამი ტექსტიდან ქრონოლოგიურად ყველაზე ძველი ცნობები შეეხება იმერეთის მეფე ალექსანდრე ბაგრატის-ძესა და ქართლის მეფე კონსტანტინეს შორის XV-XVI საუკუნეთა მიჯნაზე ატეხილ ბრძოლას ქუთაისის ტახტისათვის (ქართლის ცხოვრება 1959, გვ. 486-487) და 1509 წელს (თარიღზე არსებული აზრთა სხვადასხვაობის შესახებ იხ. მ. რეხვიაშვილი 1989, გვ. 25-26) თურქთა მარბიელი ლაშქრის მიერ იმერეთის (ბაგრატის ტაძრის და ქუთაისის) აოხრებას (ქართლის ცხოვრება 1959, გვ. 487). ბერი ეგნატაშვილთან (იქვე... გვ. 376) და «ახალი ქართლის ცხოვრების» მესამე ტექსტში (იქვე... გვ. 532-533) დაცული ცნობებით სიმონ I და იმერეთის მეფეებს შორის ქუთაისის ტახტისათვის ატეხილი ბრძოლების დროს ქუთაისის ციხე რამდენჯერმე იქნა ბრძოლით აღებული.

განსაკუთრებით საინტერესოა ბერი ეგნატაშვილის ცნობა იმერეთის მეფე ალექსანდრე III და ლევან II დადიანს შორის ატეხილი შინაომების გამო მეფის მიერ ქუთაისში საგანგებო თავდაცვითი სამშენებლო სამუშაოების შესახებ (იქვე ... გვ. 428). ესაა ფაქტიურად ყველაზე ძველი თარიღიანი ცნობა Gგვიანი შუასაუკუნეების ქუთაისში საფორტიფიკაციო მშენებლობის შესახებ, რომელიც რუს ელჩებთან აღწერილი ქუთაისის გამაგრების სისტემის ერთი ნაწილის დათარიღების საშუალებას იძლევა.

გვიანი შუასაუკუნეების დასავლეთ საქართველოს შესახებ არაერთი საყურადღებო ცნობაა დაცული სეხნია ჩხეიძესთან, ფარსადან გორგიჯანიძესთან და პაპუნა

ორბელიანთან. ისინი ზოგად წარმოდგენას გვიქმნიან ქუთაისის ისტორიასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა სვიმონ I ღონისძიებანი ქუთაისის ტახტის წინააღმდეგ (ჩხეიძის ქრონიკა 1913; ს.კაკაბაძე 1926, გვ. 14.), ხუნძახელი ლეკების მიერ იმერეთის აოხრება და გელათის დარბევა (პაპუნა ორბელიანი 1913, გვ. 240), ალექსანდრე III და ლევან II დადიანს შორის გამწვავებული ურთიერთობა და ბაგრატ უსინათლოსა და დარეჯან დედოფლის ბრძოლა ქუთაისის ტახტისათვის (ს.კაკაბაძე 1926, გვ. 51; 62-68).

«ქართლის ცხოვრების» გვიანდელი თხზულებებიდან, როგორც ყოველთვის განსაკუთრებული ინტერესის საგანს ვახუშტის ნაშრომი წარმოადგენს. მისი ცნობები ჩვენთვის მრავალმხრივაა საინტერესო. კერძოდ: ვახუშტის თხზულებაში გაბმული თხრობითაა გადმოცემული იმერეთის სამეფოს ჩამოყალიბების წანამძღვრები და ისტორია, ქართლის მეფეების ბრძოლა ქუთაისის ტახტისათვის, შინააშლილობა იმერეთში და, რაც ჩვენთვის განსაკუთრებთ საყურადღებოა სხვა ავტორებისაგან განსხვავებით ვახუშტისთან გვაქვს ქუთაისის საკმაოდ მრავლისმეტყველი აღწერილობა (ვახუშტი ბაგრატიონი... 1973, გვ. 761) და ამასთანავე თარიღიანი ცნობები ქუთაისის საფორტიფიკაციო სისტემის ერთი ნაწილის მშენებლობის, ნგრევა-განახლების თუ სხვა ნიუანსების შესახებ.

პირველ რიგში ჩვენს ინტერესს იწვევს ის ცნობები, რომლებიც შეეხებიან დავით ნარინის მემკვიდრეების ბრძოლას ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ ბრძოლების ეპიცენტრში ყოველთვის იყო ქუთაისი. როგორც ცნობილია იგი არაერთხელ გადასულა მხარეთა ხელში და შესაბამისად არაერთი ნგრევა თუ «განმაგრება” განუცდია (იქვე ... გვ. 257; 265; 275; 386; 803-805).

ჩვენი ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე ქუთაისის სიმაგრეების წინააღმდეგ მხარეთა ზემოაღნიშნული ბრძოლები იმ მხრივაა განსაკუთრებით საინტერესო, რომ ერთიანი ქართული სახელმწიფოს ძლიერების ხანაში ქუთაისის მაგალითზე კარგად ჩანს, რომ ხანგრძლივი მშვიდობიანობის კვალობაზე თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობას ნაკლები ყურადღება ექცევა. მონღოლთა ბატონობისა და თემურ ლენგის შემოსევების შემდეგ გართულებული საგარეო და საშინაო ვითარებიდან გამომდინარე ქუთაისის სინამდვილეშიც დღის წესრიგში დგება ახალი თავდაცვითი სისტემის

მშენებლობა, რამაც გარკვეულად ჩამოყალიბებული სახე XV საუკუნის მე-2 ნახევარში მიიღო და რისი საჭიროებაც უკვე აშკარად იგრძნობა XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე. სწორედ ამიტომაა ჩვენთვის ღირებული ქართული წყაროებისა და კერძოდ ვახუშტის ის ცნობები, რომლებიც ასახავენ გამწვავებულ შინაპოლიტიკურ მდგომარეობას XIV საუკუნის შუახანებიდან მოყოლებული ჩიხორის ომამდე (1462 წ), რის შემდეგაც იმერეთი ფაქტიურად ცალკე სამეფოდ ჩამოყალიბდა.

სამწუხაროდ ქუთაისის ნაქალაქარის არქეოლოგიური შესწავლილობის დღევანდელ დონეზე ჯერჯერობით არ ხერხდება აღნიშნული ეპოქის სამშენებლო ფენების ცალკე გამოყოფა, მაგრამ მიგვაჩნია, რომ იმერეთის სამეფოს ჩამოყალიბების პროცესში განხორციელებულ მასშტაბური ხასიათის თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობას საფუძველი სწორედ ამ დროს ჩაეყარა.

ვახუშტისთან დაცულია რამდენიმე თარიღიანი (1479 წ. 1484-89 წწ.) ცნობა, სადაც მოხსენიებული «ქუთაისის ციხე» ჩვენი აზრით მარტო ციტადელს აღნიშნავს და არა მთელ «ზედა ქალაქს» (იქვე... გვ. 808; 300), რაც სხვა წყაროებთან (ზევდგინიძეანთ მოხსენება, კონსტანტინე მეფის 1466 წლის სიგელი ჯავახიშვილებისადმი) შეჯერებით საშუალებას გვაძლევს ქუთაისის ციტადელის («ციხე”) და მასთან დაკავშირებული სხვა ნაგებობების მშენებლობა XV ს-ის 70-იან წლებზე ადრეული ხანით დავათარიღოთ და იმერეთის მეფე ბაგრატ II აქტივობის პერიოდს დავუკავშიროთ. საკმაოდ ინფორმაციულია ვახუშტის ცნობები იმ ბრძოლებთან დაკავშირებით, რომელსაც ქართლის მეფე სვიმონ I აწარმოებდა ქუთაისის ტახტის წინააღმდეგ გოფანთოს ომიდან (1588 წ.) ოფშკვითის ომს (1590 წ.) შორის მონაკვეთში. ამ ბრძოლების დროს ქუთაისი მოწინააღმდეგთა მიერ რამდენჯერმე იქნა აღებული (იქვე... გვ. 415, 416; 821, 823), რაც არაპირდაპირი მითითებაა გარკვეულ ნგრევა-აღდგენით სამუშაოებზე.

ქუთაისის შესახებ ვახუშტის ცნობების ერთი ნაწილი იმერეთის სამეფოსა და სამეგრელოს სამთავროს შორის ბრძოლებს ასახავს, რომელთა დროსაც ქალაქი არაერთხელ აოხრდა (იქვე... გვ. 829-830). განსაკუთრებით ფასეულია ვახუშტის ცნობა ალექსანდრე III (1639-60 წწ.) მიერ ქუთაისის დაცვისათვის განხორციელებული მშენებლობის შესახებ, რასაც ბერი ეგნატაშვილიც ადასტურებს (ქართლის ცხოვრება 1959, გვ. 421; 428).

1660 წლის შემდგომდროინდელი მოვლენების შესახებ ვახუშტისთან დაცული თარიღიანი ცნობები შეეხებიან შაჰნავაზის მიერ ქუთაისის აღებას (ვახუშტი ბაგრატიონი 1973, გვ. 449; 838), სეხნია ჩხეიძის მიერ ქუთაისის ციხეში თურქული გარნიზონის ორგზის ჩაყენებას (იქვე...გვ. 730; 838; 839), ოსმალთა მიერ ქუთაისის სასტიკ დარბევას (იქვე... გვ. 839), ბეჟან ლორთქიფანიძისა (იქვე... … გვ. 838) და ბაგრატ IV მიერ (იქვე... გვ. 841) ქუთაისის ციხის ოსმალთაგან ორგზის განთავისუფლებას და თურქული გარნიზონის მიერ ბაგრატის დიდებული ტაძრის «შემუსვრას»" (იქვე... გვ. 761; 854). ვახუშტის ამ ცნობების ერთი ნაწილის სხვა წყაროებით შემოწმების და ზოგჯერ კორექტირების საშუალებაც გვაქვს.

როგორც ცნობილია ვახუშტის შემდეგ დასავლეთ საქართველოს ისტორიის შესახებ ნიკო დადიანამდე თხრობითი ხასიათის წყარო აღარ მოგვეპოვება. Mმისი «ქართველთ ცხოვრება» წარმოადგენს გაბმულ თხრობას ლიხთ_იმერეთის პოლიტიკური თავგადასავლის შესახებ 1823 წლამდე (ნ.დადიანი 1962). მართალია იგი 1740-იანი წლების წინარე ხანის აღწერისას ძირითადად ვახუშტის ისტორიას იმეორებს, სამაგიეროდ მასთან დაცულია 1740-1823 წლების იმერეთის სამეფოსა და კერძოდ ქუთაისის შესახებ არაერთი პირველხარისხოვანი ცნობა.

XIX ს-ის დასაწყისის ქუთაისში საფორტიფიკაციო მშენებლობის შესახებ მეტად საყურადღებო ცნობას გვაწვდის გიორგი ავალიშვილი თავის თხზულებაში «მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე» (გ. ავალიშვილი 1967. გვ. 15).

XIX საუკუნის ავტორთაგან საქართველოს ქალაქებისა და კერძოდ ქუთაისის შესახებ საკმაოდ მრავლისმეტყველია პლატონ იოსელიანის რუსულ ენაზე გამოცემული ნაშრომი (П. Иоселиани 1850).

XV-ის შუახანების ქუთაისის ისტორიისათვის ძალზედ საყურადღებო თარიღიან ცნობებს შეიცავს ე.წ. «ზევდგინიძეანთ მოხსენება» (ნ. ბერძენიშვილი 1937, გვ. 1-71, ნ.ბერძენიშვილი 1965, გვ. 111-140).

საკვლევი ეპოქის ქუთაისის შესახებ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია ქართული ქრონიკები, რომლებიც, მართალია ზოგ შემთხვევაში ერთიდაიგივე მოვლენის შესახებ განსხვავებულ თარიღებს იძლევიან, მაგრამ ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე ამას არცა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

ჩვენთვის საინტერესო ქართული ქრონიკებიდან ქრონოლოგიურად ყველაზე ადრეულები XIV-XVI საუკუნის 10–იანი წლების მოვლენებს შეეხებიან და მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდიან გიორგი ბრწყინვალის მიერ 1320 წელს ქუთაისის აღების (თ.ჟორდანია 1897, გვ. 80), სვანთა მიერ 1361 წელს ქუთაისის დაწვის (იქვე ... გვ, 187), XV ს-ის 80-იანი წლების შინაომებისა (იქვე... გვ. 303-307; ჯ. ოდიშელი 1968, გვ. 37; Парижская хроника 1991, გვ. 27) და თურქთა მარბიელი ლაშქრის მიერ ქუთაისისა და გელათის აოხრების შესახებ (თ. ჟორდანია 1897, გვ. 326; 266; 327; 331; Е. Такаишвили 1895, გვ. 6, ჯ. ოდიშელი 1968, გვ. 38; 55; 68). ამ უკანასკნელ მოვლენას ქრონიკები სხვადასხვა წლებით ათარიღებენ (საკითხის შესახებ იხ. მ. რეხვიაშილი 1989, გვ 25-27). რომელთაგანაც ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა 1509 წლით დათარიღებული ერთი ქრონიკა, რომელსაც «ქუთაისის ციხის» აშენების ზედა ქრონოლოგიური ზღვარის დადგენისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება (თ.ჟორდანია 1897, გვ. 326). ცალკე უნდა აღინიშნოს 1519 წლის ახლო ხანებით დათარიღებული შედარებით ვრცელი, მაგრამ სამწუხაროდ ბუნდოვანი შინაარსის ერთი ქრონიკა, რომელშიც მოხსენიებულია ქუთაისის ციხის (?) კარი, დიდი კარი და ციხისთავი (იქვე... გვ. 343.)

ქრონოლოგიურად მომდევნო საფეხურის ჩვენამდე მოღწეული ქრონიკები ასახავენ სვიმონ I ღონისძიებებს ქუთაისის ტახტის დაუფლებისათვის (Парижская хроника 1991, გვ. 39), შაჰნავაზის მიერ ქუთაისის აღებასა და არჩილის გამეფებას (იქვე ... გვ. 76., თ. ჟორდანია 1897, გვ. 479) და დარეჯან დედოფლის ბრძოლას ქუთაისის ტახტისათვის (თ. ჟორდანია 1897, გვ. 485, Парижская хроника 1991, გვ. 78).

ამავე ეპოქისაა ერთი საინტერესო ქრონიკა, რომელიც ქუთაისის შემოგარენში (ჭიშურასა და გელათში) ჩატარებულ საგზაო ნაგებობათა მშენებლობის პროცესს ასახავს (თ.ჟორდანია 1897, გვ. 485). იგი იმითაც არის ჩვენთვის ფასეული, რომ საკვლევი ეპოქის ქუთაისში ამგვარი დანიშნულების ნაგებობების შესახებ წერილობითი და მით უმეტეს არქეოლოგიური მონაცემები არ მოგვეპოვება.

XVII ს–ის 60-80-იანი წლების წინააღმდეგობებითა და ტრაგიზმით აღსავსე მოვლენებისადმი მიძღვნილი ქრონიკებიდან საგანგებოდ უნდა გამოვყოთ ისინი, რომლებიც ახალციხის ფაშასა (იქვე ... გვ. 487, 488, ე. თაყაიშვილი 1913, გვ. 71., Е.

Такаишвили 1895, გვ. 12-13; ჯ.ოდიშელი 1968, გვ. 56) და დადიანის წინააღმდეგ (თ.ჟორდანია 1897, გვ. 481) ბაგრატ უსინათლოს ბრძოლების, ქუთაისის ციხეში თურქული გარნიზონის დადგომის (იქვე ... გვ. 483), ბეჟან ლორთქიფანიძისა (იქვე ... გვ. 484) და ბაგრატ უსინათლოს მიერ ქუთაისის ორგზის (1667; 1674 წწ.) აღებისა (იქვე ...გვ. 485., ჯ. ოდიშელი 1968, გვ. 69, ე.თაყაიშვილი 1913, გვ. 71) და თურქული გარნიზონის მიერ ბაგრატის დიდებული ტაძრის «შემუსვრის» (თ. ჟორდანია 1897, გვ. 511; 512) შესახებ გვაწვდიან ინფორმაციას.

XVIII საუკუნის 60-70-იანი წლების იმერეთის სამეფოსა და განსაკუთრებით ქუთაისის ისტორიისათვის ფასდაუდებელია შ. ლომსაძის მიერ გამოცემული «ახალციხური ქრონიკების» ის ნაწილი, რომელიც იოანე ხუცესის (ხოჯავანთ იოანე) მიერაა დღიური წერილების სახით შედგენილი.

ცალკე უნდა გამოვყოთ მცირე ქრონიკების ის ნაწილი, რომლებიც ინფორმაციას გვაწვდიან ქუთაისის ციხის თურქული გარნიზონისაგან განთავისუფლების (თ. ჟორადანია 1967, გვ. 308; 309; 321; 635; 637-639; 646., Е. Такаишвили 1895, გვ. 17; 55; 58), რუსეთ-თურქეთის 1774 წლის ზავის პირობების (ა.იოსელიანი 1980, გვ. 137), რუსთა ჯარების მიერ ქუთაისის დაკავების (თ. ჟორდანია 1967, გვ. 472; 473; 639), მათ მიერვე სოლომონ II მეფობის ჩამორთმევისა (იქვე... გვ. 473) და ქუთაისში წიგნის ბეჭდვის შესახებ (იქვე ... გვ. 461).

საკვლევი ეპოქის ქუთაისის შესახებ ჩვენთვის საჭირო არაერთი ცნობაა დაცული რუსეთ-იმერეთის ურთიერთობის ამსახველ ისტორიული და დიპლომატიური ხასიათის დოკუმენტებში. მათგან პირველ რიგში უნდა გამოვყოთ ისინი, რომლებიც შეიცავენ მნიშვნელოვან ინფორმაციას მე-17 ს-ის 60-იანი წლების მეორე ნახევარში თურქების მიერ ქუთაისის ციხის დაკავების, ქალაქის აოხრებისა (М. броссе ... 1861 გვ. 82; 84-85; 95) და 1769-74 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს იმერეთის მეფე სოლომონ I და რუსული საექსპედიციო კორპუსის იმ ერთობლივი მოქმედებების შესახებ, რასაც ისინი ქალაქისა და ციხის თურქთაგან განთავისუფლების დროს ახორციელებდნენ (Грамоты ... 1898, გვ. 3; 47; 48; 49; 57. Грамоты ... 1891, გვ. 152; 156; 168. ვ. მაჭარაძე 1988, გვ. 300. ვ. მაჭარაძე 1997).

XIX საუკუნის დასაწყისის ზემოაღნიშნული ხასიათის დოკუმენტები ცნობებს გვაწვდიან სოლომონ II და რუსეთს შორის გამწვავებულ ურთიერთობაზე, რასაც რუსთა გარნიზონის ქუთაისში დაბანაკება და იმერეთის მეფეთა რეზიდენციის ნგრევა მოჰყვა (შ.ბურჯანაძე 1953, გვ. 64. Акты ... 1870, გვ. 214-216).

Gგვიანი შუასაუკუნეების ქუთაისის და მისი შემოგარენის ისტორიის ცალკეული საკითხების (ქუთაისის ციხის, ეკლესიათა განახლების, საქუთათლოს აღდგენა-გაძლიერების, საეკლესიო საგანძურების, მწვანეყვავილას კომპლექსის ჩამოყალიბების თარიღის, თურქთაგან ქუთაისის განთავისუფლების, ქალაქის სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობების, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის და სხვა.) შესახებ საკმაოდ მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავენ საეკლესიო და იურიდიული საბუთები, კერძოდ: წყალობისა და შეწირულობის სიგელები (ი.დოლიძე 1965, გვ. 134; 428-429. შ. ბურჯანაძე 1959, გვ. 129-131. ს. კაკაბაძე 1921, გვ. 4-5; 8-9. ს. კაკაბაძე 1921(ა), გვ. 4-5; 25-26, 61; 72; 85; 103; 109; 112; 140), ნასყიდობისა და პირობის წიგნები (ს. კაკაბაძე 1921 (ა), გვ. 73; 143; 148) და ამ ხასიათის სხვა ძეგლები (ს. კაკაბაძე 1921, გვ. 10-11. ს.კაკაბაძე 1921 (ა), გვ. 56; 92. მ. ნიკოლეიშვილი 1966, გვ. 35-38), რომელთაგან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ 1466 წლით დათარიღებული წყალობის სიგელი, რადგანაც ესაა ერთ-ერთი ყველაზე ძველი თარიღიანი დოკუმენტი, სადაც ნახსენი «ქუთაისის ციხე» ჩვენი აზრით გულისხმობს კონკრეტულად ამ ეპოქაში აგებულ ახალ თავდაცვით ნაგებობას (ქუთაისის ციტადელს) და არა მთელ ციხე-ქალაქს (ი.დოლიძე 1965, გვ. 134).

მრავალ საინტერესო, ზოგ შემთხვევაში დეტალურ ინფორმაციას შეიცავენ ის დიპლომატიური დოკუმენტები, სადაც ასახულია იმერეთის სამეფოსა და რუსეთის ხელისუფლების ან მის ცალკეულ წარმომადგენლებს შორის ურთიერთობა. ამ ხასიათის დოკუმენტები საკმაოდ დიდ ქრონოლოგიურ ჩარჩოს მოიცავენ (XVII საუკუნის შუახანებიდან 1810-იან წლებამდე), რომელთა შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია იმერეთის მეფე ბაგრატ IV უსინათლოს წერილები მეფე ალექსი მიხეილის ძისადმი (М. бросce … 1861, გვ. 82; 84-85; 95). აღნიშნული ხასიათის დოკუმენტები შედარებით მრავლადაა XVIII საუკუნის 60-70-იანი წლებისათვის, რაც გამოწვეული იყო რუსეთის იმპერიის დაინტერესებით თურქეთთან ომში (1769-74 წწ.) ჩაება ქართლ-კახეთი და იმერეთი. ამდროინდელი დოკუმენტებიდან ჩვენთვის საინტერესო ცნობებს

ქუთაისის საქალაქო ნაწილის აღებისა და ციხის ალყის შესახებ შეიცავენ 1769 წლით დათარიღებული მიტროპოლიტ მაქსიმეს რუსეთს გაგზავნილი იმერეთის აღწერილობა (Грамоты …1898, გვ. 3. ვ. მაჭარაძე 1998, გვ. 300), სოლომონ I წერილები ეკატერინე II (Грамоты …1898, გვ. 47-48; 57), გრაფ პანინის (იქვე... გვ. 49), რუსეთში ელჩად გაგზავნილი დავით კვინიხიძისა (Грамоты … 1891 გვ. 152) და მოურავოვისადმი (იქვე ... გვ. 156), ქუთაისის ციხის იანიჩართა უფროსის წერილი ახალციხის ფაშასადმი, რომელიც სოლომონ I გააგზავნა რუსეთში (იქვე... გვ. 103. ვ. მაჭარაძე 1988, გვ. 524) და სხვა.

ამგვარი ხასიათის დოკუმენტები განსაკუთრებით მრავლადაა XIX საუკუნის დასაწყისისათვის, რომელთაგან უნდა გამოვყოთ სოლომონ II წერილი ტორმასოვისადმი, სადაც დაცულია ცნობა «ოქროს ჩარდახის" დანგრევის შესახებ (Акты ... 1870 გვ. 215).

აქვე უნდა მოვიხსენიოთ გასული საუკუნის 50-იანი წლების ერთი ქართული პუბლიკაციის ინფორმაცია «ოქროს ჩარდახის" ყოფილ ტერიტორიაზე ქუთაისის გიმნაზიის საძირკვლის გაჭრისას მარნის ნაშთის აღმოჩენის შესახებ («ცისკარი» 1859, გვ. 69., მითითებულია ვ. ჩაკვეტაძე 1960 მიხედვით, გვ. 284). Ეს ინფორმაცია იმითაა განსაკუთრებით საყურადღებო, რომ იმერეთის მეფეთა ამ რეზიდენციიდან ჯერჯერობით არავითარი არქეოლოგიური მასალა არა გვაქვს.

XVIII საუკუნის იმერეთისა და კონკრეტულად ქუთაისის ისტორიისათვის სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობის პირველწყაროს წარმოადგენს რუსეთის საიმპერატორო კარზე გაგზავნილი იმერეთის მეფე ალექსანდრე V დაკვეთით ტიმოთე გაბაშვილის მიერ 1737 წელს შესრულებული ლიხთ-იმერეთის რუკა. პირველ ყოვლისა იგი წარმოგვიდგება, როგორც ერთ-ერთი უადრესი ქართული კარტოგრაფიული ძეგლი და, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა, შეიცავს ფასდაუდებელ ცნობებს XVIII საუკუნის შუახანების (და ეს ცნობები თამამად შეგვიძლია გამოვიყენოთ წინა და მომდევნო ეპოქებისთვისაც) ქუთაისის ტოპოგრაფიის, ქალაქგეგმარების, ქალაქის ცალკეული ნაწილების, გამაგრების სისტემის, საერო, სასულიერო და საკომუნიკაციო ნაგებობების შესახებ (ი. მათურელი 1949, გვ. 203-221; შ. ბურჯანაძე 1959 (ა), გვ. 177-198).

საკვლევი ეპოქის ქუთაისის შესახებ მეტად მწირი ქართული ეპიგრაფიკული მასალიდან საგანგებოდ უნდა გამოვყოთ ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერა, რომელიც იმერეთის მეფე ალექსანდრე III და ლევან II დადიანს შორის ურთიერთობას ასახავს და საყურადღებო ცნობებს შეიცავს ქუთაისის ცალკეული უბნების შესახებ (კ. გრიგოლია 1942, 145-156).

ცალკე აღნიშვნის ღირსია კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის დიმიტრი მეღვინეთუხუცესის ფონდში (№15) დაცული ლევან დადიანის 1646 წლით დათარიღებული წარწერა მთავარანგელოზთა ხატზე, სადაც დაცულია ცნობები «ოქროს ჩარდახის» ერთი სამშენებლო პერიოდისა და «ზედა ქუთაისის» სიმაგრეების შესახებ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები 1973, გვ. 337-338).

ჩვენთვის ხელმისაწვდომი საარქივო მასალებიდან საყურადღებოა ქუთაისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დოც. მ. კეზევაძის მიერ გამოვლენილი 1827 და 1832 წლებით დათარიღებული საბუთები (ქ.ც.ს.ა. ფონდი 21, ანაწერი I, საქმე 386, ფურც. 2-5. ფონდი 21, საქმე 758, ფურც. 4). მათში აღწერილია ბაგრატის ტაძრის ნანგრევები, ოსმალთა მიერ 1671 წელს (დოკუმენტის მიხედვით) დანგრეული სამსართულიანი და იმ ხანებში (1827 წ.) იმერეთის არქიეპისკოპოს სოფრონიოსის მიერ განახლებული ახლა უკვე ორსართულიანი საარქიერო სასახლე და 1770 წელს თურქების განდევნისას დანგრეული და 1795 წელს სოლომონ II მიერ განახლებული, თავის დროზე ოსმალთა მიერ რიონის პირზე აგებული აბანოს ნაშთები (მ. კეზევაძე, 1985. მ. კეზევაძე, 1988).

ბ. <u>რუსული წყაროები.</u>

ამთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი რუსულენოვანი, მაგრამ წარმომავლობით ქართული წყარო ჩვენ ქართულ წყაროებში მიმოვიხილეთ.

რუსული წარმომავლობის წყაროები კი საკვლევი ეპოქის შესახებ XVII საუკუნის შუახანებისათვის ჩნდება. მართალია ეს პერიოდი არ გამოირჩევა რუსეთ-იმერეთს შორის დიპლომატიური ან სხვა კონტაქტების ინტენსივობით და ამ დროს არც რუსეთის მზარდი სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესების სფეროშია იმერეთი მოქცეული, მაგრამ პირველივე რუსულმა ელჩობამ იმერეთის სამეფოსა და კონკრეტულად ქუთაისის ისტორიისათის ფასდაუდებელი პირველწყარო დაგვიტოვა. მხედველობაში გვაქვს 1651-52 წლებში იმერეთის მეფე ალექსანდრე III კარზე რუსეთის მეფე ალექსი

მიხეილის-ძის მოვლინებული რუსი ელჩების ნ. ტოლოჩანოვისა და ა. იევლევის მიერ რუსეთის საგარეო საქმეთა უწყებისათვის წარდგენილი მუხლობრივი აღწერილობა, რომელიც ამავე უწყების ინსტრუქციითაა შედგენილი (ნ. ტოლოჩანოვის ...1970, ა. იევლევის ....1969).

ამ მრავალმხრივი ინფორმაციის შემცველი წყაროებიდან ჩვენთვის ის ადგილებია განსაკუთრებით საინტერესო, რომლებიც კონკრეტულ აღწერილობით მონაცემებს შეიცავენ და რომელთა შედარებაც შესაძლებელია არქეოლოგიურ მონაცემებთან. კერძოდ, ორივე ავტორთან საკმაოდ დეტალურადაა აღწერილი ქალაქის ტოპოგრაფია (მდინარის მარჯვენა სანაპიროზე ,,დიდი ქუთათისი" ცალკე მდგომი ციტადელით, მარცხენა სანაპიროზე კი «მცირე" ანუ « პატარა ქუთაისი", გარეუბნები და ა.შ.) და გამაგრების სისტემა, სადაც კარგადაა გამოკვეთილი ალექსანდრე III დროინდელი სასიმაგრო მშენებლობა, რაც ქართულ წყაროში (ბერი ეგნატაშვილი) სულ სამი სიტყვითაა გადმოცემული («...ქუთაისს გალავანი შემოივლო").

ორივე ავტორი საგანგებოდ ჩერდება საფორტიფიკაციო სისტემის ცალკეულ ელემენტებზე (კედლების სტრუქტურა, კოშკების რაოდენობა, სამშენებლო მასალა, ზომები და სხვა).

განსაკუთრებით საინტერესოა ელჩების ცნობები ციტადელის, კარიბჭეების, სამეფო დარბაზების, ხაზინის, გვარჯილის მოსაგროვებელი სარდაფის და ტაძრის კომპლექსის (ტაძარი, გალავანი, სამრეკლო, საკათალიკოსო პალატები) შესახებ.

სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობისაა «ოქროს ჩარდახის" კომპლექსის ელჩებისეული აღწერილობა, რადგანაც ეს უბანი არქეოლოგიურად პრაქტიკულად შეუსწავლელია. კომპლექსის სამშენებლო ფენების გამიჯვნა და ნაწილობრივი რეკონსტრუქცია დღეისათვის მხოლოდ ელჩების აღწერით, ტიმოთე გაბაშვილის რუკის, გიულდენშტედტის ცნობით და დიუბუას (იხ. ქვემოთ) გეგმითაა შესაძლებელი.

რუსეთ-იმერეთის ურთიერთობათა მეორე ეტაპი (XVII ს-ის 60-70_იანი წლები) ძირითადად ცალმხრივი დიპლომატიური მიმოწერით შემოიფარგლება და ამ ეტაპის ცნობები ქართულ წყაროებში უკვე მიმოვიხილეთ.

მესამე ეტაპი 1769-74 წლების რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდს ემთხვევა და რუსული წყაროებიც ამ დროისათვის გაცილებით მეტია და მრავალფეროვანიც. მათგან

განსაკუთრებული მნიშვენლობისაა ისინი, რომლებიც სოლომონ I და გენერალ ტოტლებენის საექსპედიციო კორპუსის მოქმედებებს შეეხებიან. მაგ: რუსი მოხელის მოურავოვის რაპორტი ნ. პანინს (Грамоты ... 1891, გვ. 72-73, 227), მისივე მოხსენება ნ. ტოტლებენისადმი (...იქვე... გვ. 131), რომლებშიც საინტერესო ცნობებია დაცული თურქული გარნიზონის რაოდენობისა და ქალაქში მცხოვრები თურქული ეთნოსის წინააღმდეგ მოკავშირეთა მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ. ბაგრატის ტაძრის ნანგრევებს, ქუთაისის ციხის ალყას და ნგრევას შეეხება საგანგებო მოხელის კაპიტან იაზიკოვის პატაკები და ჩანაწერები (იქვე... გვ.194).

საგანგებოდ უნდა გამოვყოთ კაპიტან-პორუჩიკის ლვოვის წერილი, რომელშიც დეტალური სიზუსტითაა აღწერილი 1770 წლის ივლის-აგვისტოს საბრძოლო ბატალიები ქუთაისის ციხესთან, არტილერიის განლაგების სქემა და მოქმედების პირობები, ციხის ალყა და აღება. ეს წერილი თვითმხილველის შედგენილია და ამდენად განსაკუთრებულად ფასეულიც (იქვე... გვ. 255-261).

ზემოხსენებული მოვლენები, როგორც აღვნიშნეთ 1769-74 წლების ომთან კონტექსტში განიხილება. ომის დამთავრებამდე მოხდა ქუთაისის ციხის აღება და პირველი ნგრევა სოლომონ მეფის სურვილით (რაც «ახალციხური ქრონიკების“ მიხედვით 1770 წლის 25 აგვისტოდან დაიწყო), ხოლო მეორე ნგრევა (იმავე წყაროს მიხედვით 1775 წლის 26 თებერვლიდან), როგორც ქვემოთ შევეცდებით დავასაბუთოთ, ამ ომის დასასრულს დადებული კუჩუკ-კაინარჯის ზავის (1774 წლის 10 ივლისი) 23-ე არტიკულის აშკარა გამოძახილია (Е. Дружинина, 1955 გვ. 356). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ წყაროებში აღნიშნული ორივე ნგრევა კარგად დაადასტურა ქუთაისის ციტადელის გათხრებმაც.

გვიანი შუასაუკუნეების ბოლო ეტაპის იმერეთის ისტორიისათვის მთელი რიგი ცნობებია შემონახული ბურნაშოვის (Бурнашов, 1896), ნ. დუბროვინის (Н. Дубровин, 1871., Н. Дубровин, 1888) და განსაკუთრებით პ. გლინოსაროვის (Гнилосаров, 1859.) [1] შრომებში.

ეს უკანასკნელი ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი იყო 1852-59 წლებში და ძალზედ საინტერესო ცნობები დაგვიტოვა «ოქროს ჩარდახის” მაშინდელი მდგომარეობის,

სასახლის ინტერიერისა და მორთულობის, ქუთაისის ციხის ნგრევის, მწვანეყვავილას კომპლექსის, მეფის ბაღის, ქუთაისის ეკლესიებისა და ცალკეული უბნების შესახებ.

გამოქვეყნებული და ხელმისაწვდომი საარქივო მასალებიდან იმერეთის სამეფოს უკანასკნელი პერიოდის ქუთაისის შესახებ სანდო ინფორმაციული დოკუმენტებია დაცული ა. პ. ბერჟეს რედაქტორობით გამოცემულ «აქტების" IV ტომში (Акты, 1870).

საკმაო რაოდენობის გამოუქვეყნებელი მასალაა დაცული მოსკოვისა და სანკტ-პეტერბურგის არქივებსა და წიგნთსაცავებში. ჩვენთვის მხოლოდ მათი ნაწილია ხელმისაწვდომი (იხ.მ. გონიკიშვილი 1979, გვ 239- 249).

<u>გ. ევროპული წყაროები</u>

გვიანი შუასაუკუნეების ქუთაისის შესახებ ჩვენთვის ხელმისაწვდომი ევროპული წყაროები მართალია სიუხვით არ გამოირჩევა, მაგრამ სამაგიეროდ მათი დიდი ნაწილი პირველხარისხოვან ცნობებს გვაწვდიან ქალაქის ისტორიის თითქმის ყველა საკითხზე და ამასთანავე, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გამოირჩევიან დეტალიზაციით და სანდოობით. ამასთან მათი მონაცემები საკვლევი ეპოქის თითქმის ყველა საუკუნეზე ნაწილდება (XVI საუკუნის გამოკლებით) და ავსებენ და აზუსტებენ სხვა წყაროებისა და გათხრებით გამოვლენილ მონაცემებს.

საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზის დღევანდელი შესწავლილობის დონეზე საკვლევი ეპოქის ქუთაისის შესახებ ჩვენთვის ხელმისაწვდომი ევროპული წყაროებიდან ყველაზე ადრეულად იტალიის სავაჭრო მისიის წარმომადგენლის ამბროზიო კონტარინის ცნობები უნდა ჩაითვალოს. იგი 1474 წლის ზაფხულში გავლით იმყოფებოდა ქუთაისში და დაგვიტოვა საკმაოდ მწირი, მაგრამ უაღრესად მრავლისმეტყველი მონაცემები ქალაქის ტოპოგრაფიისა და «ოქროს ჩარდახის" თავდაპირველი სამშენებლო ეტაპის შესახებ. კონტარინის ცნობიდან აშკარად ხდება, რომ ბაგრატ II (1462-74) მეფობის ბოლო ხანებში ქუთაისის «ორნაწილიანობა" (კერძოდ ახალი განაშენიანება მარცხენა სანაპიროზე სამეფო რეზიდენციის სახით) უკვე მომხდარი ფაქტია, რაც კარგად ჩანს მოგვიანო ხანის როგორც ქართულ, ასევე უცხოურ წყაროებშიც.

კონტარინისთან აშკარად დიფერენცირებულია ვაკეზე მდებარე ბაგრატ მეფის სასახლე და მაღალ გორაზე ძველთაგანვე არსებული «ზედა ქალაქი" («ციხე").

კონტარინის ცნობების სხვა მონაცემებთან შედარება იმ დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს, რომ გვიანი შუასაუკუნეების ერთ-ერთი პირველი მასშტაბური საფორტიფიკაციო და სხვა მშენებლობები სავარაუდოდ XV ს-ის 50-70_იანი წლებით დავათარიღოთ და ბაგრატ II იმერეთში აქტივობის ახლო ხანებს დავუკავშიროთ (მოამბე 1894. გვ. 51-55).

ქრონოლოგიურად შემდეგი ეტაპის ევროპული წყაროები XVII საუკუნის 30-70_იანი წლებს განეკუთვნება. ქუთაისის ისტორიისათვის საკმაოდ მრავალფეროვანი ცნობებია დაცული კათოლიკე მისიონერების არქანჯელო ლამბერტის (არქანჯელო ლამბერტი 1938), დონ პიეტრო ავიტაბილეს (დონ პიეტრო ავიტაბილე 1977), დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელის (დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი 1964), დონ ქრისტოფორო დე კასტელის (დონ კრისტოფორო დე კასტელი 1976), კატერინო ძენოს, ჯოვანი მარია ანჯოლელოსა და ანონიმი ვენეციელის (ე. მამისთვალიშვილი 1975. მითითებულია მ. რეხვიაშვილი 1989 მიხედვით) მიერ იტალიაში გაგზავნილ რელაციებში. ამათგან ლამბერტი 1633-49 წლებში ცხოვრობდა დასავლეთ საქართველოში (სამეგრელოში) და იმის მიუხედავად, რომ მისი ნაშრომის უდიდესი ნაწილი სამეგრელოს შეეხება, რამოდენიმე მონაკვეთი ქუთაისსაც აქვს დათმობილი, სადაც დაცულია ცნობები იმდროინდელი ქალაქის გეოგრაფიული და ეკონომიკური მდგომარეობის, ტოპოგრაფიის, ფორტიფიკაციის, საკულტო და საკომუნიკაციო ნაგებობების შესახებ (არქანჯელო ლამბერტი 1938, გვ. 10; 22; 92).

ლამბერტის მსგავსად არც მილანელის ნაშრომი გამოირჩევა ჩვენთვის საჭირო ცნობების სიუხვით, მაგრამ ერთი პატარა მონაკვეთით «ოქროს ჩარდახის” მშენებლობის ქართულ წყაროშიც (ლევან დადიანის წარწერა მთავარანგელოზთა ხატზე) დამოწმებული ალექსანდრე III დროინდელი ერთი ეტაპის გამოყოფა ხერხდება (დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი 1964, გვ. 79-80). მილანელის ნაშრომზე დართული არაერთი ჩანახატით შეიძლება გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ იმერეთის მეფის (ამ შემთხვევაში ალ. III) სასახლის ინტერიერსა და სხვა ზოგიერთ წვრილმანზე.

XVII ს-ის პირველი ნახევრის იტალიელ მისიონერთაგან ყველაზე მნიშვნელოვან და თავისებურ ცნობებს კასტელის ალბომი შეიცავს, რომელშიც მოთავსებულ

ჩანახატთა სახით საქმე გვაქვს საკვლევი ეპოქის ქუთაისის ამსახველ გრაფიკულ მასალასთან, რომელსაც ემატება რელაციონში გაბნეული კასტელისავე განმარტებები.

კასტელის ალბომში საგანგებოდ უნდა გამოვყოთ №38-ე 92-ე და 328-ე ჩანახატები. მიუხედავად იმისა, რომ სხვა ძეგლებთან შედარებით (მაგ. გორის ციხე) ეს ჩანახატები ძალზე სქემატურია, მათ მიხედვით მაინც შეიძლება გარკვეული მსჯელობა ქალაქის ტოპოგრაფიის, ფორტიფიკაციის ცალკეული დეტალების, საკულტო თუ საერო ნაგებობების არქიტექტურული იერსახისა და ლოკალიზაციის შესახებ, ხოლო მათი შედარება სხვა ავტორთა მონაცემებსა და გათხრებით გამოვლენილ ძეგლებთან არაერთ კითხვაზე საკმაოდ ზუსტი და არგუმენტირებული პასუხის გაცემის საშუალებას გვაძლევს.

გარდა აღნიშნულისა კასტელის ზოგიერთი ჩანახატი საშუალებას გვაძლევს ზოგადად მაინც წარმოვიდგინოთ ეპოქის ჩაცმულობა, აღჭურვილობა, სასახლის ინტერიერის მორთულობა, დიდებულთა და მწარმოებელი მოსახლეობის ინვენტარი, საბრძოლო და სამეურნეო იარაღები, წყალმომარაგების ელემენტები და სხვა უამრავი დეტალი, რომელთა შესახებაც სხვა ინფორმაციას დიდად ვართ მოკლებული. ამდენად კასტელის ალბომის მნიშვნელობა დასავლეთ საქართველოსა და კონკრეტულად ქუთაისის ისტორიისათვის პრაქტიკულად ჯერჯერობით მაინც ამოუწურავია.

XVII ს-ის სხვა უცხოელი ავტორების (ავიტაბელე, ძენო, ტავერნიე [ჟან ბატისტ ტავერნიე, 1974]) ცნობები ქუთაისის შესახებ ჩვენთვის ნაკლებ ინფორმაციულია და მათზე აღარ შევჩერდებით.

ჟან შარდენის თხზულება, რომელიც საკვლევი ეპოქის საქართველოს ერთ-ერთ საუკეთესო პირველწყაროს წარმოადგენს, რამდენიმე მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს 1660 წლის შემდგომ იმერეთში დატრიალებული შინაომების, ქუთაისის ციხეში თურქული გარნიზონის ჩადგომის, სამეფო კარის საუნჯისა და ქალაქის ტოფოგრაფია-ფორტიფიკაციის შესახებ (ჟან შარდენი 1975).

მომდევნო ეტაპის ევროპული წყაროები XVIII საუკუნის 70-იანი წლების პირველი ნახევრის სიტუაციას ასახავენ.

ტოტლებენის საექსპედიციო კორპუსის ფრანგი ოფიცრის დე გრაი დე ფუას ცნობები რამდენიმე ახალ იფორმაციას გვაწვდის ქალაქის ფორტიფიკაციის ზოგიერთი

ნიუანსის, ქუთაისის ციხის ალყის, საომარი ბატალიებისა და ციხის ნგრევის შესახებ (დე გრაი დე ფუა საქართველოს შესახებ 1985).

აღნიშნული ეპოქის შესახებ ყველაზე მრავალრიცხოვანი, სანდო და ჩვენი ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე გამორჩეულად მნიშვნელოვანი ცნობები ეროვნებით გერმანელს, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს იოჰან ანტონ გიულდენშტედტს ეკუთვნის, რომელიც იმერეთსა და სამეგრელოში იმყოფებოდა 1770 წლის აგვისტო- სექტემბერში (გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში 1962. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში 1964).

სხვებისაგან განსხვავებით გიულდენშტედტი დეტალურ ინფორმაციას გვაწვდის რიონის კალაპოტამდე დაშვებული ორი პარალელური კედლით მოზღუდული «ზედა" ქალაქის კლდოვან ფერდობზე მის დრომდე შემორჩენილი საფორტიფიკაციო, საყოფაცხოვრებო, სანიტარულ-ჰიგიენური და საკომუნიკაციო ნაგებობების შესახებ. ამ ცნობების მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის ის გარემოება, რომ ნაქალაქარის ეს ნაწილი თანამედროვე განაშენიანების გამო არქეოლოგიურად სავსებით შეუსწავლელია.

დიუბუასთან შედარებით რამდენადმე განსხვავებულია გიულდენშტედტის ცნობა «ოქროს ჩარდახის" სასიმაგრო კედლის კონფიგურაციის შესახებ. ამ კომპლექსის სხვა ნაგებობებს იგი სამწუხაროდ არ აღწერს. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ მეჩეთად გადაკეთებული ციტადელის ეკლესიისა და «თათრული" წარწერის შესახებ არსებული მონაცემები.

იმერეთის მოსახლეობის რაოდენობის, ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების, იმერეთის ციხეების და ქუთაისის განაშენიანების მასშტაბების შესახებ გარკვეული ცნობებია დაცული მ. ტუკის ექვსტომეულ ნაშრომში (Tooke 1801, გვ. 252).

ქუთაისის შესახებ არსებული ევროპული წყაროებიდან ყველაზე თვალსაჩინო და მრავალმხრივ ინფორმაციულია შვეიცარიელი მეცნიერისა და მოგზაურის დიუბუა დე მონპერეს ცნობები, რომელმაც 1830-იან წლებში იმოგზაურა კავკასიაში და დაგვიტოვა ძველი ქუთაისის დეტალური და ზუსტი აღწერილობა და რაც მთავარია გეგმა, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს პირველწყაროს მნიშვნელობა (Dubois de Montpereux 1839). დიუბუას ცნობები ქუთაისის ისტორიაზე მომუშავე არაერთ მკვლევარს (ნ. ბალანჩივაძე, მ. ნიკოლეიშვილი, პ. ვაჭრიძე, გ. გაბუნია,შ. მესხია, ვ. ჩაკვეტაძე, ვ.

ჯაოშვილი, ო. ლანჩავა, ა. გაბრიაძე, გ. ბოგვერაძე, მ. კეზევაძე და სხვა) აქვს გამოყენებული და ინტერპრეტირებული, ამიტომაც ჩვენ მხოლოდ ის ცნობები გვაიტერესებს, რომლებიც საკვლევი ეპოქის ძეგლებზე გვაწვდიან ინფორმაციას და აქამდე შედარებით ნაკლებად იყვნენ აქცენტირებულნი.

პირველი, რასაც ხაზი უნდა გავუსვათ ისაა, რომ გათხრებით არ დასტურდება დიუბუას მოსაზრება, რომ «ზედა" ქალაქი არის პროკოპისეული უქიმერიონი, ხოლო «ქვედა" ძველი «ქუთათისიუმი". შემდეგ, დიუბუაც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ტოტლებენმა სოლომონ I თანხმობით ააფეთქა ქუთაისის ციხის კედლები. გათხრებით კარგად დასტურდება დიუბუას მონაცემები ძველი (დანგრეული) და ახალი (სიმონოვიჩის მიერ 1810_იან წლების პირველ ნახევარში აგებული) ციხეების ურთიერთმიმართების შესახებ.

საგანგებოდ უნდა გამოვყოთ დიუბუას ცნობები ქუთაისის ციხის მეჩეთისა და ძველი ქალაქის წყალმომარაგების შესახებ. ეს უკანასკნელი სამომავლოდ საგანგებო კვლევას საჭიროებს. დიუბუას გეგმაზე დატანილი საკვლევი ეპოქით დადასტურებული ზოგი ეკლესია გათხრებითაც გამოვლენილია.

დიუბუას გეგმაზე დატანილი და ექსპლიკაციაში განმარტებული სხვადასხვა დანიშნულების არქიტექტურულ ნაგებობებს შორის გვიანი შუასაუკუნეების ფენის გამოყოფა გათხრების ამ ეტაპზე ყოველთვის არ ხერხდება. მომავალი გათხრების შედეგების შეჯამება დიუბუას ცნობებთან სამომავლოდ ქუთაისის ისტორიის სრულიად ახალ ფურცლებს გადაშლის.

<u>დ. თურქული წყაროები</u>

თურქული წყაროები ქუთაისის შესახებ 1510 წლის (როცა თურქებმა პირველად ილაშქრეს იმერეთში) შემდგომ პერიოდში ჩნდება და თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მათი მოძებნა და გამოქვეყნება მაინც მომავლის საქმეა. თურქეთის არქივებში ალბათ არაერთი მასალა გამოვლინდება, ხოლო რაც გამოვლენილია და ქართველ თურქთოლოგთა მეშვეობით ჩვენთვის ხელმისაწვდომია, არაერთი საკითხის დასაზუსტებლად მეტად მნიშვნელოვანია.

XVI საუკუნის თურქული წყაროებიდან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს სულთან მურად III «აჩიკ-ბაშის მმართველის, როსტომ ხანისადმი გაგზავნილი,

გადმოსაბირებელი სამეუფეო წერილის პირი”, რომელიც 1591 წლის ამბების შეეხება და სვიმონ I ქუთაისის ტახტისათვის ბრძოლის გააქტიურებას ეხმიანება (ვ. ჩოჩიევი 1976, გვ. 100-108). დოკუმენტში ხაზგასმითაა მითითებული «ქუთაისის ციხე”, როგორც ამ აქტივობის ერთ-ერთი ძირითადი ობიექტი, რაც კიდევ ერთი დასტურია (ამჯერად თურქულ წყაროში ასახული) ტერმინ «ციხის” ქუთაისის ციტადელის აღსანიშნავად ადრიდანვე დამკვიდრებისა.

ჩვენთვის საინტერესო მომდევნო წყარო არჩილის იმერეთში პირველ გამეფებასთან დაკავშირებით თურქეთის მიერ გამოხატულ პროტესტს ასახავს. წყარო დეტალურად აღწერს თურქთა 40.000_იანი არმიის იმერეთში შემოსვლას, არჩილის გაქცევას და თურქთაგან ქუთაისის ციხის უბრძოლველად დაკავებას. წყაროს მიმოხილვა ტექსტის გარეშე ც. აბულაძესა და ნ. შენგელიას ეკუთვნით, ხოლო თვით ტექსტზე ჩვენ ხელი არ მიგვიწვდა (ც. აბულაძე, ნ. შენგელია 1987, გვ. 98-103).

«ქუთაისის ციხე» და ქუთაისი მოხსენიებულია ევლია ჩელების თხზულებაშიც (ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი 1971, გვ. 298).

საგანგებოდ უნდა გამოვყოთ ოსმალო ისტორიკოსის ფუნდუკლულუ მეჰმედ აღას ორნაწილიანი თხზულება «ნუსრეთ ნამე” («გამარჯვების წიგნი”) წყაროს ცნობები ქართველი გამომცემლის მიერ სანდოდაა მიჩნეული თუნდაც იმიტომ, რომ იგი აღწერილი მოვლენების თანამედროვეა. ამიტომაც განსაკუთრებით ღირებულია მისი ცნობების ის ადგილები, რომლებიც არჩილ მეფის მიერ ქუთაისის ალყას, ბაგრატის ტაძრის დანგრევას და გარნიზონის საშველად მოსული ლაშქრის მიერ ქუთაისის «ციხის» დანგრეული კედლების შეკეთებას შეეხებიან (ნ. ჯაველიძე 1985, გვ. 153-161).

XVII ს-ის პირველი ნახევრის ავტორის ქათიბ ჩელების თხზულების «ჯიჰან-ნუმას” კავკასიის რუკაზე ნაჩვენებია «ფოთი-ქუთაისი-გორი-თბილისის გზა” და ქუთაისიც «ქუთათს” ფორმით (ქათიბ ჩელების.... 1978 გვ 55-60).

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიკოსის მუსტაფა რეშიდის ცნობით 1766 წელს ქუთაისის ციხეში თურქთა სამ-ოთხ ათასიანი ჯარი გამოსაზამთრებლად დარჩა, რაც იმის დასტურად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ამ ხანებში თურქებს არა მარტო ციხე, არამედ მთელი «ზედა” ქალაქი უჭირავთ (ნ. შენგელია, ნ. ჯაველიძე 1979. გვ. 138).

ქუთაისის ციხის ოსმალური გარნიზონის რაოდენობის, შემადგენლობის და შეიარაღების შესახებ საუკეთესო ცნობებს შეიცავენ ის ოსმალური არზები (საფინანსო დოკუმენტები), რომლებიც ასობით ინახება ბულგარეთის არქივებში და რომელთა მცირე ნაწილიც გამოაქვეყნა პროფ. ნ. შენგელიამ (ნ. შენგელია 1983, გვ. 153-165. ნ. შენგელია 1985, გვ. 147-168). გამოქვეყნებული მასალები 1720-33 წლების მონაკვეთს განეკუთვნებიან და მათში მოცემული სხვადასხვა სახეობის ჯარისკაცთა რიცხობრივი მაჩვენებლის მიხედვით შეიძლება გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ იმის შესახებ, დროის ამა თუ იმ მონაკვეთში თურქები მარტო «ციხეს” ფლობდნენ თუ ქალაქის დანარჩენ ნაწილებსაც.

დასასრულ ერთი თურქული წარწერის შესახებ, რომელიც 1950-იან წლებში აღმოჩნდა ბაგრატის ტაძრის ნანგრევებთან და გამოაქვეყნა აკად. ს. ჯიქიამ. წარწერაში მოხსენიებული ზუსტად დათარიღებული წყალსადენის მაგისტრალი ქუთაისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სამ ადგილზე გამოავლინა. აღნიშნული წარწერა, რომელიც ჩვენი აზრით მეჩეთად გადაკეთებულ ციტადელის ეკლესიაზე ნახა გიულდენშტედტმა და დიუბუამ ვეღარსად მოიძია, კარგად ავსებს გათხრებით გამოვლენილ არაერთ მონაცემს (ს. ჯიქია 1976)

ამდენად, როგორც ამ მიმოხილვიდანაც ჩანს საკვლევი ეპოქის ქუთაისის შესახებ სრულიად სხვადასხვა სახისა და მნიშვნელობის წყაროები მოგვეპოვება, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ქვემოთ ცალკეულ მოვლენასთან თუ არქეოლოგიურ მასალასთან კონტექსტში სათანადოდ იქნება ინტერპრეტირებული.

2.2. არქეოლოგიური კვლევის ისტორიისათვის

ქუთაისისა და მისი შემოგარენის ისტორიული სიძველეებისა და არქეოლოგიური ძეგლებისადმი მეცნიერების დაინტერესება XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან შეინიშნება და შვეიცარიელი მეცნიერის დიუბუა დე მონპერეს სახელთანაა დაკავშირებული, რომელმაც შეადგინა ქუთაისის მიწისზედა სიძველეების საკმაოდ ვრცელი და საინტერესო აღწერილობა (Diubois… 1839). ამ ნაშრომის ღირსება ქუთაისში ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების საფუძველზე სულ უფრო და უფრო იზრდება.

ქუთაისის არქეოლოგიური შესწავლის აუცილებლობაზე მითითებულია 1873 წელს კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების გახსნის დღეს ა. ბერჟეს მიერ წაკითხულ მოხსენებაში (А. Берже 1879, გვ. 17).

ქუთაისში პირველი ნამდვილი არქეოლოგიური აღმოჩენის ავტორად ითვლება ცნობილი ქართველი მწერალი, საზოგადო მოღვაწე და სიძველეთმცოდნე გიორგი წერეთელი. მას საკუთრივ ქალაქში (ყოფილი ბაღის, შემდგომში სევასტოპოლის, ახლა გ. ტაბიძის ქუჩა) მიუკვლევია მისი აზრით კერამიკული წარმოების ნაშთებისათვის და ეს ინფორმაცია მიუწოდებია სრულიად რუსეთის მეხუთე არქეოლოგიური ყრილობის მოსამზადებელი კომიტეტისათვის 1880 წლის 18 ნოემბერს (Г. Церетели 1882 გვ. 337). ჩვენი აზრით თავის დროზე გ. წერეთელმა, ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2005 წელს ამ მიდამოებში გამოვლენილ ძვ. წ. VI_II სს-ს ორფენიანი ძეგლის ნაწილს მიაკვლია. ზემოთაღნიშნული კომიტეტის სხდომაზე მას საგანგებოდ დაუყენებია საკითხი ქუთაისის არქეოლოგიური შესწავლის დიდი მეცნიერული მნიშვნელობის შესახებაც. იმავე კომიტეტის ოქმებში დაცულია ინფორმაცია სოფ. ჭოგნარში ე.წ. «ნასაჯვარევის” ბორცვზე (ბარონ ლონგვილის მამული) აღმოჩენილ ანტიკური ხანის მასალაზეც (Г. Беленько 1882, გვ. 485-495). იმავე ხანებში ბაგრატის ტაძრის მიდამოებში არქეოლოგიური სამუშაოები ჩაუტარებია ქუთაისის გიმნაზიის დირექტორს ე. სტოიანოვს («Кавказ” 1881).

1874 წელს ერნსტ ფავრის, ხოლო 1914 წელს რ. შმიდტისა და ლ. კოზლოვსკის მიერ ნაწილობრივ შეისწავლებოდა ე.წ. «იაზონისა” და «ვირხოვის” (იგივე «საკაჟიას”) მღვიმეები (თ. ბუგიანიშვილი 1991, გვ. 98).

ქუთაისსა და მის მიდამოებში გასული საუკუნის 10-20_იან წლებში წარმოებულ გათხრებს უფრო შემთხვევითი და არასისტემატიური ხასიათი ჰქონდა. ქუთაისის მუზეუმის დაარსების პირველივე წლებიდანვე მის სამუშაო გეგმაში გათვალისწინებული იყო ქუთაისის, შორაპნის, რაჭისა და ლეჩხუმის მაზრებში საარქეოლოგო «ექსკურსიებისა და გათხრების წარმოება”.

1923 წელს მუზეუმს ჩაუტარებია მცირე მასშტაბის გათხრა ქუთაისის ციხის სამხრეთ-დასავლეთ კოშკის ძირას, რის შედეგადაც აღმოჩენილა რამოდენიმე თიხის

ჩიბუხი და ფეოდალური ეპოქის მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტები (ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის არქივი (საბ. №76).

იმავე წლებში «არქიელის გორაზე" ე.წ. ცაცხვების უბანში, მიწის სამუშაოების დროს თავი იჩინა ადრეანტიკური ხანის სამარხებმა (М. Иващенко 1941, გვ 52).

1924-32 წწ-ში ქუთაისელი მხარეთმცოდნის პეტრე ჭაბუკიანის მიერ თეთრამიწაზე შეგროვილი მასალები საფუძვლად დაედო ამ ადგილზე ნეოლით-ენეოლითური ხანის ძეგლის კვლევას (თ. ბუგიანიშვილი 1991, გვ. 81. შენიშვნა 21).

1933 წელს ქუთაისის სამხრეთ-აღმოსავლეთ შემოგარენში «ნასაჯვარევის ბორცვზე" ძვ. წ. I ათასწლეულის მასალა გამოავლინა ე. კრუპნოვმა (ო. ლორთქიფანიძე 1966, გვ 43). 1936 წელს «საკაჟიას" მღვიმეში ზედა პალეოლითური ფენები შეისწავლა გ. ნიორაძემ (გ. ნიორაძე 1953). 1937 წელს სოფ. ფარცხანაყანევში გამოვლენილი ელინისტური ხანის ქვევრსამარხები გათხარა მ. ივაშჩენკომ, მანვე აღნუსხა ქუთისის მიდამოებში ორ ათეულამდე ხელოვნური საცხოვრებელი გორაკიც (М. Иващенко 1941, ქუთაისის ისტორიული ეთნოგრაფიული მუზეუმის არქივი, საქმე №387).

1946 და 51 წლებში სამარშრუტო ექსპედიციამ ბ. კუფტინის ხელმძღვანელობით დაზვერვები ჩაატარა «თეთრამიწაზე", მღვიმე «საწვეთელაში", სოფ. პატრიკეთისა და და ბანოჯის ტერიტორიაზე (Б. Куфтин 1974, გვ. 145).

1954 წელს პროფ. ალ. კალანდაძემ ფარცხანაყანებში შეისწავლა «რეხის ტყის" ქვევრსამარხები.

1963-65 წლებში ისტორიის ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებულმა ექსპედიციამ პროფ. ოთარ ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით ქუთაისსა და მის მიდამოებში ჩატარებული ფართომასშტაბიანი დაზვერვების შედეგად შეადგინა დაწვრილებითი არქეოლოგიური რუკა, რომელზედაც აღნუსხული და დატანილია წინარეანტიკური, ანტიკური და შუასაუკუნეების ძეგლები (ო. ლორთქიფანიძე 1966, გვ. 41-44).

1961-88 წლებში წყალტუბოს ზონის სოფლებში: უკანეთში, მესხეთში, ფარცხანაყანევში, მაღლაკში, ქვიტირში, მუხიანში შემთხვევით აღმოჩენილი ქვევრსამარხების ინვენტარი შეაგროვეს და შეისწავლეს ქუთაისისა და წყალტუბოს მუზეუმების თანამშრომლებმა (ლ. ჯიქია 1984, გვ. 60-86).

1968-71 და 1972-78 წლებში გ. ლომთათიძის და ვ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით შეისწავლებოდა ვარციხის ნაქალაქარი, პატრიკეთის აბანო და გორანამოსახლარი. ექსპედიციის მიერ სხვადასხვა პერიოდის ძეგლებს შორის გამოვლენილია გვიანშუასაუკუნეების მასალებიც (ვ. ჯაფარიძე 1989).

ამრიგად, ქუთაისსა და მის შემოგარენში XIX ს-ის მეორე ნახევრიდან მოყოლებული XX საუკუნის 80-იანი წლების შუახანებამდე წარმოებული შემთხვევითი თუ გეგმაზომიერი არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად დაგროვდა მეტად მრავალრიცხოვანი და მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მასალები. ისინი მოიცავენ პერიოდს ქვედა პალეოლითიდან მოყოლებული გვიანი შუასაუკუნეების ჩათვლით. ამ მასალის მხოლოდ ერთი ნაწილია დღეისათვის შესწავლილი და გამოქვეყნებული (იხ. ლ. ქიქია 1993. გვ. 8-23).

ქუთაისის არქეოლოგიური შესწავლის ახალი ეტაპი იწყება 1984 წლიდან, როდესაც ქუთაისისა და მისი მიდამოების გეგმაზომიერ არქეოლოგიურ შესწავლას შეუდგა ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიცია პროფ. ო. ლანჩავას ხელმძღვანელობით. ექსპედიცია სამი საველე სეზონის განმავლობაში ერთდროულად მუშაობდა რამდენიმე უბანზე: გაბაშვილის გორაზე (გ. კვირკველია, დ. ბერძენიშვილი) შეისწავლებოდა ძვ. წ. VIII-V სს-ის ორფენიანი ნამოსახლარი, რიონჰესის ზონაში («სარბევის ბორცვი” და «ციხია-გორა”) და გეგუთის მიდამოებში (ვ. ლიჩელი) დაიზვერა და გამოვლინდა ელინისტური და გვიანანტიკური ხანის, ხოლო გელათში («დავითის კონცხი”) განვითარებული შუასაუკუნეების მასალები (ვ.ჯაფარიძე).

ექსპედიციის მუშაობაში პირველ წლებში აქტიურად მონაწილეობდნენ ქუთაისის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლები ლ.ჯიქია, მ. ჟორჟოლიანი, თ. ხელაძე, მ. სტეფანია.

ქალაქ ქუთაისის ისტორიისათვის განსაკუთრებით დიდი მეცნიერული მნიშვნელობისაა საკუთრივ ნაქალაქარის (პროფ. ო. ლანჩავა, რ. ისაკაძე, ა. გაბრიაძე, ა. თვალაძე, გ. ღამბაშიძე, გ. გრძელიძე, რ. ხვადაგიანი ...) გათხრები, სადაც გამოვლინდა ზღუდე-გალავანში მოქცეული ტერიტორიის საკმაოდ დიდი ნაწილი, მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა, რის საფუძველზეც მეტ-ნაკლები სისრულით დოკუმენტურად დადასტურდა ინტენსიური საქალაქო ცხოვრების

სხვადასხვა ეტაპები ძვ.წ. I ათასწლეულის შუახანებიდან მოყოლებული გვიანი შუასაუკუნეების ჩათვლით.

2.3. არქეოლოგიური წყაროები

როგორც ზემოთ აღინიშნა, წინა ეპოქებთან შედარებით წყაროთა სიმრავლის მიუხედავად ნაშრომის ძირითადი წყაროთმცოდნეობითი ბაზა არქეოლოგიურია და შესაბამისად კვლევის ძირითადი წყაროა XV-XVIII სს-ის კულტურული დანალექები, არქიტექტურული ნაშთები და მრავალრიცხოვანი არტეფაქტები, რომლებიც უკავშირდებიან საკვლევ ეპოქაში საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა ცხოვრებასა და მოღვაწეობას საკუთრივ ნაქალაქარის ტერიტორიაზე.

1984 წლიდან დღემდე მიმდინარე არქეოლოგიურმა სამუშაოებმა მოიცვა ნაქალაქარის გალავანში მოქცეული ტერიტორიის ძირითადი ნაწილი, ამასთანავე გალავნის გარეთ კერძო მოსახლეთა ეზოებში დაიზვერა არაერთი არქეოლოგიური ძეგლი. ყველა მათგანი შეძლებისდაგვარად გავითვალისწინეთ ჩვენს ნაშრომში.

გათხრების მეთოდიკიდან გამომდინარე შედგენილ იქნა ნაქალაქარის ტოპოგრაფიული გეგმა, რომლის საფუძველზეც (. 1:500 მეტრზე) ნაქალაქარი და მისი მიმდებარე ტერიტორია დაიფარა ბადით, რომელიც შედგება ნაკვეთებისა (20X20 მ.) და კვადრატებისაგან (5X5 მ.) ნაკვეთები აღინიშნა ლათინური ასოებისა და რომაული ციფრების კომბინაციით, ხოლო თითო ნაკვეთში მოთავსებული 16 კვადრატი დაინომრა არაბული ციფრებით. მაგალითისათვის ესა თუ ის ძეგლი მდებარეობს K XVIII ნაკვეთის მე-7, 8 და ა. შ კვადრატებში.

გვიანი შუასაუკუნეების კულტურული ფენები ნაქალაქარის სხვადასხვა უბანზე ძირითადად მოშავო ფერისაა და ხშირ შემთხვევაში შეიცავენ ნახშიროვან შრეებს. ხშირია ღორღნარევი და ნგრევის დამადასტურებელი ფენებიც.

კულტურულ ფენებში გამოვლენილი ადგილობრივი და იმპორტული არქეოლოგიური მასალისა (კერამიკა, მინა, ლითონის, ხის, ქვის ნაწარმი, მონეტები, არქიტექტურული დეტალები და სხვა.) და სხვადასხვა ფუნქციის არქიტექტურული ნაგებობების სიმრავლე მოცემულ ეპოქაში ნაქალაქარზე და განსაკუთრებით ციტადელში უწყვეტი და ინტენსიური საქალაქო ცხოვრების ცხადი დადასტურებაა.

მთელი ეს მასალა ნაშრომში შეძლებისდაგვარად განხილულია ერთმანეთთან კავშირში და წერილობითი წყაროებთან მიმართებაში, რის შედეგადაც გამოყოფილია საკვლევი ეპოქის რამდენიმე ქრონოლოგიური ეტაპი.

ცალკეული ძეგლების დათარიღებისას ვითვალისწინებთ როგორც ნაქალაქარის საერთო სტრატიგრაფიას, ასევე წერილობით წყაროებს, პარალელურ მასალასა და ნუმიზმატიკურ მონაპოვარს.

3. ისტორიოგრაფია

მიუხედავად იმისა, რომ წინა ეპოქებთან შედარებით საკვლევი ეპოქის წყაროები აშკარად მეტი და მრავალფეროვანია, თვალში საცემია XV-XVIII საუკუნეების ქუთაისის შესახებ არსებული ისტორიული და არქეოლოგიური გამოკვლევების სიმცირე. ეს გარემოება თანაბრად ეხება კვლევის ყველა მიამართულებას: წყაროების, ტოპოგრაფიის, არქიტექტურისა და გამაგრების სისტემის, ასევე ცალკეული ძეგლების შესწავლას. სრული ლაკუნა იყო არქეოლოგიური ძეგლების ანალიზის მხრივ. ცალკეული ავტორის არაერთი საყურადღებო გამოკვლევა, რომლებშიც ასე თუ ისე აისახა საკვლევი ეპოქის ძეგლებიც, საერთო სურათს ვერ ცვლის და ეს გარემოება ძალიან გვირთულებდა მუშაობას.

მართალია გიულდენშტედტის, დიუბუა დე მონპერეს, პლატონ იოსელიანის და გრაფინია უვაროვას ნაშრომები დასაბამს უდებენ ქუთაისის სიძველეების შესწავლას, მაგრამ ჯერ ერთი მათი მიზანი არ ყოფილა ცალკეული ძეგლების (მითუმეტეს საკვლევი ეპოქის) ანალიზი და თანაც დღევანდელი გადასახედიდან ისინი ჩვენთვის უპირატესად პირველწყარო უფროა, ვიდრე კონკრეტული გამოკვლევა. საკვლევი ეპოქის კონკრეტული პრობლემებისადმი მიძღვნილი ნაშრომები მხოლოდ XX საუკუნის 50-იანი წლებიდან გამოჩნდა. ერთ-ერთი პირველი ამ მიმართულებით იყო ი. მათურელი, რომელმაც გამოაქვეყნა 1737 წელს ტიმოთე გაბაშვილის მიერ შედგენილი იმერეთის სამეფოს რუკა (ი. მათურელი 1949, გვ. 203-221). იგივე რუკა წარწერების გაშიფვრითა და ცალკეული კომენტარებით გამოაქვეყნა შ. ბურჯანაძემაც (შ. ბურჯანაძე 1959 (ა), გვ. 177-198). მისი კომენტარები ძალიან დაგვეხმარა ქალაქგეგმარების, არქიტექტურის, ფორტიფიკაციასა და საკომუნიკაციო ნაგებობების კვლევისას. იმავე ავტორმა ჩვენთვის

საინტერესო არაერთ საკითხზე სხვა ნაშრომებშიც გამოთქვა საყურადღებო და არგუმენტირებული მოსაზრებები (შ.ბურჯანაძე 1961, გვ.213-239).

გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ქალაქებისადმი მიძღვნილ სპეციალურ გამოკვლევაში, ქუთაისის ტოპოგრაფიას, ქალაქგეგმარებას, გამაგრების სისტემას, სამეფო რეზიდენციებსა და საკომუნიკაციო ნაგებობებს, მისთვის ხელმისაწვდომი წყაროების შესანიშნავ ანალიზზე დაყრდნობით განიხილავს პროფ. შ. მესხია (შ. მესხია 19896, გვ.291-300. 357-362). მის მიერ ნახევარი საუკუნის წინ გამოთქმული მოსაზრებები და დებულებები ბევრ კონკრეტულ საკითხში ჩვენთვის საიმედო დასაყრდენს წარმოადგენდა.

ქუთაისის ისტორიული ძეგლებისადმი მიძღვნილ გამოკვლევებს შორის გამოირჩევა პროფ. მ.ნიკოლეიშვილის ნაშრომები (მ. ნიკოლეიშვილი 1958(ა). მ. ნიკოლეიშვილი 1958), რომელთა შორის ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა «ოქროს ჩარდახისა” (მ.ნიკოლეიშვილი 1970, გვ.49-52) და «მწვანეყვავილას” ისტორიული ძეგლებისადმი მიძღვნილი გამოკვლევები (მ. ნიკოლეიშვილი 1966, გვ.35-38).

ქუთაისის ისტორიის კვლევის საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვნის პ.ვაჭრიძეს და გ.გაბუნიას (პ.ვაჭრიძე 1999. პ. ვაჭრიძე, გ.გაბუნია 1967. ძველი და ახალი ქუთაისი 1973). ცალკე აღნიშვნის ღირსია ნ.ბალანჩივაძის პუბლიცისტური ნაღვაწი (ნ. ბალანჩივაძე 1958, ნ.ბალანჩივაძე 1959).

საგანგებოდ უნდა გამოვყოთ ს.ჯიქიას ერთი პუბლიკაცია, რომლის მეშვეობითაც კარგად თარიღდება ექსპედიციის მიერ გამოვლენილი წყალსადენის ერთ-ერთი მაგისტრალი და ზუსტად დგინდება ქუთაისის ციხეში არსებული თურქული მეჩეთის ადგილმდებარეობა (ს.ჯიქია 1976).

გვიანი შუასაუკუნეების ქუთაისის ისტორიის ცალკეულ საკითხებს ეხმაურება ვ.ჩაკვეტაძისა და ვ.ჯაოშვილის ნაშრომები (ვ. ჩაკვეტაძე 1960. ვ. ჯაოშვილი 1989).

ქუთაისის ქალაქგეგმარებისა და კონკრეტულად «ოქროს ჩარდახის” კომპლექსის შესახებ წერილობითი წყაროებისა და არქიტექტურული ანალიზის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს აკად. ვ. ბერიძის ნაშრომი (ვ. ბერიძე 1983, გვ.63-70, 227-232). იგი იმითაც

არის ფასეული, რომ «ოქროს ჩარდახის” კომპლექსი არქეოლოგიურად სრულიად შეუსწავლელია.

კასტელის ალბომის ჩანახატების არქეოლოგიურ ძეგლებთან კონტექსტში საინტერესო, თუმცა რიგ შემთხვევაში საკამათო კომენტირება ეკუთვნის ისტორიკოს დ.ხახანაშვილს (დ. ხახანაშვილი 1986, გვ.12-20), რის შესახებაც ქვემოთ საგანგებოთ გვექნება მსჯელობა.

წერილობითი წყაროებისა და მის მიერ მოკვლეულ საარქივო მასალებზე დაყრდნობით ისტორიკოსმა მ.კეზევაძემ დამაჯერებლად შეძლო თურქების მიერ აგებული აბანოსა და სხვადასხვა პერიოდის (მათ შორის საკვლევი ეპოქის) არქიტექტურულ ნაგებობებზე დაშენებული ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის შენობის ლოკალიზება (მ. კეზევაძე 1988, მ.კეზევაძე 1985).

ქუთაისის ციტადელის მრავალფენიანი არქიტექტურული ძეგლების განხილვისას გვიანდელ სამშენებლო ფენებს შეეხო ა.გაბრიაძეც თავის საკანდიტატო დისერტაციაში (ა. გაბრიაძე 1989). მის მოსაზრებათა შეფასებას ქვემოთ სათანადო ადგილზე შევეცდებით. გვიანი შუასაუკუნეების თხრით გამოვლენილმა არქეოლოგიურმა ძეგლებმა სათანადო ასახვა ჰპოვა ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის პროფ. ო.ლანჩავას ყოველწლიურ (1985-2005 წწ). ანგარიშებში.

ცალკე უნდა გამოვყოთ უდროოდ გარდაცვლილი ახალგაზრდა ისტორიკოსის გ. ბოგვერაძის ერთი საინტერესო ნაშრომი, რომელშიც განხილულია 1770 წელს ოსმალთაგან ქუთაისის განთავისუფლების დეტალები. ზოგიერთი აშკარად მცდარი და საკამათო მოსაზრებისა, მთლიანობაში ეს ნაშრომი ჩვენთვის ძალზედ ღირებულია (გ. ბოგვერაძე 2003).

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ გვიანი შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლების შესახებ ჩვენც გამოვაქვეყნეთ რამდენიმე ნაშრომი, რომლებშიც დასახული კონკრეტული პრობლემები ქვემოთ უფრო ვრცლად იქნება წარმოდგენილი (რ. ისაკაძე 1990. რ.ისაკაძე 1995. რ.ისაკაძე 1996. რ.ისაკაძე 1998. რ.ისაკაძე 1999).

თ ა ვ ი I.

XV_XVIII საუკუნეების ქუთაისის ტოპოგრაფია, სტრატიგრაფია და პერიოდიზაცია.

XV საუკუნის შუახანებიდან გართულებული საგარეო და საშინაო ვითარებიდან გამომდინარე, როცა ქვეყნის დაშლა სამეფო-სამთავროებად და ახალი პოლიტიკური ერთეულების წარმოქმნა შეუქცევადი პროცესი ხდება, როცა არსებული რეალობიდან გამომდინარე გარკვეულწილად სახეს იცვლიან ძველი ან ჩნდებიან ახალი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრები, ქუთაისის ისტორიაში თვისობრივად ახალი ეტაპი იწყება.

მიუხედავად იმისა, რომ ახალმა ეპოქამ ცალკეული, ზოგ შემთხვევაში მკვეთრი კორექტივი შეიტანა ქალაქების გარეგნულ იერსახეში, კონკრეტულად ქუთაისის სინამდვილეში ქალაქმშენებლობისა და ტოპოგრაფიის ძირითადი ორიენტირები მცირე გამონაკლისის გარდა პრაქტიკულად უცვლელი დარჩა.

ისევე როგორც წინა ეპოქებში, ახლაც ქალაქის გარეგნული სახის ახლებურად «გადაწყობისას", კვლავ გადამწყვეტ როლს ასრულებს მდინარე რიონის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების ლანდშაფტებს შორის ბუნებრივად არსებული მკვეთრი განსხვავება. ახალი განაშენიანების ერთ-ერთ მთავარ ორიენტირად კვლავ რჩება მდინარის მარჯვენა სანაპიროს კლდოვანი გორაკის თხემზე ახ.წ. IV საუკუნეში წარმოშობილი ციხე-ქალაქის ტერიტორია (ო.ლანჩავა 1996) ორი, ერთმანეთთან შეხამებული «მკვეთრი ვერტიკალური დომინანტით" (ციტადელი და ბაგრატის ტაძარი).

ვიდრე უშუალოდ XV-XVIII საუკუნეების ქუთაისის ტოპოგრაფიული სურათის წარმოდგენას შევუდგებოდეთ, მოკლედ უნდა მიმოვიხილოთ იმ ძველი ტრადიციების, ახალი ტენდენციებისა და ზოგადი კანონზომიერებების ერთობლიობა და თავისებურება, რაც საკვლევი ეპოქის საქალაქო ცხოვრების განვითარების შესახებ ასე თუ ისე შესწავლილი და ჩამოყალიბებულია სხვადასხვა დარგის ქართველ მკვლევართა მიერ. ამ მხრივ აღსანიშნავია შ.მესხიას, პ.ზაქარაიას, ლ. ჭილაშვილისა და განსაკუთრებით ვ. ბერიძის ღვაწლი. აღნიშნული ეპოქის არქიტექტურის ზოგადი ტენდეციების, ქალაქმშენებლობის ძირითადი ორიენტირისა და კონკრეტულად

ქუთაისის ტოპოგრაფიის შესახებ მსჯელობისას ჩვენ სწორედ ამ უკანასკნელის ფუნდამენტურ შრომაში (ვ.ბერიძე 1983) მიღებულ ძირითად დასკვნებს ვეყრდნობით.

დავიწყოთ იმით, რომ გვიანი შუასაუკუნეების ეპოქა, როგორც ისტორიული, ასევე სოციალური, ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისითაც მკაფიოდ გამოკვეთილ სურათს გვიხატავს. ეს ვითარება თანაბრად ეხება ქალაქმენებლობის ძირითად პრინციპებს და ხუროთმოძღვრებასაც, რომელიც თავისი იდეურ-შინაარსობრივი მხარით, თემატიკით, ამოცანებით და ძირითადი ფორმების ტრადიციულობის შენარჩუნებით შუასაუკუნთა საზოგადოების ინტერესების ამსახველია, თუმცა ახალი ეპოქა ამ მხრივ გარკვეულ კორექტივებსაც გვთავაზობს. მაგ.: ყალიბდება ეპოქის თავისებურებებით ნაკარნახევი სტილისტური ნიშნები და საზოგადოების სხვადასხვა ფენის არსებობასთან დაკავშირებული თავდაცვითი (ახალგაჩენილი ზოგიერთი სახეობა), საცხოვრებელი, საზოგადოებრივი, სამეურნეო თუ პრაქტიკული დანიშნულების ნაგებობები.

XV საუკუნე ამ მხრივაც გარკვეული მიჯნაა ქართველი ერის ცხოვრებაში და შესაბამისად ქართული ქალაქმშენებლობისა და ხუროთმოძღვრების ისტორიაში. ჯერ თემურ-ლენგის, ხოლო შემდეგ თურქმანთა შემოსევებმა და მძიმე საერთაშორისო ვითარებამ ამ მხრივაც გადამწყვეტი როლი ითამაშა.

XV საუკუნის დასასრულს წარმოშობილი ქართული სამეფოები აღმშენებლობა-განვითარების თვალსაზრისით განსხვავებულ პირობებში აღმოჩნდნენ. ამასთან სახეზეა პოლიტიკური ვითარების, სამეურნეო, ეკონომიკური, სამშენებლო და შემოქმედებითი საქმიანობის მკვეთრი დაცემისა და შედარებითი აღმავლობის პერიოდები. განსაკუთრებული ვითარება შეიქმნა დასავლეთ საქართველოში, სადაც მთელი ქვეყნის მასშტაბით არსებულ სიძნელეებს (ცენტრალური ხელისუფლების მოშლა, სათავადოების წარმოშობა, საზოგადოების სოციალური ფენების მკვეთრი დიფერენციაცია, მწარმოებელი ფენის აქამდე არნახული ექსპლოატაცია და მისი მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება) კიდევ უფრო ართულებდა ბუნებრივი პირობები და სამი მხრიდან (სამხრეთით და დასავლეთით შავ ზღვაზე თურქეთი, ჩრდილოეთით კავკასიონის ქედი) ქვეყნის ფაქტიურად საგარეო იზოლაცია. მიუხედავად ამისა ქვეყანაში კულტურულ-აღმშენებლობითი საქმიანობა მთლიანად არ ჩამქრალა. იყო

აღმავლობის ცალკეული პერიოდები, რომელთა შორის ქუთაისის სინამდვილეში წყაროების მონაცემებით საგანგებოდ უნდა გამოიყოს იმერეთის მეფის ბაგრატ III მეფობის (1510-1565წწ.) ხანა. მეტნაკლები აქტივიზაცია ამ მიმართულებით მანამდეც (XV ს-ის 60-70 იანი წლები) და შემდგომაც დასტურდება ცალკეული წერილობითი წყაროებით და არქეოლოგიურ მასალაშიც ხერხდება ზოგიერთი სამშენებლო ეტაპის გამოყოფა, რაზეც ქვემოთ საგანგებოთ იქნება მსჯელობა.

საკვლევი ეპოქის მძიმე ისტორიული და სოციალური ვითარება მთელი ქვეყნის მასშტაბით და ბუნებრივია ქუთაისის მაგალითზეც, თავისებურად აისახა ხუროთმოძღვრებაშიც. ამ მხრივ რამდენიმე მომენტია ხაზგასასმელი:

ა) საქალაქო ცხოვრების და სამშენებლო საქმიანობის აქტივიზაციას ბუნებრივია სტიმულს აძლევდა პოლიტიკური, თავდაცვითი. ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული პროცესების თანხვედრა.

ბ) დიდი ადგილი ეჭირა გახშირებული საგარეო თუ საშინაო კონფლიქტების დროს დანგრეული სხვადასხვა სახის (თავდაცვითი, საერო, საკულტო, საკომუნიკაციო და სხვ.) ნაგებობათა აღდგენა განახლებას. წყაროებითი წყაროებისა და არქეოლოგიური მონაცემების ურთიერთშეჯერებით ქუთაისის მაგალითზე ჩვენ საშუალება გვაქვს ამ მხრივ რამდენიმე ნგრევა-მშენებლობის თუ განახლების ეტაპი გამოვყოთ.

გ) წინა ეპოქებთან შედარებით (X-XIVსს.) განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასიცოცხლო ინტერესებით ნაკარნახევ საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობას. სხვა მიზეზებთან ერთად (მაგ: ახლად წარმოქმნილი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულების მმართველთა რეზიდენციისა და სხვა ინფარსტრუქტურის საჭიროება) ამის უმთავრესი წინაპირობა მაინც მუდმივი საგარეო თუ საშინაო მუქარა იყო.

დ) ცენტრალური ხელისუფლებისაგან განხორციელებული მშნებელობის პარალელურად გარკვეული ხვედრითი წონა ჰქონდა «პროვინციელ მეფეთა”, დიდმოხელეთა თუ საეკლესიო იერარქთა სამშენებლო საქმიანობასაც. ყოველივე ეს ზოგჯერ ქალაქის მივიწყებული ძველი უბნების გაცოცხლების ან ახლის წარმოქმნის მიზეზი ხდებოდა. ქუთაისში ეს კარგად ჩანს «მწვანეყვავილასა» და «ოქროს ჩარდახის» მაგალითზე.

ე) გასათვალისიწნებელია ისიც, რომ საქართველოს არაერთ პუნქტში ხანგრძლივი დროით დაბანაკებული ოკუპანტთა გარნიზონებიც აწარმოებდნენ ძველის აღდგენა-განახლებასა და ზოგჯერ ახლის მშენებლობასაც, რაც ქუთაისის მაგალითზეც კარგად დასტურდება.

ვ) საფორტიფიკაციო ნაგებობათა ფორმებსა და კონსტრუქციებში გარკვეული კორექტივები შეიტანა ცეცხლსასროლი იარაღის გამოჩენამც.

ზ) დიდ ადგილს იჭერს სხვადასხვა იერარქთა სასახლეების, საკულტო ძეგლების, საკომუნიკაციო საშუალებების და გარნიზონისათვის საჭირო ნაგებობების მშენებლობა. უკლებლივ ყველა მათგანი გარკვეულწილად საფორტიფიკაციო სისტემასთანაა «მიბმული».

საკვლევი ეპოქის ამ თავისებურებებისა თუ სიახლეების მიუხედავად აკად. ვ. ბერიძის დასკვნით ქალაქმშენებლობის ძირითად პრინციპებსა და არქიტექტურას ზოგადი იდეურ-ესთეტიკური თვალსაზრისით, წინა ეპოქასთან შედარებით არსებითი ცვლილება არ განუცდია და დასავლური რენესანსის რადიაციის მიღმა დარჩენილი ქართული კულტურა და კონკრეტულად არქიტექტურა კვლავინდებურად (XIX საუკუნემდე მაინც) ფეოდალურ არტახებში დარჩა. «არქიტექტურის თემატიკა, წინანდელთან შედარებით არ შეცვლილა. პრინციპული ცვლილებები არ განუცდია არც ხუროთმოძღვრულ ფორმას. აღორძინების დასავლური არქიტექტურის კლასიკურ ფორმებს, რომლებიც სპორადულად მაინც ჩნდება აღმოსავლეთ ევროპის მართლმადიდებელ ქვეყნებში, საქართველოში არ შემოუღწევია. საკუთარი ნიადაგის უქონლობის გარდა, ამას ხელს უშლიდა საქართველოს ფაქტობრივი მოწყვეტაც დასავლეთ ევროპისაგან” (ვ. ბერიძე 1983, გვ. 15).

ვიდრე უშუალოდ ქუთაისის გარეგნული იერსახის დახასიათებას შევუდგებოდეთ, მოკლედ განვიხილოთ თუ როგორია საკვლევი ეპოქის ქართულ ქალაქთა გეგმარების ხასიათი, აღნაგობა, მათი ცალკეული ნაწილების ფუნქციები და ა.შ.

ქართველ კვლევართა (ვ. ბერიძე და სხვა) დასკვნით შუასაუკუნეთა ქართული ქალაქი კონკრეტული გენერალური პროექტებისა და დაგეგმარების იდეის გარეშე, უფრო სტიქიურად იზრდებოდა და გეგმიანობისა და რეგულარობის საწყისებმა დასავლეთ ევროპასა და თუნდაც რუსეთთან შედარებით არსებული რეალობის გამო

ჩვენში ფეხი ვერ მოიკიდა, «.... მაგრამ როგორც სხვაგან, ისე ჩვენშიც არსებობდა გარკვეული ფაქტორები, რომლებიც კვალს ამჩნევდა ქალაქთა საერთო სახეს, წარმართავდა მათ ზრდა-განვითარებას: ეს იყო ბუნებრივი პირობები _ რელიეფი, მდინარე, გზების მიმართულება, სოციალურ-ისტორიული და ეკონომიკური ხასიათის ფაქტორები» (იქვე ... გვ. 37)

შუსაუკუნეთა მთელ მანძილზე ქუთაისის განაშენიანებაზე რელიეფის გავლენა აშკარაა. საკვლევი ეპოქისათვის კი, როცა ქალაქმა რიონის მარცხენა ნაპირზეც დაიწყო განვითარება, რელიეფთან ერთად თვალსაჩინოა მდინარის ზემოქმედებაც. იგი ქალაქის «ღერძი» ხდება. სხვა ქალაქების მსგავსად (მაგ: თბილისი) ქუთაისშიც რიონის ნაპირას განთავსებული ძველი და ახალწარმოქმნილი განაშენიანების შეძლებისდაგვარად ყველა მნიშვნელოვანი «მახვილი» და ფაქტიურად მთელი ქალაქი რიონისაკენ იყო «მიმართული». მის «ნაპირზევე დაიწყო ზრდა ახალმა გარეუბანმაც». შუასაუკუნეთა ქალაქების «განაშენიანების ძალიან მაღალ პროცენტს» თავდაცვითი ნაგებობების და სისტემების «სალტე» განსაზღვრავდა. იგივე ფაქტორი გადამწყვეტი იყო ქალაქის სხვა ძირითადი ნაგებობების, ქუჩებისა და მოედნების ურთიერთკავშირისა და მოცულობის მხრივაც.

გვიანი შუასაუკუნეების სხვა ქართული ქალაქების მსგავსად ქუთაისსაც «ძირითადი სტრუქტურა ძველებური დარჩა». ქალაქის უმთავრეს ნაწილებს საფორტიფიკაციო ნაგებობები წარმოადგენდნენ, რომელთა შორის ციტადელს, როგორც ყველგან ასევე ქუთაისშიც, ქალაქმშენებლობის მთავარი ბირთვისა და ორიენტირის ფუნქცია აკისრია, სადაც მოთავსებულია უზენაესი ხელისუფლებისა და გარნიზონისათვის საჭირო ყველა ატრიბუტი: სასახლე, ხაზინა, ეკლესია, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები და ა.შ. ციტადელის კომპლექსს მაშინაც კი არ დაუკარგავს მნიშვნელობა, როდესაც მეფის სასახლე ვაკეში, მდინარის მარცხენა ნაპირზე («ოქროს ჩარდახი») გადავიდა.

ქუთაისის სინამდვილეში, ჯერ კიდევ IV-VI საუკუნეებში ჩამოყალიბებული და ამჯერად განახლებული სამნაწილიანი (ციტადელი, მისგან დასავლეთით მოზღუდული «შიდა ქალაქი» და რიონის მარჯვენა სანაპიროს კლდოვან ფერდობზე დაშვებული «ქვედა ქალაქი») ციხე-ქალაქი საკუთარ გალავანში მოქცეულ «ოქროს ჩარდახის»

კომპლექსთან ერთად გარკვეულწილად «უპირისპირდება» ქალაქის შემოუზღუდავ უბნებსა თუ ფორშტატებს.

შუასაუკუნეთა ქართული ქალაქების გალავნით შემოუზღუდავი ნაწილი ძირითადად რიგითი მოსახლეობის საცხოვრებელ უბნებს, სავაჭრო, სახელოსნო და სხვა დანიშნულების ნაგებობებს ეჭირათ. ასე იყო ქუთაისშიც. საკვლევი ეპოქის ქალაქები «აღნაგობითა და შედგენილობით, გარკვევით ატარებს სოციალურ წყობილების კვალს» (იქვე ... გვ. 38). ამ მხრივ აკად. ვ. ბერიძის დასკვნით ქართული ქალაქები მკვეთრად განსხვავდებიან დასავლეთ ევროპული ქალაქებისაგან, სადაც არსებული რეალობიდან გამომდინარე (საქალაქო თვითმმართველობა და მისთვის აუცილებელი არქიტექტურული ნაგებობის შექმნა) წარმოიშვა საქალაქო, საბაზრო, სატაძრო მოედნები და ამისდა მიხედვით ორი ან მეტი საქალაქო ცენტრი. საქართველოს სინამდვილეში ქალაქის ყველა დანარჩენ უბანს გარკვეულწილად უპირისპირდება ერთი ან რამდენიმე დომინანტი (მაგალითად ციტადელი ან უმაღლესი სიუზერენის რეზიდენცია და სხვა), რომლებიც თითქმის გამონაკლისის გარდა როგორც ფუნქციური, ასევე «შინაარსობრივი» და ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით მკვეთრად ემიჯნება და უპირისპირდება ქალაქის როგორც გამაგრებულ, ასევე შემოუზღუდავ უბნებსაც.

გვიანი შუასაუკუნების ქართულ ქალაქებში წერილობითი წყაროებით, გრაფიკული ილუსტრაციებითა და არქეოლოგიური მონაცემებით დასტურდება შედარებით რეგულარული პრინციპებით მოწყობილი სავაჭრო-სამეურნეო ცენტრები, ზოგჯერ ქალაქის კარებთან ან მთავარ საგზაო არტერიასთან დაკავშირებული ქუჩები, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები (მაგ: ასპარეზი თბილისში და ქუთაისში, უმეტეს შემთხვევაში «გალავანს გარეთ გატანილი» სამეფო ბაღი და სხვ), სანიტარულ-ჰიგიენური ნაგებობები, ქარვასლები, ჩანასახის მდგომარეობაში მყოფი საკანალიზაციო ატრიბუტიკა (უფრო XVIII ს-დან) და სხვა.

საკვლევი ეპოქის ქართულ ქალაქებში (მათ შორის ქუთაისშიც) წერილობითი წყაროებით და არქეოლოგიური მონაცემებით ხშირად დასტურდება «მოსახლეობის განთავსება სოციალური ნიშნისა და ეროვნების მიხედვითაც».

დასავლეთ ევროპისაგან განსხვავებით ქართულ ქალაქებს (რომელთა გარეგნული სახის ჩამოყალიბება რთული და დანაწევრებული რელიეფითაა განპირობებეული),

რაკიღა აქ არ არსებობდა საქალაქო თვითმმართველობის შენობები, არც «შეწყვილებული», მკვეთრად ვერტიკალური «ხუროთმოძღვრული მახვილები» ახასიათებს და არც მრავალსართულიანი განაშენიანება. წერილობითი წყაროების, გრაფიკული მასალისა და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით თვით მეფეთა სასახლეებიც კი უმეტს შემთხვევაში ორ სართულს არ სცილდება. ამ თვალსაზრისითაც ქართული ქალაქები ასევე განსხვავდება მისი მოსაზღვრე, ისლამური აღმოსავლეთის სახელმწიფოების ქალაქებისაგან, სადაც მკვეთრ «ვერტიკალურ მახვილებს» ზეცაში ატყორცნილი წვრილი მინარეთები და მიზგითები ქმნიდნენ. (ვ. ბერიძე).

ქართული ქალაქების სინამდვილეში ზემოთაღნიშნული «ვერტიკალური მახვილების» ფუნქციას რელიეფი და უმეტეს შემთხვევაში მასთან შეხამებული გუმბათიანი ტაძრები ასრულებდნენ.

I. 1. XV-XVIII საუკუნეების ქუთაისის ტოპოგრაფია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, რიგი სხვა ქართული ქალაქების მსგავსად ქუთაისის გარეგნულ იერსახეს, ისევე როგორც წინა ეპოქაში ახლაც რელიეფი განსაზღვრავდა იმ კორექტივით, რომ როგორც ქვემოთ შევეცდებით დავამტკიცოთ, უკვე XV საუკუნის შუახანებიდან მაინც ქალაქი მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროზე იწყებს ზრდა-განვითარებას. მართალია მდინარის მარცხენა სანაპიროზე, დღევანდელი ხარების (ყოფილი კათოლიკური) ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე დღემდე შეიმჩნევა იმ სასიმაგრო სისტემის ნაშთები, რომლებიც V-VI ს-ში «ქვედა ქალაქის» (რიონის მარჯვენა სანაპიროს კლდოვანი ფერდობი) გალავნის კედლების გაგრძელებას წარმოადგენენ მარცხენა სანაპიროზე (ო. ლანჩავა 1996, გვ. 126 და შემდეგ), სადაც ისინი დიუბუას გეგმის მიხედვით (ტაბ. I. 21, 22, 23) სამკუთხა მოხაზულობის ტერიტორიას საზღვრავენ, მაგრამ ეს სულ სხვა რიგის მოვლენაა. მათი უპირველესი დანიშნულება სადღეისოდ ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით მხოლოდ სახმელეთო და სამდინარო კომუნიკაციების კონტროლი იყო. შემდგომში ეს სისტემა ამ მონაკვეთის განაშენიანების მასტიმულირებელი ფაქტორი არ გამხდარა. ყოველ შემთხვევაში ამ მჭიდროდ განაშენიანებული თანამედროვე უბნიდან V-VII ს-ის შემდგომი ხანების არქეოლოგიური მასალა ფაქტიურად არ მოგვეპოვება. საკვლევი ეპოქის ქუთაისი კი

უკვე ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება, რომელთა ბუნებრივ გამყოფს და ამასთანავე დამაკავშირებელს მდინარე წარმოადგენდა. ეს ფაქტობრივი მდგომარეობა უკვე ქალაქის ნაწილების სახელწოდებებშიც აისახა. მაგ: XVII ს-ის რუსი ელჩები ტოლოჩანოვი და იევლევი ერთმანეთისაგან მკვეთრად ანსხვავებენ «ზედა» ანუ «დიდ» და «ქვედა» («ქვემო») ანუ «პატარა» ქუთაისს. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ორი უკანასკნელი სახელწოდების ქვეშ ისინი მაინც უფრო «ოქროს ჩარდახის» კომპლექსს გულისხმობენ და არა მარცხენა სანაპიროს მთელ განაშენიანებას. «მწვანეყვავილასა" და «ოქროს ჩარდახის» კომპლექსს შორის მოქცეულ მონაკვეთს ელჩები უწოდებენ «პასადს» და «სლაბოდას». როგორც ჩანს ეს იყო მაშინდელი ქუთაისის ყველაზე ხალხმრავალი უბანი, სადაც ცხოვრობდა მოსახლეობის ზედა ფენა, ვაჭრები, ხელოსნები, მოხეელები და სხვა. გიულდენშტედტი 1772 წლისათვის ამ უბანში რიონის გაყოლებით 6 ეკლესიას აღნიშნავს.

რიონის მარჯვენა სანაპიროს კლდოვანი ბორცვის დანაწევრებულ რელიეფზე გაშლილი «ზედა» ანუ «დიდი ქუთაისი" სადღეისოდ არსებული არქეოლოგიური მონაცემებით სამნაწილანი იყო:[2] (ტაბ. IV)

1. **ა. ციტადელი.** «ზედა» ანუ «დიდი ქუთაისის» სამი მხრიდან (ჩრდილოეთიდან, აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან) ციცაბო კლდოვანი ფერდობებით ბუნებრივად დაცულ უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში იდგა დაახლოებით 0.5 ჰექტარი ფართობის არასწორი ექვსკუთხედის მოხაზულობის ჯერ კიდევ ახ. წ. IV საუკუნეში აგებული და შემდგომში არაერთგზის გადაკეთებული (ო. ლანჩავა 1996, გვ 79-91, 126-137; 188-193; 195-202, ა. გაბრიაძე 1999) ციტადელის («შიდა ციხე») კომპლექსი, რომელიც ყველა მახასიათებლით მკვეთრად გამოიყოფა ქალაქის სხვა ნაწილებისა თუ უბნებისაგან.

სამი მხრიდან ბუნებრივი, კლდოვანი რელიეფით დაცული ციტადელი მხოლოდ დასავლეთის მხრიდანაა ადვილმისადგომი და შესაბამისად საგანგებოდ გამაგრებული.

საკვლევი ეპოქის ციტადელი ფუნქციურად და გარეგნულადაც საკმაოდ მკვეთრად განსხვავდება წინა (X-XIV სს.) ეპოქის კომპლექსისაგან. X-XIV სს-ში იგი არ წარმოადგენს ქალაქის განსაკუთრებულად გამაგრებულ ნაწილს. გათხრებით არც იმდროინდელი სასიმაგრო მშენებლობის მკვეთრი კვალი ჩანს და კიდევ მეტიც: უკვე

ბაგრატ III დროიდან მაინც გათხრებით გამოვლენილი სამეფო სასახლის კომპლექსი მთლიანად ფარავს ადრეშუასაუკუნეების ციტადელის დასავლეთი ნაწილის უკვე გაუქმებულ კედლებსა და კოშკებს. (ა. გაბრიაძე, 1999, გვ 42-51).

იმერეთის სამეფოს დროინდელი ციტადელი უკვე მძლავრი თავდაცვითი კედლებითა და კოშკებითაა გამაგრებული და გარკვეულწილად დამოუკიდებელ სიმაგრეს წარმოადგენს, რაც უკვე მის სახელწოდებაშიც აისახა.

XV საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული ქართულ და უცხოურ წყაროებში არაერთგზის მოხსენიებული «ქუთაისის ციხე» მხოლოდ ციტადელს აღნიშნავს და არა მთელ «ზედა ქალაქს». XVII საუკუნის რუსი ელჩები მას მკვეთრად მიჯნავენ ქალაქის დანარჩენი ნაწილებისაგან და უწოდებენ «Кремль Город» -ს. ცალკე ლიტერითაა იგი გამოყოფილი დიუბუას გეგმაზეც (ტაბ. I. A), ხოლო ტიმოთე გაბაშვილს 1737 წლის რუკაზე ხაზგასმულად ნაჩვენები აქვს, როგორც საგანგებო თავდაცვითი სისტემის მქონე (ტაბ. V). ფაქტიურად ამავე სიტუაციას ასახავს კასტელის ალბომის 38-ე, 92-ე და 328-ე ნახატებიც (ტაბ. VIII, IX, X).

წერილობითი წყაროების, გრაფიკული ილუსტრაციებისა და არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილი ძეგლების მიხედვით ციტადელი წარმოადგენს ქალაქის ყველაზე უფრო დაცულ ნაწილს, სადაც მოთავსებულია სამეფო სასახლე, სალარო, კარის ეკლესია, აბანო, ღია და დახურული მარნები, ბეღლები და სხვა. ქალაქის დანარჩენ ნაწილებთან დაკავშირება ხდებოდა ჩრდილოეთის კედელში გაჭრილი კარიბჭით,[3] ხოლო აღმოსავლეთ კედელში არსებული «ცოტა კარი» და მასთან დაკავშირებული გვირაბი, თიხის მილების მაგისტრალთან და ჭებთან ერთად წყალმომარაგების ალტერნატიულ ვარიანტსა და ამავდროულად საიდუმლო გასასვლელს წარმოადგენდა.

1. ბ. «შიდა ქალაქი», «ქუთაისის ციხეს» (ციტადელი) დასავლეთის მხრიდან თითქმის იმავე დონეზე უშუალოდ ებმის «შიდა ქალაქის», საკმაოდ ვრცელი ტერიტორია, რომელიც დიუბუას გეგმაზე B ლიტერითაა აღნიშნული. ქალაქის გალავანშემორტყმული ეს უბანიც გარეგნული სახით ჯერ კიდევ ახ. წ IV-VI საუკუნეებში გაფორმდა (ო. ლანჩავა 1996, გვ. 79-91, 126-143) და როგორც გათხრებით ჩანს, საკვლევ ეპოქაში აქ გამაგრების თვალსაზრისით რაიმე ახალი მასშტაბური

მშენებლობა არ განხორციელებულა. როგორც ჩანს ამ უბნის გამაგრებისათვის კვლავ იყენებენ ადრეშუასაუკუნეების გალავნის კედლებს და კოშკებს, შესაძლოა ზოგ ადგილებში ხის კონსტრუქციებით განახლებულს და თხრილშემოვლებულს. ყოველ შემთხვევაში ნაქალაქარის ამ ნაწილში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გვიანი შუასაუკუნეების საფორტიფიკაციო მშენებლობის კვალი არ ჩანს. ძალზე თხელია და რიგ შემთხვევაში სულაც არაა კულტურული ფენებიც. ეს განსაკუთრებით ითქმის ბაგრატის ტაძრის ჩრდილო-დასავლეთით გაშლილ IV-VI საუკუნეებში აგებულ გალავანში მოქცეულ ტერიტორიაზე, სადაც მხოლოდ რამდენიმე ადგილზე დადასტურდა გვიანი ხანის მასალა (მაგ: დაკირული, ქედებიანი ქვევრები, ჩიბუხები და სხვა).

«შიდა ქალაქში» გარკვეულად იზოლირებულ მონაკვეთს წარმოადგენს ბაგრატის ტაძრის გალავანში მოქცეული ტერიტორია, სადაც დასტურდება საკვლევი პერიოდის კულტურული ფენები, სამარხები, საცხოვრებელი თუ სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებათა ნაშთები, მარნები და სხვა. Eეს გარემოება სავსებით კანონზომიერია, რადგან XVII საუკუნის მიწურულამდე მოქმედი ბაგრატის ტაძარი მსხვილ «ფეოდალურ სენიორიას” და ამ უბნის განაშენიანებისა და სისხლსავსე ცხოვრების მასტიმულირებელ ფაქტორს წარმოადგენდა.

«შიდა ქალაქის” ეს მონაკვეთი, ე.წ. «ტაძრის უბანი” (ა.გაბრიაძე 1999, გვ. 59-60) გარეგნული სახით გაფორმდა მას შემდეგ, რაც ტაძარს გალავანი შემოავლეს (იქვე გვ. 59). საკვლევ ეპოქაში კი გალავნისB შიგნით, დასავლეთის მონაკვეთში ახალი საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები აშენდა, რომლებიც რუსი ელჩების მიხედვით სასულიერო პირთა პალატებია და რომელთა ნაშთები დღემდეა შემორჩენილი.

გვიანი შუასაუკუნეების კულტურული ფენები და ცალკეულ ნაგებობათა ფრაგმენტები წყაროებითა და არქეოლოგიური მასალებით დასტურდება «შიდა ქალაქის ” ე.წ. «სამხრეთის კვარტალშიც (იქვე, გვ. 60 და შემდეგ).

«შიდა ქალაქი” ციტადელს ჩრდილოეთის კედელში გაჭრილი ერთადერთი კარით უკავშირდებოდა. საკუთვრივ «შიდა ქალაქის” გალავნის კედლებში არაერთ ადგილზე იყო კარი. თითქმის ყველა მათგანი V-VI საუკუნეებშია ფორმირებული და სავარაუდოდ ყველა თუ არა, ზოგი მათგანი ახლაც მოქმედებდა. დიუბუას გეგმაზე (ტაბ. I. B. 7; 9.)

ორი ასეთი კარია დატანილი, ორივე გაუთხრელია და ფუქციონირებდა თუ არა საკვლევ ეპოქაში არ ვიცით.

1. გ. «ქვედა ქალაქი». «ქუთაისის ციხე» (ციტადელი) და «შიდა ქალაქი», რომლებიც ქალაქ ქუთაისის თავზე «ერთგვარ აკროპოლისს» (ვ.ბერიძე) ქმნიდნენ, გათხრებით გამოვლენილი, V-VI საუკუნეებში აგებული გალავნის კედლით (ტაბ. I. B. 4.) იყო გამოყოფილი მდინარე რიონის მარჯვენა სანაპიროს ციცაბო კლდოვან ფერდობზე გაშენებული «ქვედა ქალაქისაგან", რომელსაც დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან V-VIII საუკუნეებში აგებული გალავნის კედლები საზღვრავდნენ, სამხრეთიდან კი მდინარის კალაპოტი ებჯინებოდა. (ტაბ. I. C.). ქალაქის ამ ნაწილის განაშენიანების თავისებურებას მკვეთრად დაქანებული რთული, კლდოვანი რელიეფი განაპირობებდა. გარეგნული სახით ისიც V-VIII საუკუნეებში გაფორმდა.

დიუბუა ქალაქის ამ უბანს «დაბლა ციხეს», ანუ «ქვედა გამაგრებულ ქალაქს» უწოდებს. მის მიერ შედგენილ გეგმაზე და ექსპლიკაციაზე კარგად იკვეთება ორი კარი (ტაბ. I. C. 16), ქუჩა (იქვე... 17), რომლის ნაშთიც დღემდე მოქმედებს, დიდი (იქვე ... 19) და პატარა (იქვე ... 18) ეკლესია, გალავნის კედლები, ხიდების ბურჯები, ოსმალური აბანო ზედ რიონის პირას და სხვა ნაგებობები.

დიუბუას გეგმაზე დატანილი ძეგლებიდან დღეისათვის მხოლოდ ქალაქის ამ ნაწილის შემომსაზღვრელი, «შიდა ქალაქიდან" კლდოვან ფერდობებზე დაშვებული, თანამედროვე განაშენიანებაში ჩართული გალავნის კედლებიღა ჩანს. დანარჩენი ნაგებობები ან აღარ არსებობს, ან თანამედროვე განაშენიანებითაა დაფარული და ამდენად მათი რომელიმე კონკრეტული ეპოქისადმი მიკუთვნება დღეისათვის შეუძლებელია. Eეს უბანი არქეოლოგიურად სრულიად შეუსწავლელია.

«ქვედა ქალაქის" სამხრეთის ნაწილის (მდინარის მარჯვენა სანაპიროს გაყოლებით) დიუბუას დრომდე შემორჩენილი თავდაცვითი, საკომუნიკაციო თუ სხვა დანიშნულების ინფრასტრუქტურის ნაშთების დიდი ნაწილი XIX საუკუნის 60 –იან წლებში რაჭა-ლეჩხუმისაკენ მიმართული ახალი გზის მშენებლობას შეეწირა, როცა დღევანდელი დავით და კონსტანტინეს ქუჩის კლდოვანი ფერდობი, რომელზეც ადრე ციხისკენ მიმავალი საცალფეხო გზა გადიოდა, «ლაღუმებით ჩათალეს» (ნ. ნიკოლაძე 1962 გვ. 3-5, 22). არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლების ერთ ნაწილს ამ

მონაკვეთში თანამედროვე საავტომობილო გზის გასწვრივ არსებული ავტოვაგზალი, ბენზინგასამართი სადგური და თანამედროვე საცხოვრებელი სახლები ფარავს, ხოლო მეორეს (მაგ: ოსმალურ აბანოს დ ხიდის ბურჯებს) მდინარის მარჯვენა სანაპიროს გაყოლებით აღმართული რკინა-ბეტონის ჯებირი.

1. დ. «პატარა ქუთაისი”. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროზე განაშენიანების პირველი, მკვეთრი ნიშნები V-VI საუკუნეებიდან ჩნდება, როდესაც დღევანდელი ვარლამიშვილის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე (ტაბ. I. D) შემოზღუდულია სამკუთხა მოხაზულობის მონაკვეთი ზედ რიონის პირზე. მომდევნო, განვითარებული შუასაუკუნეების, ეპოქაში ქუთაისის ამ ნაწილის განაშენიანების შესახებ არც ისტორიული წყაროები მოგვეპოვება და არც არქეოლოგიური მასალა. სურათს არსებითად ვერ ცვლის ის გარემოება, რომ დღევანდელი ჯაჭვის ხიდის ზემოთ ერთმანეთის მიყოლებით არსებული სამ ხიდის ბურჯიდან ერთი მაინც სავარაუდოდ ამ ეპოქაშია აგებული. ვერც «მწვანეყვავილას” კლდოვან ბორცვზე დღემდე შემორჩენილი ერთნავიანი დარბაზული ეკლესია გამოდგება მარჯვენა სანაპიროს განაშენიანების მასშტაბების წარმოსადგენად.[4]

სადღეისოდ ჩვენს ხელთ არსებული წერილობითი წყაროებითა და არქეოლოგიური მონაცემებით რიონის მარცხენა სანაპიროს განაშენიანების ახალი, უკვე შეუქცევადი ეტაპი იწყება XV ს-ის შუახანებიდან, როდესაც შენდება «ოქროს ჩარდახის” კომპლექსი. აქედან მოყოლებული სამი საუკუნის განმავლობაში, ცალკეული ხარვეზებით, მაგრამ მაინც სრულიად აშკარაა ქალაქის ზრდის ტენდეცია მდინარის მარცხენა სანაპიროს ვაკეზე, რომელსაც ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან მდინარე საზღვრავდა, ხოლო აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან სხვადასხვა სიმაღლის გორაკების «ვაკეზე გარდამავალი ფერდობები”. აკად. ვ.ბერიძის დასკვნით ეს ტენდეცია «... უნდა მივიჩნიოთ ამ გვიან საუკუნეებში ქუთაისის განვითარების დამახასიათებელ Nნიშნად” (ვ.ბერიძე 1983, გვ. 68).

უკვე XVII საუკუნის შუახანებისათვის ქალაქის ამ ნაწილის განაშენიანების სურათი ასე თუ ისე ნათელია: «ოქროს ჩარდახის” გალავანშემორტყმული, დანარჩენი უბნებისაგან იზოლირებული კომპლექსი (მეფის რეზიდენცია) და თანდათანობით მის გარშემო გაჩენილი მჭიდროდ განაშენიანებული მდინარის სანაპირო ზოლი

«მწვანეყვავილას” ჩათვლით. ამ მონაკვეთში წყაროების მიხედვით (კასტელი, ტოლოჩანოვი და იევლევი, შარდენი, ტ. გაბაშვილი, გიულდენშტედტი, დიუბუა და სხვა.) ფიქსირდება ეკლესიები, საზოგადოებრივი, საცხოვრებელი, საკომუნიკაციო, სავაჭრო ნაგებობები, ასპარეზი, სამეფო ბაღი და სხვა.

ჟან შარდენის მიხედვით ვაკეზე გაშენებულ ქალაქში ორასამდე სახლი, დიდებულთა საცხოვრებლები და მეფის სასახლეა, ქალაქი გალავანი არა აქვს და ყოველი მხრიდან ღიაა (ჟან შარდენი 1975, გვ. 282).

I. 2. XV_XVIII საუკუნეების ქუთაისის სტრატიგრაფია და პერიოდიზაცია.

ა) ისტორიული გზა იმერეთის სამეფოს დედაქალაქობამდე

იმერეთის სამეფოს დედაქალაქობამდე ქუთაისმა განვითარების რთული, თავისებური და წინააღმდეგობებით აღსავსე გზა განვლო. ამ გზაზე იყო წინაქალაქობის, ქალაქის ჩასახვის, აღმავლობის, წინსვლის, დეგრადაციის და ე.წ. «ბნელი პერიოდები”. ამ უკანასკნელის მიუხედავად შეიძლება ითქვას, რომ ქუთაისი იმ ქართულ ქალაქთა რიცხვში დგას, რომლებიც გაბმულად ასახავენ საქართველოს თავგადასავალს.

ქუთაისის გეგმაზომიერი არქეოლოგიური შესწავლის დაწყებამდე ჩვენი ცოდნა ქალაქის ისტორიის სხვადასხვა პერიოდის შესახებ მხოლოდდამხოლოდ მწირი ისტორიული წყაროების ანალიზზე იყო დაფუძნებული, რის გამოც ბუნებრივია, რომ ქუთაისის ისტორიის შესახებ არსებული გამოკვლევები მთელი რიგი სერიოზული ხარვეზებისგან ვერ იქნებოდა დაცული.

გათხრების შედეგებზე დაყრდნობით დღეს უკვე სასურველი სრულყოფითაა შესაძლებელი ქალაქის ისტორიის რეკონსტრუქცია ვიწრო ქრონოლოგიურ ჩარჩოებში. კვლევის დღევანდელ ეტაპზე იგი ასე წარმოგვიდგება:

1. ქუთაისი და მისი მიდამოები ადამიანის მიერ ჯერ კიდევ მუსტიეს ეპოქიდან ჩანს ათვისებული. გამოვლენილია ზედაპალეოლითის, ნეოლით-ენეოლითის, ადრე და გვიანი ბრინჯაოს ცალკეული ძეგლები და ნივთები (ლ. ჯიქია 1993, გვ. 24-42, იქვე ლიტერატურა).

2. ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებიდან ქუთაისის მიდამოებში, ისევე როგორც კოლხეთის დაბლობზე, იწყება ნამდვილი «დემოგრაფიული აფეთქება”

(ო.ლორთქიფანიძე), რაც რკინის ფართო ათვისებით იყო გამოწვეული. იმდროინდელი მძლავრი კულტურული ფენების შემცველი დასახლება აღმოჩენილია «გაბაშვილისა” და «არქიელის” გორებზე. მკვლევართა აზრით ამ პერიოდის ქუთაისი უკვე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც სავაჭრო-სახელოსნო ცენტრი. დაახლოებით ამ ხანებიდან ჩნდება პირველი წერილობითი ცნობებიც (ო. ორთქიფანიძე 1994, გვ. 27-57).

3. ძვ.წ. VI_IV სს-ის დასახლების ნაშთები მიკვლეულია გაბაშვილის გორის თხემზე (ო. ლორთქიფანიძე, გ.კვირკველია) და იმავე ფერდობის ძირში 2005 წელს. (ო.ლანჩავა, რ.ისაკაძე ... 2006.)

4. ძვ.წ. III-II საუკუნეები ქუთაისში წარმოდგენილია ქვევრსამარხებითა და კრამიტით გადახურული ორმოსამარხით.

5. წელთაღრიცხვათა მიჯნისა და ახ.წ. I_III სს-ის არქეოლოგიური მასალა ქალაქის მიდამოებიდან პრაქტიკულად უცნობია.

6. ახ.წ. IV საუკუნეში «არქიელის” გორაზე (ბაგრატის ტაძრის მიდამოები) ორ ეტაპად შენდება ორნაწილიანი ციხე, სამეფო სასახლე, დიდი ზომის ბაზილიკა და ყაზარმა? (ო. ლანჩავა 1996 გვ. 79-98. ო.ლანჩავა, რ.ისაკაძე 2004 გვ. 136-140).

7. V ს. გრძელდება ქალაქის აღმავლობა. შენდება «დიდი ქუთაისის” გალავნის კედლები. ქალაქი სამნაწილიანი ხდება და ჩნდება სხვადასხვა დანიშნულების (მაგ. აბანოს კომპლექსი) ნაგებობები (ო. ლანჩავა 1996, გვ 126-168).

8. VI საუკუნე. ქუთაისში კვლავ აღმავლობის ხანაა. დიდკვადროვანი წყობით ხდება სასიმაგრო სისტემის განახლება და ქალაქი ბიზანტია-ირანის ომების ეპიცენტრში იმყოფება (იქვე ... გვ. 126-168).

9. VII-VIII საუკუნის პირველ ნახევარი კვლავ გარკვეულწილად აღმავალი პერიოდია, თუმცა კულტურული ფენები აღარ არის ისე ინტენსიური, როგორც წინა ეპოქაში. იმდროინდელი ნაგებობებიდან საგანგებოდ უნდა გამოიყოს ბაგრატის ტაძრის იატაკის ქვეშ 2003-2005 წლებში გამოვლენილი ქართულ წყაროებში მოხსენიებული «ქუთათისის საყდარი” (ო.ლანჩავა, რ.ისაკაძე 2004. გვ 136-140. ო.ლანჩავა, რ. ისაკაძე, 2006).

10. VIII საუკუნის ბოლოდან ქალაქის აღმავლობის ახალი ეტაპი იწყება. ქუთაისი ეგრის-აფხაზთა სამეფოს დედაქალაქი ხდება, რაც შესაბამის სამშენებლო საქმიანობაშიც აისახა (ო.ლანჩავა 1996, გვ 188-202).

11. X ს-ის ბოლო მეოთხედი XI ს-ის დასაწყისი. ქუთაისი გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს დედაქალაქია. შენდება სამეფო სასახლე და ბაგრატის დიდებული ტაძარი. კულტურული ფენები მასალის არაჩვეულებრივი ინტენსივობით გამოირჩევა (ა. გაბრიაძე 1999).

12. XI-XII საუკუნეები ქალაქის ისტორიაში ყველაზე მშვიდობიანი და აყვავების პერიოდია. წინაურდება ქალაქის გარეუბნებიც, აღმავლობას განიცდის ვაჭრობა-ხელოსნობა (იქვე…... გვ. 6.)

13. XIII_XV საუკუნის პირველი ნახევარი. ქუთაისი დროგამოშვებით იბრუნებს ერთიანი საქართველოს სატახტო ქალაქის სტატუსს და ჯერ დევნილი მეფეების დროებით თავშესაფარს, ხოლო XV ს-ის შუახანებისათვის «პროვინციელ მეფეთა» დასაყრდენს წარმოადგენს (ა. გაბრიაძე 1999, გვ.6. დ.ნინიძე 1994, გვ. 22-24, დ.ნინიძე 1995).

ბ) სტრატიგრაფია და პერიოდიზაცია.

ქუთაისის ნაქალაქარზე ოცწლიანი არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად ძვ.წ. VIII-VII სს-დან მოყოლებული XIX ს-ის 10-იან წლების ჩათვლით სულ მცირე თხუთმეტი სამშენებლო ფენის გამოყოფა მაინც ხერხდება. შესწავლილია და სტრატიგრაფიულად გამიჯნულია როგორც არქიტექტურული, ასევე კულტურული ფენები. საკვლევი ეპოქის კულტურული ფენები ძირითადად ციტადელშია დალექილი. ციტადელს გარეთ არქეოლოგიურად შესწავლილ მონაკვეთებში იმდროინდელი კულტურული ფენები თხელია ან სულაც არ არის წარმოდგენილი და ამდენად სტრატიგრაფიულ სურათს არ იძლევა. ციტადელის შიგნით ჩვენთვის საინტერესო კულტურული ფენები სამივე ტერასაზე არათანაბარი სიმძლავრითაა განფენილი და სხვადასხვაგვარი წარმოშობისაა. მათი ერთი ნაწილი ხანგრძლივი ცხოვრების შედეგად თანდათანობითი დალექვით, ნაწილი კი საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგანაა წარმოქმნილი. კულტურული ფენების ერთი ნაწილი სხვადასხვა ნაგებობათა ნგრევის შედეგად შეიქმნა, რომელთა სიმაღლე ზოგ შემთხვევაში 2 მეტრამდე აღწევდა.

შესაბამისად კულტურული ფენები არათანაბარი სიმძლავრისაა და არქეოლოგიური მასალის ნაჯერობითაც განსხვავდება ერთმანეთისაგან.

XV-XIX ს-ის ათიან წლებში ციტადელში წარმოებული რამდენიმეგზის მშენებლობის, ნგრევის, განახლების თუ სხვა საქმიანობის შედეგად ფენების დიდი ნაწილი დაძრულია და მათგან მომდინარე მასალაც დამათარიღებულ მნიშვნელობას მოკლებულია. აქედან გამომდინარე საკვლევი ეპოქის ქუთაისის ისტორიის პერიოდიზაციის სქემის შემუშავებისას სტრატიგრაფიულად შეძლებისდაგვარად გამიჯნული კულტურული ფენებიდან მომდინარე არტეფაქტების პარალელურად ვეყრდნობით წერილობითი წყაროების მონაცემებს. ეს უკანასკნელნი უკეთეს საშუალებას იძლევიან ქრონოლოგიური ეტაპების გამოსაყოფად. საბოლოოდ ჩვენს მიერ წერილობით და არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით შემუშავებულმა პერიოდიზაციის სქემამ შემდეგი სახე მიიღო:

1. ქუთაისი XVს-ის შუახანებიდან 1660 წლამდე.

ამ ეტაპის ქვედა ქრონოლოგიური მიჯნა იმერეთის მეფე ბაგრატ II (1462-78წწ.) ქუთაისში აქტივობის პერიოდზე მოდის. ამ დროს ეყრება საფუძველი «ოქროს ჩარდახის" მშენებლობას და იწყება მარცხენა სანაპიროს განაშენიანება. წერილობით წყაროებზე დაყრდნობით მივედით იმ დასკვნამდე, რომ XV ს-ის შუახანებიდან 1510 წლამდე მონაკვეთში შენდება ახალი თავდაცვითი ნაგებობა «ქუთაისის ციხე" (ციტადელის კომპლექსი).

XVII ს-ის პირველ ნახევარში გიორგი III (1605-1639 წწ.) და ალექსანდრე III (1639-1660 წწ.) მეფობის პერიოდში წერილობითი წყაროებით ფიქსირდება გარკვეული სამშენებლო აქტივიზაცია ქალაქის სხვადასხვა მონაკვეთებზე. მთლიანად ეს ქრონოლოგიური ეტაპი გარკვეულწილად აღმავალ ხანას წარმოადგენს ქალაქის ისტორიაში.

2. ქუთაისი 1660-1770 წლებში.

ალექსანდრე III გარდაცვალების შემდეგ (1660 წ.) სამეფოში დაწყებული ხანგრძლივი ანარქია და ქვეყნის შუაგულში («ქუთაისის ციხეში") თურქული გარნიზონის საუკუნოვანი ბატონობა შესაბამისად აისახა ქალაქის განვითარებაზეც. ქალაქის ბუნებრივი განვითარების პროცესი ხანგრძლივი დროით შეფერხდა.

დროის ამ მონაკვეთში «დიდი ქუთაისის” ტერიტორიაზე წყაროებისა და არქეოლოგიური მასალების შეჯერებით ფიქსირდება გარკვეული სამშენებლო საქმიანობა მტრის გარნიზონის მიერ.

1770 წლიდან სოლომონ I და რუსული საექსპედიციო კორპუსის მიერ იმერეთის ციხეების (მათ შორის ქუთაისის) თურქთაგან განთავისუფლების შემდეგ ქალაქის ისტორიის მორიგი ეტაპი იწყება.

3. ქუთაისი 1770-1810-იან წლებში. წყაროებისა და არქეოლოგიური მასალებით დროის ეს მონაკვეთი ორ ნაწილად შეიძლება გაიყოს:

ა) დანგრეული (1770 და 1775 წლები) ციტადელის კომპლექსი კარგავს თავდაპირველ (სტრატეგიულ) ფუნქციას და მის ნანგრევებზე რიგით მოქალაქეთა დასახლება ჩნდება.

მარცხენა სანაპიროზე ფიქსირდება სამშენებლო-აღდგენითი სამუშაოებისა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გამოცოცხლება.

ბ) 1810 წლიდან ქალაქის ისტორიაში სრულიად ახალი ეტაპი იწყება. რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი პროვინციის ცენტრი_ქუთაისი განვითარების ახალ ფაზაში შედის. არქეოლოგიური მონაცემებით 1810-15 წლებს შორის მონაკვეთში ციტადელის ნანგრევებისა და კვარტალური დასახლების ადგილზე შენდება ახალი ციხე, ოფიცერთა სადგომი და ყაზარმა.

თ ა ვ ი I I

ქუთაისი XV ს-ის შუახანებიდან 1660 წლამდე

1. «ქუთაისის ციხისა” და «ოქროს ჩარდახის» წარმოშობის დრო და პირობები.

ერთიანი ქართული სახელმწიფოს ძლიერებას მონღოლთა ასწლიანი ბატონობის ხანაში საფუძველი ძლიერ შეერყა და უკვე რუსუდანის მეფობის შემდგომ პერიოდში სამეფოს ორად გახლეჩაც მოჰყვა, რისი შედეგები კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა მომდევნო ეპოქებში. გამწვავებულ საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკურ ვითარებას თან ერთვოდა ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის მოვლენებიც

და ქვეყნის დაშლის ნელი, თანდათანობითი და წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესი შეუქცევადი გახდა.

«XIV-XV საუკუნეები ერთიან ქართულ ფეოდალურ მონარქიაში შინაპოლიტიკური და დინასტიური ბრძოლის განსაკუთრებული გამწვავებით აღინიშნა... XIV ს-ში «ბატონისშვილობის» ისტორიაში შინაპოლიტიკური და დინასტიური ბრძოლის ახალი თავისებური ფორმა _ «პროვინციის მეფეთა ინსტიტუტი" წარმოიშვა" (დ.ნინიძე 1995, გვ 3-4). დ. ნინიძის აზრით XIII საუკუნის ბოლოსათვის იქმნება ყველა პირობა ამ ინსტიტუტის არსებობისათვის. XIV ს-ის დამდეგიდან ჩნდებიან მისი პირველი წარმომადგენლები, «ზედა ქრონოლოგიური ზღვარი კი XV ს. ბოლოზე მოდის, როცა გაფორმდა ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის დაშლა და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი ქართული სამეფო-სამთავროები» (იქვე ... გვ.7).

«პროვინციის მეფეთა» ერთ ნაწილს სამეფო ოჯახისა და ბაგრატიონთა შტოს ის წარმომადგენლები შეადგენდნენ, რომელთაც სამეფო ტახტისგან დაუკითხავად აქვთ მიტაცებული ქვეყნის ესა თუ ის კუთხე, მეორე ნაწილი კი ცენტრალური ხელისუფლების მოხელეს წარმოადგენს ამა თუ იმ რეგიონში და სარგებლობს რა მეფის ხელისუფლების სისუსტით «განდგებიან და იწოდებიან მეფედ». მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური ხელისუფლება დროდადრო ახერხებს ამა თუ იმ «პროვინციის მეფის» დამცრობას და დამორჩილებას, პროცესი შეუქცევადი ხდება, რამაც საბოლოოდ დამოუკიდებელი სამეფოების წარმოშობამდე მიგვიყვანა.

«პროვინციის მეფეთა» სამფლობელო მამულების უმეტესი ნაწილი XIV-XV სს. როგორც ჩანს უკვე აღარ წარმოადგენს სამეფო დომენის შემადგენელ ნაწილს (იქვე... გვ. 21). მამულების ნაწილი ზოგჯერ გარკვეულ ისტორიულ-გეოგრაფიულ საზღვრებში იყო მოქცეული, რასაც მოშორებით მდებარე სამამულო მიწებიც ემატებოდა. ჩვენი აზრით, აღნიშნული პროცესები გარკვეულწილად ბიძგს მისცემდა ახალი რეზიდენციების გაჩენას ან ძველის მოდერნიზაციას, რომლებიც «პროვინციის მეფეთა» პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ დასაყრდენს წარმოადგენდნენ.

ზემოთ მოტანილი მსჯელობის საფუძველზე, ძალზე მწირი სათანადო ისტორიული წყაროების მიხედვით შევეცდებით ვაჩვენოთ, რომ საკვლევი ეპოქის როგორც ქართულ, ასევე უცხოურ წყაროებში არაერთგზის მოხსენიებული «ქუთაისის

ციხე» (ნაქალაქარის ციტადელი) არ გულისხმობს რიონის მარჯვენა სანაპიროზე არსებულ ძველთაგანვე ჩამოყალიბებულ ციხე-ქალაქს ან თუნდაც გალავნით მოზღუდულ და კარგად გამაგრებულ «შიდა ქალაქს» (ტაბ. I. B.) და ციტადელს (A) ერთდროულად, არამედ გარკვეულწილად დამოუკიდებელ სასიმაგრო ნაგებობას წარმოადგენს (A) და მისი გაჩენა გართულებულ საგარეო საფრთხესთან ერთად სწორედ ზემოთაღნიშული ვითარებითაც უნდა იყოს გამოწვეული. ისტორიული წყაროები და არქეოლოგიური მასალა კვლევის ამ ეტაპზე არ იძლევა ამ ორი მომენტიდან რომელიმესათვის უპირატესობის მინიჭების საშუალებას.

«ოქროს ჩარდახის» სამეფო რეზიდენციის გაჩენა კი ჩვენ სწორედ «პროვინციის მეფეთა» ინსტიტუტის პირდაპირ გამოძახილად მიგვაჩნია.

წყაროთა სიმცირისა და არქეოლოგიური მასალების უკმარისობის გამო ახლა შეუძლებელია «ქუთაისის ციხის» აგების ზუსტი დროის დადგენა. 1770-75 წლების ნგრევას გადარჩენილი ციტადელის ნაწილებზე საკვლევი ეპოქის სამშენებლო შრეების გამიჯვნა და დათარიღება ვერ ხერხდება. ახალი ციხე ფაქტიურად ადრეშუასაუკუნეების ციტადელისა და მასზე დაშენებული X-XIII სს-ის სასახლის კომპლექსის მოდერნიზაციას წარმოადგენს.

სურათი ამ მიმართებით სავსებით ნათელია XVII საუკუნის შუახანებისათვის. კერძოდ: იმერეთის მეფე ალექსანდრე III მეფობისას (თუ უფრო ადრეც არა) ციტადელის კომპლექსი გარეგნული სახით უკვე ფორმირებულია, რასაც კასტელის ალბომის 38-ე, 328-ე და განსაკუთრებით 95-ე ნახატები (ტაბ. VIII; IX; X.) და რუსი ელჩების ტოლოჩანოვისა და იევლევის აღწერილობანი ადასტურებენ. ორსავე შემთხვევაში სახეზეა გარკვეულწილად დამოუკიდებელი, ქალაქის სხვა ნაწილებისაგან იზოლირებული თავდაცვითი ნაგებობა, რომელსაც რუსი ელჩები «Кремль город”-ს («ციხე-გალავანს») უწოდებენ (ტოლოჩანოვის... 1970 გვ. 177-189, ა. იევლევის ... 1969, გვ. 140-141). «ქუთაისის ციხე” არაერთხელ ფიგურირებს იმ ბრძოლებთან კონტექსტში, რასაც ქართლის მეფე სიმონ I ახორციელებდა ქუთაისის ტახტის წინააღმდეგ მას შემდეგ, რაც გოფანთოს ომში (1588 წ. ბერი ეგნატაშვილით 1592 წ. მიღებულია პირველი თარიღი) დაამარცხა იმერეთის მეფე ლევან I (1586-90 წწ.) და «... დაიპყრა იმერეთი» (ვახუშტი ბაგრატიონი 1973, გვ. 415-416, 821). სვიმონის წასვლის შემდეგ ლევანმა «...

კვალად აღიხუნა ციხენი სვიმონის მიღებულნი» (იქვე ... გვ. 415-416). 1590 წელს ლევან მეფე დადიანმა შეიპყრო და შხეფის ციხეში გამოკეტა, სადაც გარდაიცვალა კიდეც. Dდადიანის დახმარებით იმერეთში ლევანის ბიძაშვილი როსტომ კონსტანტინეს ძე გამეფდა (1590-1611 წწ). დადიანის გაძლიერებით შეშფოთებულმა გურიელმა თავისი ჯარით განდევნა როსტომი, ტახტზე მისთვის სასურველი კანდიდატი ბაგრატ თეიმურაზის ძე აიყვანა და «განუმაგრა ციხე ქუთათისი» (იქვე... გვ. 821). საპასუხოდ სიმონ მეფე კვლავ გადავიდა იმერეთში «... მოადგა ქუთათისს, აღიღო და გამოიყვანა და მას შინა შეაყენნა გუშაგნი თჳსნი» (იქვე... გვ. 822). დადიანისგან ზურგგამაგრებულმა როსტომ მეფემ «... აღიღო ქუთათისი და დაიპყრა იმერეთი...» (იქვე... გვ. 822). იმავე 1590 წელს სიმონ მეფე მესამედ გადავიდა იმერეთში «... მოადგა ქუთათისს, აღიღო იგიცა» (იქვე... გვ. 822). 1590 წელს სიმონი დადიანისა და როსტომის ჯარმა დამარცხა ოფშკვითთან ბრძოლაში, რის შემდეგაც მათ «... აღიღეს ქუთათისი და ყოველნი ციხენი იმერეთისანი» (იქვე..... გვ. 822-823). ამ მოვლენების კონტექსტში «ქუთაისის ციხე» იხსენიება სულთან მურად III მიერ «აჩიკ-ბაშის მმართველის, როსტომ ხანისადმი გაგზავნილი გადმოსაბირებელი სამეუფეო წერილის პირ»-ში (ვ.ჩოჩიევი 1976, გვ. 100-108). როგორც მთელი ამ მსჯელობიდან ჩანს, XVI ს-ის მიწურულს «ქუთაისის ციხე» უკვე დამოუკიდებელი სასიმაგრო ნაგებობაა და მოწინააღმდეგეთა მიერ მისი რამდენიმე გზის აღება არ ნიშნავს იმას, რომ მას საგანგებო სიმაგრენი არ გააჩნია. ეს ალბათ უფრო იმით იყო გამოწვეული, რომ ყოველი ასეთი «აღების” დროს მოწინააღმდეგეებს თავთავიანთი მომხრეები ყავდათ იმერეთში. შეიძლებოდა გვეგულისხმა, რომ ამ ბრძოლების დროს საფორტიფიკაციო ნაგებობები დაზიანდებოდა კიდეც, რაც მალევე აღდგენა-განახლებას გულისხმობს, თუმცა საამისო მონაცემები არ გაგვაჩნია. არც ამ კონტექსტში მოხსენიებული «განუმაგრა» ნიშნავს მაინცდამაინც სამშენებლო საქმიანობას. ეს უფრო გარნიზონით გამაგრებას ნიშნავს. ასევე «განამაგრა» ქუთაისის ციხე გიორგი ლიპარტიანმა, როცა 1691 წელს (ვახუშტის მიხედვით) ღამით მოხსნა ალყა (არჩილ მეფის) და ოსმალებს «მისცნა ყოველნი საზრდელნი» (იქვე... გვ. 854). «ქუთაისის ციხე», როგორც დამოუკიდებელი სასიმაგრო ნაგებობა, უკვე ფორმირებულია XVI საუკუნის დასაწყისშიც, რის დასტურადაც გამოდგება 1519 წლის

ახლოხანებით დათარიღებული ერთი ქრონიკა, სადაც მოხსენიებულია «ქუთაისის ციხის კარი», «დიდი კარი» და «ციხისთავი» (თ. ჟორდანია 1897, გვ. 343).

როგორც ცნობილია, 1510 წელს (ქრონიკებში და «ქართლის ცხოვრებაში» სხვა თარიღებიც ფიგურირებს. კერძოდ: 1508; 1509; 1512; 1513; 1514. თარიღის შესახებ იხ. მ.Mრეხვიაშვილი 1989, გვ. 25-27, იქვე ლიტერატურა) ოსმალთა ჯარი ტახტის მემკვიდრე სელიმის (მომავალში სულთანი სელიმ I, 1512-1520 წწ.) მეთაურობით მოულოდნელად შემოიჭრა იმერეთში. მტრის შემოჭრა იმდენად მოულოდნელი და ძლიერი იყო, რომ « ... ბაგრატ მეფე (იგულისხმება იმერეთის მეფე ბაგრატ III 1510-65 წწ.) ვერ წინააღუდგა და უკურიდა სიმაგრეთა შინა და დახიზნა იმერეთი. გარნა მოსრულთა ოსმალთა დაწვეს ქუთათისი და გელათი. მერმე მოაოჯრნეს, მოწუეს, მოსრნეს და მოსტყუევნნეს, სადა ვინ ჰპოვნნეს იმერეთსა შინა და უკუიქცნენ ... და წარვიდნენ» (ვახუშტი ბაგრატიონი 1973წ. გვ.810). ამ ფაქტს თითქმის ერთი და იგივე ტექსტით და სხვადასხვა თარიღით იმეორებს რამდენიმე ქრონიკა (თ. ჟორდანია 1897, გვ. 326; 327; 331), რომელთა შორის ერთი ჩვენთვის ამჯერად საინტერესო საკითხს ეხმიანება. «ამავე წელსა (1509 წ. რ.ი.) ქუთათის თათარნი მოვიდნენ და დასწვეს დიდი მონასტერი გენათისა შიგნით და გარეთ, ქუთათისი და საყდარი, სხვანი ეკლესიანი და ციხე ვერ აიღეს და აურაცხელნი ტყუჱნი წაასხეს. თვე იყო ნოემბერი» (იქვე... გვ. 326).

მიუხედავად იმისა, რომ მტერმა თითქმის მთელი იმერეთი წინააღმდეგობის გარეშე გაიარა და დაარბია გელათი, ქუთაისი, ქუთაისის საყდარი (რომელშიც ბაგრატის ტაძარი იგულისხმება. იხ. ო. ლანჩავა, რ. ისაკაძე 2004, გვ. 136-140), «...ციხე ვერ აიღეს». წყაროს კონტექსტით სავსებით ნათელია, რომ «ქუთათისი» ნიშნავს მთელ ქალაქს, რომელშიც იმ დროს ექცევა ბაგრატის ტაძარი და მიმდებარე ტერიტორია, ხოლო «ციხე» მართალია ქალაქის ორგანული შემადგენელი ნაწილია, მაგრამ იგი მაინც დამოუკიდებელი სიმაგრეა, რომლის აღება მტრის ლაშქარმა სცადა, მაგრამ ვერ შეძლო. ამგვარად წყაროში უკვე აშკარად დიფერენცირებულია ქუთაისის ორი ნაწილი მაინც: საქალაქო ტერიტორია _ «ქუთათისი” და «ციხე”. მართალია სელიმ ხანის ლაშქრობის მიზანს იმერეთის დაპყრობა და მითუმეტეს ციხეებში გარნიზონის ჩაყენება არ შეადგენდა (ეს უფრო დაზვერვითი ხასიათის მარბიელი ლაშქარი იყო) და თანაც მარბიელი ლაშქარი ყოველთვის ცდილობს თავი აარიდოს ხანგრძლივ ალყას, ციხეების

აღებას და მოწინააღმდეგესთან გენერალური ბრძოლების გამართვას, ოსმალებმა მაინც სცადეს, მაგრამ «ვერ აიღეს» ქუთაისის ციხე, რაც იმის დასტურად მიგვაჩნია, რომ ამ დროისათვის იგი უკვე მძლავრი თავდაცვითი სისტემის მქონე ნაგებობაა, რომელიც, როგორც სხვა წყაროებითაც ცნობილია, არა აუღებელ, მაგრამ ძალიან ძლიერ ციხეს წარმოადგენდა. და კიდევ ერთი მთავარი ფაქტი: 1510 წლის ახლო ხანებში «ქუთაისის ციხე» უკვე დგას და მის აგებას ვერ დავუკავშირებთ იმერეთის ყველაზე ძლიერი და ენერგიული მეფის ბაგრატ III სახელს, რომელმაც «მეორედ აღაშენა ციხენი, საყდარნი, მონასტერნი და ეკლესიანი და შეამკნა ყოველითურთ უნაკლულოდ», თუმცა არ გამოირიცხება უკვე აშენებულ ციხეზე მის მიერ სხვადასხვა მასშტაბის სამუშაოების ჩატარებაც.

1478 წელს იმერეთში მეფედ დაჯდა ბაგრატ ალექსანდრეს-ძე, რომელსაც აღარ მიემხრნენ დადიანი და გურიელი. ამით ისარგებლა ცენტრალურმა ხელისუფლებამ და კონსტანტინე მეფემ 1479 წელს « ...დაიპყრა იმერეთი ...და მისცეს ციხე ქუთათისისა...» (ვახუშტი ბაგრატიონი ... 1973, გვ. 808). 1484 წელს ალექსანდრემ ისარგებლა იმით, რომ კონსტანტინე მეფე დამარცხდა ათაბაგთან ბრძოლაში და რაჭა-ლეჩხუმის დახმარებით «...აღიღო ქუთათისი ...დაჯდა მეფედ, ეკურთხა და დაიპყრა იმერეთი» (იქვე... გვ. 808; 300). 1487 წელს დადიანის დახმარებით კონსტანტინე მეფემ «აღიღო კუალად ქუთათისი ...და დაჯდა ქუთათისს» (იქვე გვ. 808; 300).

1489 წელს ალექსანდრემ ისარგებლა რა კონსტანტინე მეფის მოუცლელობით «...ეზრახა იმერთა და დადიანსა, ჩამოვიდა და დაიპყრა იმერეთი კუალად, აღიღო ქუთათისი და ყოველნი ციხენი იმერეთისანი» (იქვე... გვ. 809; 300). ამ ბრძოლების დროსაც «ქუთათისის ციხის» რამდენჯერმე აღება მოწინააღმდეგეთა ადგილობრივი მომხრეების მეშვეობით ხდება (ისევე, როგორც სიმონ I შემთხვევაში) და არა იმის გამო, რომ «ქუთათისის ციხე» არ წარმოადგენს განსაკუთრებულად გამაგრებულ ნაგებობას.

ამდენად, კონტექსტით აშკარაა, რომ «ქუთათისის ციხე» 1479 წელზე უფრო ადრე ჩანს აგებული. ამას ადასტურებს კონტარინის ცნობაც და 1466 წლით დათარიღებული კონსტანტინე მეფის სიგელი ჯავახიშვილებისადმი.

იტალიის (ვენეციის) დიპლომატიური მისიის წარმომადგენელი ამბროჯიო კონტარინი ორჯერ გავლით იმყოფებოდა ქუთაისში. 1474 წლის 9 ივლისს სამეგრელოს

მხრიდან წამოსული კონტარინი მოვიდა «...პატარა ქალაქ ქუთაისს (Cotatis). აქ მცირე გორაზე არის ციხე სულ ქვიტკირისა. შიგ ციხეში ეკლესია არის, როგორც ეტყობა ძლიერ ძველი. გავიარეთ ხიდი, რომელიც გადებულია საკმაოდ დიდ მდინარეზე და მივედით პატარა მინდორზე. აქ დგას სასახლე საქართველოს მეფის ბაგრატის (Pargrati), რომელსაც ეკუთვნის ეს ციხე-ქალაქი, იქაურმა მოურავმა მიგვიპატიჟა და დაგვაბინავა ამ სასახლეში» (მოამბე 1894, გვ. 51). 1475 წლის 23 ივლისს «...დილით გავემგზავრეთ ქუთაისისაკენ ...და გავსწიეთ ქუთაისის ციხისაკენ, რომელიც ბაგრატ მეფეს ეკუთვნის" (იქვე... გვ. 57).

მართალია, კონტარინისთან მოხსენიებული «ციხე», რომელშიც საყდარი დგას, ამ შემთხვევაში გულისხმობს ბაგრატის ტაძარს და მთელ «ზედა» ქალაქს, მაგრამ იმავე ტექსტში ნახსენებია «ციხე-ქალაქიც». ე.ი. კონტარინის ამ პასაჟში არ არის დიფერენცირებული «ციხე» და «ქალაქი», თუმცა ჩვენს მიერ მოტანილ მეორე ციტატაში უკვე მარტო «ქუთაისის ციხე» ფიგურირებს, რომელიც ბაგრატ მეფეს ეკუთვნის. კონტარინის ამ ცნობებს ჩვენ ქვემოთ ისევ დავუბრუნდებით, აქ კი აღვნიშნავთ, რომ მიუხედავად კონტარინის ცნობების ფრაგმენტულობისა, მაინც ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ «ქუთათისის ციხე» 1474-75 წლებში უკვე დგას. ამას უნდა დავუმატოთ 1466 წლის სიგელი კონსტანტინე მეფისა ჯავახიშვილებისადმი, სადაც მოხსენიებულია «ქუთათისის ციხე», რომელიც ამ დროს თითქოს ცენტრალური ხელისუფლების (გიორგი VIII და კონსტანტინე მეფე) ხელშია. სიგელის მიხედვით ფარავნის ბრძოლაში (1465 წ.) ყვარყვარე ათაბაგისგან დატყვევებული გიორგი VIII ძმისშვილი კონსტანტინე «...ღმერთმან მოგუარჩინა, წამოუვედით (ყვარყვარეს. რ.ი.) და თქუენ (ჯავახიშვილებმა. რ.ი.) დიდი ვალი და ნამსახური დაგუდევით: გორის ციხეს შემოგუყევით და დაგუამაგრეთ და ისრე დაჭირებულს ქუთათის ციხეს შეგუიდეგით...» (ი. დოლიძე 1965, გვ.134). ამ ცნობას ისევ დავუბრუნდებით, აქ კი აღვნიშნავთ, რომ ესაა ერთ-ერთი ყველაზე ადრეული წყარო, რომელშიც მოხსენიებული «ქუთათისის ციხე» ჩვენი აზრით გულისხმობს არა მთელ ციხე-ქალაქს, არამედ ციტადელის კომპლექსს, როგორც დამოუკიდებელ ციხეს.

ზემოთ მოტანილი მსჯელობა იმის საილუსტრაციოდ გვჭირდება, რომ «ქუთაისის ციხის», როგორც გარკვეულწილად დამოუკიდებელი სასიმაგრო ნაგებობის და «ოქროს ჩარდახის» გაჩენის პირობები მომწიფებულია უკვე XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე.

თუმცა 1340-50-იანი წლებიდან მოყოლებული 1402 წლამდე (როცა «ჩალიანს" მოკლეს კონსტანტინე ლიხთ-იმერელი «მეფე». დ. ნინიძე... 1995, გვ. 124-126; 132; დ. ნინიძე... 1994) პერიოდში ნარინ დავითის ძის მიქელის (1327-29 წწ.) მემკვიდრებსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის (დავით IX, ბაგრატ V, გიორგი VII) ცვალებადი წარმატებით მიმდინარე ბრძოლების ეპიცენტრში მოქცეულია ქუთაისი (ვახუშტი ბაგრატიონი... 1973, გვ. 265; 275; 803; 804. დ. ნინიძე... 1995, გვ. 113_132), რომლის სიმაგრეების წინააღმდეგ იბრძვის ორივე მხარე, მაგრამ წყაროებში არ ფიგურირებს «ქუთაისის ციხე». 1402 წლიდან ბაგრატ დიმიტრის ძის (მომავალი ქართლ-იმერეთის მეფე ბაგრატ VI) აქტივობის დასაწყისამდე (XV ს-ის 50-იანი წლების შუახანები) პერიოდი დ. ნინიძის მიხედვით ლიხთ-იქითის «პროვინციის მეფეთა» «გაღარიბებისა» და დამცრობის ხანაა. დროის ამ მონაკვეთში მათგან ნაკლებად მოსალოდნელია მასშტაბური მშენებლობის განხორციელება, თუმცა ეს შეიძლებოდა სწორედ მათ საპირისპიროდ გაეკეთებინა გაძლიერებულ ცენტრალურ ხელისუფლებას, მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია, რომლის დამადასტურებელი არგუმენტი წყაროებში არ შემონახულა.

1330 წელს, როცა მიქელის მემკვიდრე ბაგრატის წინააღმდეგ იმერეთში გიორგი ბრწყინვალე გადავიდა «...ბაგრატ ...შეიყვანეს გამზრდელთა და ერთგულთა მისთა ქუთათისს და განამაგრეს ციხე». (ვახუშტი ბაგრატიონი 1973, გვ.277). გიორგი მეფემ უბრძოლველად გამოიყვანა ბაგრატი ციხიდან. ვფიქრობთ ამ კონტექსტში მოხსენიებული «ციხე» არ იხმარება იმ მნიშვნელობით, როგორც ჩვენ ვგულისხმობთ. ჯერ ერთი «ქუთაისის ციხის» (ახალი ციტადელის) აგებამდე ძველი ციტადელი (X-XIII სს.) კვლავ ფუნქციონირებს და იგი საკმაოდ კარგადაა გამაგრებული დასავლეთის (სხვა მხრიდან იგი ბუნებრივად იყო დაცული) მხრიდან. ამ მონაკვეთში ბაგრატ III დროს აგებული სამეფო სასახლის კომპლექსი თავისთავად წარმოადგენდა გარკვეულ სიმაგრეს, რომელიც დასავლეთიდან ეზოს შემომზღუდველი ერთი მეტრის სიგანის კედლით დამატებით იყო ფლანკირებული (ა. გაბრიაძე 1999, გვ. 44-45).

განვითარებული შუა საუკუნეების ციტადელი მართალია თავდაცვითი სისტემის სრულყოფით ვერ შეედრებოდა მოგვიანებით აგებულ «ქუთაისის ციხეს», მაგრამ თავისთავად საკმაოდ გამაგრებულ და დაცულ კომპლექსს წარმოადგენდა. ამის მიუხედავად ბაგრატ V (1360-1393 წწ.) გამეფების ახლო ხანებში, «სამეფო ხელისუფლების განმტკიცების საფუძველზე ახალი ცვლილებებით განპირობებული დაძაბულობის» (ე. კავლელაშვილი 2004, გვ. 75) ფონზე აშლილმა სვანებმა 1361 წელს (ე. კავლელაშვილის მიხედვით 1362 წელს. იქვე ... გვ. 75) იოლად დაარბიეს და აიკლეს ქუთაისი. «...და სვანთა ქუთაისი დასწვეს...» (თ. ჟორდანია 1897, გვ. 187).

ის, რაც 1510 წელს ვერ შეძლო თურქთა მარბიელმა ლაშქარმა, რომელმაც მთელი იმერეთი მოაოხრა, იოლად შეძლეს ცენტრალურ ხელისუფლებაზე გაგულისებულმა თანამემამულეებმა და ეს გარემოებაც ჩვენ იმის დასტურად მიგვაჩნია, რომ XIV ს-ის შუა ხანებისათვის «ქუთაისის ციხე“ ჯერაც არ არის აგებული. ამის არაპირდაპირ, მაგრამ ლოგიკურ დასტურად ქუთაისის ციტადელის გათხრებისას დადასტურებული ერთი ფაქტიც შეიძლება გამოდგეს. კერძოდ: ქუთაისის ციტადელში არაერთ ადგილზე ფიქსირებულია გაფანტული სახით (და არა კომპაქტურად ისე, როგორც იმერეთის სამეფოს დროინდელი) წარმოდგენილი მცირე ზომის დაუკირავი ქვევრები. მათ აქვთ გამოყვანილი, ვიწრო ქუსლი, ოთხკუთხაგანიკვეთიანი, პროფილირებული გვირგვინი, არ აღენიშნებათ ჰორიზონტალური ქედები (განსხვავებით გვიანი ხანის ქვევრებისაგან) და ყველანი დაუკირავია. უმრავლესობას პირის გვირგვინი წატეხილი აქვს და ჩალეწილია ფსკერში. ქვევრებში აღმოჩენილი მასალების მიხედვით მათში ორი ქრონოლოგიური ჯგუფის გამოყოფა შეიძლება: პირველი ჯგუფის ქვევრების დამახასიათებელი ნიშანია ფსკერის არეში ჩალექილი საკმაოდ მეტყველი ნახშიროვანი ფენა და წნეხვით ნაპრიალები სუფრის ჭურჭლის ფრაგმენტები (XI-XII სს.). რამდენიმე ასეთ ქვევრში რუსუდანის სახელზე მოჭრილი მონეტაც აღმოჩნდა, რაც ამ კომპლექსებს XIII საუკუნის შუა ხანებითა და მომდევნო დროით ათარიღებს. ეს საშინელი აოხრების კვალი ექსპედიციის წევრთა საერთო აზრით მონღოლთა მიერ XIII საუკუნის სამოცდაათიან წლებში ქუთაისის დალაშქვრას უნდა დავუკავშიროთ, როცა «თათართა მოაოხრეს ეკლესიანი და მრავალი სული ქრისტიანე მოიკლა» (ქართლის ცხოვრება 1959, გვ. 269, ივ. ჯავახიშვილი 1941, გვ. 204), ხოლო აბანოში მყოფი დავით ნარინი «ძლით

შეესწრა ცხენსა, ერთითა კაბითა მარტო ივლტოდა...» (ქართლის ცხოვრება 1959, გვ. 269). მეორე ჯგუფის ქვევრები ფორმით თითქმის ანალოგიურია, ოღონდ უფრო უხეშზედაპირიანი და ღიად გამომწვარია. მათში ნახშიროვანი ფენა (პირველი ჯგუფის შემთხვევაში გამძვინვარებული მტრის მოქმედების შედეგი) არ დასტურდება, სამაგიეროდ ყელი და გვირგვინები აქაც ფსკერშია ჩალეწილი და მათში აღმოჩენილი მასალაც პირველი ჯგუფისაგან განსხვავებულია. კერძოდ: ამ ჯგუფის კერამიკაზე მთელ ნაქალაქარზე დადასტურებულ კომპლექსებში თანდათან მკრთალდება ჭურჭლის ზედაპირის წნეხვით გაპრიალება, თითქმის ქრება წნეხვით ნაპრიალები რომბული ბადე დოქების კორპუსებზე და მოუჭიქავ ჭურჭელს შორის წამყვანი ხდება ბრტყელ ძირიანი, დაბალქუსლიანი კერამიკა. მათ ძირზე უკვე შეიმჩნევა დაზგიდან მოჭრის კვალი (ნახევარწრიული ზოლები), რომელიც აღარ არის საგულდაგულოდ მოსწორებული (ცოტა უფრო გვიან, XV-XVII სს-ში ასეთი ძირები კიდევ უფრო გაუხეშებულია და წამყვან ფორმას წარმოადგენს სუფრისა და სამზარეულო ჭურჭლებისათვის, რაც კულტურული მიმღეობის დასტურია). ამგვარი ძირების შემცველი კომპლექსები ქრონოლოგიურად X-XII სს-ისა და გვიანი შუა საუკუნეების მასალებს შორის ექცევიან და ზოგადად XIII-XV სს-ით უნდა დათარიღდნენ. ამ თარიღს ამყარებს მეორე ჯგუფის ქვევრებში აღმოჩენილი დაქანებულკალთიანი, საშუალო სიმაღლის მცირედიამეტრიან ქუსლზე მდგარი, გეომეტრიული სახეებით შემკობილი, უმრავლეს შემთხვევაში შიდა პირზე ყვითლად მოჭიქული ჯამების ფრაგმენტები, რომლებიც თავის დროზე ჩვენთან პირად საუბარში მ. მიწიშვილმა ბიზანტიური წარმომავლობისად მიიჩნია და ზოგადად XIII-XIV სს.-ით დაათარიღა.

ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ მეორე ჯგუფის ქვევრების გაუქმება სვანთა ზემოაღნიშნულ ლაშქრობას უკავშირდება («ძეგლი ერისთავთას“ ცნობის საფუძველზე ა. გაბრიაძე ვარაუდობს, რომ თემურ ლენგის ლაშქარს უნდა გადაეწვა და დაერბია ქუთაისიც (ა.გაბრიაძე 1999, გვ. 29), თუმცა ქუთაისის სანახებამდე მისვლა არ გულისხმობს მაინცდამაინც ქუთაისის აღებას. ასე რომ მომხდარიყო, საფიქრებელია იგი წყაროშიც აისახებოდა.) და ამ დროს განსაკუთრებული გამაგრება ქუთაისს არ აქვს. საინტერესოა, რომ ჩვენი დაკვირვებით მეორე ჯგუფის ქვევრების ერთი ნაწილი (მასში არ იყო დამათარიღებელი მასალა და არც პირველი ჯგუფისათვის დამახასიათებელი

ნახშიროვანი ფენა) «ქუთაისის ციხის» დასავლეთ კედლის გარეთაც აღმოჩნდა, თუმცა არც აქ და არც ციტადელის სხვა მონაკვეთში ამ ჯგუფის ქვევრების და გვიანდელი სამშენებლო ფენების სტრატიგრაფიული მიმართების დადგენა ჯერჯერობით არ მოხერხდა.

ვფიქრობთ მთელი ზემოთ მოტანილი მსჯელობა საკმარისია იმის საილუსტრაციოდ, რომ XIV-XV საუკუნეთა მიჯნის ახლო ხანებში «ქუთაისის ციხე» ჯერ კიდევ არ დგას და მისი მშენებლობა ან ლიხთ-იქითის «პროვინციის მეფეების» «ღარიბობის» (დ. ნინიძე) ხანაში (1402 წლიდან 1440-იანი წლები) ცენტრალური ხელისუფლების აქტად უნდა მივიჩნიოთ, ან ბაგრატ ერისთავის (მომავალი ქართლ-იმერეთის მეფე ბაგრატ VI) აქტივობის პერიოდის ახლო ხანებს დავუკავშიროთ და აქაც ორი ვარიანტია დასაშვები: ან ცენტრალური ხელისუფლება აშენებს «ციხეს», როცა ბაგრატ ერისთავი ჯერაც მორჩილია გიორგი VIII, ანდა თვით ბაგრატი აშენებს მას იმ ხანებში, როცა ცენტრალურ ხელისუფლებას აუჯანყდა. იმდროინდელი ვითარების ამსახველი «ზევდგინიძეანთ მოხსენების» მიხედვით (ნ. ბერძენიშვილი 1937, გვ. 3-68) გიორგი მეფესა და ბაგრატ ერისთავს შორის ხანგრძლივი ბრძოლა წარმოებს. თითქოს ისე ჩანს, რომ ბაგრატს ქუთაისი მიტაცებით დაუპყრია გიორგის გამეფების (1446 წ.) ახლო ხანებში, რასაც ვერ ურიგდება ცენტრალური ხელისუფლება და გიორგი VIII «ქუთაისი წაართო» ბაგრატს (იქვე... გვ. 12). ამ დროს ზევდგინიძეანთ ნათესავი, რომელიც ჯერ კიდევ ვახტანგ მეფეს (1442-46 წწ.) ჰყოლია ტყვედ ლიხთ-იმერეთში, «გამოიყვანეს ციხიდაღმა...» (იქვე... გვ. 12). შეიძლება დავუშვათ, რომ ამ პასაჟში «ქუთაისის ციხე» იგულისხმებოდეს. რამდენიმე ხნის შემდეგ ბაგრატმა «ქუთათის გაილაშქრა» (იქვე. გვ. 12) და გიორგი მეფე დაამარცხა. როგორც იმდროინდელი საბუთებიდან ჩანს, იგი უკვე «მეფედ» იწოდება. ბაგრატის ეს გამეფება 1453 წლით თარიღდება. ჩიხორის ომში (1463 წ.) გამარჯვების შემდეგ ბაგრატი ეკურთხა «მეფედ», თუმცა ცენტრალური ხელისუფლება (გიორგი VIII) არ თმობს პოზიციებს და ისე ჩანს, რომ გიორგი მეფის ხელისუფლება კვლავ ძლიერია. ამ ეპოქაში დ. ნინიძის აზრით ბაგრატი ჯერაც «პროვინციის მეფეა». 1466 წლიდან კი, როცა ფარავანთან გიორგი მეფე ტყვედ ჩაიგდო ათაბაგმა, ბაგრატი უკვე ქართლის დამორჩილებასაც ცდილობს (დ. ნინიძე 1995, გვ. 173-177).

საინტერესოა, რომ 1466 წლით დათარიღებულ სიგელში ჯავახიშვილებისადმი «ქუთაისის ციხეს» თავი შეაფარა გიორგი მეფის მემკვიდრემ კონსტანტინემ. ერთი შეხედვით უცნაურია, რომ ბაგრატის გაძლიერების ხანაში, როცა ის უკვე ქართლზეც აცხადებს პრეტენზიას, ქუთაისის ციხეში კონსტანტინე მაგრდება და თანაც მეფედ იხსენიება. არსებობს 1468 წლის სიგელიც იმავე ჯავახიშვილებისადმი, ახლა უკვე ბაგრატისა და კონსტანტინეს მიერ ერთობლივად გაცემული. ივ. ჯავახიშვილის აზრით კონსტანტინეს ქუთაისში შესვლა მაშინ მოხდა, როცა თავად ბაგრატ VI ქართლში იყო სალაშქროთ. ზ. დათუაშვილის აზრით ბაგრატსა და კონსტანტინეს შორის ამ დროისათვის გარკვეულ «პარიტეტზე» დამყარებული კავშირი არსებობს და ბაგრატი თვითონ უწყობს ხელს ათაბაგის პოტენციური მოწინააღმდეგის კონსტანტინეს გაძლიერებას და მას თავისთან «ქუთაისის ციხეში» შეიხიზნავს. ჩანს ქართლი ბაგრატს უპყრია კონსტანტინეს კი ქვემო ქართლი, სადაც მდებარეობდა კიდეც ჯავახიშვილებისადმი ნაწყალობევი მამულები-ცხირეთი, ხანდაკი და თხილოვნა. «პარიტეტის» ძალით ბაგრატი მეფეთ-მეფედ იწოდა, კონსტანტინე კი მის ძმად და პატრონად (ზ. დათუაშვილი 1994, გვ. 12-13).

1474 წლისათვის კონტარინის ცნობით ბაგრატი «ქუთაისის ციხის» და ქალაქის ერთპიროვნული მფლობელია. კონტარინის მიხედვით მასვე ეკუთვნის მდინარის მარცხენა სანაპიროზე მდებარე სასახლეც. სამეგრელოს მხრიდან მოსული კონტარინი ხიდით გადადის რიონზე და მინდორში მდებარე ბაგრატ მეფის სასახლეში ბინავდება. არც 1474 და არც 1475 წელს კონტარინი მარჯვენა სანაპიროს «ზედა» ქუთაისში და «ციხეში» არ ყოფილა. მასთან მოხსენებულ, მინდორზე მდგომ სასახლეში «ოქროს ჩარდახის» რეზიდენცია იგულისხმება, რომლის წარმოშობაც ძირითადად იმავე მიზეზებით უნდა ყოფილიყო განპირობებული, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

ამრიგად, მიუხედავად მწირი წერილობითი წყაროების და არქეოლოგიური არგუმენტების არაპირდაპირი მოწმობისა, მიგვაჩნია, რომ «ქუთაისი ციხისა» და «ოროს ჩარდახის» წარმოქმნისათვის ყველა მოტივაცია არსებობდა XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე და მათი გაჩენა ბაგრატ VI აქტივობის ხანას (XV ს. 40-70-იანი წლები) უნდა დავუკავშიროთ. ამ დასკვნას გარკვეულწილად მხარს უმაგრებს ის ფაქტიც, რომ 1770-75 წლების ნგრევას გადარჩენილ, ფერდობებზე აყირავებულ გალავნის მრავალრიცხოვან

მასიურ ფრაგმენტებზე არსად არ დასტურდება ჩვენში XVI-XVII სს-დან გაჩენილი ცეცხლსასროლი იარაღისათვის აუცილებელი ატრიბუტი _ სათოფურები, რაც «ქუთაისის ციხის» გვიანი შუასაუკუნეების ადრეულ ეტაპზე აგების სასარგებლოდ მეტყველებს.

2. გვიანი შუასაუკუნეების ქუთაისის ფორტიფიკაცია

საკვლევი ეპოქის ქუთაისის გამაგრების სისტემის ნაშრომის მეორე თავის ქრონოლოგიურ ჩარჩოებში განხილვა იმითაა განპირობებული, რომ XVII ს-ის შუახანების შემდეგ მას არსებითი ცვლილება აღარ განუცდია. Aამთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ვ.ბერიძის დასკვნით «მთლიანად ქუთაისი XVI-XVIII საუკუნეებში რამდენადმე «თავმოუყრელი», კომპაქტურობას მოკლებული ქალაქია» (ვ. ბერიძე 1983, გვ. 69), რომლის ცალკეულ ნაწილებს შორის თვალსაჩინო კონტრასტია. დომინანტი და მთავარი ორიენტირი კვლავ ციტადელი და ბაგრატის ტაძარია.

აღნიშნული გარემოება უპირველესად იმითაც არის განპირობებული, რომ საკვლევ ეპოქაში გამაგრების ახალი სისტემა ფაქტიურად ძველის (ჯერ კიდევ IV-VI სს-დან ჩამოყალიბებული) მოდერნიზაციას წარმოადგენს. მოდერნიზაცია ძირითადად მარჯვენა სანაპიროს სისტემას შეეხო. მარცხენა სანაპირო, თუ არ ჩავთვლით საკუთარ გალავანში მოქცეულ «ოქროს ჩარდახს» პრაქტიკულად «ყოველი მხრივ ღიაა» (შარდენი).

ყველაზე მასშტაბური მშენებლობა ძველი ციტადელის ადგილზე წარმოებს. ეპოქის მოთხოვნებიდან გამომდინარე ძველი ციტადელი საფუძვლიანად არის გადაკეთებული და გაძლიერებული. ახალი ციტადელი ძირითად ხაზებში ძველის კონფიგურაციას იმეორებს. უმრავლეს შემთხვევაში გამოყენებულია ჯერ კიდევ IV საუკუნეში აგებული ციხის კედლები. შეკეთებულია მისი დაზიანებული ნაწილები და გარედან მთელ პერიმეტრზე გამაგრებულია ოვალური და სწორკუთხა ბურჯებით (ტაბ. VII; XXV. 1). ციტადელის ჩრდილოეთის, სამხრეთისა და აღმოსავლეთის მხარეები ბუნებრივი დაცულობის გამო განსაკუთრებულ გამაგრებას არ საჭიროებდნენ. ყველაზე საგულდაგულოდ დასავლეთის ადვილმისადგომი მხარეა გამაგრებული. ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ციტადელის გათხრები ჯერ დასრულებული არ არის. გათხრილი მონაკვეთებიდან ყველა ბოლომდე არ არის შესწავლილი და ამდენად არც საკვლევი

პერიოდის საფორტიფიკაციო სისტემაა სრულყოფილად გამოვლენილი. თანაც მთელი კომპლექსი თითქმის საფუძვლამდეა დანგრეული 1770-75 წლებში და რაც ნგრევას გადაურჩა, ნანგრევებით და XIX ს-ის ციხის კედლებითაა დაფარული. ეს გარემოება არ გვაძლევს საშუალებას ამ ეტაპზე დეტალურად დავადგინოდ გეგმა, ბურჯების განლაგება და სხვა ნიუანსები. ეს მხოლოდ გათხრების დასრულების შემდეგ გახდება ასე თუ ისე შესაძლებელი. ამ ეტაპზე კი, რადგანაც ახალი ციტადელი ფაქტიურად ძველის კონფიგურაციას იმეორებს, საილუსტრაციოდ ვიყენებთ გათხრებით გამოვლენილ IV ს-ის ციხის პროფ. ო.ლანჩავას მიერ დადგენილ და დიუბუას გამოხაზულ გეგმებს (ტაბ. I. A. ტაბ. IV). იმის გამო, რომ გალავნის კედლებად სხვადასხვა დროის ნაგებობებია გამოყენებული, მათი სიგანე ყველგან ერთნაირი არ არის. აღმოსავლეთის ყველაზე ძნელად მისადგომ მხარეზე მთლიანად გამოყენებულია IV საუკუნის გალავნის კედელი, რომელიც ამ მონაკვეთში ერთი მეტრის სიგანისაა. ძლიერი დაზიანების გამო გათხრებმა აქ ვერ დაადასტურეს ახალი, მნიშვნელოვანი გადაკეთების კვალი. ამის საჭიროება ფაქტიურად არც იყო. ჩრდილოეთის მხარეს ასევე IV საუკუნის კედელია გამოყენებული. მისი სიგანე ამ მონაკვეთში 1,4 მ-ია და გარედან კლდეზე დასმული, წაგრძელებული, ოვალური ყრუ ბურჯითაა გამაგრებული. ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში კოშკი არ ფიქსირდება. ეს ნაწილი პირდაპირ კლდოვან ქარაფზეა გადადგმული. მიუხედავად იმისა, რომ ეს მონაკვეთი არქეოლოგიურად თითქმის მთლიანადაა შესწავლილი, ჩრდილოეთის კედელზე მიდგმული ბურჯის აზომვა და გეგმის დაზუსტება აღარ ხერხდება. 1770 წლის აფეთქების შედეგად ბურჯიც და ძველი კედელიც თითქმის მთელ პერიმეტრზე ჩრდილოეთითაა ჩაწოლილი. გადარჩენილი ნაწილები კი აქ გათხრების დაწყებამდე მდგარმა თანამედროვე საცხოვრებელმა შეიწირა. შედარებით უკეთაა შემორჩენილი გეგმის დადგენის თვალსაზრისით გალავნის სამხრეთის მონაკვეთი. აქაც თითქმის მთელ პერიმეტრზე გამოყენებულია საფუძვლიანად შეკეთებული IV ს-ის კედელი (სიგანე 1,4 მ.) გარედან ასევე ყრუ ბურჯებით გამაგრებული. ძველი გალავანი ამ მონაკვეთის დასაწყისში (აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით) სწორხაზოვანია და ორი, არათანაბარი ინტერვალებით განლაგებული ოვალური მოხაზულობის ყრუ ბურჯითაა გამაგრებული. იქ, სადაც გალავნის კედელი მკვეთრ

ტეხილს აკეთებს ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით (ისევე როგორც ძველი გალავანი), ერთმანეთის სიახლოვეს ერთი სწორკუთხა და ერთი მრგვალი ბურჯის ფუნდამენტები დადასტურდა. ბურჯების ზედა ნაწილები კედელთან ერთად ფერდობზე დაგვხვდა აყირავებული და მათი აზომვა ვერ ხერხდება (ტაბ.XXVI. 1). სამხრეთისა და აღმოსავლეთის კედლების შეერთების ადგილი სწორკუთხა კოშკით ყოფილა გამაგრებული. ისიც ფერდობზეა აყირავებული და მისგან მხოლოდ ჩრდილოეთის კედლის მცირე ნაწილი შემორჩა, რომელშიც ციხის ეზოში გამავალი კარი იყო გაჭრილი. ზღურბლის მიხედვით (სიგანე 0,9 მ. ტაბ.XXI, XXVI. 2.) კარი შიგნით, კოშკის ინტერიერისაკენ იღებოდა. XIX ს-ის 10-იან წლებში მის ნანგრევებზე მრგვალი კოშკი დააშენეს და ძველი დანგრეული კოშკის ზომების დადგენა აღარ ხერხდება. ერთი ცხადია, კოშკი სწორკუთხა იყო და გალავნის კედლების შიგნით «ჩაწერილი». სამხრეთისა და დასავლეთის კედლების შეერთების ადგილზე თავის დროზე მრგვალი ფორმის, ალბათ შიგნიდან გახსნილი ცენტრალური კოშკი იდგა. რამდენიმე ნაწილად გახლეჩილი მისი აყირავებული ფრაგმენტები თავდაპირველი სურათის აღდგენის საშუალებას აღარ იძლევა (ტაბ.XXVI. 1). შემორჩენილ ფრაგმენტებზე დადასტურებული მცირე ზომის, კარგად დამუშავებული ქვების ჰორიზონტალური რიგებით შექმნილი პერანგი მის ადრეულობაზე მეტყველებს, თუმცა სტრატიგრაფული სურათის დადგენა ამ მონაკვეთში ვეღარ ხერხდება. მის ნანგრევებზე დაშენებული გვიანდელი მრგვალი კოშკი ამ მონაკვეთზე ინტერიერის გათხრის საშუალებას არ იძლევა. დასავლეთისა და ჩრდილოეთის კედლების კუთხეში კოშკი არ ფიქსირდება. შესაძლოა აქ IV საუკუნეში აგებული და V-VI სს-ში გადაკეთებული კოშკის ზედა სართული გამოიყენებოდა. ახლა ამის დადგენა აღარ ხერხდება.

როგორც აღვნიშნეთ, ყველაზე საგულდაგულოდ დასავლეთის ადვილმისადგომი მხარეა გამაგრებული. ზღუდის ამ მონაკვეთში გამოყენებულია V ს-ის გალავნისა და ბაგრატოვანთა სასახლის დასავლეთის კედლები. კედლის სიგანის გაზრდის მიზნით მასზე გარედან ახალი სტრუქტურაა მიწის დონიდან ამოყვანილი. სტრუქტურის გარე (დასავლეთის) ფასადი VI ს-ის დიდი ზომის, მეორადი გამოყენების კვადრებითაა ნაგები. ხაზი ზუსტი არ არის და ძირა საფეხურზე ცოკოლი გამოეყოფა. ახალი სტრუქტურის სიგანე 1,6 მეტრია, ამას დავუმატოთ ბაგრატოვანთა სასახლის კედლის

სიგანე (2,5 მ.) და მივიღებთ 4,1 მეტრის სიგანის გალავნის კედელს, რაც ამ მონაკვეთს დაუძლეველ ზღუდედ ქმნიდა (ტაბ. VI, VII, XXV. 2). ეს მონაკვეთი ინტერიერში აგებულ, ჩრდილოეთიდან სამხრეთით გრძივ ღერძზე დამხრობილი სასახლის დასავლეთის კედელს წარმოადგენდა. 1770-75 წლების ნგრევა-აფეთქების შედეგად ახლა მხოლოდ ძველი კედლებია დარჩენილი. ახალი სტრუქტურა თითქმის ცოკოლამდეა მოხსნილი. ასეთივე სურათია გალავნის ოთხივე მხარეზე, რის გამოც გვიანი შუასაუკუნეების ციხის ზედა ნაწილების მიახლოებითი წარმოდგენა და პარალელურ მასალასთან შედარებაც კი შეუძლებელია. ჩრდილოეთის კედელს ქარაფის გასწვრივ ქვის ფილებით მოკირწყლული ქუჩა გაუყვება (ტაბ. XXV. 1). ქუჩას ჩრდილოეთის კედელში გაჭრილ კართან მივყავართ და ეზოშიც გრძელდება. კარიბჭის დასავლეთით ძველ (IV ს-ის) კედელზე მიდგმული იმდროინდელი ოვალური, ყრუ ბურჯის ძირა ნაწილია შემორჩენილი (ტაბ. XXV. 1). ბუნებრივი მდებარეობის გამო კარიბჭე განსაკუთრებულ დაცვას არ საჭიროებდა. კარიბჭის მონაკვეთი ამჟამად გაუთხრელია იმის გამო, რომ აქედან ტრანსპორტით გათხრებისას დაგროვილი მიწის გატანა ხდება. ამავე მიზეზით ვერ ხერხდება მისი აზომვაც.

ა. იევლევის მიხედვით «ციხე-გალავანს ერთი ალყაფის კარები აქვს რკინის საკეტით» (ა. იევლევის ... 1969, გვ. 140-141). ფაქტიურად იმავეს იმეორებს ნ. ტოლოჩანოვიც (ნ. ტოლოჩანოვის ... 1970, გვ. 117-118) ისე, რომ არც ერთი მის ადგილმდებარეობას არ უთითებს. განვითარებული შუასაუკუნეების ციტადელისა და ბაგრატიონთა სასახლის აღწერისას ა. გაბრიაძე აღნიშნავს, რომ ამ დროს სასახლის დასავლეთის კედელში გაჭრილი 3,5 მ. სიმაღლლისა და 1,6 სიგანის კარით (ტაბ. XXV. 2) სასახლის ინტერიერში და ციტადელის ეზოში შეიძლებოდა მოხვედრა, ჩრდილოეთით კარიბჭის გადატანას კი გვიან შუასაუკუნეებში ვარაუდობს და ამას ნაწილობრივ იმით ხსნის, რომ ციხის დასავლეთ ნაწილში IV-VI სს-ში იყო პროტეიხიზმით დაცული მთავარი კარიბჭე და ახალიც ძველი ტრადიციების გამოძახილია (ა. გაბრიაძე 1999, გვ. 45-49), რაც ძალიან საეჭვოა და არალოგიკური. პირველ რიგში, თუ ეს იყო ციტადელის მთავარი «ბჭისკარი”, მისი ზომები და ეზოს დონიდან დიდი სიმაღლით (ორ მეტრზე მეტი) დაშორება სრულიად გამოუსადეგარი იქნებოდა საჭაპანო ტრანსპორტის, მხედრების და ციხის მცველთა სამოძრაოდ. მეორეც, ასეთ შემთხვევაში ციხეში

ნებისმიერ შემსვლელს უნდა გადაეკვეთა ერთი მეტრის სიგანის გალავნით ფლანკირებული სასახლის ეზო, გაევლო აღნიშნული კარი, სასახლის ინტერიერის კორიდორი (ა. გაბრიაძესთან აღნიშნული კორიდორის არსებობაც საეჭვოა, თუნდაც გეგმის ცუდი დაცულობის გამო) და გასულიყო ციტადელის ეზოში, რაც ყოვლად გაუმართლებლად მიგვაჩნია. ზემოაღნიშნული კარი ჩვენი აზრით ეზოსა და სასახლის ინტერიერის დამაკავშირებელი რგოლია და მეტი არაფერი, თანაც ციტადელის ყველაზე ადვილმისადგომ მხარეზე გაჭრილი. სხვა საქმეა, რომ ამ კარის გავლით დასავლეთის ეზოდან (ტაძრის მხრიდან) ინტერიერის გავლით მართლაც შეიძლებოდა ციხის ეზოში გასვლა, მაგრამ ალბათ მხოლოდ რეზიდენტისა და განსაზღვრული კონტიგენტისათვის.

მთავარი კარიბჭე განვითარებული შუასაუკუნეების ციტადელს გვიანდელის მსგავსად ლოგიკურად ჩრდილოეთით უნდა ჰქონოდა. კარიბჭის გათხრებამდე ეს საკითხი მაინც ღიად უნდა დარჩეს.

საკვლევ ეპოქაში კვლავ Fფუნქციონირებს ციტადელის აღმოსავლეთის, ჯერ კიდევ IV ს-ში (პირველი ეტაპი) ფორმირებული და VI ს-ში დიდკვადროვანი წყობით გადაკეთებული ე.წ. «ცოტა კარი» (ო. ლანჩავა 1996, გვ. 79-84; სურ. 4, 6, 7), საიდანაც საიდუმლო ბილიკზე და წყაროსკენ მიმართულ გვირაბში შეიძლებოდა მოხვედრა. «ცოტა კარზე» გარედან მიდგმული, მეორადი გამოყენების ქვებით აგებული ოვალური მინაშენი თავიდან V ს-ით დათარიღდა. ასევე აისახა პუბლიკაციებშიც (იქვე... გვ. 84. სურ. 6., ა. გაბრიაძე 1999. გვ. 46). 2005-06 წლებში «ცოტა კარისა» და გვირაბის მონაკვეთის გათხრებით დადგინდა, რომ მინაშენი დგას 1770-75 წლების ნგრევის ფენაზე და ამდენად XVIII ს-ის ბოლოს ან სულაც რუსული გარნიზონის მიერაა აგებული. საკვლევი დროის «ცოტა კარის» შესახებ ნაშრომის მესამე თავში უფრო დეტალურად გვექნება მსჯელობა.

კვლევის ამ ეტაპზე არ არის იმის შესაძლებლობა, რომ ციტადელის კომპლექსზე XV-XVII საუკუნეების მონაკვეთში სამშენებლო ეტაპები და არქიტექტურული ფენები გავმიჯნოთ. წერილობითი წყაროებითა (ტოლოჩანოვი და იევლევი) და გრაფიკული მასალით (კასტელის ჩანახატები) სავსებით ცხადია, რომ ალექსანდრე III მეფობის დროს, უფრო კონკრეტულად კი XVII ს-ის 40-50-იან წლებში (თუ უფრო ადრეც არა) კომპლექსის გარეგნული სახით ფორმირება უკვე დასრულებულია.

«ქუთაისის ციხის” (ციტადელის) გარეგნული სახის შესახებ არქეოლოგიური მასალის გარდა კასტელის ნახატებით, ტიმოთე გაბაშვილის რუკით და რუსი ელჩების აღწერილობითაც შეიძლება მსჯელობა. დავიწყოთ კასტელის ჩანახატებით, რომლის სახითაც საქმე გვაქვს XVII ს-ის შუახანების ქუთაისის ამსახველ გრაფიკულ მასალასთან «...რომელთაც დამატებით შუქს ფენს რელაციონში გაბნეული ცნობები». კასტელის 38-ე, 92-ე და 328-ე ნახატები საინტერესო კომენტარებით განიხილა ისტორიკოსმა დ.ხახანაშვილმა (დ.ხახანაშვილი 1984. გვ. 12-49). მისი აზრით ამ სამი ჩანახატის სახით საქმე გვაქვს XVII ს-ის 30-40-იანი წლების ქუთაისთან. 92-ე ნახატის კომენტირებისას ავტორი აღნიშნავს, რომ ან კასტელს არასწორად აქვს ჩახატული ხედი, ანდა იმის გამო, რომ მასზე არ ჩანს დიუბუას მიხედვით «ზედა გამაგრებული ქალაქის” «... სამხრეთით გამოწეული ტერიტორია, მისი ოთკუთხად შემოწერილი გალავნით”, რაც მისი აზრით ბერი ეგნატაშვილთან («... ქუთაისს გალავანი შემოივლო”) და ვახუშტისთან («მოავლო ზღუდე ქუთათისს დიდი”) დადასტურებული ალექსანდრე III ჩატარებული მშენებლობაა, დაასკვნის: «... გასაგებია, რომ კასტელის №92-ე ნახატზე ეს ნაწილი დატანებული არ იქნება, რადგან ნახატი ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ალექსანდრე III მიერ ჩატარებულ ღონისძიებებს” (იქვე... გვ. 17). საპირისპიროდ უნდა ითქვას, რომ ჯერ ერთი კასტელს სრულიად ცხადად ჩახატული აქვს მხოლოდ «ქუთაისის ციხე” (ციტადელი), რასაც წარწერაც ადასტურებს და ამიტომაც აქ არ აისახა «სამხრეთით გამოწეული ტერიტორია მისი ოთხკუთხად შემოწერილი გალავნით», რომლებიც, როგორც გათხრებმა უჩვენა, V-VI სს-ში აგებული «შიდა ქალაქის” გალავნის კედლებია და არა ალექსანდრე III აგებული ზღუდე, რაშიც ჩვენი აზრით ელჩებთან აღწერილი ხის კოშკებით გამაგრებული თხრილი იგულისხმება და სხვა არაფერი.

92-ე ნახატზე მართალია სქემატურად, მაგრამ სრულიად გარკვევით ჩანს სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხიდან დანახული «ქუთაისის ციხის” გათხრებით გამოვლენილი, კოშკებით და ბურჯებით გამაგრებული გალავნის სამხრეთის კედელი, სამეფო დროშა გალავანში «ჩაწერილ” სამხრეთ-აღმოსავლეთის სწორკუთხა კოშკზე, დასავლეთით ბაგრატის ტაძრის გუმბათის სილუეტი და ალბათ ორფერდსახურავიანი დარბაზული ეკლესია ან სასახლის კომპლექსის განაპირა ოთხკუთხა ნაგებობა, რომლის სარკმლები ციხის გალავნის დონეზე მაღლა მდებარეობდა (იხ. ქვემოთ)., გალავნის დაკბილული

პარაპეტის ქვეშ სარკმლების თუ სათოფურების ერთი მწკრივია წერტილებით აღნიშნული. ამჟამად ისინი აღარაა შემორჩენილი (ტაბ.VIII).

38-ე და 328-ე ჩანახატები დ. ხახანაშვილს ძირითადად სწორად აქვს კომენტირებული და დათარიღებული. ორივე მათგანზე შორი ხედით და ძალზე სქემატურად ჩანს «ქუთაისის ციხე" და მის გვერდით თითქმის იმავე დონის გორაკზე დამოუკიდებლად მდგარი შედარებით მომცრო ციხე ან კოშკი, რომელზეც დროშაა აღმართული (38-ე ნახატზე შედარებით უკეთ, 328-ზე ძალზე სქემატურად). ორსავე შემთხვევაში წარწერების მიხედვით («თეათინელთა რეზიდენცია, სამეფო სახლი", «სამეფო ციხე-სიმაგრე, რეგულარული თეათინელი პატრების ეკლესია...") აქ ქუთაისის ციხე იგულისხმება, ხოლო მეორე გორაკზე მდგომი სილუეტი ჩვენი აზრით მხოლოდ მწვანეყვავილას შეიძლება გამოხატავდეს (ტაბ. IX; X).

ტიმოთე გაბაშვილის რუკაზე გამოსახული «ქუთაისის ციხე» მართალია XVIII საუკუნის 30-იანი წლების სიტუაციას ასახავს, მაგრამ თამამად შეიძლება გამოვიყენოდ უფრო ადრეული ხანის სურათის აღსადგენად (შ.ბურჯანაძე 1959 (ა), გვ. 177-198). მეტისმეტი სქემატურობის მიუხედავად მაინც გაირჩევა დაკბილულ პარაპეტებიანი ქონგურები, სათოფურები და ფართოსარკმლიანი ნაგებობები (ალბათ სამეფო სასახლე ტაბ. V).

ციტადელის ფორტიფიკაციის შესახებ განსაკუთრებით ფასეულია ტოლოჩანოვისა და იევლევის აღწერილობა. ტოლოჩანოვის მიხედვით ციხე-გალავნის (Кремль Город) გარშემო «... კედლის გასწვრივ შვიდი ქვის კოშკია, თითოეული 15 საჟენის სიმაღლის იქნება, ხოლო კოშკებს შორის არსებული კედლის სიმაღლე 10 საჟენი იქნება" (ტოლოჩანოვის ... 1970, გვ. 117-118). დაახლოებით იგივეს იმეორებს იევლევიც « ... საკრებულო ტაძრის მიღმა დიდი ქუთათისის ოთხკუთხიანი ციხე-გალავანია. კედლები სიმაღლით 10 საჟენია, სისქით საჟენზე ნაკლები იქნება, გარშემო გალავანზე 7 კოშკია აღმართული სიმაღლით თორმეტ-თორმეტი საჟენიანი იქნებიან" (ა.იევლევის ...1969, გვ. 140-141). ახლა ძნელია თქმა კოშკების სიმაღლის ორი ვარიანტიდან რომელია ზუსტი, თანაც, როგორც «ოქროს ჩარდახის" კოშკის ელჩებისეული სიმაღლის შესახებ (15 საჟენი = 32 მეტრამდე) ვ. ბერიძე აღნიშნავს, 15 საჟენი კოშკებისათვის ფანტასტიკური სიმაღლეა, «... მაშინ როცა იმდროინდელი ყველაზე მაღალი კოშკები 20 მეტრს არ

აღემატება” (ვ.ბერიძე 1983. გვ. 230-231). თუ იევლევის მოცემულ სიდიდეს (12 საჟენი = დაახლ. 25 მეტრამდე) შევუდარებთ ციხის სამხრეთის რთულ რელიეფზე ნგრევას გადარჩენილი გალავნის შემორჩენილ სიმაღლეს (10 მეტრამდე), მაშინ შეიძლება ელჩების მიერ მიახლოებით მოტანილი ზომები ფანტასტიკურად სულაც არ მოგვეჩვენოს.

ელჩებთან მოხსენიებული 7 კოშკიდან 5 ფაქტიურად ძველ გალავანზე გარედან მოდგმული ოვალური ყრუ ბურჯია, რომლებიც შესაძლოა ზედა სართულებში შიგნიდან გახსნილი ყოფილიყო ციხის მცველთა სამოძრაოდ, როგორც ეს ხშირად დასტურდება XVI-XVII სს-ის ძეგლებზე. მაგ.: ლარგვისის ნახევარწრიულ კონტრფორსებს 4 მეტრის სიმაღლეზე პატარა მოედნები აქვთ ალყის დროს სათვალთვალოდ და საბრძოლველად. (П. Закараия 1969, გვ. 111-112). საბრძოლო ბილიკებზე გასასვლელად გალავანზე მიშენებული კიბე ამ ეპოქაში იშვიათია და არც «ქუთაისის ციხის” შემორჩენილ კედლებზე დასტურდება. ამ ფუნქციას როგორც ჩანს ხის კონსტრუქციები ასრულებდა. სამეფო სასახლის მონაკვეთში კი საბრძოლო ბილიკებზე გასვლა სასახლის სათავსოებიდანაც შეიძლებოდა, რასაც ერთ-ერთი შედარებით უკეთესად შემორჩენილი სათავსოს კედელში სპეციალურად ამ მიზნით გაჭრილი კარიც ადასტურებს (იხ. ქვემოთ).

ციტადელის თავდაცვითი სისტემის თარიღის შესახებ კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ მის შემორჩენილ ნაწილებზე არ დასტურდება ცეცხლსასროლი იარაღის გაჩენის დროის სათოფურები და არც ამ გარემოებით ნაკარნახევი ზოგადი კანონზომიერებები (იხ. ვ.ბერიძე 1983 გვ. 89-108) ასახულა გამოკვეთილად. კერძოდ: არ ჩანს ციხის გარე პერიმეტრზე «გატანილი” კოშკები, ცეცხლსასროლი იარაღისათვის გათვალისწინებული გარედან მიდგმული კოშკები აქ არ დასტურდება. გათხრებით დადასტურებული გარე კონტრფორსები მხოლოდ ძველი გალავნის გამაგრების მიზნითაა აგებული და თანაც ზემოთაც არ ვიწროვდება, როგორც XVII-XVIII სს-ის ძეგლებს ახასიათებს (იქვე... გვ. 109). ისინი არც მკვეთრად თანაბარი ინტერვალებით არიან განლაგებულნი (იქვე ... გვ. 106). რუს ელჩებთან დასახელებული კოშკების და კედლებს ერთი შეხედვით გადაჭარბებული ზომები იმითაცაა განპირობებული, რომ

ჩვეულებრივ «შიდა ციხის» ნაგებობები ციხე-ქალაქის დანარჩენ ნაწილებზე მაღალი უნდა იყოს.

ვფიქრობთ აღნიშნული გარემოებებიც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ «ქუთაისის ციხე” XVI ს-ზე უფრო ადრეა აგებული, თუმცა არც გვიანდელი გადაკეთებებია გამორიცხული, რისი დადასტურებაც დღეს აღარ ხერხდება ძეგლის უაღრესად ცუდი დაცულობის გამო.

რაც შეეხება მარჯვენა სანაპიროს «შიდა” და «ქვედა” ქალაქების გამაგრების სისტემას: საკვლევ ეპოქაში გათხრების ამ ეტაპზე არ ჩანს რაიმე მასშტაბური მშენებლობის კვალი, განსაკუთრებით «შიდა ქალაქის” ტერიტორიაზე. ქალაქის ამ ნაწილებში კვლავ მოქმედებდა V-VI სს-ში ჩამოყალიბებული საფორტიფიკაციო ნაგებობები, შესაძლოა ზოგ ადგილებში ხის კონსტრუქციებით გამაგრებული.

ა. იევლევის აღწერით «დიდი ქუთათისის” «... ციხე-გალავანი ქვის არის გალავნის კედლები სიმაღლით სამი საჟენი (შვიდ მეტრამდე რ.ი.) იქნება. ციხის კედელს ერთი «დიდი საჟენი” სისქე ექნება (V-VI სს-ის გალავნის სიგანე 2,4 მეტრი რ.ი.) ... ციხე-გალავანზე 15 დიდი და მცირე კოშკია...” (ა. იევლევის 1969, გვ. 136).

ტოლოჩანოვის მიხედვით «ქუთაისის დიდი ციხე-გალავნის გარშემო წრე ვერსტნახევარი იქნება... დიდი ციხე-გალავნის და თვით ციხე სასახლის გარშემო მდინარე რიონის ზემო ნაწილიდან თხრილია გაკეთებული ქვევით მიმავალი ქუთაისის მცირე ციხემდე, შემდეგ თხრილი მდინარე რიონს ქვემოთაც მოემართება და გარეუბნის სოფლებსაც გარშემოუყვება და შემდეგ ისევ რიონამდეა მოყვანილი, დიდი ქუთაისის ციხე-გალავანს ზემოთ და მეფის სულიერი მოძღვრის ზაქარია მიტროპოლიტის საცხოვრებელ სახლამდე. თხრილს ორი «ირიბი” საჟენის (ხუთი მეტრი ვ.ბერიძის გამოთვლით რ.ი.) განი აქვს, ხოლო სიმაღლე ერთი «ირიბი” საჟენი (ორ მეტრამდე) თხრილის გასწვრივ ქალაქიდან გამომავალ გზებზე ხის კოშკებია.”

როგორც ამ პასაჟიდან ჩანს, ხის კოშკებით გამაგრებული თხრილი რიონის ორსავე ნაპირზე გაშლილ ქალაქს და გარეუბნებსაც შემოსაზღვრავდა. ჩვენი აზრით ეს დამატებითი სისტემა სწორედ ის ზღუდე უნდა იყოს, რომელიც ალექსანდრე III ააგო დადიანის თავდასხმებისგან ქალაქის დასაცავად: «...ქუთაის[ს] გალავანი შემოივლო...” და «... იყოფებოდა ქუთაის[ს] აღმშენებელი ზღუდისა... ყოველივე თანა ჰყვის გარე

შეზღუდვილსა მას შინა შიშისათვის დადიანისა” (ქართლის ცხოვრება 1959, გვ. 28); «...მოავლო ზღუდე ქუათაის[ს] დიდი...”(ვახუშტი ბაგრატიონი 1973, გვ. 829). ფიქრობთ ეს სისტემა იგულისხმება ლევან III დადიანის მიერ მოჭედილ მთავარანგელოზთა ხატის წარწერაში, სადაც აღწერილია დადიანის ლაშქრის თავდასხმა «ქუთაისის ციხეზე”. დადიანი აღნიშნავს, რომ იმერელი «...მეთოფეები... ციხესა და ჯებირებიდან იდგნენ... ზედან სასახლეს (იგულისხმება ციტადელის სამეფო სასახლე რ.ი.) ზარბაზნები ვერ მივუტანეთ, მისატანი ალაგი არ ქონდა...” (საქართველოს ისტორიის ნარკვევები 1973 გვ. 337-338).

როგორც ტოლოჩანოვის აღწერილობიდან ჩანს ქვითკირის გალავნის გარდა ქალაქს თხრილი იცავდა, რომელზეც ხის კოშკები იდგა. ხის კოშკები საერთოდ დიდი იშვიათობაა და საქართველოში «რეალურად უცნობია”(ვ. ბერიძე 1983, გვ. 94), რაც კიდევ უფრო ზრდის ამ წყაროს მნიშვნელობას. თხრილის კვალი XVIII ს-ის 70-იან წლებში უკვე წაშლილია: «...ქალაქს თხრილი არ გასდევს” აღნიშნავს 1770 წლის ლაშქრობაში ტოტლებენის ადიუტანტი დე გრაი დე ფუა (დე გრა დე ფუა 1985, გვ. 57-58). მას არც გიულდენშტედტი იხსენიებს. ჩანს მისი აგება მხოლოდ კონკრეტული საჭიროებით (დადიანის გახშირებული თავდასხმები) იყო განპირობებული.

მარჯვენა სანაპიროს «ქვედა ქალაქის” გალავნის კედლებიც V-VI საუკუნეშია ფორმირებული და საკვლევ ეპოქაშიც ფუნქციონირებდა. განსაკუთრებულ თავდაცვით სისტემას შეადგენდა ქალაქის ორი ნაწილის დამაკაშირებელი «ხიდის კარი” და «ჯიხურები” (შ. ლომსაძე 1979, გვ.129). ხაზგასმულია მისი მნიშვნელობა ტ.გაბაშვილის რუკაზეც: «ხიდის კარი და კოშკი” [(შ. ბურჯანაძე (ა), გვ. 182) ტაბ. V].

დიუბუას გეგმის მიხედვით (ტაბ. I. 33 ?) აშკარად ჩანს ორი კოშკი ხიდის ორსავე მხარეზე, რომელთაგან მარჯვენა სანაპიროს კოშკი მართალია ამ უბნის შემომსაზღვრელი გალავნის კედლებში (ტბ. I. 15, 20) მოქცეული ტერიტორიის გარეთ რჩება, მაგრამ დაცული იყო ბუნებრივი ზღუდით. მარცხენა სანაპიროს კოშკის ერთი ნაწილი 2005 წელს აღმოჩნდა დღევანდელი ჯაჭვის ხიდის ჩრდილოეთით ნაპირსამაგრი სამუშაოების დროს, თუმცა მისი გათხრა ვერ მოხერხდა. დავაფიქსირეთ მხოლოდ მდინარისპირა კედლის ძლიერ დაზიანებული ნაშთი.

მარცხენა ნაპირზე არსებული ქალაქი წყაროების მიხედვით ფაქტიურად გაუმაგრებელი იყო. ალექსანდრე III დროს აგებული ხის კოშკებიანი თხრილი, რომელიც ტოლოჩანოვის საკმაოდ ბუნდოვანი აღწერით, ქალაქის ამ ნაწილსაც შემოსაზღვრავდა, XVII ს-ის 70-იან წლებში უკვე აღარ ჩანს. ყოველ შემთხვევაში ჟან შარდენი მის შესახებ არაფერს ამბობს. «...ქუთაისი მდინარე ფაზისის ნაპირზე მთის ძირას გაშენებული ქალაქია... ირგვლივ დიდებულთა სახლები და მეფის სასახლეა, რომლებიც ახლოს დგანან ერთმანეთთან. ამ ქალაქს არც ციხესიმაგრე აქვს და არც გალავანი. იგი ყოველი მხრიდან ღიაა, გარდა იმ მხარისა, რომელთაც მდინარე და მთა აკრავს". (ჟან შარდენი... 1975, გვ. 282).

მარცხენა სანაპიროზე არსებულ ქალაქში გალავნით მხოლოდ «ოქროს ჩარდახის" სამეფო რეზიდენცია იყო გამაგრებული. იევლევის მიხედვით «ციხე ქვისაა, მდინარე რიონზე გადამდგარი მთების ძირას... ციხის გალავანზე ორი კოშკია აღმართული. ერთი კარიბჭეა, რომელზეც ერთი მცირე ყალიბის ზარბაზანი დგას, მეორე კოშკს 15 საჟენი ექნება სიმაღლე. მასზე სამი ისეთივე ყალიბიანი ზარბაზანი დგას" (ა. იევლევის... 1969, გვ. 136). ნ.ტოლოჩანოვის მიხედვით «გალავანს ერთი ჭიშკარი აქვს ქვის და იმ ალაყაფის კარებზე ქვის მრგვალი ბურჯია" (ნ. ტოლოჩანოვის ... 1970, გვ. 109-110). გალავანზე ზურგით მიდგმული მეფის სასახლის ყრუ კედლის მეორე სართულზე «...სათოფურებია გაკეთებული თავდასხმის შემთხვევისათვის" (იქვე... გვ. 109-110).

ტიმოთე გაბაშვილის რუკაზე რეზიდენციის გამაგრების სისტემა არაა დატანილი. გიულდენშტედტის მიხედვით «ოქროს ჩარდახი" 300 ნაბიჯის სიგრძის მრგვალი კედლითაა გარშემორტყმული და «გალავნის კარებზე არის პატარა სამრეკლო კოშკი" (გიულდენშტედტის... 1962, გვ. 139-149). დიუბუას გეგმაზე კი (ტაბ. I. D) ესაა ტრაპეციის ფორმის ტერიტორია («ძველთაძველი გალავნითა და თხრილით, რომელთა კვალი აღარ ჩანს") ზედ რიონის პირზე, რომლის სიგრძე დიუბუას გეგმის მიხედვით ნახევარ კილომეტრამდეა, ფართობი კი 14.300 მ. (ვ. ბერიძის გაანგარიშებით. ვ.ბერიძე 1983, გვ. 69).

სულ ესაა, რაც ამ ეტაპზე წყაროებითა და არქეოლოგიური მასალებით საკვლევი ეპოქის ქუთაისის ფორტიფიკაციაზე შეიძლება ვთქვათ. თავიანთი გამაგრება ჰქონდათ გარეუბნებსაც (იხ. ქვემოთ).

3. ციტადელის კომპლექსიP

როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ციტადელის კომპლექსის ჩამოყალიბება XV ს_ის შუახანებიდან იწყება და XVII ს-ის შუახანებისათვის უკვე თითქმის დასრულებული სახე აქვს. კვლევის ამ ეტაპზე არ ხერხდება ციტადელის საფორტიფიკაციო და სხვა ნაგებობების სამშენებლო ეტაპების გამიჯვნა დროის მოცემულ მონაკვეთში (XV-XVII სს). სავარაუდოა ბევრი რამ გაკეთდა მეფე ბაგრატ III (1510-65) დროსაც.

გათხრების ამ ეტაპზე ციტადელის შიგნით ფიქსირდება სამეფო სასახლის, აბანოს, ეკლესიის, მარნების და ერთი ჯერჯერობით გაურკვეველი დანიშნულების ნაგებობის ძლიერ დაზიანებული ნაშთები. მათი უმრავლესობა 1770-75 წლებში ისეა დანგრეული, რომ ხშირ შემთხვევაში გეგმის დაზუსტებაც ვერ ხერხდება.

იმერეთის მეფეთა სასახლე ციტადელის ზედა ტერასაზე, ბაგრატიონთა X-XI სს-ის სასახლის ნანგრევებზეა დაშენებული, დამხრობილია ჩრდილოეთიდან დასავლეთისაკენ და დასავლეთით და სამხრეთით გალავნის კედლებს ებჯინება (ტაბ. VI, VII). გვიანი შუასაუკუნეების სასახლეების უმრავლესობა გალავანზე ზურგითაა მიყრდნობილი. უმეტეს შემთხვევაში ეს გარემოება ადგილის სიმცირით არის განპირობებული. ამასთან ციხეში მდგარი სასახლეები გარკვეულწილად გამაგრების სისტემის ერთ-ერთი ელემენტიცაა. ასეა ქუთაისშიც. რუსი ელჩების ცნობით «მეფის დარბაზები ციხის კედლებზეა გაშენებული. დარბაზებში კედლის მხატვრობა ყოფილა" (ა. იევლევის... 1962 გვ. 140-141).

სასახლის კედლები ძველ სტრუქტურაზეა დაშენებული და იმდენადაა დანგრეული, რომ ძველის და ახლის გამიჯვნა ძალიან ძნელია. სასახლე თავის დროზე ორსართულიანი ყოფილა ისე, როგორც განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების ამ ტიპის ნაგებობათა უმრავლესობა. ამჟამად შემორჩენილია მხოლოდ პირველი სართული, სადაც მარანია გამართული. ზედა სართულის ოთახები საცხოვრებლად იქნებოდა გამოყენებული. სართულშუა გადახურვა სავარაუდოდ ხის იყო, რადგანაც პირველი სართულის შემორჩენილი კედლები თაღოვანი გადახურვის ელემენტებს არ შეიცავენ. ნაგებობის გრძივ ღერძზე დამხრობილი გეგმა, ოთახების ანფილადურ განლაგებაზე მიუთითებს. ეს წესი წინა ხანების ქართულ არქიტექტურაშიც ვლინდება და საკვლევ ეპოქაში პრაქტიკულად გაბატონებულია (ვ. ბერიძე 1983, გვ. 216). ქუთაისის

მაგალითზე ეს კარგად ჩანს «ოქროს ჩარდახის" იმ სასახლეზე, რომელიც გალავანზე ზურგით იყო მიყრდნობილი და სადაც მეფე ცხოვრობდა (იქვე... გვ. 229). ყველა ოთახის გეგმის დადგენა ახლა აღარ ხერხდება. სასახლის ჩრდილოეთი ნაწილი ძლიერ დანგრეულია და სადამდე გრძელდებოდა არ ვიცით. სამხრეთის ნაწილი მრგვალ კოშკთან ერთადაა აყირავებული და ზემოდან XIX ს. ციხის კედლები და კოშკი აზის, ამიტომაც მისი გათხრა ბოლომდე ვეღარ ხერხდება. ამ ეტაპზე ასე თუ ისე გაირკვა ტიხრით გაყოფილი ორი საშუალო ზომის სათავსი (6X6,5 და 6X4,5 მეტრზე) სასახლის ჩრდილოეთის ნაწილში, ერთი დიდი დარბაზი ცენტრალურ ნაწილში (დაახლ. 12X10 მ.), სხვადასხვა ზომის ორი მომცრო სათავსი სამხრეთ ნაწილში, რომელთაგანაც ერთ-ერთს ჩრდილოეთის კედლის ინტერიერში ორი თახჩა აქვს დატნეული. ერთი სწორკუთხაა, მეორეს კი თაღოვანი ჭერი აქვს (ტაბ. XXVII. 1). ეს სათავსი ზურგით ციხის დასავლეთის კედელზეა მიბჯენილი. მისგან აღმოსავლეთით, პარალელურად, მეორე შედარებით მცირე ზომის (სიგრძე არ იზომება) ვიწრო სათავსია, მიწატკეპნილი იატაკით. იატაკზე ფიქსირებული დანახშირებული ძელის ფრაგმენტი მიუთითებს, რომ სართულშუა გადახურვა ხის იყო. ამ სათავსის ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში შემორჩენილი ქვის კიბით ალბათ მეორე სართულზე შეიძლებოდა ასვლა. ამავე სათავსის აღმოსავლეთის კედლის ჩრდილო ნაწილში გაჭრილი კარით ფართო, ოთხკუთხა, განაპირა სათავსში შეიძლებოდა მოხვედრა. ეს სათავსი საერთო სივრციდან აღმოსავლეთითაა «გატანილი" (ტაბ. VI; XI). იგი ზომით ყველაზე დიდია, შემორჩენილი აქვს სამი კარი და აგურის იატაკი. კედლები მეორადი გამოყენების ქვებითა და მტკიცე დუღაბითაა ნაშენი. დასავლეთის კედლის ინტერიერში, რომელიც ზურგით სასახლის ძირითად სათავსებს ებჯინებოდა, ორი დანგრეული სწორკუთხა თახჩა შემორჩა ერთმანეთის გვერდით, კედლის ცენტრალურ ნაწილში. ისინი იატაკიდან 0,7 მეტრის სიმაღლეზე იწყება (ზომები: სიგანე 0,8 მ., შემორჩენილი h=0,5 მ. მეორეს ზომებია: სიგანე 0,9 მ., შემორჩენილი h=1,2 მ. ტაბ. XI). სათავსს კირხსნარის მკვრივ ფენაზე დადებული, კარგად ნიველირებული აგურის იატაკი აქვს. იატაკი ძლიერ დაზიანებულია და მხოლოდ ორიოდე ადგილზე მოხერხდა აგურების გაზომვა (26X24X4 და 22X22X4). ესაა ე.წ. ქართული კვადრატული აგური, რომელიც ფართოდ გამოიყენება ყველა სახის ნაგებობაში. სულ ახლო პარალელად გრემის შადრევნიან

პავილიონზე გამოყენებული აგურიც (22X22X4) გამოდგება (ლ. ჭილაშვილი 1980. გვ. 93-95)

აგურის იატაკიან სათავსს მისი შედარებით დიდი ზომებიდან (17,3X13,2 მ.) გამომდინარე პირობითად «დიდი დარბაზი» («განაპირა ნაგებობა») ვუწოდეთ. დარბაზის კედლების სიგანე 0,9 მ-ია, მაქსიმალურად შემორჩენილი სიმაღლე 1,6 მ. მომდევნო ეტაპის მშენებლობის დროს ისიც ძლიერაა დაზიანებული. ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხის დიდი ნაწილი კვარტალური დასახლების და XIX ს. 10–ან წლებში ამ ადგილზე აგებული ოფიცერთა სადგომის (იხ.ქვემოთ) მიერ თითქმის ფუნდამენტამდე მოხსნილი. სამხრეთ-აღმოსავლეთის ერთ ნაწილს XIX ს-ის ციხის კედლები ფარავს. სამხრეთ-დასავლეთის კუთხე, რომელიც გალავანზე გადიოდა, მასთან ერთადაა 1770 წელს დანგრეული. «დარბაზს» სამი კარი აქვს შემორჩენილი. ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში გაჭრილი კარით სასახლის წაგრძელებულ მომცრო სათავსში შედიოდნენ, აქედან კი ქვის კიბით მეორე სართულზე შეიძლებოდა მოხვედრა. კარის სიგანე 0,8 მეტრია და ქვის ზღურბლი აქვს. მეორე კარი ჩრდილოეთის კედელშია გაჭრილი. ზღურბლზე დარჩენილია ხის ჩარჩოს ჩასამაგრებელი ფოსოები. კარის სიგანე 1,2 მეტრია და VI ს-ის, მეორადი გამოყენების კვადრებითაა ნაგები. იგი ეზოში, კარიბჭისკენ იყო «გახსნილი». მესამე კარი (სიგანე 0,8 მ.) სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეშია. აქაც შემორჩენილია ზღურბლი. ამ კარით უკვე «დარბაზსა» და გალავნის კედლებს შორის დარჩენილ ტრაპეციის ფორმის მონაკვეთზე და საბრძოლო ბილიკზე შეიძლებოდა გასვლა. აღმოსავლეთის კედელში კიდევ ერთი, რიგით მეოთხე კარი უნდა ყოფილიყო. ამას ადასტურებს კირხსნარითა და ნატეხი ქვებით შედგენილი ორ მეტრამდე სიგანის ბილიკი, რომელიც აღმოსავლეთის კედლის ცენტრალური ნაწილიდან ეზოში მდგარი აბანოსკენ მიემართებოდა. ბუნებრივია ბილიკის დასასრულს «დარბაზის» აღმოსავლეთის კედელშიც ეზოში გამავალი კარი უნდა ვიგულისხმოთ. კედელი აქ ფუნდამენტამდეა «წაშლილი».

«დარბაზი» სიგრძეში ჩრდილო-სამხრეთის ხაზზეა ოდნავ (4 მეტრით) წაგრძელებული. გადახურვა ორფერდა უნდა ყოფილიყო. «დარბაზის» ცენტრში სახურავის საყრდენი კონსტრუქციის კვალი ახლა არ ჩანს. არც სართულთა რაოდენობის დადგენა ხერხდება. ვფიქრობთ სწორედ ეს დარბაზი მოჩანს კასტელის 92-ე ნახატზე

(ტაბ. VIII), რომელიც გალავნის პარალელურად დგას, ორფერდა გადახურვა აქვს ფრონტონით აღმოსავლეთ მხარეზე, სამხრეთის და აღმოსავლეთის კედლებში ფართო სარკმლები უჩანს, რომლებიც გალავნის ზემოთაა აწეული. შესაძლოა ეს ფაქტი ნაგებობის ორსართულიანობაზე მეტყველებდეს. მისგან ჩრდილოეთით მოჩანს ორფერდად გადახურული ნაგებობის აღმოსავლეთ ნაწილის კუთხე. ვფიქრობთ ეს «დარბაზის» ახლოს, ჩრდილოეთით მდგარი ეკლესიის კონტურია.

სასახლის ძირითადი ნაწილის (სიგრძე 38 მეტრი, სიგანე 13 მეტრი) შიდა ელემენტებზე მსჯელობა შეუძლებელია ცუდი დაცულობის გამო. ზოგად შტრიხებში (გალავნის კედელთან კავშირი, ორსართულიანობა, ორფერდა გადახურვა, ძირა სართულის სამეურნეო დანიშნულება და სხვა) სასახლე ძირითადად ანალოგიურია ამ ეპოქის სხვა სასახლეების და რეზიდენციებისა (იხ. ვ.ბერიძე 1983, გვ. 216-255 პ. ზაქარაია 1963). სასახლის ძირითადი ნაწილი ფასადით ეზოში, ეკლესიისკენ იხსნებოდა. ამ მხარეზე ექნებოდა სარკმლებიც. დასავლეთის კედელი, რომელიც ფაქტიურად გალავანს წარმოადგენდა, ადვილმისადგომი მხარის გამო უსარკმლო უნდა ყოფილიყო. ამ მხარეს მხოლოდ საისრეები ან სათოფურებია მოსალოდნელი, დაახლოებით ისე, როგორც «ოქროს ჩარდახის" გალავანზე მიდგმულ ორსართულიან სასახლეზე (იხ. ქვემოთ).

სასახლის გადახურვაში ვფიქრობთ მოჭიქული კრამიტი იყო გამოყენებული. არც ერთი მთელი ფორმა ამ ეპოქისა არ შემონახულა. ნანგრევებში და ფერდობებზე მხოლოდ სოლენის ტიპის ძლიერ დამსხვრეული მოჭიქული კრამიტების ფრანგმენტები აღმოჩნდა. ისინი დამზადების ხარისხით და თიხის შემადგენლობით ძლიერ ჩამოუვარდებიან განვითარებული შუასაუკუნეების ქუთაისურ კრამიტებს. უმრავლესობა ზედაპირზე ღია ყავისფრად ან ღია მომწვანოდ (ტაბ. XXVIII. 2), თხელი ფენითაა მოჭიქული. მოჭიქული კრამიტები არცთუ იშვიათადაა გამოყენებული მაღალი რანგის რეზიდენციათა გადახურვაში. დადასტურებულია ისინი გრემშიც, სადაც გამოყენებულია ორივე სახის მოჭიქული კრამიტი. არის ცისფრად და მწვანედ მოჭიქული ცალები (ლ.ჭილაშვილი 1980, გვ. 126). ქუთაისური კრამიტების ჭიქური საკმაოდ ხარისხიანია. სავარაუდოდ, ჭიქურიანი კრამიტით სხვა ნაგებობებიც იქნებოდა დახურული. საერთოდ კრამიტის მოსაჭიქავად დიდი რაოდენობის თხევადი მინაა

საჭირო და ეს გარემოება ეკონომიკურ სიძლიერესა და შესაძლოა ადგილობრივ წარმოებაზეც მიუთითებდეს. სასახლეში არქეოლოგიური მასალა თითქმის არ დაგვხვედრია. მხოლოდ მარნის გაწმენდისას აღმოჩნდა ორი პირგადაშლილი, დაბალქუსლიანი, ბრტყელძირიანი (ტაბ. XXVII. 1), მომწვანოდ მოჭიქული სელადონის ღრუქუსლიანი თასი (ᲗᲐ. d=17,5სმ, h=16სმ, ქ.d=7.3სმ. ტაბ. XXXI. 2), ქვევრის ხისა (ტაბ. XXXII. 2) და ქვის (d=35სმ, ზემოდან აზის ოთკუთხა სახელური, ტაბ. XXXII. 1) სარქველები და სხვა. ეს მასალა ზოგადად XVI-XVII სს—ით თარიღდება. სელადონი საქართველოში საერთოდ იშვიათია და ქუთაისშიც მხოლოდ ეს ერთი თასია აღმოჩენილი. მისი კეცი თეთრია და არა მოვარდისფრო ან მოყავისფრო (ქირმანული), რაც ჩინური სელადონის ირანულ მინაბაძებს ახასიათებთ. ჩინური სელადონის კეცი მონაცრისფრო ტონალობისაა (К.Кверфелд 1947). გვიანი ხანის სელადონი აღმოჩენილია გრემშიც (ლ. ჭილაშვილი 1980, გვ. 136-138).

XVI-XVII სს. ფენებში და სამარხებში აღმოჩენილია ბრტყელძირიანი, პირმოყრილი და პირსწორი ჯამები (ტაბ. XXIX. 1. 2.). ქუსლზე ეტყობათ ჩარხიდან მოჭრის კვალი. ასეთი ქუსლები ქუთაისის ნაქალაქარზე ჯერ კიდევ XIII-XIV სს-ის კომპლექსებში ჩნდება, საკვლევ ეპოქაში ქუსლები კიდევ უფრო უხეშია. ანალოგიური მასალაა გრემში (იქვე... გვ. 118), არაგვის ხეობაში (მასალა გაგვაცნო ბატ. რ. რამიშვილმა), უფლისციხეში, სკანდის ციხეზე (მასალა გაგვაცნო ზ.ბრაგვაძემ) და სხვ. ჩანს თიხის ბრტყელძირა ჯამები ფართოდაა გავრცელებული გვიანი შუასაუკუნეების საქართველოში (თ. არჩვაძე 1978, გვ. 111-133). ბრტყელძირა ჯამების მცირე ნაწილი თეთრკეციანია (ტაბ. XXIX. 2). ისინი XVIII ს-ის ფენებში უკვე აღარ დაგვხვდება.

XVI-XVII სს-ის ქუთაისურ დოქებში წამყვანი ფორმა სამტუჩაა. აქვთ ოდნავ გრეხილი, მრგვალგანიკვეთიანი ყური და ტუჩს ქვემოთ და ყურის ორივე მხარეს მეჭეჭები აზით. მუცელი მხრების არეში აქვთ გამობერილი. ყელის და მხრების არეში ზოგჯერ ნაკაწრი ორნამენტით არიან შემკული და თეთრი წერნაქით მოხატული (ტაბ. XXX. 1, 2).

სამტუჩა დოქები ყველაზე გავრცელებული ფორმაა გრემის მასალებშიც (ლ. ჭილაშვილი გვ.121) დოქების მეორე სახეობა მცირე ზომისაა, აქვთ მაღალი ვიწრო ყელი,

მრგვალი პირი, ბიკონუსური მუცელი და ბრტყელი ძირები. მოხატული არიან თეთრი საღებავით (ტაბ. XXXI. 1).

ქუთაისის ნაქალაქარზე (ძირითადად ციტადელში) გამოვლენილი გვიანი შუასაუკუნეების მოჭიქული კერამიკა ფართო ასორტიმენტით არ გამოირჩევა ძირითადად გვხვდება მოჭიქული კრამიტი და ბრტყელძირა ჯამები. სჭარბობს მწვანედ და ყავისფრად მოჭიქული ჯამები. უმეტესად მოჭიქულია შიდა მხარე და პირის კიდე დაუდევრად, ნაღვენთებით. ჭიქური ძირითადად ანგობის გარეშეა პირდაპირ კეცზე გადავლებული. ზოგიერთ მოჭიქულ ჯამებზე შემორჩენილია სამფეხას კვალიც. ძირითადად ასეთივე სურათია სხვა ძეგლებზეც. მაგ: გრემში, სადაც ჭარბობს ყავისფერი, უმრავლესობა ანგობზეა მოჭიქული. ზოგიერთ მოჭიქულ ჯამებზე აქაც დასტურდება სამფეხას კვალი. არის თეთრკეციანი მოჭიქული ჭურჭელიც (ლ. ჭილაშვილი, გვ. 129 და შემდეგ), რაც ქუთაისში არ დასტურდება. მრავალფრად მოჭიქვის ტრადიცია ქუთაისში უკვე აღარ ჩანს. საერთოდ ამ პერიოდში ჭურჭლის მოჭიქვის ხელოვნება დეგრადაციას განიცდის, რაც ძირითადად ფაიანსის ნაწარმის მოზღვავების შედეგია (მ. მიწიშვილი 1998, გვ. 82-95).

სასახლის აღმოსავლეთ ფასადის წინ ციტადელის ცენტრალურ ტერასაზე იდგა XIII ს-ში აგებული ერთნავიანი დარბაზული ეკლესია (ა. გაბრიაძე 1998, გვ. 88-91, ა. გაბრიაძე 1999, გვ. 51-57), საკვლევ ეპოქაში არაერთხელ გადაკეთებული (იხ. ქვემოთ, თავი III). რუსი ელჩების ცნობით ეკლესია წმინდა გიორგის სახელობისაა და შიგნიდან მოხატულია. იგი სასახლის კარის ეკლესიაა და ხშირად მეფის ბეჭდით დაბეჭდილი (ა. იევლევის ... 1969, გვ. 140-141). განმეორების თავიდან აცილების მიზნით მასზე დაწვრილებით აღარ შევჩერდებით (ტაბ. VI-VII).

სამეფო სასახლის კომპლექსში შედიოდა აბანოც, რომლის ძალზე ცუდად დაცული მცირე ნაშთი ჩანს სასახლის «დიდი დარბაზის” სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხის ახლოს და მას მოკირწყლული ბილიკით უკავშირდებოდა, რომელიც აბანოს კარის ზღურბლთან მთავრდება. ზღურბლი ერთი მეტრის სიგანისაა, ერთიანი მონოლითისგან არის გამოთლილი და ხის ჩარჩოს ჩასამაგრებელი ნახვრეტი აქვს. კარი გარეთ, ეზოსკენ იღებოდა. აბანოც, ისევე როგორც სასახლე, მეორადი გამოყენების ქვებითაა ნაგები, ზურგით არის გალავნისკენ მიმართული და ისეა დანგრეული, რომ გეგმის

მიახლოებითი წარმოდგენაც არ ხერხდება. ნგრევას გადარჩენილ ნაწილებს თითქმის მთლიანად ფარავს XIX საუკუნის ციხის კედელი და მხოლოდ 50 სმ-ს სიგრძეზე ხერხდება ჰიდრავლიკური ხსნარით შელესილი ავზის ინტერიერისათვის თვალის გადევნება. სწორედ ამ შელესილობის მიხედვით ვფიქრობთ, რომ აქ აბანო იყო.

აბანოსა და გალავნის სამხრეთ-აღმოსავლეთის კოშკს შორის მონაკვეთში, გალავანზე შიგნიდან მიდგმული, სწორკუთხა, მასიურკედლებიანი ნაგებობა გაითხარა. მისი სამხრეთის ნაწილი მთელ სიგრძეზე გალავანთან ერთადაა განადგურებული. ნაგებობა გალავნის გასწვრივაა წაგრძელებული (სიგრძე 12,5 მ., სიგანე დაახლ. 6 მ. კედლების სიგანე 1,25 მეტრია), გარედან ოდნავ გამოზიდული ცოკოლი გამოეყოფა. იატაკის დონე აღარ შემორჩენილა (მასზე თანამედროვე საცხოვრებელი სახლი იყო მიდგმული). მისი აღდგენა ჩრდილოეთის კედლის ცენტრში გაჭრილი 2 მეტრის სიმაღლის და ერთი მეტრის სიგანის ქვის ზღურბლიანი თაღოვანი კარის დონის მიხედვით უნდა ვივარაუდოთ. კარი შიგნით იღებოდა და ნაგებობას ეზოსთან აკავშირებდა. კარის ორივე მხარეს კედელში ჩაშენებული მალების ნაშთი თაღოვან ჭერზე მიუთითებს. გადახურვა აქაც ორფერდა იქნებოდა დასავლეთ–აღმოსავლეთის ხაზზე დამხრობილი (ტაბ. VII, XII, XXI).

ნაგებობის ფუნქციის დადგენა არ ხერხდება. შეიძლება ის ხაზინაც ყოფილიყო. რუსი ელჩების აღწერით კუთხის კოშკზე, რომელიც რიონზეა გადამდგარი და რომლის ქვეშაც არსებულ სარდაფშიც გვარჯილა ილექებოდა ,,...ზევით ოთხკუთხოვანი პალატია გაკეთებული და იქ მეფის სალარაა მეფის ბეჭდით დალუქული” (ტოლოჩანოვის ... 1970. გვ. 117-118). წყაროს კონტექსტი და სამხრეთ-დასავლეთის მრგვალი კოშკისა და თახჩებიანი სათავსის ინტერიერში გამოვლენილი ჭის (იხ. III თავი) ზედა ნაწილი შესაძლოა სწორედ ამ სარდაფს გულისხმობდეს. ასეთ შემთხვევაში სალარო აღწერილი ნაგებობისაგან მოშორებით, სასახლის კომპლექსში უნდა ვიგულისხმოთ. კვლევის ამ ეტაპზე განხილული ნაგებობის ფუნქციის ზუსტი გარკვევა ვერ ხერხდება.

საერთო კანონზომიერებებიდან გამომდინარე, ციხეში უნდა ყოფილიყო სამეურნეო და გარნიზონისათვის აუცილებელი ნაგებობების მთელი წყება (ვ. ბერიძე 1983, გვ. 232). გათხრების ამ ეტაპზე ისინი გამოვლენილი არ არის. ნ. ტოლოჩანოვი მოიხსენიებს ციხის შიგნით არსებულ ბეღლებს, რომლებშიც ხორბალია შენახული

(ნ.ტოლოჩანოვის...1970, გვ.117-118). ალბათ ბეღლები ხის იყო, ისევე როგორც სკანდის ციხეში აქვთ იმავე ელჩებს აღწერილი (იქვე ... გვ. 121).

ციტადელში ხუთ ადგილზეა ფიქსირებული მარანი. სამი მარანი სასახლის სარდაფებშია (დახურულ სივრცეში), მეოთხე ციხის აღმოსავლეთის კედლის გაყოლებით ,,ცოტა კარის» თავზეა გამართული, მეხუთე მარანი ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეშია. ხუთივე მარანი დაკირული, ქედებიანი ქვევრებისაგან შედგება. მათი თიხა უხეშია, მინარევებიანი, პირის გვირგვინი ოთხკუთხაგანივკვეთიანი, პროფილირებული. გვირგვინის ზედაპირი გლუვია, გარე პირი ოდნავ შეზნექილი და კიდე სველ თიხაზე თითის დაჭერით უხეშად დაკეჭნილი. ხუთივე მარნის ქვევრებს გვირგვინები წატეხილი აქვთ.

Mმეოთხე და მეხუთე მარანი ღია ეზოშია გამართული. მარნებში ქვევრების რაოდენობა (მეოთხე მარანში, რომლის ძირითადი ნაწილი გაუთხრელ ფართობში შედის ჯერჯერობით 20-მდე ქვევრი დაითვლება, 21 ქვევრი გაიწმინდა სასახლის სარდაფშიც) მყარი ეკონომიკური ბაზის დადასტურებაა.

ისევე როგორც წინა ეპოქებში (ო. ლანჩავა 1996, გვ. 82-85, 202, სურ. 7. ა. გაბრიაძე 1999, გვ. 154-156), ახლაც მაღალ დონეზეა გადაწყვეტილი ციტადელისა და მთელი ,,ზედა ქალაქის" წყალმომარაგების საკითხი. პირველ რიგში კვლავ ფუნქციონირებს წყაროსკენ მიმართული გვირაბი, რომლის ახლახანს წამოწყებულმა გათხრებმა გვიანდელი გადაკეთების ერთი კვალიც დაადასტურა. გვირაბის გათხრები ჯერჯერობით დაუსრულებელია. საკვლევ ეპოქაში ფუნქციონირებდა ჭაც ,,შიდა ქალაქის" ტერიტორიაზე. მასში სფერულმუცლიანი, მაღალყელიანი, სამტუჩა დოქები აღმოჩნდა (ტაბ. XXXI. 1)

ქალაქის წყალმომარაგების ძირითადად საშუალებას თიხის მილების მაგისტრალი წარმოადგენდა. ახალი მაგისტრალი იმეორებს ძველი (ადრე და განვითარებული შუასაუკუნეების) ტრასის მიმართულებას (ტ. I. 10). ტრასა ტრადიციულად თეთრამიწის ქედის ძირში არსებული წყაროდან მოედინება, გადაკვეთს ,,შიდა ქალაქის» ტერიტორიას, ბაგრატის ტაძარს გვერდს აუვლის ჩრდილოეთიდან, ერთ ადგილზე გატარებულია ,,ქუთაისის ციხის» ბურჯში (ტაბ. XXV. 1), კარიბჭის წინ ქვაფენილის ქვეშ გაედინება, გატარებულია გალავნის კედელში და კარიბჭის ბოლოს უერთდება

ჰიდრავლიკური ხსნარით მოლესილ, მცირე ზომის წყალგამანაწილებელ ავზს, საიდანაც დუღაბის და ნატეხის ქვების გარსში გახვეული მიემართება სასახლისა და მარნებისაკენ. ავზზე დასტურდება საკონტროლო მილიც. ერთ ადგილზე მოხერხდა მილების გათავისუფლება მტკიცე დუღაბის გარსისაგან. მილები დამზადებულია ჩარხზე, თიხა შედარებით კარგადაა განლექილი, გამომწვარია მუქაგურისფრად. განაზომი მილები სტანდარტულია: სიგრძე 51,5 სმ, ფართო ბოლოს d=16სმ, ვიწრო გადასაბმელი თავის d=11,6სმ. (ტაბ. XVII. 1). აღნიშნული მაგისტრალი ჩვენი აზრით თურქული გარნიზონის წინააღმდეგ არჩილ მეფის აქციამდე (1698წ.) ფუნქციონირებდა (იხ. III თავი).

4. **„შიდა ქალაქის ძეგლები».** „შიდა ქალაქის» ტერიტორიაზე გვიანი შუასაუკუნეების ფენები და არქიტექტურული ნაგებობანი ყველაზე კომპაქტურად ტაძრის გალავნის შიგნითაა დადასტურებული. მართალია ამ მონაკვეთში ფართომასშტაბიანი გათხრები ჯერ არ ჩატარებულა, მაგრამ უკვე გამოვლენილია დაკირულქვევრებიანი ორი მარანი. ერთი მათგანი ტაძრის ჩრდილოეთ, ღია გალერეაში გაიწმინდა (ტაბ. XXVII. 2), მეორე კი ტაძრის დასავლეთის კარიბჭის წინ ძლიერ დაზიანებული იმდროინდელი ნაგებობის ინტერიერში. აქ საწნახელის ნაშთიც გამოვლინდა.

რუსი ელჩების ცნობით ტაძრის გალავანში ჩართულია სამრეკლო (რომელიც XIII-XIV სს-ში ჩანს აგებული) და ქვის ოთხი პალატი, სასულიერო იერარქთა რეზიდენცია. (ნ.ტოლოჩანოვის ... 1970, გვ. 117-118, ა. იევლევის ... 1969, გვ. 136). ისინი გაცილებით ძველი ნაგებობების სტრუქტურაშია ჩართული. სამრეკლოს რესტავრაციისას დადგინდა გვიანი გადაკეთების კვალი. გუმბათი გადაკეთებულია მცირე ზომის ყალიბში მოჭრილი აგურებით (19X10X4 სმ).

5. რიონისპირა კლდოვან ფერდობზე გაშენებული, V-VI სს-ში ფორმირებული გალავნის კედლებით შემოსაზღვრული «ქვედა ქალაქის” ძეგლები არქეოლოგიურად სრულიად შეუსწავლელია. დიუბუას გეგმაზე აღწერილი კარიბჭეები, ეკლესიები, ქუჩა, საცხოვრებელი სახლები და სხვ. თანამედროვე განაშენიანებით არის დაფარული და დაუთარიღებელია.

რიონის პირზე არსებული «ხიდის კარის» კომპლექსით (ტაბ I. C. 33) მარცხენა სანაპიროზე გაშენებულ «პატარა ქუთაისში» შეიძლებოდა მოხვედრა.

6. **«პატარა ქუთაისი» და «ოქროს ჩარდახის» კომპლექსი**. როგორც ზემოთ ვაჩვენეთ მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროს განაშენიანების ახალი, შეუქცევადი ეტაპი მას შემდეგ იწყება, რაც აქ ახალი სამეფო რეზიდენცია გაჩნდა «ოქროს ჩარდახის» სახით. ქალაქის ამ ნაწილის განაშენიანების ეტაპებისა და დეტალების შესახებ არსებული წყაროები და გრაფიკული მასალა ძნელად იძლევა მეტ-ნაკლებად სრული სურათის აღდგენის შესაძლებლობას, არქეოლოგიური მასალები კი პრაქტიკულად არ მოგვეპოვება. სურათი შედარებით ნათელია XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნისათვის. XVI-XVII ს-ის სიტუაციის აღსადგენათ იძულებული ვართ მხოლოდ კასტელის ჩანახატებს, რუსი ელჩების აღწერილობას, ჟან შარდენის ცნობას, ტიმოთე გაბაშვილის 1737 წლის რუკას, გიულდენშტედტის მონაცემებს და დიუბუას გეგმას დავეყრდნოთ.

მარცხენა სანაპიროზე გაშლილი ქალაქი XVII ს-ის 70-იანი წლებისათვის ყოველმხრივ ღიაა და გაუმაგრებელია (ჟან შარდენი), იმავე საუკუნის 50-იანი წლებისათვის კი ალექსანდრე III დროს გაკეთებული თხრილი შემოუყვება.

კასტელის 38-ე და 328-ე, ძალზე სქემატურ ნახატებზე (ტაბ. IX-X) შორი პლანით მოჩანს საკმაოდ მჭიდროდ განაშენიანებული უბანი რამდენიმე ეკლესიით. რუსი ელჩები «ოქროს ჩარდახიდან» «მწვანეყვავილამდე» მონაკვეთს «სლაბოდას» და «პასადს» უწოდებენ. ტიმოთე გაბაშვილის 1737 წლის რუკაზე ამ ნაწილს ჰქვია «ქუთაისის ქალაქი», სადაც მოჩანს უგუმბათო ეკლესია, რამდენიმე გაურკვეველი დანიშნულების ნაგებობა და «ხიდის კარი» კოშკით (შ. ბურჯანაძე 1959 (ა), გვ. 177-198). გიულდენშტედტი ამ მონაკვეთში ექვს ეკლესიას აღნიშნავს (გიულდენშტედტის ... 1962, გვ. 139-149).

არქეოლოგიური მასალების არარსებობის გამო ამ მონაკვეთის შესახებ უფრო დაწვრილებით მსჯელობა კვლევის ამ ეტაპზე შეუძლებელია. ამავე მიზეზით მხოლოდ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით გვიხდება მსჯელობა «ოქროს ჩარდახის" შესახებაც. ამ ძეგლს რამდენიმე გამოკვლევა მიეძღვნა (მ. ნიკოლეიშვილი 1970, გვ. 49-52. ვ. ბერიძე 1983, გვ. 68-69; 227-232). განმეორების თავიდან აცილების მიზნით ვ.ბერიძის გამოკვლევაზე დაყრდნობით ამჯერად მოკლედ დავახასიათებთ კომპლექსში შემავალ ნაგებობებს და წერილობით წყაროებზე დაყრდნობით წარმოვადგენთ სამშენებლო ეტაპების ქრონოლოგიას.

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით «აქა არს სასახლე მეფეთაგან, დიდშენი შუენიერად, რიონსა ზედა წაკიდებული, ასპარეზი მოზღუდვილი ვარჯად ჭანდრით...» (ვახუშტი ბაგრატიონი 1973, გვ.761).

ნ. ტოლოჩანოვისა და ა. იევლევის აღწერით, ტიმოთე გაბაშვილის 1737 წლის რუკის, გიულდენშტედტის ცნობებითა და დიუბუას გეგმის მიხედვით გალავნით მოზღუდულ ტერიტორიაზე იდგა სამრეკლო, წმ. გიორგის ეკლესია და სამი ძირითადი ნაგებობა:

1. მარტივი, სწორკუთხა მოხაზულობის «მცირე სახლი» (დაახლ. 16X10 მ.). მდინარის პერპენდიკულარულად, რიონზე გადამდგარ სვეტებზე დაყრდნობილი იყო მეორე სართული (ვ.ბერიძე 1983, გვ. 228 სურ. 155, 159). ტიმოთე გაბაშვილის რუკაზე (ტაბ. V; XVI) მეორე სართულს სწორკუთხა სარკმლები აქვს, ხოლო ფასადი ზემოთ დაკბილული პარაპეტით მთავრდება. ძლიერ გადაკეთებული ეს სახლი დღემდე დგას. ნ. ტოლოჩანოვის მიხედვით «ეს პალატი ალექსანდრე მეფის მამას, გიორგი მეფეს (1605-39 რ.ი.) აუგია. კედლის მხატვრობა შიგ ქართულია”. [(ნ. ტოლოჩანოვის... 1970, გვ. 109-110). ტაბ. XIII; XIV; XV] ვ. ბერიძის მიხედვით.

2. ასევე სწორკუთხა მოხაზულობის წაგრძელებული ფორმის «დიდი სახლი» (15X38 ან 58 მ. ელჩების ორი ვარიანტის მიხედვით). იგი ზურგითაა მიბჯენილი გალავნის სამხრეთ კედელზე და ორსართულიანია. ძირა სართულზე სამი ოთახია და იქ მსახურები ცხოვრობდნენ. მეორე სართული მეფის ოთახებს ეჭირა. ზურგის ყრუ მხარეს შენობას სათოფურები ჰქონია, ეზოს მხარეს კი მიწიდან 4 მ-ის სიმაღლეზე 18 სარკმელი. მეორე სართულზე მაღალი კიბით ადიოდნენ. ვ. ბერიძის აზრით გეგმის პროპორციის და ქვედა სართულთა ოთახების განლაგების მიხედვით ზემო სართულის ოთახებიც ანფილადურად იქნებოდა განლაგებული. (ვ. ბერიძე 1983, გვ. 228-229. ნ. ტოლოჩანოვის.... 1970, გვ. 109-110). ტიმოთე გაბაშვილის რუკის მიხედვით ეს უნდა იყოს ორფერდასახურავიანი, სარკმლებიანი ნაგებობა «სამეფო სასახლისა და ტაძრის” კომპლექსში (ტაბ. V).

3. «სასადილო პალატი» _ მდინარის გასწვრივ გაჭიმული გრძელი, ერთსართულიანი შენობა წყლის დონიდან 4 მ-ის სიმაღლეზე 25, ხოლო ეზოს მხარეს 24 თაღით გარშემორტყმული, «არსებითად ღია პავილიონი» (ვ. ბერიძე 1983, გვ. 230)

საბანკეტოდ და სტუმრების მისაღებად. ამ სტილის ნაგებობები გრემის სამეფო უბანშიც დასტურდება (მაგ: შადრევნიანი პავილიონი და ხის სვეტებიანი პავილიონი, ლ. ჭილაშვილი 1980, გვ. 93-96). ნათლად მოჩანს ეს ნაგებობა ტიმოთე გაბაშვილის რუკაზეც (ტაბ. V. ტაბ. XVI. ვ. ბერიძის მიხედვით)

ეზოს შუაში ჭადრების ძირში იდგა ოთხ სვეტზე დაყრდნობილი ჩარდახი. მის ქვეშ იდგა «მაგარი, ნატიფი, თეთრი მარმარილოს მსგავსი კირქვის მაგიდა (4,2X1,8 მ. რ.ი.)...კიდეზე ქართული წარწერით» (გიულდენშტედტის ... 1962, გვ. 139-149), რომელიც 1775 წლის 23 აპრილს აუღიათ («სასახლეში დიდ ჭადარს» თავით თვისით ცეცხლი მოეკიდა და ქვის ტახტიც აიღეს"; «სასახლეში ჭადარი მოსჭრეს", შ. ლომსაძე 1979, გვ. 148).

წერილობითი წყაროების საფუძველზე ჩვენ კომპლექსის რამდენიმე სამშენებლო ეტაპი გამოვყავით.

1. როგორც ამ თავის დასაწყისში ვაჩვენეთ, კომპლექსის ჩამოყალიბება იწყება ბაგრატ II (VI) აქტივობის ახლო ხანებში. 1474 წლისათვის მას უკვე იხსენიებს ა. კონტარინი (ფრთხილი ვარაუდი ამის შესახებ თავის დროზე ვ. ბერიძემაც გამოთქვა (ვ. ბერიძე 1983, გვ. 69).

2. სავარაუდოა მშენებლობის ერთი ეტაპი ბაგრატ III (1510-65) დროს, თუნდაც იმის გამოც, რომ 1510 წელს სელიმ ხანის მარბიელმა ლაშქარმა «ციხის" გარდა მთელი ქუთაისი ააოხრა.

3. ნ. ტოლოჩანოვის მიხედვით დასტურდება ერთი სამშენებლო ეტაპი გიორგი III (1605-39 წწ.) დროს.

4. XVII საუკუნის 40-იან წლებში ქუთაისი რამდენჯერმე ააოხრა და დაანგრია ლევან II დადიანმა. მართალია მან დიდი მცდელობის მიუხედავად (არქანჯელო ლამბერტი 1938, გვ. 92; საქართველოს ისტორიის ნარკვევები 1973, გვ.337-338) ვერ შეძლო ქუთაისის «ციხის» აღება, მაგრამ სამაგიეროდ დიდად დააზიანა მარცხენა სანაპირო, «ოქროს ჩარდახი" და «მწვანეყვავილას» კომპლექსიც («ქუთათისისა ქალაქი დავწვით და დავსტეხეთ"., «... რიონს გაღმა ქუთათისს, ქალაქი დავსწვით და ავაოხრეთ..."., «შემოვადექით გენათელის ციხესა [«მწვანეყვავილა" რ.ი.] ... დაუშინეთ ზარბაზნები, დავამტურივეთ ციხე და ავიღეთ სწორზედა" (კ. გრიგოლია 1942, გვ. 145-

156). მთავარანგელოზთა ხატის წარწერის მიხედვით, როცა ლევან დადიანმა «ციხის» გარე «ჯებირები» და «პალატი» აიღო, ხოლო «ციხეს» ვერაფერი დააკლო «... ჩამოვედით დაბლა რიონის პირსა ..... სასახლის ქვის სახლებს დავუწყეთ ზარბაზნების სროლა და ცემა და დავამტვრიეთ ის ახალი ქვის პალატი თვით ალექსანდრე მეფისაგან აშენებული...» (საქართველოს ისტორიის ნარკვევები 1973, გვ. 337-338). ამ ცნობის მიხედვით მშენებლობა-აღდგენის ერთი (თუ მეტი არა) ეტაპი XVII ს-ის 30-40-იანი წლებით თარიღდება.

5. «ახალციხური ქრონიკების» მიხედვით ერთი სამშენებლო ეტაპის გამოყოფა ხერხდება სოლომონ I მეფობის ბოლო წლებში. 1773 წლის 22 მარტს «სასახლეში მეფემ სახლები დაადგმევინა" (შ. ლომსაძე 1979, გვ. 141). 1776 წ. 26 თიბათვეს «სასახლის საყდარს გულაბანდის შეკვრა და შენება დაუწყეს (იქვე ... გვ. 151).

6. წერილობითი წყაროების მიხედვით (იხ. IV თავი) სოლომონ II დროს სამეფო რეზიდენცია ძლიერ გაღარიბებული და დამცრობილია, ხოლო, როგორც ტორმასოვისადმი სოლომონ II 1810 წლის 5 იანვრით დათარიღებული წერილიდან ჩანს, რუსთა მხედრობამ «...დააქციეს სამეფო სასახლე ჩემი ქუთაისს ვიდრე საფუძვლამდე" (Акты, 1870, გვ. 214-216).

XIX საუკუნის შუახანებისათვის კომპლექსი თითქმის მთლიანად «წაშლილია», ხოლო ზოგი ნაგებობა გიმნაზიის დამხმარე შენობადაა გადაკეთებული. აქვე უნდა დავუმატოთ, რომ ნ. ტოლოჩანოვის მიხედვით, კომპლექსში შემავალი კოშკი, რომელშიც მეფის სალაროა, «... ყავრით არის გადახურული" (ნ. ტოლოჩანოვის ... 1970, გვ. 109-110).

კომპლექსში არსებული ნაგებობებიდან ელჩები იხსენიებენ სარდაფს «... სადაც სასმელები დგას" (იქვე ... გვ. 109-110). XIX ს-ის შუახანების ერთი პუბლიკაციით კი ირკვევა, რომ კომპლექსში მარანიც შედიოდა: «აღშენებისა ჟამს ქუთაისის ღიმნაზიისა, რომელსაც უჭირავს ახალი ნაწილი ოქროს ჩარდახის ბაღისა, როდესაც ჰთხრიდნენ საძირკველსა, ჰპოვეს მრავალნი ქვევრები, მეტად დიდრონი" («ცისკარი" 1859, გვ. 69).

დაბოლოს ერთი საინტერესო დეტალიც. 1879 წელს ქუთაისში მყოფი გრაფინია უვაროვა აღნიშნავს, რომ იმერეთის მეფეთა სასახლის «... ეზოში დგას ჭადარი, რომელიც აბიხის განსაზღვრით 400 წლისაა..." (მითითებულია ძველი და ახალი

ქუთაისი 1973, გვ. 257-ის მიხედვით). ეს ფაქტი კიდევ ერთი, თუმცა არაპირდაპირი მოწმობაა იმისა, რომ კომპლექსმა XV ს-ში დაიწყო ჩამოყალიბება.

7. გარეუბნები. საკვლევი ეპოქის ქუთაისი, როგორც ვ.ბერიძე შენიშნავს, «რამდენადმე «თავმოუყრელი», კომპაქტურობას მოკლებული ქალაქია" (ვ.ბერიძე 1983, გვ. 69), შორი-შორს გაფანტული უბნებით. კვლევის ამ ეტაპზე ძნელია მაშინდელი გარეუბნების _»ფორშტატების" (ვ. ბერიძე) საზღვრების ზუსტი დადგენა. ქალაქის გალავანშემორტყმული ნაწილისა და «ოქროს ჩარდახის» გარშემო გაჩენილი დასახლების _ «ქუთაისის ქალაქის» (ტ. გაბაშვილი) გარდა გამოიყოფა რამდენიმე «გარეუბანი", «რომელთა ტერიტორია ბევრად სჭარბობდა გამაგრებული ნაწილისას, თუმცა განაშენიანების სიმჭიდროვე, უეჭველია, აქ შეუდარებლად ნაკლები იყო» (იქვე... გვ. 68).

დაახლოებით ასეთივე გაფანტული იყო ქუთაისის დასახლება XIX საუკუნის 20-იან წლებშიც (ნ.ნიკოლაძე 1962, გვ. 3-5; 22).

ძველი ქალაქის ერთ-ერთ მნიშვნელოვან «გარეუბანს» დღევანდელი ე.წ. «ცაცხვების უბანი» წარმოდგენდა. ესაა უსწორმასწორო, რთული რელიეფის მქონე პლატო «ზედა ქალაქის» გალავნის დასავლეთით 300-იოდე მეტრის მოშორებით. (ტაბ. I. E). მჭიდრო განაშენიანების გამო ამ უბნის არქეოლოგიური შესწავლა დღეს შეუძლებელია და ამდენად არ ვიცით მისი დამოკიდებულება «ზედა ქალაქის" გალავანშემორტყმულ ნაწილთან. ზედაპირული დაზვერვებით და შემთხვევითი მონაპოვრებით ირკვევა, რომ ეს ტერიტორია დასახლებულია წინარეანტიკური ხანიდან, დადასტურებულია ძვ.წ. VI-V სს-ის სამარხები და დღემდე ჩანს ქვიტკირის გალავნებისა და ნაგებობათა ნაშთები. დიუბუას გეგმაზე (ტაბ. I. E.) აღნიშნული «ძველი ქუჩა" (24), «წმინდა გიორგის ეკლესიის ნანგრევები" (25), «ძველი ეკლესიის ნანგრევები" (26), «ძველი კაპიტალური შენობების ნარჩენები გარშემორტყმული დიდი კედლით" (27), «ძველი ბაზარი" (28), «ხის ქალაქის ადგილსამყოფელი" (29), «ქვის და აგურის უძველეს შენობათა ნარჩენები" (30), «ქვის ძველი ეკლესიების ნაშთები" (31) დღეს ან აღარ არსებობს, ან თანამედროვე განაშენიანებითაა დაფარული, გათხრებით შეუსწავლელია და დათარიღებაც შეუძლებელია.

მეორე «გარეთუბნად" XVII ს-ის 30-იან წლებში გაცოცხლებული «მწვანეყვავილას» ანსაბლი უნდა ჩაითვალოს (ტაბ. I. H). პროფ. მ. ნიკოლეიშვილისა და პ. ვაჭრიძის პუბლიკაციებით (მ. ნიკოლეიშვილი 1966, გვ. 35-38, პ.ვაჭრიძე 1999, გვ. 6-7) გარკვეულია, რომ კომპლექსის ჩამოყალიბება უკავშირდება გენათელი მიტროპოლიტის ზაქარია ქვარიანის სახელს და თარიღდება XVII ს-ის 30-იანი წლებით. ქუთაისის მუზეუმში დაცული საბუთით (№ 1391) და ეკლესიის ფრესკაზე არსებული წარწერით მ. ნიკოლეიშვილი თარიღს კიდევ უფრო აკონკრეტებს (1637-39 წწ.). იმდროისათვის კლდის ქიმზე არსებული XI ს-ის ეკლესია უკვე გაუქმებულია. კომპლექსში კი შედის კოშკი და მთავარანგელოზთა ეკლესია. კოშკი ოთხკუთხა ფორმის, ზევით ოდნავ დავიწროებული, ორსართულიანი ნაგებობაა. კედლების სისქე 2 მეტრამდეა. ოთხივე მხარეს მათში სათოფურები დასტურდება. აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის კედლის სათოფურები კლდის ძირში გელათისკენ მიმავალ გზას გადასცქერიან. სამხრეთის კედელში აგურით ნაგები ბუხარია. მეორე სართულს ჩრდილოეთის კუთხეში გაკეთებული ასასვლელით უკავშირდებოდნენ. იგი თავღია ბანს წარმოადგენდა და შესაძლოა ყავრით იყო დახურული. შესასვლელი სამხრეთის კედელში, მიწის პირიდან დაახლ. 1,5 მეტრის სიმაღლეზეა, რათა მტერს მასზე კარის შესანგრევი იარაღი ვერ გამოეყენებინა (ასეთი იარაღის ერთი სახეობის შესახებ იხ. ა.ქალდანი 1981, გვ. 63-74).

თავის დროზე ამ კომპლექსს სტუმრობდნენ რუსი ელჩებიც. ლევან დადიანის ერთ-ერთ წარწერაში ნახსენები «გენათელის ციხე", რომელიც მას ზარბაზნებით აუღია (კ. გრიგოლია 1942 გვ 145-156) მიუთითებს, რომ თავის დროზე კომპლექსს გალავანი ჰქონდა შემოვლებული, რისი კვალიც დღეს წაშლილია.

ამ ტერიტორიიდან ქუთაისის მუზეუმში შემოსულია ლისიმაქეს ოქროს მონეტა, ხოლო ჩვენს მიერ მცირე მასშტაბის დაზვერვებით დადასტურებულია ხის წნული ნაგებობის ბათქაშების შემცველი ფენა (წინარე ან ადრე ანტიკური ხანის) და მარნის ნაშთი კოშკის დასავლეთით კლდის პირას. ქვევრები დაკირულია და ანალოგიური ციტადელის კომპლექსის მარნებისა. XVIII ს-ის 70-იან წლებში «მწვანეყვავილას ეკლესია» კათოლიკეებს ეკუთვნოდათ, საიდანაც 1770 წლის ივლისში ტოტლებენის არტილერია ქუთაისის ციხის თურქულ გარნიზონს ცეცხლს უშენდა (იხ. III თავი).

XVI-XVII სს-ში განაშენიანებული ჩანს ნაქალაქარის უკიდურესი ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხის (ე.წ. «კონწოლის", ტაბ. I. B. 8.) ჩრდილოეთით, მშრალი ხევის გაღმა, დღევანდელი ჩანჩიბაძის ქუჩის მიმდებარე ფერდობებიც, რისი დასტურიცაა გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ჩვენს მიერ მიკვლეული დანგრეული დარბაზული ეკლესიის ნაშთი. სამწუხაროდ, ჩვენი გაფრთხილების მიუხედავად ეკლესიის აბსიდის შემორჩენილი ნაშთი კერძო მოსახლემ ექსკავატორით დაანგრია და მისი ფიქსირება ვეღარ მოესწრო. ეზოში გაჭრილ საკონტროლო თხრილში დადასტურდა ქვაფენილიანი ბილიკი და დანგრეული სამარხები, საიდანაც მიმდინარე თეთრკეციანი, დაბალქუსლიანი («მოჭრილძირიანი") ჯამები ძეგლს დაახლოებით XVI-XVII სს-ით ათარიღებს. დიუბუას გეგმის მიხედვით ეკლესია ექვსკუთხოვანი გალავნით ყოფილა შემოსაზღვრული. გალავნის კვალი ახლა აღარ ჩანს. ძეგლი ამ უბნის განაშენიანების ორიენტირადაც გამოდგება.

ამავე პერიოდის ეკლესიის ნაშთები ქუთაისის სამხრეთ ნაწილში კ. გამსახურდიას ქუჩაზე №27-ე სკოლის უკანა ეზოშიც აღმოჩნდა. ადგილზე, რომელსაც მოსახლეობა «ჭაბუკი ჯვარს" ეძახის, გათხრებამდე მიწის პირზე ჩანდა რიყის ქვით ნაგები ოვალურკუთხეებიანი გალავნის ნაშთი, რომლის ცენტრში არსებული დეკორატიული ბორცვის ქვეშ ახალი ეკლესიისათვის მიწის მოსწორების დროს ჩვენი ჩარევით გაიწმინდა სწორკუთხა ეკლესიის და გალავნის დასავლეთის კედლის ცენტრში თლილი ქვებით აგებული სამრეკლოსა და შესასვლელის ნაშთები. 1999-2001 წლებში ქუთაისის უნივერსიტეტის მოხალისე სტუდენტების ძალებით ძეგლი ნაწილობრივ გაიწმინდა, თუმცა უსახსრობის გამო ფოტო და გრაფიკული ფიქსაცია გათხრების დასრულებამდე გადაიდო, მაგრამ ჩვენთან შეუთანხმებლად მრევლმა და ეპარქიამ ძეგლი მიწით დაფარა და ზემოდან ახალი ეკლესია დააშენა, რომლის ფუნდამენტების გათხრისას დაზიანებული სამარხებიდან აკრეფილი ზემოაღწერილი ტიპის ჯამების ფრაგმენტებით ძეგლი დაახლოებით XVII-XVIII სს-ით თარიღდება.

ეკლესიის გაწმენდისას აღმოჩნდა ქვის ფილაზე დაბალი რელიეფით ამოკვეთილი ჯვარი, ფრესკის ნაშთი და ვიწრო, სქელკეციანი ღარიანი კრამიტები, რომლებიც დუღაბზე ყოფილა დაფენილი.

ფიქსაციის გარეშე დარჩენილი ძეგლი ძველი ქუთაისის ერთ-ერთი გარეუბნის «ბაკისუბნის» («ვაკისუბნის») განაშენიანების ორიენტირად უნდა მივიჩნიოთ. აღნიშნული ტოპონიმი დღემდეა შემორჩენილი, ეს უბანი კი ქალაქის ფარგლებშია მოქცეული და წყაროებშიც არაერთხელ იხსენიება (იხ. შ. ლომსაძე 1979, გვ. 126; 131;137; 142 და სხვა.)'

თ ა ვ ი III.

ქუთაისი 1660-1770 წლებში

1. ქუთაისი თურქთა მფლობელობის ხანაში

1660 წლიდან, როდესაც გარდაიცვალა იმერეთის მეფე ალექსანდრე მესამე, სამეფოში ხანგრძლივი არეულობა დაიწყო. ალექსანდრე მეფის სიცოცხლეში გარკვეული ხარვეზებით, მაგრამ მაინც ხერხდებოდა სამეფო ხელისუფლების ჰეგემონობა დასავლეთ საქართველოში. მეფის გარდაცვალების შემდეგ სამეფოში შექმნილი არეულობის ფონზე აქტიურდება თურქეთი, რასაც საბოლოო შედეგად ქუთაისის ციხეში თურქული გარნიზონის ჩადგომა მოჰყვა.

,,XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური მეთვალყურეობა და იქაური საქმეების ოსმალთა ინტერესების თანახმად მოგვარება ხონთქარმა ახალციხის ფაშას დაავალა. ჩქარა ახალციხის ფაშა მთელი ლიხთიქეთის პოლიტიკური ცხოვრების მომწესრიგებელი შეიქმნა. ფაშა აქ ხონთქრის სახელით მოქმედებდა. ამიერიდან მეფის, მთავრის თუ კათალიკოსის საქმე მას ეკითხებოდა. მისი უშუალო მონაწილეობით და ნებართვით ხდებოდა მათი დასმა-გადაყენება. ფაშა განზრახ აღვივებდა ბოლომოუღებელ შფოთს დასავლეთ საქართველოში. ქვეყნის დასუსტება ოსმალეთის მიზანი იყო.” (ნ.ბერძენიშვილი, 1973. გვ. 274).

ქუთაისის ციხეში გარნიზონის ჩაყენებით ერთის მხრივ ,,...გარეშე მტერმა ქვეყნის შუაგულში ფეხი მკვიდრად მოიკიდა” (იქვე... გვ. 275), ხოლო მეორეს მხრივ ეს გარემოება ქალაქის ბუნებრივი განვითარების პროცესის ხანგრძლივი დროით შემაფერხებელ ფაქტორად იქცა. ციტადელში სამეფო რეზიდენცია მოიშალა და მთლიანად «პატარა ქუთაისში», ,,ოქროს ჩარდახში” გადავიდა. ,,ზედა ქალაქის” მთელი ინფრასტრუქტურა თანდათან თურქების კონტროლს დაექვემდებარა. თუ

თავდაპირველად თურქები მხოლოდ ციტადელში არიან გამაგრებული და მათ წინააღმდეგ პერიოდულად ცვალებადი წარმატებით იბრძვიან იმერეთის მეფეები, XVIII საუკუნეში უკვე სულ სხვა სურათია. თურქები ფაქტიურად მთელ «ზედა ქალაქს", მდინარის მარჯვენა სანაპიროს აკონტროლებენ, ქალაქში გაჩნდა თურქული ეთნოსი, მოხელეები, ინფრასტრუქტურა და ა.შ. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით ,,არამედ შემცირდა ფრიად ქალაქი მათგან (თურქებისაგან. რ. ი)..." (ვახუშტი ბაგრატიონი, 1973, გვ. 761). ეს მდგომარეობა გაგრძელდა 1770 წლამდე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ალექსანდრე III 1660 წელს გარდაიცვალა. Dდარეჯან დედოფალთან (თეიმურაზ I-ის შვილი) მას შვილი არ ჰყავდა. პირველ ცოლთან ნაშობი ბაგრატ უფლისწული, რომელიც დიდი ჭკუით არ გამოირჩეოდა და მამას არ მიაჩნდა მეფობის ღირსად, დედულეთში_გურიელთან იმყოფებოდა. ალექსანდრე მეფე ტახტის მემკვიდრედ თეიმურაზ I შვილიშვილს, ლუარსაბ დავითის-ძეს ამზადებდა, რომელიც ნაშვილები ჰყავდა, მაგრამ იგი მამობილზე ადრე გარდაიცვალა და ალექსანდრემ ისევ ბაგრატის გამეფება გადაწყვიტა. მამის გარდაცვალებიდან მესამე დღეს, დარეჯანმა, რომელიც გარკვეული პოლიტიკური დაჯგუფების ინტერესების გამომხატველი იყო და ,,... ეშურებოდა ახალი მეფე, რომელიც დიდის ჭკუით და ნებისყოფით არ გამოირჩეოდა, თავიდანვე თავისი გავლენის ქვეშ მოექცია და არ დაეთმო პოზიციები მოწინააღმდეგე ბანაკისათვის" (ნ. ასათიანი, 1973, გვ. 41), ბაგრატს ცოლად შერთო თავისი ძმისწული ქეთევან დავითის-ძე. მართალია ბაგრატი მეფე იყო, მაგრამ ძალაუფლების მოყვარე, ნებისყოფიანი და ამასთანავე გარკვეული პოლიტიკური გეზის (რუსული ორიენტაციის) მქონე დარეჯან დედოფალი ,,მეფეც იყო და დედოფალიც ბაგრატს არაფერი ეკითხებოდა" (ს.კაკაბაძე 1926. გვ. 62).

სულ რამდენიმე თვეში დარეჯან დედოფლის მომხრეებმა ბაგრატ მეფეს ტახტი წაართვეს და თვალები დასთხარეს. დარეჯანმა ბაგრატიონთა შთამომავალი ვახტანგ ჭუჭუნიას შვილი ქმრად შეირთო და მეფედ აკურთხა. დარეჯანის ამ მოქმედებას შედეგად იმერეთის პოლიტიკურ ძალთა ორ ძირითად ბანაკად გაყოფა მოჰყვა. ქვემო იმერეთის თავადები ვამიყ დადიანის გარშემო დაჯგუფდნენ, ზემო იმერეთის თავადები კი ქართლის მეფე ვახტანგ V ეპატიჟებოდნენ იმერეთში. დადიანმა დაასწრო, ქუთაისი დაიკავა, დარეჯანი შეიპყრო, მის ქმარს თვალები დასთხარა და თავი მეფედ

გამოაცხადა. ფარსადან გორგიჯანიძის მიხედვით დარეჯანმა ვახტანგ V სთხოვა დახმარება და სანაცვლოდ მისი შვილის, არჩილის გამეფებას შეპირდა. გორგიჯანიძის მიხედვით დადიანმა და ვახტანგ V იმერეთი შუაზე გაიყვეს.

ვახუშტის მიხედვით კი ბაგრატის მომხრე იმერლებმა ასლან ფაშა მოიწვიეს, რომელმაც დარეჯანი, მისი ქმარი და ქეთევანი შეიპყრო და თან წაიყვანა, ხოლო იმერეთში ბაგრატი გაამეფა ისევ. ჩვენს მიზანს არ შეადგენს ამ საკითხზე დაწვრილებით მსჯელობა (საკითხის შესახებ იხ. მ. რეხვიაშვილი 1989, გვ. 108-121, იქვე ლიტერატურა), აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ვახტანგ V შაჰნავაზმა კარგად ისარგებლა შექმნილი მომენტით, 1661 წელს ჯარით გადავიდა იმერეთში, ,,...შემოიკრიბნა სრულიად იმერნი... მოვიდა ქუთაისს, აღიღო ქუთაისი და ყოველნი ციხენი იმერეთისანი და შეაყენნა გუშაგნი...” (ვახუშტი ბაგრატიონი, 1973, გვ. 449; 836.), დალაშქრა სამეგრელო და მობრუნდა ქუთაისს.

ამ პოლიტიკური ბატალიების დროს, როგორც წყაროებიდან ჩანს ქუთაისი და მისი ,,ციხე” რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში. წყაროებიდან არ ჩანს, ამ ბრძოლების მასშტაბი, მოხდა თუ არა ციხის ნგრევა ან აღდგენა. ამ მოვლენებზე თვალის გადევნება არც არქეოლოგიური მასალებით ხერხდება. ვახტანგ V ზემოაღნიშნული აქტიურობა 1661 წელს იმერეთში მისი 14 წლის შვილის, არჩილის გამეფებით დასრულდა. ცხადია ეს ფაქტი გაძლიერებული ვახტანგ V მიერ დასავლეთ საქართველოს შემოერთებისკენ გადადგმულ საკმაოდ თამამ, მაგრამ მხოლოდ შვილის გამეფებით შენიღბულ ნაბიჯს წარმოადგენდა, მაგრამ საქმეში ოსმალეთი ჩაერია. 1555 წლის ამასიისა და 1639 წლის ზოჰაბის ზავის პირობებიდან გამომდინარე თურქეთმა, რომელიც იმერეთს თავის სამფლობელოდ მიიჩნევდა, ეს აქტი ირანის მიერ თურქეთის საშინაო საქმეებში ჩარევად მიიჩნია და ელჩის პირით პროტესტი განუცხადა ირანის შაჰს. ირანის შაჰი ერთის მხრივ იძულებული იყო ანგარიში გაეწია თურქეთისათვის და არ დაერღვია ზავი, მეორეს მხრივ კი არც თავად აწყობდა ქართლის მეფის ასეთი გაძლიერება და ქართული წყაროების მიხედვით 1663 წელს ,,...ყეენმა მოუწერა ვახტანგ მეფესა და მან წარიყვანა ძე თვისი არჩილ» (ვახუშტი ბაგრატიონი 1973, გვ. 837). ქართული წყაროებით (გორგიჯანიძე, ვახუშტი) არჩილის გაწვევა შაჰის ბრძანებით მოხდა.

თურქული წყაროების მიხედვით კი დასავლეთ საქართველოში არჩილის გამეფების გამო სულთანმა ახალციხის, ყარსისა და ერზრუმის ფაშების სარდლობით 40.000-იანი ლაშქარი გაგზავნა. ეს ფაქტი აღწერილია ც. აბულაძისა და ნ.შენგელიას მიერ გამოქვეყნებული ნამის «საქართველოს დაპყრობის წიგნში" (ც. აბულაძე, ნ. შენგელია 1987, გვ. 98-103).[5]

პუბლიკაციის ავტორთა მიხედვით ნამის «წიგნში" «... აღწერილია ქუთაისის ციხის დასაპყრობად ოსმალთა ლაშქრის შემოსვლა ბაღდათისა და გეგუთის გზით. წყაროს მიხედვით არჩილთან მოსალაპარაკებლად მიდის ელჩი ჰასან-აღა. არჩილი უყოყმანოდ იღებს სულთნის მორჩილების პირობებს, ძვირფასი ქამარ-ხანჯლით ასაჩუქრებს ელჩს და მასთან ერთად დილით ფაშების კარავში მისვლა და «მუხლის მოდრეკა" აქვს გადაწყვეტილი, მაგრამ ღამით შაჰნავაზი 600 კაცს გამოუგზავნის და თავისთან გაიხმობს, ოსმალები დაედევნებიან და ქართლის საზღვრებამდე მიჰყვებიან, მაგრამ რადგან სულთანისაგან მხოლოდ დადიანის გონზე მოყვანა და ქუთაისის ციხის აღება აქვთ ნაბრძანები, უკან გაბრუნდებიან ... ოსმალებს უნდათ ქუთაისის ციხეზე იერიშის მიტანამდე ჩამოართვან დადიანს მორჩილების პირობა. ვახტანგ V მოყვარე დადიანი მოდის 2000 მეომრითა და ყველა ღონეს მიმართავს, რათა არ მიიღოს მონაწილეობა ქუთაისის აღებაში და ცდილობს ქუთაისის ციხეს ააცდინოს ოსმალთა თავდასხმა, ურჩევს ხელი აიღონ ასეთ განზრახვაზე, რადგან ქუთაისი მეტად მაგარი ციხეა, 1000 კაციც რომ ეცადოს, ერთ ქვასაც ვერ გამოაკლებს მის კედლებს. მით უფრო, რომ ახლა ზამთრის პირია და თუ წვიმები დაიწყო, უკან გაბრუნებასაც ვერ შეძლებენ. ოსმალებს სასაცილოდ არ ყოფნით მსგავსი დარიგება და წყაროს მიხედვით უბრძოლველად იკავებენ ქუთაისის ციხეს''.

ამრიგად, ხსენებულ ამბებთან კავშირში კვლავ მოქმედების არეალში მოექცა ქუთაისის ციხე. თურქთა ლაშქრობა ცხადია უკვალოდ არ ჩაივლიდა, თუმცა არც წყარო და არც არქეოლოგიური მონაცემები მეტის თქმის საშუალებას არ იძლევა.

წყაროებში არ ასახულა ამ ლაშქრობის დროს ქუთაისის ციხეში თურქული გარნიზონის ჩაყენების ფაქტი. კვლევის ამ ეტაპზე ამის ახსნა ძნელია. სამი წლის შემდეგ (1666წ.) თურქებმა ეს გაცილებით რთულ სიტუაციაში მოახერხეს. ჩანს, იმხანად თურქები არჩილის გაძევებით, ლევან III დადიანის გადაყენებით და თავისი ერთგული

დიმიტრი გურიელის გამეფებით დაკმაყოფილდნენ. იმავე 1663 წელს, როგორც კი თურქთა ჯარმა იმერეთი დატოვა, იმერლებმა დიმიტრი გურიელი გააძევეს და ტახტზე კვლავ ბაგრატ მეფე (უსინათლო) აიყვანეს.

შაჰ-ნავაზის მონათესავე ლევან III დადიანმა არ ინდომა ბაგრატის მეფობა და 1663 წელს ომი აუტეხა მას. ამ ომში იგი დამარცხდა. ქრონიკების მიხედვით ბრძოლა ქუთაისში მოხდა: ,,აქა მოვიდა ლეონ დადიანი და შამოება მეფე ბაგრატს ქუთათის ანძილახის საყდრის უკან და მეფე ბაგრატს გაემარჯვა (თ. ჟორდანია 1897, გვ. 481. ჯ. ოდიშელი, 1968, გვ. 58. Е. Такаишвили, 1895 გვ. 12). ამ ქრონიკაში მოხსენებული «ანძილახის საყდარი" (ქრონიკის სამივე გამომცემელთან წაკითხვა ერთნაირია) სხვა არცერთ წყაროში არ იხსენიება. ტერმინი «საყდარი" ჯუანშერიდან მოყოლებული («... დაჰფლენ საყდარსა ქუთათისსა", იხ. ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 241) ხშირად იხმარება ჯერ ბაგრატის ტაძრის გათხრების დროს გამოვლენილი VII_VIII სს-ის ეკლესიის (ო.ლანჩავა, რ.ისაკაძე 2004, გვ. 136-140), ხოლო შემდეგ თვით ბაგრატის ტაძრის აღსანიშნავად (იხ. ო.ლანჩავა, რ.ისაკაძე, დ.ბერძენიშვილი 2004, გვ. 21-24, სქოლიო 24. იქვე ლიტერატურა). აქედან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ოდიშიდან მოსული დადიანის საომარი აქტივობა რიონის მარჯვენა სანაპიროზე ქუთაისის ციხისკენ (ბაგრატის ტაძრის მახლობლად) იქნებოდა მიმართული შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ქრონიკაში ასახული საომარი მოქმედება ბაგრატის ტაძრის მახლობლად მიმდინარეობდა, თუმცა «ანძილახის საყდრის" ბაგრატის ტაძართან გაიგივება კვლევს ამ ეტაპზე თითქმის შეუძლებელია და შესაძლოა ამ სახელწოდების ქვეშ ქუთაისის მიდამოებში წყაროებით ჩვენთვის უცნობი რომელიმე სხვა ეკლესია იგულისხმებოდეს. აღნიშნული ომი ბაგრატ მეფის გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ სულ მალე 1666 წელს სახლთუხუცესი სეხნია ჩხეიძე გადაუდგა ბაგრატ მეფეს და ქუთაისის ციხეში ოსმალთა გარნიზონი ჩააყენა. ეს მოვლენა ქართულ წყაროებში ოდნავი განსხვავებებით აისახა: «ამანვე (იგულისხმება ასლან ფაშა რ.ი.) მისცა სეხნია ჩხეიძეს იენგიჩარნი და შეაყენნა ქუთაისს ციხესა შინა" (ვახუშტი ბაგრატიონი 1973, გვ. 730); «შემდგომად კუალად ამანვე (ასლან ფაშამ რ.ი.) მისცა სეხნია ჩხეიძეს იენგიჩარნი და შეადგინნა ციხესა ქუთაისს" (იქვე ... გვ. 730), «ხოლო განდიდნა ჩხეიძე სეხნია სახლთუხუცესი. ამან იკლო რაიმე ბაგრატისაგან, იწყო ზრახვა და ერდგულება ფაშისა,

მოიყვანა სპანი ოსმალთა, მოიპარა ციხე ქუთათისისა და შეაყენნა ოსმალნი... ესე აღუძნდა ბაგრატს და ყოველთა იმერთა, არამედ დაიდუმეს ჯერეთ შიშითა ოსმალთა" (იქვე ... გვ. 838). ვახუშტი ამ ფაქტს სხვაგანაც აღნიშნავს «... მისცა ქუთათისის ციხე ოსმალთა სეხნია ჩხეიძემან და უპყრავთ აწცა მათ. არამედ შემცირდა ფრიად ქალაქი მათგან..." (იქვე ... გვ. 761).

ამ ჯერზე ოსმალებმა დიდხანს ვერ მოიკიდეს ფეხი ქუთაისში. 1667 წელს «... იცა ჟამი მოურავმან ბეჟან ლორთქიფანიძემან, შეეტყუა ქუთათისს ციხესა, მოსრნა ოსმალნი და აღიღო ციხე... და მისცა მეფესა ბაგრატს" (იქვე ... გვ. 838). ამ ფაქტს ერთი ქრონიკაც ადასტურებს «... კვალად ბეჟან ლორთქიფანიძემ ქუთათისის ციხე აღიღო, ოსმალნი მოსწყვიდნა" (თ. ჟორდანია 1894, გვ. 484).

1668 წელს ახალციხის ფაშასთან დანათესავებული დარეჯან დედოფალი თურქთა ჯარით იმერეთში გადმოვიდა და სამეფო ტახტი დაიბრუნა. თურქებმა კი «... მოსრნეს, მოსტყუევნნეს იმერეთი, შემუსრნეს მრავალნი ხატნი და ჯუარნი, მოწუნეს ქუეყანანი და ეკლესიანი...» (ვახუშტი ბაგრატიონი 1973, გვ. 838).

თურქთაგან იმერეთისა და ქუთაისის სასტიკი აოხრებისა და ციხის დაკავების შესახებ აღნიშნულია ბაგრატ მეფის რუსეთში 1669 წელს გაგზავნილ წერილებშიც. «... დაუსრულებელი ღმერთი მყავს მოწამად და ქუთათის დიდი დედაქალაქი, ციხე და მონასტერი თათრითა და მოლით სავსე იყო და პატიოსანი ხატი და ჯვარი დასთხარეს, ოქრო და ვერცხლი დაადვნეს და ..... ქუთათის ქალაქშია თათრები მოჰყვანდათ დასასახლებლად და ... ციხის მეტი ჩვენვე საბატონოდ დავიჭირეთ და ციხე მათ უჭირავსთ და მოლები დიდროვანს საყდარს და მონასტერს თავს დასძახის...» (M. Броссе, 1861, გვ. 84-85.) ამ მოვლენებს ქრონიკებიც ადასტურებენ (თ. ჟორდანია 1897, გვ. 485). იმავე 1668 წელს იმერლებმა დარეჯან დეოფალი და მისი ქმარი მოკლეს და ბაგრატ IV ტახტი ისევ დაიბრუნა, თუმცა 1669 წელს სეხნია ჩხეიძემ ქუთაისის ციხეში კვლავ ჩააყენა თურქული გარნიზონი. «არამედ კუალადცა... ჩხეიძე სეხნიამან არა ინება მეფობა ბაგრატისა და აღიღო მოპარვით და ზაკჯთ ქუთათისის ციხე და მისცა ოსმალთა და მიერით უპყრავთ დღემდე" (ვახუშტი ბაგრატიონი 1973, გვ. 839).

1669 წელს ბაგრატ მეფემ ჩხარის ბრძოლაში დაამარცხა სეხნია ჩხეიძე და მოწინააღმდეგე დასი. 1671 წელს იმერელთა დახმარებით ლევან დადიანი «... მოუჯხდა

ბაგრატ მეფესა ქუთათისს...” (იქვე ... გვ. 840.). მეფე რაჭას შეეფარა, დადიანი გეგუთში დადგა, სადაც ვახუშტის მიხედვით ბრძოლაში დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა, ხოლო ერთი ქრონიკის მიხედვით ბრძოლა ქუთაისში მოხდა (თ. ჟორდანია 1897, გვ. 487).

1672 წელს გიორგი გურიელისგან წაქეზებული ახალციხის ფაშა ქუთაისში თავს დაესხა ბაგრატ მეფეს (ვახუშტი ბაგრატიონი 1973, გვ. 840-41). ვახუშტის თხზულებისა და ქრონიკების მიხედვით ბაგრატ მეფე დაატყვევეს: «ფაშა და ბაგრატ მეფე ქუთაისს შეიბნენ. ფაშას გაემარჯვა, ბაგრატ მეფე შეიპყრეს” (თ.ჟორდანია 1897, გვ. 487); «აქა დაესხა თავს ქუთათისს მეფე ბაგრატს ასან-ფაშა, გურიელი გიორგი და შეება მეფე და ფაშას გაემარჯვა, წვრილი კაცი დაჰხოცეს და ცხენოსანი ჭახთაშიდ (ჭ˜ხთაშიდ) გარდაყარეს” (იქვე ... გვ. 484),[6] «ამა ქორონოკონს დაესხა მეფეს ბაგრატს ქუთათისს ასან ფაშა. მეფე ჴელთ დარჩა და იმერეთი და ოდიში ააოხრა. ქვეყანაი ვერ დაიჭირა და ისევ მეფე გააპატონა” (ჯ. ოდიშელი 1968, გვ. 69. ე. თაყაიშვილი, 1913 გვ. 71). ბაგრატ მეფემ დიდძალი ქრთამით დაიხსნა თავი, ფაშას მძევლად შვილი (ალექსანდრე) მისცა და ტახტი დაიბრუნა. ამ მოვლენებს 1672 წელს დასავლეთ საქართველოში მყოფი ჟან შარდენიც ადასტურებს (ჟან შარდენი 1975, გვ. 247-248).

1674 წელს ბაგრატ მეფემ ქუთაისის ციხე წაართვა ოსმალებს: «შემდგომად მოადგა ბაგრატ მეფე ქუთათისს, აღიღო ციხე და გამოიყვანა ოსმალნი” (ვახუშტი ბაგრატიონი 1973, გვ. 841). «ბაგრატ მეფემ ქუთაისი აღიღო» (თ.ჟორადნია, 1897, გვ. 488). ამ მოვლენასთან დაკავშირებით საინტერესოა 1674 წლით დათარიღებული ერთი ქრონიკა, რომლის ორი სხვადასხვა წაკითხვა არსებობს. ექვთიმე თაყაიშვილის მიხედვით «... შემოადგენ ქუთათის ციხეს მეფე ბაგრატ და იმერელნი ქ(ა)რთვ(ე)ლთ ეჭირა. აღებით აიღეს მაგრამ მოშალეს. ღ˜ნ [ხედვა მისი ვ]ინც მოშალა, ქუთათისი დასწვეს და ქალაქი აღაოხრეს...” (ე. თაყაიშვილი 1913, გვ. 71). ჯ. ოდიშელის მიხედვით «... შემოებენ ქუთათისს ციხეს მეფე ბაგრატ და იმერელნი, ურუმთ ეჭირა. აღებით აიღეს, მაგრამ მოშალეს. ღმერთმან ცოდვა [მი]სცეს [ვ]ინც მოშალა. ქუთათისი დასწვეს და ქალაქი აღაოჴრეს...” (ჯ. ოდიშელი, 1968, გვ. 69).

იმავე 1674 წელს ახალციხის ფაშასთან მოლაპარაკების შემდეგ ბაგრატ მეფემ დაიბრუნა მძევლად წაყვანილი ალექსანდრე და სანაცვლოდ ქუთაისის ციხე დაუბრუნა

თურქებს. ამიერიდან თურქული გარნიზონი მუდმივად იდგა ქუთაისის ციხეში 1770 წლამდე.

1666-74 წლების ზემოაღწერილ მოვლენებთან კავშირში ჩვენს ყურადღებას იქცევს რამდენიმე გარემოება:

1. 1667 წელს მოურავ ბეჟან ლორთქიფანიძის მიერ თურქთაგან განთავისუფლებულ ციხეში დარეჯან დედოფლის დაბრუნების შემდეგ (1668წ.) თურქული გარნიზონი არ ჩამდგარა მიუხედავად იმისა, რომ, როგორც წინა წლების მოვლენებიდან ჩანს, თურქეთი ამას ძალიან აქტიურად ცდილობდა. ჩვენს ხელთ არსებული წყაროებით არ ჩანს, რომ დარეჯანი ქუთაისში დარჩენილ თურქთა შეიარაღებულ ძალას ეყრდნობა. ალბათ ამიტომ გაბედეს და მოახერხეს ბაგრატის მომხრეებმა მისი და ვახტანგ ჭუჭუნიასშვილის ფიზიკური ლიკვიდაცია. ქუთაისზე კონტროლის აღდგენა ბაგრატის მოწინააღმდეგეთა დასზე (სახლთუხუცესი სეხნია ჩხეიძე) დაყრდნობით თურქეთმა უსწრაფესად (1669) მოახერხა. ბაგრატ მეფის მოქმედებიდან (მათ შორის 1669 წელს რუსეთში გაგზავნილი წერილის ფაქტიც საკმარისია) აშკარად ჩანს მისი ანტითურქული განწყობილება.

2. 1674 წელს ბაგრატ მეფის მიერ ქუთაისის ციხის აღებასთან დაკავშირებული ქრონიკის ე. თაყაიშვილის წაკითხვით ციხე «... ქ(ა)რთვ(ე)ლთ ეჭირა აღებით აიღეს, მაგრამ მოშალეს... ქუთაისი დასწვეს და ქალაქი აღაოხრეს.” ჯ. ოდიშელის წაკითხვით ციხე «... ურუმთ ეჭირა...”.

1674 წელს არსებული ვითარებიდან გამომდინარე ცხადია, რომ უფრო მისაღები ჯ. ოდიშელისეული წაკითხვაა. სხვაგვარად სრული გაურკვევლობა რჩება. ბაგრატის მოწინააღმდეგე (სეხნია ჩხეიძე, დარეჯან დედოფალი, გიორგი გურიელი (1672 წლის აქციის თაოსანი) დამარცხებულია. სხვას ქართველთაგან ვის უნდა სჭეროდა ციხე უბრალოდ გაუგებარია. აღნიშნული ქრონიკის ჯ. ოდიშელისეული წაკითხვით ამ კუთხით ყველაფერი ნათელია: ბაგრატ მეფემ თურქებს წაართვა ციხე, მაგრამ გაუგებარია ქრონიკის ის ცნობა, რომ ციხე მოშალეს და ქუთაისი დაწვეს და ააოხრეს. კონტექსტით ჩანს, რომ ციხე აიღეს და მერე მოშალეს. ძნელი ასახსნელია რით უნდა ყოფილიყო ბაგრატ მეფის ეს საქციელი (თუკი მან მოშალა ციხე) გამოწვეული. ხომ არ ჩანს აქ იგივე სახის გამიზნული მოქმედება, როგორიც სოლომონ I განახორციელა 1770

წელს, როდესაც თურქთაგან განთავისუფლებული ქუთაისის, ცუცხვათის და შორაპნის ციხეები საფუძვლამდე დაანგრევინა, რითაც მტერს შუაგულ იმერეთში ფეხის მოკიდების საშუალება მოუსპო ? თუ ასე იყო, მაშინ ცხადია 1674 წლის გარიგების შემდეგ ქუთაისში ჩამდგარი თურქული გარნიზონი საფუძვლიანად შეაკეთებდა ციხეს. ამდენად 1674 წლისათვის ლოგიკურად შეიძლება ციტადელზე ერთი, სხვა მონაცემებით უცნობი ნგრევა-მშენებლობის ეტაპი გამოიყოს. არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილ, 1770-75 წლების ნგრევა-აფეთქების შემდეგ თითქმის საფუძვლამდე დანგრეული ციტადელის კედლების ფრაგმენტებზე ამის შემოწმება აღარ ხერხდება. ამდენად ერთი ნაკლული და საეჭვოდ წაკითხული ქრონიკის მიხედვით ძნელია ვიმსჯელოდ რა მასშტაბის იყო ციხის «მოშლა” და ხელახლა შეკეთება.

3. ვახუშტისთან დაცული ცნობა, რომ მოურავი ბეჟან ლორთქიფანიძე 1667 წელს «შეეტყუა ქუთათის ციხესა”, სხვა მხრივაც არის საინტერესო. კერძოდ, 2004-2005 წლების საველე სამუშაოებისას ქუთაისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დაიწყო ციტადელისა და წყაროს დამაკავშირებელი IV ს-ში აგებული გვირაბისა (ო.ლანჩავა 1996, გვ. 80-87, სურ. 4, 6, 7) და «ცოტა კარის” ცალკეული მონაკვეთების შესწავლა. «ცოტა კარის” ინტერიერში IV ს-ის გვირაბის ნაშთის ძიებისას მისი იატაკის ქვეშ გამოვლინდა საიდუმლო გასასვლელი. ესაა 3,5 მეტრის სიგრძის, მაქსიმუმ 1,8, მინიმუმ 1 მეტრის სიგანისა და 1,3 მეტრი სიმაღლის, კლდოვან ქანსა და IV ს. კედელზე მიდგმულ პილონს შორის არსებულ მატერიკში გაყვანილი ღიობი, რომელიც გატარებულია IV ს-ის (პირველი ეტაპი ქუთაისისათვის, იხ. ო.ლანჩავას დასახელებული ნაშრომი) ციხის კედლის ფუნდამენტისა და IV ს-ის (მეორე ეტაპი ქუთაისისათვის) გვირაბის ფსკერის ქვეშ და ვერტიკალურად ამოდის იქ, სადაც ციხის ინტერიერიდან «ცოტა კარისაკენ” დაშვებული ქვის საფეხურები მთავრდება. ღიობი აღმოსავლეთ ნაწილში (ციხის კედლის და «ცოტა კარის” ექსტერიერში) სწორკუთხა, წაგრძელებული ქვათლილების მშრალი წყობით ნაგები კარით და კარის წინ ასევე მშრალი წყობის დამცავი კედლებით მთავრდება. კარის ღიობიდან შემორჩენილია ზღურბლის ქვა და ერთი ვერტიკალურად ჩასმული კარის ჩარჩოს სვეტი. ზღურბლის ქვა ერთი მეტრის სიგრძისაა, ჩარჩოს სვეტი 0,9 მ. სიმაღლის. ზღურბლის გაყოლებით ექსტერიერში და ინტერიერში ნატეხი ქვებით მოწყობილი ქვაფენილია შემორჩენილი (სიგანე 30სმ). ჩარჩოს სვეტის საპირისპირო

მხარეს ზღურბლზე ქვაფენილიდან ოდნავ ამაღლებული კირქვის ბლოკი დევს ცილინდრული ფოსოთი (d=7სმ, h=7 სმ), ცხადია კარის ხის ჩარჩოს ჩასასმელად. ამ მონაცემებით ხის კარის სიმაღლე 0,9, სიგანე კი 0,5 მ. ყოფილა (ტაბ. XVIII; XIX; XXXIII. 2)

მთელი ღიობი სავსე იყო შავი, ნაშალი, დასილული ფენით. ჩანს იგი ნელ-ნელა ივსებოდა. «ცოტა კარის" წინ გაჭრილი შურფის სტრატიგრაფია (ტაბ. XXXIV. 1) უჩვენებს, რომ 1770 წლის ნგრევა-აფეთქების (იხ. ქვემოთ) შედეგად ღიობის კარის წინა მონაკვეთი ნანგრევებით და ნაშალით ამოიქოლა და ალბათ ამის შემდეგ დაიწყო მისი შევსება – დასილვა. ღიობის გაწმენდისას მხოლოდ ერთი პერიოდის მასალა ამოვიდა (თურქული ფაიანსის, ჩიბუხების, უხეშკეციანი ბრტყელძირა ჯამების, ნაკაწრებით შემკული ჩაფისა და დოქის ყურების ფრაგმენტები, ფინდიხები და სხვა). ეს მასალა ქუთისის ციტადელის სტრატიგრაფიით ძირითადად XVIII ს-ით თარიღდება.

ღიობის დანიშნულება ერთმნიშვნელოვნად ცხადია. იგი ძველი გვირაბის, წყაროს და ბილიკის მიმართულებით გაყვანილი, გარესამყაროსთან დამაკავშირებელი საიდუმლო გასასვლელია, ძველი (IV_VI სს-ში აგებული) კარიბჭის ქვეშ საგანგებოდ გაყვანილი.

ღიობის გაწმენდისთანავე გაჩნდა ეჭვი: აქედან ხომ არ «შეეტყუა" ბეჟან ლორთქიფანიძე თურქებს 1667 წელს და შემდეგ (1669- ან 1674 წლიდან) ამოქოლილი «ცოტა კარის " ნაცვლად მასში ხომ არ მოაწყო მტრის გარნიზონმა საიდუმლო გასასვლელი? არ გამოვრიცხავთ, რომ ღიობი საკუთრივ თურქებმა გამოჭრეს და მოაწყვეს წინასწარგანზრახულად. ამ კითხვებზე ზუსტი პასუხის გაცემა დღეს არ ხერხდება. ერთი ფაქტია, ღიობი 1770 წლის შემდეგ უქმდება. როგორც ჩანს, ამ გასასვლელით სარგებლობდა ჯერ 1698 წ. (იხ. ქვემოთ), ხოლო შემდეგ 1770 წელს ალყაში მოქცეული თურქული გარნიზონი, როცა გადაცმულ იანიჩრებს დახმარების სათხოვნელად აგზავნიდა ახალციხეში და აქედანვე გაეპარა ტოტლებენის პიკეტებს გარნიზონის დიდი ნაწილი (იხ. ქვემოთ).

1674 წლის შემდეგ ქუთაისის ციხეში მუდმივად იდგა თურქული გარნიზონი. მათ წინააღმდეგ ბრძოლის ყველა ცდა უშედეგოდ დამთავრდა, ერთი მათგანი კი ბაგრატის დიდებული ტაძრისათვის ფატალური შედეგით დასრულდა. ვახუშტი

ბაგრატიონის მიხედვით იმერეთის მეფე არჩილმა 1691 წელს (მესამე მეფობა იმერეთში) მკვეთრი ღონისძიებებით სცადა წესრიგის დამყარება სამეფოში. პირველ რიგში მან ქუთაისის ციხის თურქულ გარნიზონს შეუტია და ხანგრძლივი ალყის შედეგად ისეთ დღეში ჩააყენა, რომ «...ჯღანთა ხარშვიდიან და სჭამდნენ სიყმილისათჳის და ლამოდნენ მოცემასა ციხისასა” (ვახუშტი ბაგრატიონი 1973, გვ. 854). გადამწყვეტ მომენტში სამეგრელოს მთავარმა გიორგი ლიპარტიანმა უღალატა არჩილს, ღამით ოსმალებს «...მისცნა ყოველნი საზრდელნი თვისნი და განამაგრა ციხე და თვით მასვე ღამესა ივლტოდა სპითა ოდიშს” (იქვე... გვ. 854). არჩილი იძულებული გახდა ალყა მოეხსნა, რის შემდეგაც «...გამოვიდნენ ციხიდამ ოსმალნი და შემუსრეს ქუთათისის ეკლესია ყოვლად წმიდისა, დიდ შუენიერად გებული, ვინაჲთგან ავნებდნენ ციხესა მუნიდამ ფრიად” (იქვე ... გვ. 854).

ამ ფაქტს ვახუშტი თავის თხზულებაში კიდევ ორ ადგილზე იმეორებს «...ამან (ახალციხის ფაშამ რ.ი.) შეკრიბა სპანი ბრძანებითა ხონთქრისათა შთაიყვანა იმერეთს და ჰყო ალექსანდრე (ალ. IV. რ.ი.) მეფედ და განამაგრა უმეტესად ქუთათისი და შემუსრა ეკლესია...” (იქვე... გვ. 733). ამ შემთხვევაშიც თარიღად 1691 წელია მითითებული.

ქუთაისის და ბაგრატის ტაძრის აღწერას ვახუშტი შემდეგი ფრაზით ასრულებს «არამედ ჩქჳბ (1692)... შემუსრეს ოსმალთა და წარიღეს სუეტნი მისნი და მარმარილონი სამცხეს...” (იქვე... გვ. 761).

ტაძრის ნგრევას 1691 წლით ათარიღებს ჩვენამდე შემორჩენილი ორი ქრონიკაც: «ქუთაისის ყ˜დ, წ˜ის ეკლესია შემუსრეს ახალციხელ თათრებმა” (თ.ჟორდანია 1897, გვ. 511), «...კვალად ფაშამ ალექსანდრე ჩამოიყვანა, იმერეთს გაამეფა; არჩილ რაჭიდამ ქართლს ჩავიდა და ქუთათისის ეკლესია ყოვლად წმიდისა შემუსრეს ოსმალთა...” (იქვე...გვ. 512).

ფაქტიურად სიტყვა-სიტყვით იმეორებს ვახუშტის ტექსტს ნიკო დადიანი თავის «ქართველთ ცხოვრებაში” (ნ.დადიანი 1962, გვ.167) და თარიღად ისიც 1691 წელს უთითებს. ამრიგად თვით ვახუშტის მიხედვით ტაძრის ნგრევის ორი თარიღი (1691 და 1692) გვაქვს, რასაც ნ.დადიანის «ქართველთ ცხოვრების” კომენტარებში ([1]398) შ.ბურჯანაძე შემდეგნაირად ხსნის «...ალბათ იმიტომ რომ, მეორე შემთხვევაში (ე.ი. 1692 წლისათვის რ.ი.) დამატებით ნათქვამია: თურქებმა დანგრეული ტაძრის მარმარილოს

სვეტები სამცხეს წაიღესო” (ნ.დადიანი 1962, გვ. 237). ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ ფაქტის აღსანიშნავად უმეტეს შემთხვევაში 1691 წელია მინიშნებული, იშვიათად 1692-იც.

1985 წელს ნ.ჯაველიძემ გამოაქვეყნა რამდენიმე მონაკვეთის ქართული თარგმანი ისმეთ ფარმაქსიზოღლუს მიერ 1964 წელს სტამბოლში გამოცემული XVII-XVIII სს-ის ოსმალო ისტორიკოსის ფუნდუკლულუ მეჰმედ აღას «გამარჯვების წიგნიდან” (Silahdar Findiklili Mehmet Aga, 1964. მითითებულია ნ.ჯაველიძის მიხედვით იხ. ნ.ჯაველიძე 1985, გვ.153-161), სადაც აღწერილია არჩილ მეფის მიერ ციხის ალყა და თურქებისაგან ტაძრის დანგრევა. Qქართული წყაროების (ვახუშტი, ქრონიკები, ნ. დადიანი) და თურქი ისტორიკოსის მონაცემები ძირითადში ერთმანეთს ემთხვევა. განსხვავება მხოლოდ თარიღშია. თურქი ავტორის მიხედვით ეს ფაქტები მოხდა არა 1691 ან 1692, არამედ 1698 წლის აპრილის შუა რიცხვებში. ნ.ჯაველიძის კომენტარებით ეს თარიღი უფრო სარწმუნო მოჩანს. კერძოდ, წყაროს მიხედვით არჩილის აქცია ჩატარდა მას შემდეგ, რაც რუსებმა «აზოვის” სიმაგრე აიღეს (1696 წ.). ამასთან, ფარსადან გორგიჯანიძის მიხედვით არჩილის აქცია დაიწყო მას შემდეგ, რაც ახალციხეში სულთან მუსტაფა II (ტახტზე ავიდა 1695 წელს) ბრძანებით დააპატიმრეს არჩილის ძმა გიორგი XI, ე.ი. არაუგვიანეს 1695 წლისა. გარდა ამისა ოსმალო ავტორი არა მარტო წელს, თვესაც ზუსტად უთითებს. ქართველი გამომცემლის მიერ ისიც ხაზგასმულია, რომ ფარსადან გორგიჯანიძეც და თურქი ავტორიც «...ამ ამბის მოწმენი და თანადამხდურნი იყვნენ, ხოლო ვახუშტი ბატონიშვილი თავის ისტორიას ამ ფაქტიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ წერდა” (ნ.ჯაველიძე 1985, გვ.155). ჩვენის მხრივ დავუმატებთ, რომ:

1) თურქულ წყაროში მოხსენებული გიორგი ხანი (ნ.ჯაველიძის კომენტარებით იმერეთის მეფე გიორგი IV-გოჩია) არჩილ მეფემ გააქცია და ამის შემდეგ შემოარტყა ციხეს ალყა. გიორგი IV იმერეთში 1696 წელს გამეფდა და 1698 წლამდე მეფობდა.

2) ფაქტიურად ერთმანეთს ემთხვევა არჩილის იმერეთში მეხუთედ მეფობის (6 თვე, იხ. მ. რეხვიაშვილი 1989, გვ. 144) და თურქი ავტორის მიერ აღნიშნული ქუთაისის ციხის ალყის (7 თვე) ვადები.

3) თურქული წყაროს მიხედვით «... მას შემდეგ რაც მტერი (არჩილი რ.ი.) ქუთაისიდან განდევნეს... იმერეთში მეფედ დაადგინეს ალექსანდრე მეფის (ალ. IV,

მეფობდა 1683-90 და 1691-95 წწ. რ.ი.) უფროსი ვაჟი სიმონი (სიმონ I 1698-1701 წწ. რ.ი.). მას დაავალეს ქვეყანაში ახალი წეს-წყობილების დამყარება". (ნ. ჯაველიძე 1985, გვ. 158).

ყოველივე ამის გათვალისწინებით და თურქულ წყაროზე დაყრდნობით ნ. ჯაველიძის მიერ ქუთაისის ციხის ალყისა და ბაგრატის ტაძრის ნგრევის თარიღად მიღებული 1698 წელი ჩვენთვის უფრო სარწმუნოა.

არჩილ მეფის აქციის თარიღის დაზუსტების გარდა, ოსმალო ისტორიკოსის აღნიშნულ წყაროში კიდევ რამდენიმე მომენტი იქცევს ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას. კერძოდ:

1) წყაროს მიხედვით არჩილ მეფემ «... ქუთაისის ციხის ალყის შემორტყმა დაიწყო და 7 თვე განუწყვეტლივ უტევდა. ციხეს წყლისა და სურსათ-სანოვაგის გზები გადაუჭრა..." (იქვე ... გვ.157). როგორც ნაშრომის II თავში ვაჩვენეთ, ქუთაისის ციტადელი წყლით მარაგდებოდა თეთრამიწის ქედიდან გამოყვანილი თიხის მილების მაგისტრალისა და წყაროზე ჩამავალი გვირაბის მეშვეობით. ცხადია პირველ რიგში არჩილი წყალსადენის მაგისტრალს გადაუჭრიდა თურქულ გარნიზონს, რომელიც ციხის ჩრდილო-დასავლეთ ექსტერიერში ვაკე, ადვილმისადგომ რელიეფზე იყო გატარებული და მისი მიმართულება მოალყეებისათვის რათქმაუნდა ცნობილი იქნებოდა.

ციტადელის კარიბჭისა და ჩრდილო-დასავლეთის კუთხეს შორის მოქცეული მონაკვეთის გათხრისას კარგად გამოიკვეთა ამ მაგისტრალის დაზიანებული ადგილები (ტაბ. XXV. 1). ცხადია ოსმალო ისტორიკოსის ცნობა, რომ არჩილმა გარნიზონს წყლის გზა გადაუჭრა, აღნიშნული მაგისტრალის დაზიანებას გულისხმობს. ის ფაქტი, რომ ალყა 7 თვე გაგრძელდა თავისთავად მიუთითებს, რომ გარნიზონს წყლით მომარაგების ალტერნატიული საშუალებებიც გააჩნდა. ასეთად უნდა მივიჩნიოთ პირველ რიგში «ცოტა კარი" სადაც, როგორც ზემოთ ვახსენეთ, მოწყობილი იყო წყაროსა და გარესამყაროსთან დამაკავშირებელი საიდუმლო გასასვლელი, რომლის გაკონტროლება მოალყეებისათვის ძალიან ძნელი, თუმცა არა შეუძლებელი იქნებოდა. «... როცა მოალყეთა ნაწილმა ცოტათი უკან დაიხია, ციხეში მყოფმა რამდენიმე იანიჩარმა სხვა ტანსაცმელი ჩაიცვა. მოხსენებითი ბარათი მათ უკანა კარიდან გაატანინეს და ახალციხის ბეგლარბეგ ისჰაკ ფაშასთან გაუშვეს დახმარების სათხოვნელად" (იქვე...

157). წყაროს მიხედვით აშკარაა, რომ საიდუმლო, უკანა გასასვლელით თურქებმა მხოლოდ მას შემდეგ ისარგებლეს, როცა მოალყეთა კონტროლი ამ მონაკვეთზე შესუსტდა. როგორც ჩანს, რთული რელიეფისა და საგულდაგულო დაცვა-შენიღბვის მიუხედავად ალყის დროს მაინც შესაძლებელი იყო წყაროზე ჩასასვლელი მონაკვეთის გაკონტროლება, რაც გარნიზონს წყლით მომარაგების კიდევ ერთ (წყალსადენთან ერთად) გზას უსპობდა. ასეთ შემთხვევაში მტრის გარნიზონი მხოლოდ რეზერვუარებში (ასეთად მას იმერეთის მეფეთა დროინდელი ქვევრები შეეძლო გამოეყენებინა) დაგროვილი მარაგის იმედად დარჩებოდა. ციხეზე წარმოებულმა გათხრებმა წყალმომარაგების კიდევ ერთი ალტერნატიული ვარიანტი გამოავლინა. ესაა იმერეთის მეფეთა სასახლის სამხრეთ-დასავლეთ კუთხის სათავსოს ინტერიერის (K XXV ნაკვეთი, კვადრატი 9-10) აღმოჩენილი საკმაოდ მაღალდებეტიანი ჭა, რომლის შესახებაც ქვემოთ დაწვრილებით იქნება მსჯელობა. აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ წყლის მისაგნებად სასახლის სარდაფის ინტერიერში რამდენიმე ადგილზე დაუწყიათ მუშაობა, ერთგან მარნის ქვევრიც კია ამოტეხილი და 4,5-5 მ-ის სიმაღლეზე დაღრმავებული, ცხადია წყლის ძარღვის დასაჭერად. საბოლოოდ ჭა ზემოაღნიშნული სათავსოს ინტერიერში გაუმართავთ.

წყაროებისა და არქეოლოგიური მასალის გათვალისწინებით ეს ჭა შესაძლოა სწორედ ზემოხსენებული ალყის დროს ან მის შემდეგ, არაუგვიანეს 1739-40 წლებამდეა აგებული (როცა თურქებმა წყალსადენის ახალი მაგისტრალი გაიყვანეს. იხ. ქვემოთ).

2) არჩილ მეფის მიერ ქუთაისის ციხის აღების მცდელობას, როგორც ცნობილია ბაგრატის ტაძრის დანგრევა მოჰყვა შედეგად. ვახუშტის მიხედვით ტაძარი ციხიდან გამოსულმა ოსმალებმა «შემუსრეს” «...ვინაჲთგან ავნებდნენ ციხესა მუნიდამ ფრიად”. (ვახუშტი ბაგრატიონი 1973, გვ. 854). ფაქტიურად ამავეს იმეორებენ ნიკო დადიანი და ქართული ქრონიკებიც და აქედან გამომდინარე ქართული ისტორიოგრაფიაც.

თურქული წყარო ამ ფაქტს კიდევ უფრო აკონკრეტებს და აზუსტებს. არჩილ მეფის მოალყეებმა «...ციხესთან და ციხის პირადაპირ ...დიდი ეკლესიის სახურავზე კიბით აიყვანეს მეთოფენი და იქიდან ციხეში მყოფთ ცეცხლი დაუშინეს...ციხიდან კი მეზარბაზნეთა მეთაურმა აქეთკენ ბალეზემად წოდებული ზარბაზნები განალაგა და საპირისპირო ცეცხლი გახსნა. ამ ცეცხლმა ეკლესიაზე მყოფნიც გაანადგურა და

ეკლესიის გუმბათიც და კედლებიც დაანგრია. ეკლესიის შიგნით და ზემოთ მყოფი ყველა ქართველი მიწას შეერია". ე.ი. ტაძრის ნგრევა განპირობებული იყო იმით, რომ მოალყეები გუმბათის სიმაღლიდან, მომგებიანი პოზიციიდან უშენდნენ ცეცხლს ციხის ინტერიერს. ამას ნიშნავს ვახუშტის ფრაზაც «...ავნებდნენ მუნიდამ ციხესა ფრიად".

ჩვენთვის ცნობილი და ხელმისაწვდომი ავტორებიდან მხოლოდ შ.ბურჯანაძე აღნიშნავს, რომ «აქ (იგულისხმება ტ. გაბაშვილის 1737 წ რუკის წარწერა «...გუმბადიც მოაქცივეს" რ.ი.) მითითებაა 1691 წლის აქტზე, როცა თურქებმა ყუმბარებით ქუთაისის ციხიდან ბაგრატ III დიდებული ტაძარი დაანგრიეს" (შ.ბურჯანაძე 1959 (ა), გვ. 184), თუმცა წყაროს არ უთითებს.

ვ. ჩაკვეტაძე ქუთაისისადმი მიძღვნილ ფუნდამენტურ ნაშრომში ვახუშტისა და ტიმოთე გაბაშვილზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ «ამიერიდან (1691 წ. რ.ი.) ქუთაისის ტაძარს ოსმალოები დაეპატრონენ, «გუმბადიც მოაქციეს" და 1740 წლიდან ტყვია-წამლის საწყობად გადააქციეს". (ვ. ჩაკვეტაძე 1960, გვ. 97), უკანასკნელი ფრაზა ვფიქრობთ დიუბუას ტექსტის არასწორი ინტერპრეტაციის შედეგია. დიუბუას თხზულების კონტექსტიდან კარგად ჩანს, რომ ტყვია-წამლის საწყობად თურქებმა არა დანგრეული ბაგრატის ტაძარი, არამედ ციტადელის ეკლესია გადააქციეს. «ციხე-სიმაგრის იმ შენობებს შორის, რომელთა ნაშთებმა დღემდე მოაღწია, ყველაზე უკეთ შენახულა ეკლესია...როცა თურქები დაეცენ ციხე-სიმაგრეს 1671 წელს ეკლესია მეჩეთად გადააკეთეს. ჩრდილოეთის კარზე თურქული წარწერა იყო, რომელიც 1772 წელს ნახა გიულდენშტედტმა, მე კი ერსად აღმოვაჩინე. ეკლესია განაახლეს და ტყვია-წამლის საწყობად გადააქციეს." (Dubois de Montpereus, 1839). E

ვ.ჩაკვეტაძე ამ უკანასკნელ ფაქტს 1740 წლით ათარიღებს (დიუბუა 1671 წლით) წყაროს მიუთითებლად.

3) არჩილ მეფის აქციასა და ბაგრატის ტაძრის ნგრევას შეიძლება დავუკავშიროთ ჩვენს მიერ 1987 წელს ტაძრის გალავნის ჩრდილო-აღმოსავლეთ მომრგვალებულ კუთხეში და აღმოსავლეთის კედლის ინტერიერის გაყოლებით გათხრილი გვიანი შუასაუკუნეების სამაროვანი. სამაროვნის ერთი ნაწილი (გალავნის კუთხეში) დანგრეული დაგვხვდა. გალავნის კედლის გაყოლებით კი მცირე შემაღლებად გამოყოფილ სამკუთხა მოხაზულობის მოედანზე გაითხარა კარგად გადარჩენილი ათი

სამარხი. სამარხები გალავნის დღევანდელი დონიდან ორი მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა. კუთხის მონაკვეთში დაზიანებულ სამარხებს ზემოდან ორმეტრიანი შავი, ნაშალი მიწის ფენა ედო XVIII ს-ის მასალებით (უხეში ბრტყელძირიანი, აგურისფერკეციანი ჯამები, ბრტყელგანიკვეთიანი, უხეში ნაკაწრებით შემკული ჩაფის ყურები, თურქული ჩიბუხები). ეს ფენა ბუნებრივია ფარავდა ზემოხსენებულ ათ სამარხსაც და იგი ტაძრის ეზოში გათხრების დაწყებამდე დიდი ხნით ადრეა მოხსილი, ასე რომ კარგად გადარჩენილ სამარხებს გათხრების მომენტში ზემოდან მხოლოდ 10-15 სმ-ის სიმაღლის ფენაღა ფარავდა. სამარხები მოთავსებულია ერთმანეთის მიჯრით, ყოველგვარი დამატებითი მოწყობის Aგარეშე და ჩაშვებულია ამ უბანზე შემორჩენილ წინარეანტიკური ხანის ბათქაშებიან ფენაში. რამდენიმე შემთხვევაში კარგად დადასტურდა სამარხების ერთმანეთზე გამართვის ფაქტი. ამ შემთხვევაშიც ზედა და ქვედა სამარხებს შორის გამყოფი ფენა ფაქტიურად არ დასტურდება. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მიცვალებულები ერთდროულად დაასაფლავეს. ერთი სამარხი თითქოს ბავშვისაა. მისი ყელის არეში დაფიქსირდა თეთრკეციანი, კარგად განლექილი თიხის ჯამი, პროფილირებული, ოდნავ გარედ გადაშლილი პირით და დაბალი ბრტყელი ძირით (h=7,5 სმ., d=14,5 სმ., d=6,5 სმ ტაბ. XXIX. 2).

ერთ-ერთ სამარხთან უხეში თიხის მრგვალმუცლიანი, ვიწრო, მაღალყელიანი თეთრი ანგობით შემკული დოქის ფრაგმენტებიც აღმოჩნდა (ტაბ. XXXI. 1) დანარჩენი სამარხები უინვენტარო იყო. თეთრკეციანი ჯამების ფრაგმენტები დანგრეულ სამარხებთანაც დაფიქსირდა. ანალოგიური ჯამები ქუთაისის ნაქალაქარზე XVIII ს-ის ფენებში უკვე აღარ გვხვდება. ისინი ძირითადად XVI-XVII ს-ის ფენებიდან მომდინარეობს. სამაროვნის თავზე დადებული ჩიბუხებიანი ფენა XVII სი-ს 70-იანი წლების მერე გაჩენილია. ციტადელის გარეთ ეს ფენა უფრო XVIII საუკუნიდანაა მოსალოდნელი, როცა თურქებმა ციხის გარდა «შიდა ქალაქიც” დაიკავეს. ამდენად აღნიშნული სამაროვანი უფრო XVII ს-ში უნდა გაჩენილიყო. ეს გარემოება და გათხრისას დაფიქსირებული ერთდროული (იარუსებად) დაკრძალვის ფაქტი შეიძლება სწორედ ტაძრის ნგრევისას დაღუპულ მეომრებს დავუკავშიროთ.

4) წყაროს მიხედვით ალყაშემორტყმული გარნიზონის მისაშველებლად თურქთა ჯარი ბაღდათის გავლით ქუთაისისკენ დაიძრა, რის გამოც მოალყეები დაიფანტნენ,

თურქთა «რაზმებმა ქუთაისის მიდამოებში მოედნად წოდებულ ადგილას კარავი დასცეს. ციხესა და ბანაკში იზეიმეს" (ნ.ჯაველიძე 1985, გვ.158), რის შემდეგაც ზამთრის მოახლოებისა და გზების ჩაკეტვის საშიშროებიდან გამომდინარე სასწრაფოდ შემოირიგეს განდგომილი იმერლები, მეფედ სვიმონ I (1698-1701) დაადგინეს და ზავიც დაიდო. «ვიდრე ეს საქმე ირჩეოდა, გასული ოცი დღის განმავლობაში ქუთაისის ციხის დანგრეული ადგილები შეაკეთეს. საომარი საჭურველი და სურსათ-სანოვაგის მარაგიც შეივსო". (იქვე..... გვ.159).

როგორც ვხედავთ, წყაროს მიხედვით XVII ს-ის ბოლოს ქუთაისის ციტადელზე მშენებლობა-განახლების კიდევ ერთი ეტაპი ფიქსირდება, რომლის არქეოლოგიური დადასტურება ციტადელის ფუნდამენტამდე დანგრევის გამო (1770-75 წწ.) ვერც ამ შემთხვევაში ხერხდება.

არჩილ მეფის ამ წარუმატებელი აქციის შემდეგ თურქების პოზიციები ქუთაისში კიდევ უფრო განმტკიცდა. ცხადია თურქეთი აღარ კმაყოფილდება მხოლოდ ციხის ფლობით და იწყება ქალაქის თანდათანობითი დაუფლების და თურქული ეთნოსის გამრავლების პროცესი. ეს პროცესი განსაკუთრებით შეუქცევადია მდინარის მარჯვენა სანაპიროზე, სადაც თურქთა ძირითადი დასაყრდენი, ციხის გარნიზონი დგას. წყაროებით გამოკვეთილად არ ჩანს თურქების განსაკუთრებული გავლენა მარცხენა სანაპიროსა და «ოქროს ჩარდახზე", თუმცა ცხადია ქალაქის ამ ნაწილის ბუნებრივი განვითარებაც ძალიან შეფერხდა. წერილობითი წყაროების, გრაფიკული ილუსტრაციებისა და არქეოლოგიური მასალის შეჯერებით შესაძლებელი ხდება ზემოაღნიშნულ პროცესს მეტნაკლები სისრულით გავადევნოდ თვალი 1668-1770 წლებს შორის მონაკვეთში.

ქუთაისის ტერიტორიაზე თურქული ეთნოსის მომრავლება უკვე 1668 წლის მოვლენებიდან გამომდინარე დაწყებულა. ბაგრატ IV რუსეთში გაგზავნილი წერილების მიხედვით «...ქუთათისს დიდი დედაქალაქი, ციხე და მონასტერი თათრითა და მოლით სავსე იყო და... ქუთათის ქალაქშია თათრები მოჰყვანდათ დასასახელებლად..."(M. Бросce 1861, გვ. 84-85). იმავე წერილიდან ცხადი ხდება, რომ იმ ხანად თურქებმა ციხის გარეთ ფეხი ვერ მოიკიდეს «ციხის მეტი ჩვენვე საბატონო დავიჭირეთ და ციხე მათ უჭირავთ და მოლები დიდროვანს საყდარს და მონასტერს თავს დასძახის..." (იქვე... გვ.

84-85). იგივეს იმეორებს ბაგრატ მეფე ალექსი მიხეილის ძისადმი 1671 წელს გაგზავნილ წერილშიც. მთელი ჩვენი მამული დავიბრუნეთო აღნიშნავს მეფე, «...ოღონდ ქუთათის ციხე წინა პირველი აგარიანთ დარჩა და მრავალი ბრძოლა გარდაგვიხდია და ვერც ბრძოლითა და ვერც თეთრის მიცემით ჯერ ჭელად ვერ შემოვიგდეთ...” (იქვე... გვ. 95). ცხადია თურქთა აქტივობა აქედან მოყოლებული არჩილ მეფის აქციამდე (1698 წ.) ციხის გარეთ არ ვრცელდება. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ არჩილმა თავისუფლად გამოიყენა საბრძოლო პოზიციებად ტაძრის გუმბათი. ცხადია, ტაძრის მიმდებარე «შიდა ქალაქის” ტერიტორიას იმერლები აკონტროლებდნენ. ამის დასტურად ვახუშტის თხზულების ერთი კომენტარიც გამოდგება. თხზულების ხელნაწერის აშიაზე, იქ სადაც ტაძრის «შემუსვრაზეა” თხრობა, მიწერილია: «ქუთათისის დიდის ეკკლესიის შემუსვრა ოსმალთაგან, საქუთათლო საეპისკოპოსოსი” (ვახუშტი ბაგრატიონი 1973, გვ. 854). აქედან ცხადია, რომ გუმბათის «მოქცევამდე» ბაგრატის ტაძარი ჩვეულებრივად აგრძელებდა ფუნქციონირებას და მას ქართველები აკონტროლებდნენ.

1698 წლის შემდეგ იმერეთში და კონკრეტულად ქუთაისში თურქების პოზიციები მკვეთრად უმჯობესდება. ხშირ შემთხვევაში თურქთა ხელდასმით გამეფებული იმერეთის მეფეები დასაყრდენად ქუთაისის გარნიზონს იყენებენ. ადგილობრივ დასაყრდენს მოკლებული იმერეთის მეფე გიორგი VI (1707-1711 წწ. პირველი გამეფება) მოწინააღმდეგე თავადების შიშით თავს ქუთაისის ციხეში, თურქებთან აფარებს (იხ. მ.რეხვიაშვილი 1989, გვ.153). იგივე მგომარეობაშია მეფე ალექსანდრე V (1720-41 წწ. პირველი გამეფება) 1721 წელს. ამ პერიოდში იგი ძირითადად თურქთა ძალას ეყრდნობა (იქვე... გვ. 163. იქვე ლიტერატურა). ანალოგიურ ვითარებაშია იგი 1743 წელსაც (იქვე ... გვ. 166 და ლიტერატურა). ქუთაისში თურქთა მოძალების გამოძახილია ის ფაქტიც, რომ 1737 წლის ახლო ხანებისთვის (ტ. გაბაშვილის რუკის წარწერის მიხედვით) ალ. V სამეფო სასახლედ და დასაყრდენად ვარციხე გაიხადა. თურქთა გავლენა განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც მათ დასავლეთ საქართველოს მთელი შავიზღვისპირა ზოლი თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს. შუა იმერეთის (ქუთაისი, შორაპანი, ცუცხვათი) ციხეებშიც უკვე თურქული გარნიზონები დგას. ალექსანდრე V ცდა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა რუსეთ-თურქეთის 1735-39 წლების ომი და კოალიცია შეეკრა რუსეთთან, უშედეგოდ დამთავრდა. 1739 წლის

ბელგრადის ზავის (როცა რუსეთს ჩამოერთვა შავი და აზოვის ზღვებზე ფლოტის ყოლის უფლება) გამო ალექსანდრე V მიერ რუსეთში გაგზავნილი ტიმოთე გაბაშვილის ელჩობა (1737-40 წწ.) 1740 წ. უშედეგოდ გამოემგზავრა იმერეთში (გ. პაიჭაძე 1970). თურქეთი იმერეთში უკვე თავისუფლად მოქმედებდა. იქნებ ამ ამბების გამოძახილი იყოს ის ფაქტიც, რომ თუ აქამდე თურქები ციხიდან ვერ გამოდიოდნენ, ახლა უკვე (1739-40) იმდენად გათამამებულნი არიან, რომ ციხის გარნიზონისათვის თიხის მილების ახალი წყალსადენი გამოჰყავთ (იხ. ქვემოთ).

თვით სოლომონ I მეფობის ხანაშიც კი თურქული გარნიზონების აქტივობა დიდადაა გაცდენილი არა მარტო ციხის, ქალაქის ფარგლებსაც კი, რასაც ადასტურებს სოლომონ მეფის საჩივარი ქუთაისის და ბაღდათის ციხის გარნიზონების წინააღმდეგ ახალციხის ფაშასთან (მ. რეხვიაშვილი 1989, გვ. 191. იქვე ლიტერატურა).

რიონის მარჯვენა სანაპიროზე «ზედა ქალაქის" თურქთა ფაქტიური კონტროლი კარგად დასტურდება სხვადასხვა სახის ქართული და უცხოური წყაროებით.

ტიმოთე გაბაშვილის 1737 წლის რუკის მიხედვით ქუთაისის ციხეში «...თათარნი დგანან, ხუთასი კაცი დგას», ხოლო ბაგრატის ტაძარს «გუმბადიც მოაქცივეს, ... თათართ აქვსთ უწირავ-ულოცავად...» (შ. ბურჯანაძე 1959 (ა), გვ. 187).

ამ მონაცემებს თითქმის ზუსტად ემთხვევა პროფ. ნოდარ შენგელიას მიერ ბულგარეთის არქივებში მოძიებული ოსმალური არზების ციფრებიც. ასეთი არზები ნ. შენგელიას მიხედვით ასობითაა ბულგარეთის არქივებში (ნ. შენგელია 1981, გვ. 153-165, ნ. შენგელია 1985, გვ. 147-168), რომლებიც საფინანსო დოკუმენტებს წარმოადგენენ. გამოქვეყნებული დოკუმენტების მცირე ნაწილიც კი საუკეთესო წყაროა ქუთაისის ციხის ოსმალური გარნიზონის შემადგენლობისა და რაოდენობის საკმაო სიზუსტით დასადგენად. დოკუმენტების მიხედვით გარნიზონის შემადგენლობაში შედიოდნენ იენიჩრები, თოფჩიები (მეზარბაზნეები), ჯებეჯიები (მესაჭურვლე). სამაგალითოდ მოვიტანთ №5 და №6 დოკუმენტების (ნ. შენგელია 1985, გვ. 147-168) მონაცემებს. 1730-31 და 1732-33 წლებში ქუთაისის ციხეში არის 401 იენიჩარი და 24-დან 32-მდე ჯებეჯია. №1 და №2 დოკუმენტებით (იქვე... გვ. 147-168) ქუთაისის ციხეში არის დაახლოებით 17 თოფჩია, სულ დაახლოებით 450 კაცი. ამას უნდა დაემატოს სხვა წყაროებით (მაგ: ს. ჯიქია 1976, გვ. 380-389) დადასტურებული სამოქალაქო ნაწილი მოსახლეობისა (მაგ:

ყადი, მოლები, მსახურები, ვაჭრები, ხელოსნები, ქალები, ბავშვები, ხშირ შემთხვევაში თურქებთან თავშეფარებული კონდოტიერები, გასაყიდი ტყვეები და სხვა). ყოველივე ამის გათვალისწინებით ტ. გაბაშვილისეული ციფრი (500 კაცი) გადაჭარბებული სულაც არ არის თუ პირიქით არა. ცხადია ციტადელში ამდენი ხალხის დატევა სხვა რომ არაფერი, ფიზიკურადაც გაჭირდებოდა. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ თურქული სამხედრო და სამოქალაქო ინფრასტრუქტურა ციხის გარეთაც "გადმოდინდებოდა". ამის ერთ დასტურად ბაგრატის ტაძრის ჩრდილოეთით, გალავნის გარეთ არსებულ შემაღლებაზე ჩვენს მიერ გათხრილი ფართო, მოკირწყლული ქუჩა და მის ორივე მხარეს დაფიქსირებული ნაგებობების ნაშთები უნდა მივიჩნიოთ (ტაბ I, B. 14). ნაგებობის ერთი ნაწილი, თუკი ისინი თანამედროვე დასახლებას გადაურჩა, ქვაფენილიანი ქუჩის ჩრდილოეთით გაუთხრელ ფართობში შედის. ქუჩის სამხრეთ კიდეზე ასევე თანამედროვე დასახლებით დაზიანებული ორი-სამი ნაგებობის საძირკველი იკითხება ნაწილობრივ. ქვაფენილიან ქუჩას, რომელიც ძირითადად ბაგრატის ტაძრის საფასადო ქვებითაა გამართული[7], თვალი დაახლოებით 20 მეტრის სიგრძეზე გაედევნება. შუაში მთელ სიგრძეზე 20 სმ-ის სიგანის არხი გაუყვება, ალბათ სანიაღვრედ. სწორედ ამ არხის პრეპარაციისას აღმოჩნდა XVIII ს-ის თურქული მონეტა. ჩვენი აზრით სწორედ ეს დასახლება უნდა იგულისხმებოდეს კაპიტან-პორუჩიკ ლვოვის 1770 წლის 2 დეკემბრის წერილში, სადაც დეტალურადაა აღწერილი ქუთაისის ციხეზე საარტილერიო შტურმით შეტევა 1770 წლის 6 აგვისტოს. წერილის მიხედვით რუსთა ბატარეა, რომელიც ციხის კედელს საარტილერიო ცეცხლს უშენდა, ციხის კედელთან ახლოს ერთ-ერთ სახლში იყო განლაგებული, რომლის ქვის კედლების ჩამოქცევის შემდეგ ბატარეამ მეორე სახლში გადაინაცვლა (Грамоты ...1891, стр. 258). რელიეფის თავისებურებიდან გამომდინარე რუსთა ბატარეის განლაგება მხოლოდ ჩვენს მიერ აღნიშნული ქვაფენილიანი ქუჩის დასახლებიდან შეიძლებოდა ყოფილიყო მომგებიანი. ცხადია ამ დროისათვის დასახლება დაცარიელებული იყო და მისი მცხოვრებნი ალბათ ციხეს აფარებდნენ თავს.

თურქული ეთნოსი რომ ქუთაისში მყარადაა ფეხმოკიდებული, ამას «ახალციხური ქრონიკების" ავტორის ხოჯავანთ იოანეს დღიურებიც ადასტურებს. 1769 წლის 14 მაისს «სულეიმან ფაშა, მეზვერე მემი აღა და სხვანიც ქუთაისითგან ბაღდათს

წავიდნენ” (შ. ლომსაძე 1975, გვ. 127). 1769 წლის 15 თიბათვ. «თათრებმან შადლუღი ჰქმნეს იმერეთის ყოველს ციხეებში და ხიზანშიცა” (იქვე... გვ. 127). ცხადია «ხიზანში» არასამხედრო, სამოქალაქო მოსახლეობა იგულისხმება.

XVIII ს-ის შუახანებისათვის თურქები არა მარტო «შიდა» ქალაქს, არამედ მარჯვენა სანაპიროს საფორტიფიკაციო და საკომუნიკაციო ნაგებობებსაც ფლობენ. ამის დასტურად ისევ “ახალციხურ ქროკების” ცნობები გამოდგება: 1770წ. 12 მაისი. «ქუთიასის (კორექტ. რ.ი.) ხიდის კარი და სხვა ჯიხურები აიღო მეფე სოლომონმან» (იქვე... გვ, 129). იმავე წლის 19 თიბათვეს «განთიადისას თათრებმან გალავნის კარი და სხვაც დასწვეს და შიგნითა ციხეში შევიდნენ» (იქვე ...გვ. 129).

«ხიდის კარი და სხვა ჯიხურები» დღ. ჯაჭვის ხიდის ადგილზე არსებულ საფორტიფიკაციო და საგზაო ინფრასტრუქტურას, ხოლო «გალავნის კარი» ალბათ გიულენშტედტის მიერ აღნიშნულ “ქვედა ქალაქის” დასავლეთის კედელში არსებულ კარიბჭეებს (“დიდი კარი და უფრო დაბლა რიონის ნაპირისაკენ – მეორე უფრო პატარა კარი». გიულენშტედტის ...., 1962, გვ. 139-149) გულისხმობს.

როგორც ცნობილია, თურქთა შედარებით მრავალრიცხოვანი დამსჯელი ექსპედიციები ჩვეულებრივ ერიდებოდნენ შემოდგომის შემდეგ (როცა ზეკარის უღელტეხილი თოვლით იკეტებოდა) იმერეთში დაყოვნებას, აუცილებლობის შემთხვევაში კი «ზედა ქალაქში» გარნიზონთან შედარებით მრავალრიცხოვანი ჯარიც იზამთრებდა. ოსმალო ისტორიკოსის ჩემში ზადე მუსტაფა რეშიდის ცნობით 1766 წლის სექტემბერ-ოქტომბერში თურქთა ლაშქარმა სვერის ციხის აღებისა და იქედან სოლომონ I-ის განდევნის შემდეგ «... სისწრაფით გაიარეს სადგურები და ქუთაისის ციხის წინ დაბანაკდნენ... (ნ. შენგელია, ნ. ჯაველიძე 1979, გვ. 138), რის შემდეგაც ახლად გამეფებულ თეიმურაზ მეფეს იმერეთის თავადებმა სანდოობისათვის მძევლები მისცეს და «... მანაც მათი გულის დასამშვიდებლად მათი ოჯახის წევრები ქუთაისის ციხეში მძევლად დატოვა. ჰაჯი ალი-ბეგი კი სამ-ოთხ ათასიანი ჯარით ქუთაისის ციხეში გამოსაზამთრებლად გაჩერდა...» (იქვე ...გვ. 139).

ცხადია, ამოდენა ჯარი მარტო ციხეში არ დაეტეოდა და მათ გამოსაზამთრებლად «შიდა» და «ქვედა» ქალაქის (მარჯვენა სანაპირო) ტერიტორიაზე საჭირო ინფრასტრუქტურის არსებობა უნდა ვიგულისხმოთ. ამ მოვლენის ძალზე შორეულ,

მაგრამ მეტყველ პარალელად შეიძლება გავიხსენოთ ირანელი სარდლის მერმეროეს მიერ ახ. წ. VI ს-ში ქუთაისის ციხეში გამოსაზამთრებლად სამიათასკაციანი რაზმის დატოვება (გეორგიკა 1965, გვ. 203).

თურქული ეთნოსის განსახლების მასშტაბები და რიონის მარჯვენა სანაპიროს მათგან «გაწმენდა» კარგად ჩანს სოლომონ I ქუთაისის ტაძრისადმი (იგულისხმება ბაგრატის ტაძარი) 1773 წლის 9 იანვრით დათარიღებულ შეწირულობის წიგნში. «...ვინათგან ცოდვათა ჩვენთა ძლით, მიშვებითა ღვთისათა, თათარ-ოსმანთა მტკიცედ ეპყრათ ქუთათისა ციხე-ქალაქნი, და ახალ სამოთხედ წოდებულნი შვენიერ-ჰაეროვანი ეკკლესია შენი უწყალოდ დაერღვიათ და ლამოდენ ძირითურთ აღმოთხრასა და ... მას ჟამსა... შეწევნითა შენითა, დედაო მღთისა, მყის შევმუსრენით ქალაქ-ციხე-სიმაგრენი მათნი, დავათრეთ რხმალი ჩვენი სისხლთა შინა თათართასა, აღუდევით ცეცხლი შურისგებისა სახლთა მათთა, შუვა უბან-ფალოც-ქულბაქთა მათთა, მუყრნი და მღვდელნი მათნი დავკვლენით, მახვილოსანი მოვსწყვიდენით, ბომონ-ბაგინნი მიძგიდითურთ დავარღვიენით...» (შ. ბურჯანაძე 1959 გვ. 129-131).

ქუთაისის ციხე, როგორც ცნობილია, 1770 წელს განთავისუფლდა თურქებისაგან, 1772 წლისათვის კი გიულდენშტედტის მიხედვით ქართულ და სომხურ მოსახლეობას შორის თურქული ეთნოსი უკვე აღარ იხსენიება. (გიულდენშტედტის ... 1962, გვ. 139-140). «შიდა» და «ქვედა» ქუთაისის ტერიტორიაზე თურქთა მომძლავრების ამსახველი არქეოლოგიური მასალა მცირე გამონაკლისის გარდა (მაგ: ზემოაღწერილი ქვაფენილიანი ქუჩის გარშემო არსებული დასახლება) არ მოგვეპოვება. რა თქმა უნდა თურქები გარკვეულწილად გამოიყენებდნენ ბაგრატის ტაძრის და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ძველთაგანვე არსებულ სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებს, თუმცა ამ ტერიტორიის არქეოლოგიურმა შესწავლამ უჩვენა, რომ რაიმე მეტ-ნაკლებად მასშტაბური მშენებლობა მათ აქ არ უწარმოებიათ და კულტურული ფენებიც თხელია და ვერ ასახავს არსებულ სინამდვილეს. «ქვედა ქალაქისათვის» კი არქეოლოგიური მასალა საერთოდ არ მოგვეპოვება და მხოლოდ წყაროებს უნდა დავეყრდნოთ.

არავითარი ფაქტობრივი მასალა (წყაროები, არქეოლოგიური მონაცემები) არ გაგვაჩნია «პატარა ქუთაისის» (მარცხენა სანაპირო) თურქთაგან აქტიური კონტროლის შესახებ. წყაროებიდან უფრო ის ჩანს, რომ ქალაქის ეს ნაწილი და სამეფო რეზიდენციაც

მეფის კონტროლირებად ტერიტორიას წარმოადგენს, თუმცა თურქების ხანგრძლივ ოკუპაციას უშედეგოდ არ ჩაუვლია და ქალაქის ეს ნაწილი დამცრობილი და ბუნებრივი განვითარების გზიდან აცდენილი, 1770 წლის შემდგომ მყისიერად იწყებს განვითარებას (იხ. ქვემოთ).

მთელი ზემოთმოტანილი მსჯელობიდან ვფიქრობთ ცხადად ჩანს, რომ სულ მცირე 1674 წლიდან მოყოლებული 1770 წლამდე თურქები პრაქტიკულად აკონტროლებენ ჯერ ციტადელს, ხოლო 1698 წლიდან მარჯვენა სანაპიროზე გაშლილი ქალაქის ძირითად ნაწილებს და თავიანთ საქმიანობაში იყენებენ სხვადასხვა ეპოქაში აგებულ საფორტიფიკაციო, საერო, საკულტო, საზოგადოებრივი, საკომუნიკაციო თუ ჰიდროტექნიკური დანიშნულების ნაგებობებს და ბუნებრივია არც თუ იშვიათად ახალსაც აგებენ კონკრეტული მიზანდასახულობიდან გამომდინარე.

თურქთა მთავარ დასაყრდენს ციტადელი წარმოადგენდა და მისი ხელში ჩაგდებით უკვე თავიანთი მიზნებისათვის იყენებენ მთელ გამაგრების სისტემას, სამეფო სასახლეს, აბანოს, ეკლესიას და ა. შ.

წყაროებით არ ჩანს (და არც არქეოლოგიური მასალა იძლევა იმის საფუძველს), რომ თურქებს რაიმე მასშტაბური საქმიანობა ჩაეტარებინოთ ციტადელის ან სხვა მონაკვეთების საფორტიფიკაციო სისტემის განახლების თვალსაზრისით თუ არ ჩავთვლით 1674 წლის ქრონიკაში აღნიშნულ ციხის «მოშლიდან» (ჩვენ არც ამ «მოშლის» მასშტაბები ვიცით) ლოგიკურად გამომდინარე აღდგენა-გამაგრების აუცილებლობას და თურქულ წყაროში დაფიქსირებულ ოცდღიან მონაკვეთში (1698 წ) ჩატარებულ აღდგენით სამუშაოებს. არც ერთი მათგანის შემოწმება არქეოლოგიური მასალით არ ხერხდება.

სამეფო სასახლის კომპლექსიც მთლიანად გამოყენებულია ისე რომ შემორჩენილ კედლებზე რაიმე ახალი მშენებლობა არ ჩანს. მხოლოდ ერთი პატარა სათავსია გაუქმებული და ნამუსრევით ამოვსებული. სასახლის პირველ სართულზე არსებული მარნის დიდი ნაწილი წყლის მარაგისა და სურსათ-სანოვაგისათვის ყოფილა გამოყენებული. მარნის ქვევრების უმეტესობა გათხრებისას კარგად იყო შენახული. მომტვრეული ჰქონდათ მხოლოდ პირის გვირგვინები. ესეც იმის გამო, რომ 1770-75 წლებში მარანი ციხისა და სასახლის ქვითკირის კედლების 2 მეტრის სიმძლავრის

ნანგრევმა დაფარა. ზოგ ქვევრში აღნიშნული ნანგრევებიც ეყარა. ე.ი. ნგრევის მომენტში ყველა ქვევრი გაუქმებული არ იყო.

თურქული გარნიზონის მიერ განხორციელებული მშენებლობებიდან შედარებით მეტი ინფორმაცია გვაქვს ციტადელში აგებული მეჩეთის, წყალსადენის, ჭისა და «ქვედა ქალაქი» აბანოს შესახებ.

მეჩეთს პირველად გიულდენშტედტი იხსენიებს. «ციხის შუაში ძველად იდგა ქართული ქრისტიანული ეკლესია, მის მაგივრად თურქებმა ააშენეს მეჩეთი, რომლის კედლები დღესაც დგანან და სწორკუთხედს ქმნიან. კარიბჭის თავზე ჩრდილოეთის კედელში თათრული წარწერაა ქვაში ამოკვეთილი» (გიულდენშტედტის ..... 1962, გვ. 139-149).

ციტადელის ეკლესიას XIV ს-ით ათარიღებს დიუბუა და მონპერე და აღნიშნავს, რომ «... როცა თურქები დაეცენ ციხესიმაგრეს 1671 წელს ეკლესია მეჩეთად გადააკეთეს». დიუბუა ამ თარიღის შესახებ წყაროს არ უთითებს. 1671 წლისათვის ჩვენს ხელთ არსებული არც ერთი წყარო თურქთა შემოსევას და მითუმეტეს ციხე-სიმაგრეზე «დაცემას» არ უჩვენებს. ვახუშტის მიხედვით (ვახუშტი ბაგრატიონი 1973, გვ. 840) 1671 წელს მხოლოდ ლევან ^III დადიანსა და ბაგრატ IV შორის მოხდა ბრძოლა და ამ ფაქტს ციხესთან და მით უმეტეს მეჩეთის მშენებლობასთან არავითარი კავშირი არა აქვს. არც ვახუშტისთან (იქვე ... გვ. 840-841), ქართულ ქრონიკებში (თ. ჟორდანია 1897 გვ. 487-488, ჯ. ოდიშელი 1968, გვ. 69., ე. თაყაიშვილი 1913; გვ. 71) და ჟან შარდენთან (ჟან შარდენი 1975, გვ. 247-248) დაფიქსირებული 1672 წელს ბაგრატ მეფესა და ასან ფაშა-გიორგი გურიელის ლაშქარს შორის შეტაკება უკავშირდება ციხეზე "დაცემას" და მეჩეთის მშენებლობას, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ 1669 წლიდან 1674 წლამდე ციტადელში თურქული გარნიზონი უკვე დგას და თურქების მიერ 1672 წელს, და მით უმეტეს 1671 წელს, ციხე-სიმაგრეზე «დაცემა» ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულია. სხვა საქმეა, რომ ციხეში ფეხმოკიდებულ თურქებს უკვე 1671 წელს, ან უფრო ადრე 1669-71 წლებში დაეწყოთ მშენებლობა, თუმცა ჩვენი აზრით მათ ამის შესაძლებლობა ლოგიკურად უფრო 1674 ან 1698 წლის შემდეგ შეექმნათ, როცა ციხეში და «ზედა» ქალაქში საბოლოოდ განმტკიცდნენ.

როგორც ნაშრომის მეორე თავში აღინიშნა, ციტადელის ეკლესია XIII ს-ის მეორე ნახევარშია აგებული. ეკლესიის გათხრების შედეგებისადმი მიძღვნილ პუბლიკაციაში ა. გაბრიაძე აღნიშნავს, რომ «XVII ს-ის ბოლო მეოთხედში ქუთაისი კვლავ დალაშქრეს თურქებმა. მათ ააფეთქეს (? რ.ი.) ბაგრატის ტაძარი (1691წ.). ამ დროს უკვე ციტადელის ეკლესია თურქებს მეჩეთად გადაუქცევიათ...» (ა. გაბრიაძე 1998, გვ. 90) და უთითებს ვ. ბერიძის ცნობილი ნაშრომის (ვ. ბერიძე 1983) 64-ე გვერდს, სადაც პატივცემული მეცნიერიც ანალოგიურად მსჯელობს: «... 1691 წელს ახალციხიდან შემოჭრილმა თურქებმა ...ააფეთქეს ... ბაგრატის ტაძარი (ჩამოიქცა გუმბათი, კამარები, ბოძები...». 66-ე გვერდზე ვ. ბერიძე წყაროს მიუთითებლად (ალბათ დიუბუაზე დაყრდნობით) წერს: «1671 წელს ციხის აღების შემდეგ თურქებს იგი (იგულისხმება ციტადელის ეკლესია რ.ი.) მიზგითად გადაუქცევიათ". როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, თურქთაგან არც ტაძრის «აფეთქება» და არც 1671 წელს ციხის აღება წყაროებით არ დასტურდება. არც ეკლესია გადაუკეთებიათ თურქებს მიზგითად, როგორც დიუბუა წერს და ალბათ აქედან გამომდინარე სხვა არაერთი ავტორიც. გიულდენშტედტი გარკვევით მიუთითებს, რომ ეკლესიის «მაგივრად თურქებმა ააშენეს მეჩეთი, რომლის კედლები დღესაც დგანან და სწორკუთხედს ქმნიან" (გიულდენშტედტის ..... 1962 გვ. 139-149).

ციტადელის ეკლესიაზე მსჯელობისას ა. გაბრიაძე აღნიშნავს, რომ მიზგითად გადაქცევის შემდეგ თურქებს «... სამხრეთის მხრიდან მისი ფართი მართკუთხა ფორმის მინაშენით გაუზრდიათ.» (ა. გაბრიაძე, 1998, გვ. 90). დიუბუას, ვ. ბერიძის და ა. გაბრიაძის მიხედვით ეკლესიაც და სწორკუთხა მინაშენიც მიზგითად მოიაზრება, არადა თვით დიუბუა იმავე კონტექსტში აღნიშნავს, რომ «ეკლესია განაახლეს და ტყვია-წამლის საწყობად გადააქციეს». იგულისხმება თურქებმა. ამრიგად დიუბუას და გიულდენშტედტის (იგი პირდაპირ მიუთითებს, რომ სწორკუთხაკედლებიანი მეჩეთი ეკლესიის მაგივრად ააშენეს თურქებმა) მიხედვით მეჩეთად უნდა ვიგულისხმოთ არა საკუთრივ ეკლესია, არამედ ა. გაბრიაძის მიერ მითითებული სამხრეთით არსებული სწორკუთხა მინაშენი. აღნიშნული მინაშენი თავის დროზე ჩვენს მიერ იქნა გათხრილი და მაშინვე გამოითქვა ვარაუდი, რომ სწორედ ეს იყო მეჩეთი. მინაშენი მართლაც სწორკუთხაა, სამხრეთის მხრიდანაა მიდგმული ეკლესიაზე და აშკარად გვიანდელია. ამ მონაკვეთზე კულტურული ფენები ძლიერ დარღვეული დაგვხვდა, რის გამოც მისი

ზუსტი დათარიღება შეუძლებელია. მისი სიგრძე 9,8 მეტრია, სიგანე 3,8 მეტრი, კედლები ნაგებია შედარებით კარგად დამუშავებული ქვის ბლოკებით, შიდა სივრცე ამოვსებულია ნატეხი ქვითა და დუღაბით. კედლების სიგანე 1,1 მეტრია, შემორჩენილი სიმაღლე 0,5 მეტრი. შემორჩენილ კედლებზე კარის ზღურბლის დონე არ ფიქსირდება, არც იატაკის დონე შემორჩენილა. თავდაპირველი (XIII ს-ის) ეკლესიის სამხრეთის მოჩუქურთმებული კარი გათხრების მომენტში ამოქოლილი იყო და მხოლოდ და მხოლოდ ძეგლის კონსერვაციისას გაიხსნა. კვლევის ამ ეტაპზე ძნელია იმის დადგენა, რომ კარის ამოქოლვა მინაშენის გაჩენას დავუკავშიროთ. თუ ეს ასე იყო, მინაშენი ეკლესიიდან იზოლირებულ დამოუკიდებელ ნაგებობად უნდა წარმოვიდგინოთ და შეიძლება სწორედ ის მიგვეჩნია თურქების მიერ აგებულ მეჩეთად, რომ არა ერთი გარემოება. გიულდენშტედტის მიხედვით მეჩეთის «... კედლები დღესაც დგანან და სწორკუთხედს ქმნიან. კარიბჭის თავზე ჩრდილოეთის კედელში თათრული წარწერაა ქვაში ამოკვეთილი.» კონტექსტით ცხადია, რომ აქ მეჩეთის კარიბჭე იგულისხმება და არა ციხის მთავარი კარიბჭე, რომელიც ზუსტად ეკლესიის მოპირდაპირე, ჩრდილოეთის მხარეს მისგან 15-ოდე მეტრის მოშორებით მდებარეობდა და რომელსაც გიულდენშტედტი საერთოდ არ იხსენიებს. თავის დროზე ასე გაიგო გიულდენშტედტის აღნიშნული პასაჟი დიუბუამაც «... ეკლესია მეჩეთად გადააკეთეს. ჩრდილოეთის კარზე თურქული წარწერა იყო, რომელიც 1772 წელს ნახა გიულდენშტედტმა, მე კი ვეღარსად აღმოვაჩინე». მიუხედავად იმისა, რომ გიულდენშტედტს წარწერის შინაარსი არ მოაქვს, მაინც ვფიქრობთ, რომ ეს სწორედ ის წარწერაა, რომელიც 1950-იან წლებში შემთხვევით აღმოჩენილა ბაგრატის ტაძრის ნანგრევებთან, გამოაქვეყნა აკად. ს. ჯიქიამ (ს. ჯიქია 1976, გვ. 380-389) და ამჟამად ინახება ქუთაის-გელათის მუზეუმ-ნაკრძალის დირექციის შენობაში. ს. ჯიქიას მიხედვით «წარწერიანი ქვა კარგად არის შენახული ... ასოები რელიეფურია, შესრულებულია ნასხის ხელით. ქვის ზომა: სიგრძე 67,5სმ., სიგანე 47,5სმ., სისქე 23სმ. წარწერის ტექსტის თარგმანი ასეთია:

1) ვინც საქველმოქმედო საქმეთათვის გულმოდგინედ იღწვის, საბოლოოდ გაიხარებს.
2) @რადგან სახელი ჰასან საუკეთესო თვისებებზე მიუთითებს.

3) მან [ჰასანმა] არა ორგულობით, არამედ მოწყურებულთა სასიკეთოდ.

4) წყალი გამოიყვანა ციხის კარამდე, წყალი მაცოცხლებელი.

5) მე შევსთხოვ გამჩენ ღმერთს, მიიღოს მისგან [ეს] ქველმოქმედება,

6) არაფერი მოკლებოდეს მას, თავისი კეთილი საქმეებით [მოთმინებით] მოეპოვოს სიმტკიცე [სიცოცხლისა].

7) ქველმოქმედი არის კიკიანი ჰასან აღა.

8) …... [წარწერის] თარიღია – 1152 წელი [=1739-40].

წარწერა დათარიღებულია 1739-40 წლით. ერთადერთ მთავარ მოქმედ პირად დასახელებულია ვინმე ჰასან აღა კიკიანი,[8] რომელსაც ... ქუთაისის ციხეში ოსმალთა გარნიზონისათვის წყალი გამოუყვანია. როგორც აკად. ა. შანიძე ვარაუდობს, ეს ქუთაისში «გვირაბის წყლად» წოდებული წყაროს წყალი უნდა იყოს» აღნიშნავს ს. ჯიქია.

ამ უკანასკნელ თემას ჩვენ ქვემოთაც დავუბრუნდებით, აქ კი შევნიშნავთ, რომ მიუხედავად იმისა, არის თუ არა ს. ჯიქიას გამოქვეყნებული ტექსტი ის წარწერა, რომელიც გიულდენშტედტმა ნახა, ერთი რამ უდავოა: ქვაზე ამოკვეთილი წარწერა მეჩეთის «კარიბჭის თავზე ჩრდილოეთის კედელში» იდგა. ყველა ლოგიკით წარწერა გამოსაჩენ, თვალშისაცემ ადგილზე იქნებოდა ჩასმული. ასეთ ადგილად კი ზემოაღწერილი სამხრეთის სწორკუთხა მინაშენის ჩრდილოეთის კედელი ნამდვილად ვერ გამოდგება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი თავდაპირველი (XIII ს-ის) ეკლესიის კედელი იყო და თუნდაც მასში ყოფილიყო ჩაშენებული (რაც არაფრით არ დასტურდება ფასადზე კარგად გადარჩენილი წყობის მიხედვით), გარეშე თვალისთვის დახურული სივრცის გამო პრაქტიკულად მიუწვდომელი იქნებოდა, რაც წარწერის მიზანდასახულობიდან გამომდინარე მიუღებელია.

ეს გარემოება ეკლესიის სამხრეთის სწორკუთხა მინაშენის მეჩეთად გააზრებას იმთავითვე გამორიცხავს. ამ ლოგიკით მეჩეთი და შესაბამისად მის ჩრდილოეთის კედელში მოთავსებული წარწერა, ეკლესიაზე ჩრდილოეთიდან უნდა ყოფილიყო მიშენებული (წყაროთა კონტექსტით მეჩეთს ეკლესიას ვერ დავაშორებთ). ამ შემთხვევაში უკვე ყველაფერი ნათელია. მეჩეთის ჩრდილოეთის კედელი ღია ეზოსა და ციხის კარიბჭისაკენ «გაიხსნებოდა» და კარიბჭიდან ციხეში შესულს პირველი

მოხვდებოდა თვალში. ციტადელის ეკლესიის გათხრების შედეგად ჩრდილოეთის მხარესაც აღმოჩნდა ორი სხვადასხვა დროის მინაშენის ფუნდამენტის ნაშთები. პირველი, სწორკუთხა, ორგანყოფილებიანი მინაშენი XIIIს-ის ეკლესიის ქვეშ გათხრებით გამოვლენილ V-VI სს-ის სამნავიან ეკლესიას უკავშირდება. მის ნანგრევზე შედარებით მკრთალად იკითხება განსხვავებული დუღაბით ნაგები მეორე, ასევე სწორკუთხა (სიგრძე დაახლ. 8,8 მეტრი, სიგანე, დაახლ. 3,2 მეტრი, კედლის სიგანე 1,2მ) მინაშენის აღმოსავლეთის კედელი, რომლის გარე კუთხე მომრგვალებულია, XIII ს-ის ეკლესიის ცოკოლის საფეხურზეა მიდგმული და ცხადია მასზე გვიანდელია. სტრატიგრაფია უჩვენებს, რომ მინაშენის დანგრეულ აღმოსავლეთის კედელს 1770-75 წლების შემდეგ გამართული ქვაფენილი ფარავს (ტაბ. XXXIII. 1).

ყველა მონაცემით სწორედ აღნიშნული სწორკუთხა მინაშენი წარმოადგენდა მეჩეთს, რომლის ჩრდილოეთის, ეზოსკენ «გახსნილი» კედლის კარიბჭის თავზე იყო ჩასმული წარწერიანი ქვა.

თუ ვირწმუნებთ, რომ სწორედ აკად. ს. ჯიქიას გამოქვეყნებული წარწერიანი ქვა იყო ჩასმული მეჩეთის კარიბჭეში, მაშინ ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ მეჩეთი 1739-40 წლებში, წყალსადენის მშენებლობის პარალელურად ან ოდნავ მოგვიანებით აშენდა. ძნელი წარმოსადგენია, რომ საკმაოდ მასიური წარწერიანი ქვის ფილის ჩასასმელად 50-70 წლით ადრე აგებული (თუ მეჩეთის აგების თარიღად 1674 ან 1698 წლების ახლო ხანებს ვიგულისხმებთ) შენობის კარიბჭის კონსტრუქციას შეხებოდნენ, თუმცა არც ეს ვარიანტია გამორიცხული.

ვფიქრობთ სწორედ ამ მეჩეთის ნგრევა იგულისხმება სოლომონ I 1773 წლის შეწირულობის წიგნში: «...ბომონ-ბაგინნი მიძგითითურთ დავარღვიენით...» (შ. ბურჯანაძე 1959, გვ.129-131), თუმცა «ბაგინნის» მრავლობით რიცხვში მოხსენიება შეიძლება სხვა, ანალოგიური დანიშნულების ჩვენთვის ჯერაც უცნობი ნაგებობის არსებობას გულისხმობდეს მითუმეტეს, რომ 1772 წლისათვის ციტადელის მეჩეთი ჯერაც დგას და წარწერაც თავის ადგილზეა. ე.ი. 1770 წლის პირველ ნგრევას იგი ასე თუ ისე გადაურჩა.

ზემოაღნიშნული წარწერის მიხედვით 1739-40 წლებში თურქული გარნიზონისათვის სასმელი წყალი გაუყვანიათ ციხის კარამდე. წარწერაში

ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ჰასან აღამ «... წყალი გამოიყვანა ციხის კარამდე...», რაც ცხადია წყალსადენის ტრასის მშენებლობას გულისხმობს და არა «გვირაბის წყლად» წოდებულ «წყაროს წყალს» როგორც ვარაუდობდა აკად. ა. შანიძე. როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, გვირაბს თურქები იყენებდნენ, თუმცა ალყის დროს მისით სარგებლობის ალბათობა უკვე დიდი იყო. გამოყენებული იყო აგრეთვე ციხეში არსებული ჭაც, მაგრამ XVIII-ის 20-30-იან წლებში, როცა თურქებმა განსაკუთრებით მყარად მოიკიდეს ფეხი დასავლეთ საქართველოში და როცა ქუთაისის ციხეში 500-მდე ჯარისკაცი დგას და «ზედა ქალაქის» ტერიტორიაზე მძლავრობს თურქული ეთნოსი, ცხადია გვირაბისა და ჭის წყალი საკმარისი არ იქნებოდა, მით უმეტეს, რომ ზაფხულის გვალვებში ნაქალაქარზე გათხრებით გამოვლენილ ჭებში და გვირაბის წყალზეც დებეტი მკვეთრად ეცემა.

ნაქალაქარის არქეოლოგიური შესწავლის პროცესში აღნიშნული მაგისტრალის ფრაგმენტები სამ ადგილზეა ფიქსირებული. მაგისტრალის ერთი ნაშთი (შემორჩენილი იყო ორი მილის ფრაგმენტი) უძრავ მდგომარეობაში დაფიქსირდა ციტადელის ჩრდილო-დასავლეთ ბურჯის გარეთ (ჩრდილოეთის მხარეს) გვიანი შუასაუკუნეების კარიბჭისაკენ მიმავალი ქვაფენილის თავზე, კარიბჭიდან დაახლ. 30 მეტრის დაშორებით. ამავე მაგისტრალის მეორე მონაკვეთი «შიდა ქალაქის» ტერიტორიაზე ექსპედიციის მიერ გაჭრილ ორ სადაზვერვო თხრილშიც დადასტურდა სხვა ეპოქების (V-VI, VIII. X-XI, XV-XVII სს-ის) მაგისტრალებთან ერთად. თხრილების სტატიგრაფიამ ყველა მაგისტრალის დათარიღების საშუალება არ მოგვცა და ზოგადი მონაცემებით აღნიშნული მაგისტრალის ფრაგმენტი მაშინ სავარაუდოდ IV ს-ით იქნა დათარიღებული. ასევე აისახა იგი პროფ. ო. ლანჩავას მონოგრაფიაშიც (ო. ლანჩავა, 1996, გვ. 98), თუმცა შემდგომ წლებში V-VI სს-ის აბანოს კომპლექსის ერთ-ერთი ნაწილის («გართობა-დასვენებისათვის განკუთვნილი სასტუმრო", იქვე... გვ.148) გათხრისას ცხადი გახდა, რომ აღნიშნული მაგისტრალის გაყვანისას გატეხილია უკვე გაუქმებული IVს-ის (მეორე ეტაპის ქუთაისისათვის) გალავნისა და «სასტუმროს» კედლები, რაც თავისთავად გამორიცხავს მის ადრეულობას, ხოლო ციტადელის კარიბჭესთან გვიანი შუასაუკუნეების ქვაფენილის თავზე ფიქსირებული ნაშთი მის

გვიანდელობაზე მიუთითებს, ზემოთაღნიშნული წარწერა კი თარიღს კიდევ უფრო აკონკრეტებს.

ღია აგურისფრად გამომწვარი უხეში, მინარევებიანი თიხის, ჩარხზე დამზადებული, თითქმის სტანდარტული მილები (ტაბ. XVII. 2) ჩასმულია ალიზის გარსში, გვერდებზე შემოწყობილი აქვს რიყისა და კირქვის მცირე ზომის ნატეხები და «სასტუმროს» მონაკვეთში აგურის ფრაგმენტებზეა დაწყობილი. (ზომები: სიგრძე 38 სმ., ფართო ბოლოს d=9 სმ., გადასაბმელი თავის d=6 სმ.). მაგისტრალი საფიქრებელია 1770 წლის ალყის დროს მოშალა სოლომონ I.

არჩილ მეფის აქციიდან წყალსადენის გაყვანამდე (1739-40წწ) თურქული გარნიზონი, როგორც აღვნიშნეთ წყლით გვირაბიდან მარაგდებოდა. დროის ამ მონაკვეთში როგორც ჩანს ფუნქციონირებდა ის ჭაც, რომელიც ციტადელის სამხრეთ-აღმოსავლეთის კოშკსა და მასთან დაკავშირებული იმერეთის მეფეთა სასახლის ერთ-ერთი (თახჩებიანი) სათავსის ინტერიერის გათხრებისას აღმოჩნდა K XXVI ნაკვეთის მე-9, 10 კვადრატებში (რ. ისაკაძე 1999, გვ. 60-63)

ამ მონაკვეთის გათხრებისას 1984-85წწ-ში თავდაპირველად მოიხსნა დაახლ. 3 მეტრამდე სიმძლავრის ნაშალი, ქვა-ღორღისა და ნანგრევების ფენა, რომელიც 1770-75 წლებში ციტადელის კომპლექსის აფეთქებისა და ნგრევის შედეგად წარმოიქმნა. შემდეგ მოდის 10-20სმ-ის სიმძლავრის ნახშიროვანი შრე (1770 წ.), რომლის ქვეშაც ფიქსირდება 40-50 სმ-ის სიმძლავრის ფენა (გვიანფეოდალური მასალებით). ამ დონეზე იყო თახჩებიანი სათავსის იატაკი და ამ დონეზე დაიწყეს თავის დროზე ჭის ამოთხრა. ჭის ორმოს გაჭრისას ნაწილობრივ დაუზიანებიათ დაუკირავი, ქედებიანი ქვევრების ერთი ნაწილი, რომელიც იმერეთის მეფეთა სასახლის მარანზე (დაკირული ქვევრები) ადრეულია (განვითარებულ შუასაუკუნეების ბოლო ეტაპი). მათში გვიანი შუასაუკუნეების ადრეული საფეხურის ნივთები აღმოჩნდა. ჭის ძირითადი ნაწილი თითქმის მთლიანად დედაქანშია ამოჭრილი, რომელიც ამ ადგილებში მკვრივი, წებოვანი თიხნარია და საგანგებო გამაგრება-ამოშენებას, როგორც ნაქალაქარის ტერიტორიაზე დღემდე მოქმედი ძველი ჭების მიხედვით ჩანს, პრაქტიკულად არ საჭიროებს. იატაკის დონის ზემოთ ჭის კონსტრუქციის კვალი აღარ შემორჩენილა. ის,

რაც გადარჩა და გათხრებით გამოვლინდა 7,6 მეტრის სიღრმისაა და სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება (ტაბ. XX).

1. ზედა ნაწილი წარმოადგენს მრგვალი ფორმის, სამი მხრიდან (დასავლეთით, აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით) ოდნავ მუცელგამობერილ ორმოს (d=3 მეტრამდე), რომელიც თითქმის მთლიანად დედაქანშია ამოჭრილი. მისი სიმაღლე 4,8 მეტრია. დედაქანის სიმკვრივისა და წებოვნებიდან გამომდინარე ჭის ეს ნაწილი ამოშენებული არ ყოფილა და რაიმე განსაკუთრებული გამაგრების კვალი აღარ ჩანს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იმ ადგილებში, სადაც შედარებით კარგად მოხერხდა ორმოს კედლების კონტურების გაწმენდა, ზოგან შეინიშნებოდა ნაპირების შელესვის კვალი (5-7სმ-ის სისქის სუსტი კირხსნარი). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აქაური მატერიკის სიმკვრივისა და მდგრადობის მიუხედავად ორმოს გვერდები თავის დროზეც ჩაქცეულა და მუშაობის პროცესშიც ხშირად ხდებოდა კედლების ჩამოშლა, რის გამოც კონტურების აბსოლუტური სიზუსტით დადგენა ვერ მოხერხდა. მიუხედავად ამისა, შელესვის კვალი ორმოს სამ სხვადასხვა მხარეზე, სხვადასხვა დონეზე დაფიქსირდა. ორმოს აღმოსავლეთის კედლის ჭრილში შეიმჩნეოდა ქვის საფეხურებრივი წყობა, რაც თითქოსდა ორმოს ამ ნაწილში ჩასასვლელი კიბის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ამ მონაკვეთის ძლიერი დაზიანების გამო ამის დაბეჯითებით თქმა ძნელია. ამ ფაქტს ქვემოთ ისევ დავუბრუნდებით, აქ კი აღვნიშნავთ, რომ ორმოს კედლების შელესვა ალბათ ატმოსფერული ზემოქმედებისაგან (ძირითადად ნესტი) დაცვას ემსახურებოდა. ორმოს ეს ნაწილი ქვაღორღისა და დუღაბის ნატეხებით იყო ამოვსებული (1770-75 წწ. ნგრევის შედეგი.)

2. ჭის შუა ნაწილი წარმოადგენს ოთხკუთხა ფორმის ორმოს, რომელიც ზედა ორმოს ფსკერში იწყება და ცენტრიდან სამხრეთით საგრძნობლადაა გაწეული. ზედა ნაწილისაგან განსხვავებით იგი უფრო მცირე ზომისაა, ოთხკუთხაა (1X1მ.) და აგებულია ერთმანეთზე თავგადაჭდობილი, ბრტყელი, მასიური (სისქე 5სმ.) ხის ფიცრებით. ჭის ამ ნაწილის სიმაღლე 1,8 მეტრია. თითო გვერდის ამოსაყვანად გამოყენებულია 10 ცალი ფიცარი. ამგვარი წესით შეკრული ოთხკუთხა სტრუქტურა კარგადაა შენახული და მყარადაც დგას.

3. ჭის ძირა ნაწილი წარმოადგენს ხისსავე მრგვალი ფორმის კოდს, რომელიც ჩადგმულია ზემოაღწერილ ოთხკუთხა სტრუქტურაში (ისიც არა ცენტრში, არამედ ოდნავ სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში მიწეული). კოდი სამნაწილიანია. თითოეული ნაწილი ცალ-ცალკეა დამუშავებული და შემდგომ შეკრული (შესაძლოა გარედან სალტით ან ხისსავე ლურსმებით). კოდსა და ოთხკუთხა სტრუქტურის შორის დარჩენილი სივრცე კირხსნარით არის შევსებული. კოდის პირი სადაა, ოდნავ შესქელებული. კოდის სიმაღლე 1 მეტრამდეა. მისი ბოლომდე გაწმენდა ვერ მოხერხდა, რადგან მცირე დიამეტრის (70-75სმ) გამო მასში თავისუფლად მუშაობა ვერ ხერხდება. ჭაში წყლის დონე კოდს ზემოთ არ ამოდის, კოდი კი პირთამდე ივსება. წყლის დებეტი საკმაოდ დიდია. შეუჩერებელი მუშაობით კოდიდან 600 ლიტრამდე წყალი ამოდის და 3-4 საათის განმავლობაში პირთამდე ივსება. ჩვენი აზრით მას საჭიროების შემთხვევაში ასე თუ ისე შეეძლო გარნიზონის დაკმაყოფილება სასმელი წყლით.

ჭის შუა ნაწილში და ფსკერზე აღმოჩენილი მასალა: მოჩალისფროკეციანი პირწატეხილი სამტუჩა დოქი (ტაბ. XXXV. 2) თიხის ჩიბუხები, სარკმლის მინის ნატეხები, ლურსმნები, ნალი და სხვ. ნაქალაქარზე ძირითადად XVIII ს-ის ფენებში გვხვდება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ციტადელის კომპლექსის მშენებლობისას გაყვანილი თიხის მილების მაგისტრალი არჩილ მეფის აქციის დროს უკვე მოშლილია, ხოლო ახალი წყალსადენი 1739-40-ნ წლებში იქნა გაყვანილი, მაშინ ჭის აგება თურქულ გარნიზონს უნდა დავუკავშიროთ და 1698-1739-40 წლებით დავათარიღოთ. ჭამ ფუნქციონირება თურქული გარნიზონის განდევნისა და ციტადელის კომპლექსის ნგრევის შემდეგ (1770-75წ) შეწყვიტა.

ჭის მშენებლობის თურქულ გარნიზონთან დაკავშირების სასარგებლოდ ის გარემოებაც მეტყველებს, რომ წყლის ძიება თავდაპირველად სასახლის სარდაფში, თახჩებიანი ნაგებობის გვერდით, მარანში უცდიათ, სადაც ერთ-ერთი დაკირული ქვევრი შუა ნაწილის ქვემოთ ამოუტეხიათ და გაუთხრიათ 1 მეტრი დიამეტრისა და 4,5 მეტრის სიღრმის ორმო. ქვევრიც და ორმოს ზედა ნაწილიც ქვაღორღიანი ფენით (1770 წ. ნგრევა) იყო ამოვსებული. ქვევრის ამოტეხილი ნაწილიდან 1 მეტრის ქვემოთ წამოვიდა მოყვითალო თიხნარი ფენა, მასში მასალა თითქმის არ იყო. მხოლოდ 4 მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა სამტუჩა, დაზიანებული დოქი (ტაბ. XXXV. 1). 4,5 მეტრის

სიღრმეზე ფენა შეწყდა და დავედით მატერიკზე. ორმოს ფსკერზე წვეთების სახით ჟონავს წყალი, მაგრამ ეს როგორც ჩანს საკმარისი არ იყო, წყლის ძარღვი ვერ დაიჭირეს ეტყობა და მუშაობაც შეწყვიტეს. მარანში კიდევ ორ ადგილზე აღმოჩნდა იმავე დიამეტრის ორმოები, სადაც მუშაობა დასაწყისშივე შეუწყვეტიათ. ყველაფერი ეს გარესამყაროდან იზოლირებული გარნიზონის ნამოქმედარი უფროა. ციტადელში თურქული გარნიზონის ჩადგომამდე ასეთი მოქმედების აუცილებლობას ვერ ვხედავთ, თუ არ ჩავთვლით იმ გარემოებას, რომ ლევან II დადიანის გამუდმებული თავდასხმებით შეწუხებულმა ალ. III, რომელმაც ბერი ეგნატაშვილის სიტყვებით «ქუთაისს გალავნი შემოივლო» (ქართლის ცხოვრება 1959 გვ. 421) პერიოდულად, მაგრამ არა ხანგრძლივი ვადებით იძულებული იყო ციტადელს შეფარებოდა. შეიძლება გვეფიქრა ჭის აგების ამ მომენტთან დაკავშირებაც, მაგრამ საკითხავია ასეთ შემთხვევაში რატომ არ აისახა იგი რუსი ელჩების საკმაოდ დეტალურ (კედლები, კოშკები, პალატები, ბეღლები, კარიბჭე, ეკლესია) აღწერილობაში? ორივე ელჩი საგანგებოდ აღნიშნავს ერთ გარემოებას «...იმ ციხე-გალავანს, კუთხის კოშკში, სარდაფი აქვს ალექსანდრე მეფის ბეჭდით დაბეჭდილი. იმ კოშკის ქვეშ სარდაფში თავისით ილექება (გროვდება) გვარჯილაო... წლიდან წლამდე ასი ქვაბი, ზოგჯერ მეტიც ამოაქვთ, ქვაბები სამი ვედროს მოცულობის იქნებაო ...» (ა. იევლევის ...1969, გვ. 140-141). “კუთხის კოშკზე, მდ. რიონზე რომ არის გადამდგარი, ზევით ოთხკუთხოვანი პალატია გაკეთებული და იქ მეფის სალაროა მეფის ბეჭდითა დალუქული... იმ პალატის ქვეშ ბუნებრივად (თავისით) გვარჯილა ილექება, წლიდან წლამდე ას თხუთმეტი ქვაბის რაოდენობით იღებენ, ეს ადგილიც მეფის ბეჭდით არის დაბეჭდილი...» (ნ. ტოლოჩანოვის... 1970, გვ. 117-118).

ციტადელიდან რიონს სულ ცოტა ორი კოშკი (სამხრეთ-დასავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის) გადაჰყურებს. ამათგან უკანასკნელის ინტერიერის გათხრებისას ელჩებთან აღწერილი სარდაფის მსგავსი სტრუქტურა არ დასტურდება. დარჩა სამხრეთ-დასავლეთის კოშკი, რომელთანაც დაკავშირებულ თახჩებიანი ნაგებობის ინტერიერშიც აღმოჩნდა ჭა. ტოლოჩანოვის ანგარიშში გვარჯილის სარდაფიანი კოშკის აღწერა სასახლის (ელჩების მიხედვით «პალატები») კონტექსტშია ჩართული. სამხრეთ-დასავლეთის კოშკი 1770 წლის შემდეგ მთლიანად დანგრეულია

და ფერდობზე აყირავებული. არც მისი ზედა სართულია გადარჩენილი და არც თახჩებიან ნაგებობასთან დამაკავშირებელი კედლები. და მაინც ელჩებთან აღწერილი სარდაფი ხომ არ არის ჩვენ მიერ გათხრილი ჭის ზედა ნაწილი (მით უმეტეს, რომ 3 მეტრის დიამეტრის ორმოს ჭისთვის არავინ თხრის და ერთიც: ჩვენს მიერ შემჩნეული ქვის საფეხურებიც სარდაფში ჩასასვლელი კიბის ხომ არ იყო?), რომელიც შემდეგ დააღრმავეს და ჭად აქციეს თურქებმა? ასეთ შემთხვევაში მათ გარნიზონისათვის ასე საჭირო თოფისწამლის დასამზადებელ გვარჯილაზე უნდა ეთქვათ უარი. კვლევის ამ ეტაპზე ეს კითხვები უპასუხოდ რჩება.

დაბოლოს აღვნიშნავთ, რომ ჭის გამართვა აღნიშნულ ეპოქაში (XVIIIს.) თავდაცვითი და საცხოვრებელი ნაგებობების ინტერიერში იშვიათი მოვლენა არ არის. საილუსტრაციოდ მუხრანის ციხისა და ქსოვრისში რატიშვილების კოშკების პირველ სართულზე დადასტურებული ამგვარი ნაგებობებიც საკმარისია (П. Закарая 1969, გვ. 50; 57).

იმის საილუსტრაციოდ, რომ თურქული გარნიზონი და ეთნოსი მთელ მარჯვენა სანაპიროს აკონტროლებს, «ქვედა ქალაქის» ტერიტორიაზე, რიონის ნაპირზე არსებული თურქული აბანოს არსებობაც გამოდგება, რომელსაც დიუბუა დე მონპერე ქუთაისის გეგმაზე (ტაბ. I. G) დატანილი «ქვედა ქალაქის» ძეგლებს შორის მიუთითებს. «32. მარცხენა ნაპირას აქ მოსჩანს ქვით ნაგები ხიდის ნაწილი, რომელიც ოსმალურ აბანოს ერთვოდა». დიუბუას გეგმის, გიულდენშტედტის ცნობებისა და ქუთაისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცულ დოკუმენტებზე დაყრდნობით ისტორიკოსმა მერაბ კეზევაძემ საკმაოდ ზუსტად მოახდინა ძეგლის ლოკალიზაცია და განსაზღვრა მისი მშენებლობა-ნგრევის ეტაპები (მ. კეზევაძე 1988). კერძოდ, ზემოთ მოხსენიებული ხიდის ბოლოში ზედ მდინარის მარჯვენა ნაპირზე (32) დიუბუას დატანილი აქვს სამი სწორკუთხა შენობა, რომელთაგან ერთ-ერთი პირდაპირ ერთვის ხიდს. იქვე დასავლეთით გეგმაზე დატანილია მეორე ხიდის ნაწილიც (33) «... რომელიც მთავრდებოდა სწორედ ციხესიმაგრისაკენ მიმავალ გზასთან.» მის ქვემოთ კი უთითებს «ახალი ხიდი, აშენებული ძველ ბოძებზე» (34). ცხადია ესაა თანამედროვე ჯაჭვის ხიდის ადგილზე არსებული ხიდი, ხოლო ორი მომდევნო (ზემოთ, აღმოსავლეთით) ხიდიდან, როგორც გეგმიდან ჩანს №33-ე წარმოადგენდა ტიმოთე გაბაშვილის რუკაზე დატანილ

«ხიდის კარს» და მოქმედი იყო თურქული გარნიზონის აქ დგომის დროსაც, ხოლო მეორე (№32) აბანოს აშენებისას უკვე გაუქმებული ყოფილა, რადგანაც მის ერთ ბოლოში იყო აბანო და არა ხიდთან დაკავშირებული საფორტიფიკაციო ინფრასტრუქტურა, ისე როგორც №33-ის შემთხვევაში. ამდენად აბანო «ხიდის კარით» (№33) გამაგრებული და დაცული ტერიტორიის შიგნით ექცევა. №33-ე და №32-ე ხიდის ბურჯები დღესაც ჩანს მარჯვენა სანაპიროზე. მათი გაგრძელებას სანაპიროს დღევანდელი საყრდენი კედელი ფარავს. მშენებლობის ტექნიკით ორივე თუ არა ერთი მაინც (32-ე) ადრეული შუასაუკუნეების უნდა იყოს. ამ უბნის გათხრა ახლა ვეღარ ხერხდება და თარიღების დაკონკრეტების საშუალებაც არ გვაქვს.

მ. კეზევაძის შენიშვნით მანძილი ჯაჭვის ხიდიდან (34) აბანომდე დაახლოებით 30 მეტრია, რაშიც ავტორს ჩვენც ვეთანხმებით.

გიულენშტედტის მიხედვით "დასავლეთის კედლიდან 100 ნაბიჯის მოშორებით ნაპირზე, არის 20 ნაბიჯის განივკვეთის აბანო" (გიულდენშტედტის ... 1962, გვ. 139-149). ტექსტში მოხსენიებული დასავლეთის კედლის ნაშთები დღემდეა შემორჩენილი. ესაა გათხრებით გამოვლენილი დედაბურჯიდან (იხ. ო. ლანჩავა 1996, გვ. 126-136) რიონის ნაპირისაკენ დაშვებული 2,4 მეტრის სიგანის ადრეშუასაუკუნეების გალავნის კედელი, რომელიც გიულდენშტედტისავე აღნიშვნით რიონისკენ ეშვება და « ... წყალი ეხეთქება» (გიულდენშტედტის ... 1962, გვ. 139-143). დიუბუას გეგმაზე ესაა კედელი №15 და მისგან ქვემოთ 100 ნაბიჯის დაშორებით (ახალ ხიდამდე. 34) მდებარეობდა აბანო. №15 კედლის ნაშთი დღემდეა შემორჩენილი რიონის გასწვრივი საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს ბენზინგასამართი სადგურის აღმოსავლეთით.

გიულდენშტედტის მოტანილი მანძილიც (100 ნაბიჯი) დაახლოებით ემთხვევა მ. კეზევაძისეული გაზომვას.

მ. კეზევაძის მიერ გამოქვეყნებულ 1827 წლით დათარიღებული საარქივო დოკუმენტების მიხედვით «რიონის პირზედ მდინარისსა არს ძველი შენობა აბანოს სახლად, რომელიც აღშენებულ არს ოსმალთა მიერ დროსა მათ მიერ იმერეთის ფლობისასა, გარნა დარღვეულ არს ესეცა დროსა განსხმისა მათ ოსმალოსა იმერთა წელსა 1770-სა და კიდევ შექმნილ, არს აბანოს სახლად დროსა უკანასკნელის მეფის სოლომონისას 1795-სა წელსა. ხოლო აწმყოსა დროსა შინა არს გავერანებული და

დაკერებად შესაძლებელ არს ესეცა» (ქ. ც.ს.ა.ფონდი 21. ს. 386. გვ. 5. მითითებულია მ. კეზევაძ 1988 -ის მიხედვით).

მ. კეზევაძის დასკვნით აბანო აგებულია 1669-1770 წლებში და მდებარეობდა დღევანდელი ავტოსადგურის სამხრეთ-დასავლეთით მიმდებარე ტერიტორიაზე. საარქივო დოკუმენტებით ასევე ირკვევა, რომ აბანო «... დარღვეულ არს...» 1770 წლის საომარი ბატალიების დროს, 1779 წლისათვის განახლებულია სოლომონ მეორის მიერ, 1832 წლის საბუთით (ქ. ც. ს. ა. ფ.21 ს. 758, ფ. 4) «მდგომარე მარჯვნივ მხარეზედ მდინარის რიონისა, ქვის აბანო... მდგომარეობს საეკლესიო მიწაზედ რომელსაც ხმარობდნენ იმერეთის მეფის დროს წინეთ მოადგილე ჩემი (იმერეთის არქიეპისკოპოს სოფრონიოსის, რ. ი.) ქუთაისის მიტროპოლიტი დოსითეოზ და ნებართვითა მისთა თავადი ზურაბ წერეთელი» (მითითებულია მ. კეზევაძის მიხედვით).

საარქივო მასალაზე დაყრდნობით მ. კეზევაძემ დაადგინა, რომ 1830 წელს უწმინდესი სინოდის ნებართვით ეკლესიის კუთვნილი ძველი აბანო იჯარით აუღია ქუთაისელ მოქალაქე ივანე თავზაროვს, გაუწმენდია, აღუდგენია და 1835 წელს აუმუშავებია კიდეც, თუმცა სამ თვეში ძველი შენობა დაზიანებულა, სახმარად საშიში გამხდარა და 1841 წელს სინოდის კანტორის გადაწყვეტილებით მთლიანად დანგრეულ და მასალად გაყიდულ იქნა, მის ნაფუძარზე 1845 წელს იმავე თავზაროვის მიერ ახლად აგებული აბანო კი 1870 წელს დაანგრიეს და საჯარო ვაჭრობით გაყიდეს. ჩვენის მხრივ მ. კეზევაძის დასკვნებს დავუმატებთ:

1. ის გარემოება, რომ «ოსმალური აბანო» აგებული იქნა არა პარალელური კედლებით (დიუბუას მიხედვით №15 და №20) მოზღუდულ, შედარებით უკეთ დაცულ ადგილზე, არამედ №15 «დასავლეთის» კედლის გარეთ მიუთითებს, რომ იგი აგებულია 1698 წლის აქციის შემდეგ, როცა თურქებმა მთელი მარჯვენა სანაპირო მოაქციეს თავისი კონტროლის ქვეშ. ასეთად კი, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ XVIII ს-ის 20-40 იანი წლები მიგვაჩნია. დროის ამ მონაკვეთიდან 1770 წლამდე აღნიშნულ ტერიტორიაზე თურქები თავისუფლად მოქმედებენ და აბანოც შედარებით დაუცველ ადგილას აუგიათ. დასავლეთიდან მას მხოლოდ «ხიდის კარის» თავდაცვითი ინფრასტრუქტურა ფარავდა, რომელიც 1770 წლის 12 მაისს ხელის ერთი დაკვრით აიღო სოლომონ I («ქუთაისის ხიდის კარი და სხვა ჯიხურებში აიღო მეფე სოლომონმა», შ. ლომსაძე 1979 გვ. 129).

2. დღევანდელი ჯაჭვის ხიდსა და ავტოსადგურს შორის მოქცეულ მონაკვეთში ამ ბოლო წლებში ჩატარებული სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს კულტურული ფენები და ნაგებობათა ნაშთები არ დადასტურდა. ვფიქრობთ «ოსმალური აბანოს» ნაშთებს (თუკი ასეთი გადარჩა მისი საფუძვლამდე დანგრევის გამო) დღევანდელი საავტომობილო გზა, ტროტუარი და სანაპიროს დამცავი კედელი ფარავს. დიუბუას გეგმაზეც ხიდის თავში (32) დატანილი სამი ნაგებობა, რომელთაგან ერთ-ერთი მ. კეზევაძესაც და ჩვენც აბანოდ მიგვაჩნია, ზედ მდინარის ნაპირზეა გაშენებული.

3. გაურკვეველია აბანოს წყალმომარაგების საკითხი. საფიქრებელია იგი რიონის წყლით მარაგდებოდა, თუმცა ადგილობრივ მცხოვრებთა ინფორმაციით 34-ე (ჯაჭვის ხიდი) და 32-ე ნომრით აღნიშნულ ხიდებს შორის კარსტული წარმოშობის წყლები გაედინება და მდინარეს უერთდება. მათი გამოსავალი დღესაც ჩანს სანაპიროს საყრდენ კედელში. და მაინც კვლევის ამ ეტაპზე აბანოს წყალმომარაგების საკითხი ღიად უნდა დარჩეს.

ნაქალაქარის და ციტადელის XVII-XVIII სს-ის ფენები არქეოლოგიური მასალით საკმაოდ მდიდარია. კვლავ გვხვდება ბრტყელძირა ჯამები კიდევ უფრო გაუხეშებული ფორმით, ძირით და შიგნით ჩახრილი პირით, დოქებში გამოირჩევა სამტუჩა და მრგვალტუჩა ფორმები. ჩნდება მრგვალტუჩა, ფართოპირიანი, დიდი ზომის ჩაფები. მათი პირი გვირგვინისებურად ბოლოვდება, რომლის ზედაპირი გარეთაა დახრილი. ამგვარ ჩაფებს პირს ქვემოთ მიძერწილი ფართო, ბრტყელი, მასიური, თანაბრადმორკალური ყურები აქვთ, რომლებიც ზედაპირზე წერტილოვანი და ნაკაწრი ორნამენტის ერთი ან ორი რიგითაა შემკული. შემკობის ეს წესი წამყვანია XVIII ს-ის დოქებზე და ჩაფებზე (ტაბ. XXII. 6, 7, 8; XXXV. 1).

რკინის ნივთებიდან აღსანიშნავია ციტადელის ტერასის გასამაგრებელ კედელზე მიშენებული მრგვალი ფორმის სათავსის (დილეგი?) ნანგრევებში აღმოჩენილი ორწილადი (ტაბ. XXXVI. 1) და სამწილადი (საკეტიანი [ტაბ. XXXVI. 2]) ხუნდები. ამ უკანასკნელის ჯაჭვშებმული ზუსტი ანალოგი დაცულია ხონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

საბრძოლო იარაღიდან საგანგებოდ უნდა გამოიყოს სხვადასხვა კალიბრის (d=20; 12; 11; 7; 2,7; 2; 1,8 სმ.) ყუმბარები და ფინდიხები (ტაბ. XXII. 2; XXXVII. 1) და ციტადელის ნანგრევებში აღმოჩენილი სპილენძის მცირეკალიბრიანი ზარბაზანი (ტაბ. XXXIV. 2).

იმპორტული მასალებიდან საგანგებოდ უნდა გამოიყოს ფაიანსის ნაწარმი. მათი მომრავლება უშუალოდ უკავშირდება თურქული გარნიზონის გაჩენას (რის საილუსტრაციოთაც გონიოს ციხის მაგალითიც გამოდგება. ნ. აფხაზავა, შ. მამულაძე 1998, გვ. 269-276), თუმცა მცირე რაოდენობით იმ ძეგლებზეც გვხვდება, რომლებიც შედარებით მოშორებულნი არიან თურქული ეთნოსის უშუალო გავლენას (მაგ: ყვირილას ხეობა. იხ. გ. მახარაძე და სხვ... 2004, გვ. 20). ქუთაისში აღმოჩენილი ფაიანსის ნაწარმი, ისე როგორც გონიოში, უმთავრესად ფინჯნებითაა წარმოდგენილი, რომელთა მოხატვაში სჭარბობს ყვავილოვანი ორნამენტი და ძირითადად გამოყენებულია ცისფერი და ყავისფერი ტონები (ტაბ. XXII. 1; XXXVIII. 2) ამ სტილისა და დანიშნულების ნაწარმი ძირითადად თურქეთის ქალაქებში იზნიკში და ქუთაჰიაში მზადდებოდა (Ю. Мюллер 1972). ქუთაისური კოლექცია ძირითადად ქუთაჰიური ნაწარმია, კონცენტრირებულია ციტადელში და ცხადია თურქულ გარნიზონს უკავშირდება. მათივე კუთვნილია თიხის მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ჩიბუხებიც (ტაბ. XXII. 15, 16; XXXVIII. 1), რომელთა შორის არსებული წუნის ნაშთები შესაძლოა ადგილობრივ წარმოებაზეც მიუთითებდეს.

2. რუსეთ-თურქეთის 1769-74 წლების ომი და ქუთაისი.

XVIII საუკუნის 70-იანი წლების პირველი ნახევრის ქუთაისის ისტორიაში განსაკუთრებული როლი ითამაშა რუსეთ-თურქეთის 1769-74 წლების ომმა და მის დასასრულს დადებულმა ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულების პირობებმა.

XVIII საუკუნის დასაწყისში ევროპაში მთელი სიმწვავით დადგა «შავი ზღვის პრობლემა». როგორც ცნობილია, XVI საუკუნისათვის თურქეთმა თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია ყირიმის ნახევარკუნძულიც, რითაც პრაქტიკულად გადაუკეტა რუსეთის სახელმწიფოს სამხრეთის კომუნიკაციები და შავი ზღვა «საკუთარ ტბად» აქცია.

XVII საუკუნის ბოლოსათვის საერთო-რუსული ბაზრის ჩამოყალიბებისა და რუსეთის სახელმწიფოს შეუნელებელი აღმავლობის კვალობაზე ზღვებზე გასასვლელების გახსნის საკითხი რუსეთის საგარეო პოლიტიკის მთავარ ორიენტირად იქცა.

რუსეთის ფლოტისათვის შავ ზღვაზე გასასვლელის გახსნა პეტრე I ჯერ კიდევ აზოვის ციხე-სიმაგრის აღების შემდეგ (1696 წ.) დააყენა, მაგრამ არც მაშინ და არც XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ეს პრობლემა რუსეთის სასარგებლოდ არ გადაწყვეტილა. XVIII ს. შუახანებიდან ორ სახელმწიფოს შორის აღნიშნულ საკითხებზე გამწვავებული ურთიერთობა საფრანგეთ-ავსტრიის თურქეთზე ზეგავლენის შედეგად (История дипломатыи, 1941 стр. 288) 1768 წლის 25 სექტემბრიდან საომარ მოქმედებებში გადაიზარდა.

ომის დასაწყისშივე რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა ესარგებლა ოტომანთა იმპერიის შინაგანი წინააღმდეგობებით და დაყრდნობოდა ბალკანეთის ნახევარკუნძულის, ხმელთაშუა ზღვის არქიპელაგისა და კავკასიის ჩაგრულ მოსახლეობას. ამ მიზნით კავკასიის ფრონტზე ფორმირებულ იქნა ორი კორპუსი: ყუბანისა (მედემი) და ამიერკავკასიის (ტოტლებენი). ტოტლებენის კორპუსს დაევალა შეერთებოდა ქართველთა ჯარებს, რათა თურქები გაეყარათ მათ მიერ დაკავებული ქართული ციხე-სიმაგრეებიდან (Е. Дружинина 1955, გვ. 3-108). საომარი მოქმედებების დაწყებამ დიდი იმედი ჩაუსახა ორივე ქართული სამეფოს მესვეურებს, რადგანაც ქართველები არასოდეს შერიგებიან ამასიისა (1555წ.) და ზოჰაბის (1639 წ.) ზავის პირობებს და ხელსაყრელ მომენტს უცდიდნენ დამპყრობელთა უღლის გადასაგდებად. ამ მიმართებით ორივე სამეფო დიდ იმედს ამყარებდა რუსეთთან კავშირზე.

1755 წლიდან მოყოლებული თურქეთთან იარაღით ბრძოლის პარალელურად სოლომონ I დიპლომატიური გზებითაც ცდილობდა რუსეთისაგან კონკრეტული დახმარება მიეღო, მაგრამ იმ პერიოდში რუსეთი, ფრთხილობდა რა არ დაერღვია ზავი თურქეთთან, სოლომონთან აქტიურ თანამშრომლობაზე თავს იკავებდა.

მოახლოებული ომის წინა წლებში მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა: რუსეთმა გააქტიურა კონტაქტები საქართველოსთან, ქართველ ელჩებს გზაში აღარ

აყოვნებდნენ, ფოსტა უსწრაფესად მიდის, იკრიბება ცნობები საქართველოზე და კონკრეტულად იმერეთზე და სხვა (იხ. О. Маркова 1966).

მიუხედავად სოლომონის თხოვნისა მფარველობაში მიღების შესახებ (Грамоты ... 1891, გვ. 18-19. О. Маркова 1966, გვ. 137) რუსეთის მთავრობის იმჟამინდელ გეგმებში არც მუდმივი ჯარით საქართველოს დაცვა (О. Маркова 1966 გვ. 139) და მითუმეტეს არც საქართველოს რუსეთთან შეერთება ან მფარველობაში მიღება არ შედიოდა. იგი ცდილობდა საქართველოს ძალების გამოყენებას, რათა ფრონტის ევროპული ნაწილიდან თურქთა გარკვეული ძალები მიეზიდა აზიურ ნაწილში. ასეთივე პასუხი გაეცა პანინის მიერ ტოტლებენის წინადადებას საქართველოს დაპყრობის შესახებ. ამასთან პანინი ურჩევს ტოტლებენს მხოლოდ გამოიყენოს ადგილობრივი ძალები და უხელმძღვანელოს მათ (О. Маркова 1966, გვ. 144). კერძოდ «... была бы душа здешная, а тело Грузинское» (Грамоты ... 1891, გვ. 155-156).

ვფიქრობთ სოლომონ მეფისათვის ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ ომის შედეგების მიუხედავად ადრე თუ გვიან თურქებთან პირისპირ დარჩენა მოუწევდა, მაგრამ ამ მომენტის გამოყენება მაინც საჭირო იყო და 1769 წლის მარტში პეტერბურგში ჩასულმა სოლომონ I ელჩმა მაქსიმე ქუთათელმა დაარწმუნა რუსეთის მთავრობა იმერეთში ჯარის გამოგზავნის სარგებლიანობაში და უკვე 27 მარტს ეკატერინე II ხელი მოაწერა ბრძანებას იმერეთში ტოტლებენის კორპუსის გაგზავნის შესახებ, რომელიც იმავე წლის 26 სექტემბერს იმერეთის საზღვარს მოადგა,[9] ხოლო 3 ოქტომბერს სოლომონის ლაშქართან ერთად შორაპნის ციხეს ალყა შემოარტყა («ახალციხური ქრონიკების» მიხედვით 1769 წ. მაისიდან ქუთაისის თურქული ეთნოსიც უკვე გრძნობს მოახლოებულ საშიშროებას, რასაც ჟამიანობაც დაერთო. 1768 წ. 31 მარიამობის თვეს «ქუთაისს პირველად ჟამით მოკვდა მუსტაფა,» 1769წ. 22 აპრილს «ქუთაისს ჟამი გამოჩდა, მეორედ ყასაბ მაჰმუდის სახლითგან», 4 მაისს «ქუთაისიდან გახიზვნა დაიწყეს», 15 მაისს «სულეიმან ფაშა, ქეჰა, მეზვერე მემი აღა და სხვანიც ქუთაისითგან ბაღდათს წავიდნენ», შ. ლომსაძე 1979, გვ. 126-127). საპასუხოდ ოსმალებმა იმერეთს დადიანი შემოუსია, რომელიც სოლომონმა სამი თვის ბრძოლის შემდეგ დაამარცხა (შ. ბურჯანაძე 1961, გვ. 118. იქვე ლიტ-რა). დადიანის წინააღმდეგ მეფის გალაშქრება ტოტლებენმა იმერეთის კერძო საქმედ მიიჩნია, 13 ოქტომბერს ალყა მოხსნა, ქართლში

დაბრუნდა და ცხინვალში დაბანაკდა (იქვე ... გვ. 118). რუსთა ჯარის წასვლის შემდეგ (1770 წ. იანვარი) იმერეთს ახალციხიდან წამოსული თურქთა და ლეკთა ლაშქარი შემოესია, რომელიც სოლომონმა გზიდანვე უკუაქცია (იქვე ... გვ. 118). აქედანაც ცხადია რა საშიშროება ელოდა იმერეთს რუსეთ-თურქეთის ომში რუსეთის დახმარებისთვის ან თუნდაც თურქთათვის სასარგებლო დაზავების შემთხვევაში. ამ საშიშროებას ნათლად გრძნობდა სოლომონი და ამით იყო მოტივირებული მისი მოქმედება 1770 წელს ქუთაისის ციხის მიმართ (იხ. ქვემოთ).

1769-70 წლების საომარი კამპანია რუსეთის არმიამ დუნაისპირეთში მეტად წარმატებულად ჩაატარა, სადაც თურქთა ძირითადი ძალები იყო განლაგებული. საქართველოს მოსაზღვრე თურქულ პროვინციებში (ძირითადად ახალციხის საფაშო) შიშმა და შიმშილმა იჩინა თავი, დაიწყო სამოქალაქო არეულობა. ამას დაემატა ერეკლე II მიერ თურქთა დამარცხება აწყურთან (1770 წ. 19 აპრილი) და ასპინძასთან (1770 წ. 20 აპრილი), რამაც სოლომონ I ხელ-ფეხი გაუხსნა და თურქთა წინააღმდეგ შედარებით აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა, რაც «ახალციხური ქრონიკების» მიხედვით უკვე 1770 წლის თებერვლიდან დაუწყია.[10] 1770 წლის 16 თებერვალს «ქუთაისის ციხეს ქრისტიანი ჯარი შემოადგა» (შ. ლომსაძე 1979, გვ. 128). წყაროებით დაფიქსირებული სოლომონის მომდევნო გააქტიურება ერეკლე II და ტოტელბენის ახალციხეზე ლაშქრობას და კონკრეტულად აწყურის ალყას ემთხვევა: 1770 წლის 17 აპრილი, «ქრისტიანი ჯარი ქუთაისის ციხეს დაესხნენ. მრავალი ცხენი, ვირი თუ ხვადაგი იშოვნეს და კაცებიც მოჰკლეს. ციხითგან ათიოდე ზარბაზნები და მრავალი ხელთოფები ესროლეს, მაგრამ ვერაფერი ავნეს» (იქვე .... გვ. 129). 1770 წლის 19 აპრილს «მეფე ქუთაისს შემოადგა» (იქვე ... გვ. 129). სოლომონის მიერ ქუთაისის ბლოკადას მოურავოვიც ადასტურებს 1770 წ. 22 მაისით დათარიღებულ პატაკში «. . . тепер содержить вь осаде городь Кутаись. . .,» რომლის აღება არტილერიის გარეშე შეუძლებელია. მან კი გადაუკეტა სურსათის მიწოდება და ამით ცდილობს აიღოს ქალაქიო აღნიშნავს იგი.

იმავე ქრონიკების (იოანე ხუცესის რ. ი.) მიხედვით ნათლად ჩანს სოლომონის საომარი აქტივობის ძირითადი მიმართულებები 1770 წელს 17 აპრილიდან 19 ივნისამდე: იგი თითქმის ერთდროულად იბრძვის ქუთაისის ციხის, «შიდა» და «ქვედა» ქალაქის, ცუცხვათისა და შორაპნის ციხეების წინააღმდეგ. კერძოდ: 1770 წ. 1 მაისს

«რუსის ელჩის ამბავი მოუვიდა მეფესა სოლომონსა, ქუთაისის ციხეს რომ ადგა» (იქვე ... გვ. 129)., 1770 წლის 5 მაისი «ცუცხვათის ციხე აიღო მეფე სოლომონმა (იქვე .... გვ. 189).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თვით სოლომონი 1770 წ. 14 ივლისის პატაკში ეკატერინე II ცუცხვათის ციხის აღების თარიღად 15 მაისს მოიხსენებს «. . . ცუცხვათის ციხე 1770 წელსა, ხოლო თვესსა მაისსა 15 და ამისა შემდგომად ქუთაისისა ქალაქიცა მიუღე მტერთა...» (Грамоты..... 1891, გვ. 47-48); 1770 წლის 12 მაისს «ქუთაისის ხიდის კარი და სხვა ჯიხურები აიღო მეფე სოლომონმა» (შ. ლომსაძე 1979). 1770 წლის 18 თიბათვეს «სოლომონმან უღალატა თათრებს და დაიჭირა ალი ჩალაბი უსტა და სხვა ძევლებიც წაართვეს თავიანთი და თათრებისაცა» (იქვე ... გვ. 129); 1770 წლის 19 თიბათვეს (ივნისი რ.ი.) «განთიადისას თათრებმან გალავნის კარი და სხვაც დასწვეს და შიგნითა ციხეში შევიდნენ» (იქვე... გვ. 129). უკანასკნელ ქრონიკაში როგორც ჩანს გიულდენშტედტის მოხსენიებული ის კარიბჭეები («დასავლეთით მაღლობზე არის დიდი კარი და უფრო დაბლა რიონის ნაპირისაკენ – მეორე უფრო პატარა კარი», გიულდენშტედტის ... გვ. 139-143) იგულისხმება, რომლებიც დიუბუას გეგმაზეცაა დატანილი (ტაბ. I. 7; 16), ხოლო ფრაზაში «სხვაც დასწვეს» თანაბრად შეიძლება ვიგულისხმოთ როგორც «შიდა» და «ქვედა» ქალაქის საფორტიფიკაციო სისტემის ხის კონსტრუქციები, ასევე საკომუნიკაციო, საცხოვრებელი თუ სხვა ინფრასტრუქტურა.

ქალაქის ცალკეული ნაწილების ტოტლებენის იმერეთში მოსვლამდე (22 მკათათვე «რუსი იმერეთის მამულში მოვიდა» შ.ლომსაძე 1979 გვ. 129) აღებას სოლომონ პირველიც ადასტურებს ეკატერინე II და პანინისადმი 14 ივლისით დათარიღებულ წერილებში: «... და ამისა შემდგომად (15 მაისი რ.ი.) ქუთაისისა ქალაქიცა მიუღე მტერთა შემდგომად ამისა (იგულისხმება ბაღდათის ციხის აღება 2@ ივლისის რ. ი.) მოვედით ქუთაისის დანაშთენსა ციხესა და მოვადეგით... და აწ ქუთაისს ვადგივართ...» (Грамоты ... 1891, გვ. 47-48). «. . . ჩვენ ურჩეულესის ჯარითა ქუთაისის ქალაქს მოვადეგით, და ქალაქი ყოველივე, გარდა ციხისა ავიღევით და მრავალნი სულნი გამოვიყვანეთ... (ხოლო ბაღდათის ციხის აღების შემდეგ რ.ი)... წამოვედით მუნით. . . და ქუთაისის ქალაქისა დანაშთენსა ციხესა მოვადეგით . . . და აწ ქუთაის ვიმყოფებით მაგრად ციხესა შემოზღუდულნი. . .» (Грамоты . . . 1898 გვ. 48-49).

საომარი მოქმედებების პარალელურად სოლომონმა ქუთაისთან მდებარე გზებზე საგუშაგოები ჩააყენა და მტერს კომუნიკაციები გადაუჭრა, რითაც პრაქტიკულად მოუსპო ახალციხიდან და ადგილობრივი მოსახლეობიდან (გამაჰმადიანებულ ქართველებთან გარნიზონს საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდა) სურსათით, ფურაჟით და საბრძოლო მასალებით მომარაგება. ეს მოვლენა კარგად აისახა ქუთაისის თურქული გარნიზონის იანიჩართა უფროსის მიერ ქუთაისის ყველა მუსულმანის სახელით ახალციხის ფაშასადმი გაგზავნილ წერილში, რომელიც სოლომონ I ჩაუვარდა ხელში (Грамоты . . . 1891, გვ. 103. ვ. მაჭარაძე 1988, გვ 524).

ტოტლებენის პირადი ადიუტანტის დე გრაი დე ფუას მიხედვით, მას შემდეგ რაც სოლომონმა შორაპნის ციხე აიღო, ტოტლებენმა ქართველები მიატოვა და «. . . გაიჩქარა თავისი ჯარით, რათა ამ ქალაქის აღების უფლება ხვდომოდა წილად» (დე გრაი დე ფუა... 1985, გვ. 57-58). 22 ივნისს იგი უკვე იმერეთშია. 22 თიბათვე «რუსი იმერეთის მამულში მოვიდა» (შ. ლომსაძე 1979, გვ. 129).

ბაღდათის ციხის აღების შემდეგ (2 მკათათვე «რუსის ჯარი ბაღდადს მოვიდა ციხეს შემოადგა. 300 თუ 400 ზარბაზანი ორ საათში ესროლა და იმავე დღეს აიღო ციხე». იქვე ... გვ. 129) ტოტლებენის კორპუსი «... ქუთაისის ბალახოვანში დაებარგა» (იქვე... გვ. 129), 5 ივლისიდან კი პირველი იერიშები დაიწყო (5 მკათათვე «რუსების თამაშობა და სროლა ვნახე და ბ. ჯენერალის ჯამაშიც ვიყავით. მეფე სოლომონი, კათალიკოსი და სხვა მიტროპოლიტები და თავადებიც იყვნენ» იქვე . . . გვ. 129).

კორპუსის ძირითადი ბანაკი დღევანდელ თეთრ და რუსთაველის ხიდებს შორის რიონის მარჯვენა სანაპიროზე (იქ, სადაც დიუბუას გეგმაზე მითითებულია ფოთის გზა, ციხედარბაზისაკენ მიმავალი გზა და კაზაკთა საგუშაგო, იხ. ტაბ. I) «სილაზე» იყო («რუსის ჯარი სილაზედ დადგა, დაებარგა» იქვე ... გვ. 130. «რუსის წინა ჯარი უკან მობრუნებული სილაზედ დაებარგა ისევ ქუთაისს», იქვე... გვ. 130. «ჯენერალი მობრძანდა სილაზედ» იქვე... გვ. 130) და არა «ქვედა ქუთაისში» ჯაჭვის ხიდსა და დღ. ხარების ეკლესიას შორის მონაკვეთში, როგორც აღნიშნავს გ. ბოგვერაძე ქუთაისის განთავისუფლების ისტორიისადმი მიძღვნილ საინტერესო მონოგრაფიაში (იხ. გ. ბოგვერაძე 2003, გვ. 43. სურ. 1). აქედან გამომდინარე ადვილი ასახსნელია ავტორის გაკვირვება თუ რატომ არ გაუმართეს თურქმა თოფჩიებმა საარტილერიო დუელი ციხის

კედლებიდან «ქვედა ქუთაისში» დისლოცირებულ რუსულ ნაწილებს. მიზეზი მარტივია: რუსთა ბანაკი სულ მცირე ათჯერ უფრო მეტი მანძილით იყო დაშორებული თურქთა პოზიციებს ვიდრე ეს ავტორს აქვს წარმოდგენილი. მართალია გიულდენშტედტის მიხედვით «ამ ეკლესიებს შორის (იგულისხმება «ოქროს ჩარდახის» კომპლექსი და მის ზემოთ მდგარი ეკლესიები რ. ი.) 1770 წლის ივნისიდან 1772 წლის აპრილამდე იდგა რუსული კორპუსი, რის გამოც ჯერ კიდევ ჩანს ჯარის მიერ გათხრილი სანგრები» (გიულდენშტედტის ... 1962 გვ. 139-149. შეად. დიუბუასთან მარცხენა სანაპიროზე «ყაზარმები» და სამხედრო ჰოსპიტალი), მაგრამ 1. ამ შემთხვევაშიც მოწინააღმდეგეთა პოზიციები მაინც საკმაოდ დაშორებული იქნებოდა. 2. დიუბუას გეგმა 1833 წლის სიტუაციას ასახავს, 3. იოანე ხუცესი გარკვევით მიუთითებს ბანაკის ადგილად «სილას». ეს ტოპონიმი კი გულისხმობს მარჯვენა სანაპიროზე, თეთრ და რუსთაველის ხიდებს შორის მოქცეულ მონაკვეთს და 4. «სილაზე» დაბანაკებულ კორპუსს თურქთა თვალსაწიერიდან სიშორის გარდა «გაბაშვილის» გორაც დაიფარავდა და ციხისკენ მიმავალი გზა, რომელზეც რუსული ნაწილები მოძრაობდნენ, მტრის თვალისგან მთლიანად დაფარული იყო.

8-დან 14 ივლისამდე რუსები ინტენსიურად ბომბავენ ციხეს: «8 მკათათვე. ქუთაისის ციხეს რუსებმან ზარბაზნების სროლა დაუწყეს მწვანე ყვავილათგან ჩვენის საყდრითგან» (შ. ლომსაძე 1979, გვ. 129). «9 მკათათვე. რუსები ზარბაზანს და ყუმბარებს ესროდნენ ციხეს დღეში ასზედ მეტსა» (იქვე... გვ. 129). «14 მკათათვე რუსებმან შუაღამისა მრავალი ყუმბარა და ზარბაზანი ესროლეს ციხეს» (იქვე ... გვ. 129).

ცხადია, რომ ბრძოლების პირველ ეტაპზე რუსული კორპუსი «მწვანეყვავილას» გაბატონებული პოზიციებიდან ბომბავს ციხეს დღისითაც და ღამითაც, რათა მაქსიმალურად დემორალიზებული გახადოს გარნიზონი.

ამასთან დაკავშირებით გ. ბოგვერაძე აღნიშნავს, რომ «ვფიქრობთ, ალბათ მცდარია ის მოსაზრება, თითქოს ქუთაისის ციხე-ქალაქს რუსები ცეცხლს მწვანეყვავილას გორიდან უშენდნენ. ამ მანძილიდან ზემოთაღწერილი ზარბაზნებით ციხის კედლებს შენგრევა შეუძლებელი იყო ... შეიძლება კიდეც შემოგვედაონ, რომ მწვანეყვავილას კონცხიდან ... არა გალავნის კედლებს, არამედ ქალაქის შიგნით არსებულ შენობა-ნაგებობებს დაუშენდნენ. აღნიშნულ თვალსაზრისს ვერ გავიზიარებთ,

რადგან თუ მოალყეები ამას მოისურვებდნენ, სრულებით არ იყო საჭირო ქვემეხების განლაგება შემაღლებულ ადგილზე. «ედინოროგების» (რუსული ჯარის შეიარაღება გ. ბოგვერაძეს შესაშური დაწვრილებით და გულმოდგინებით აქვს გამოკვლეული რ. ი.) კონსტრუქცია საშუალებას აძლევდა რუს არტილერისტებს ქვედა ქუთაისიდანაც კი, კიდული ცეცხლით დაებომბათ ქალაქი (გ. ბოგვერაძე 2003 გვ. 42), თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ «მოცემულ სიტუაციაში კიდული ცეცხლით ქალაქის დაბომბვის მეთოდი არაეფექტური იყო და არც გამოუყენებიათ». ამ წინააღმდეგობრივ მსჯელობას ჩვენის მხრივ დავუმატებთ, რომ რუსები ცეცხლს უშენდნენ არა «ციხე-ქალაქს», (რომელიც კარგა ხნის დაკავებული აქვს სოლომონს), არამედ უშუალოდ ციტადელს. ავტორთან ციხე (ციტადელი) და ქალაქი მკვეთრად გამიჯნული არ არის, რაც აქაც და თურქების გაპარვის მარშრუტზე მსჯელობისას (იქვე ... გვ. 36) მისი მცდარი დასკვნების მთავარი საფუძველია.

გ. ბოგვერაძის მიხედვით სოლომონმა «საექსპედიციო-კორპუსის მოსვლისთანავე ქუთაისის ციხეს ალყა მოხსნა და ყველა საგუშაგო რუსთა ჯარს გადასცა» (იქვე ... გვ. 27). იოანე ხუცესის დღიური წერილების მიხედვით კი «25 მკათათვეს (ივლისი რ. ი.) მეფის ჯარი, სოლომონი, კათალიკოსი და სხვა ქართველები რუსის ჯარს შემოსწრნენ და ქუთაისითგან წავიდნენ» (შ. ლომსაძე 1979, გვ. 130). ამიერიდან ციხის აღებას ოპერაციას უშუალოდ ტოტლებენის შტაბი ხელმძღვანელობდა. 13 ივლისით დათარიღებულ წერილში ტოტლებენი გრაფ ჩერნიშევს მოახსენებდა, რომ იმპერატორის ჯარმა აიღო ბაღდათი და შორაპანი (რაც სიყალბეა, როგორც სოლომონი I წერილებიდან ირკვევა რ. ი.), «ქალაქი ქუთაისი მთლიანად დაკავებულია და სიმაგრე ბლოკირებულია»-ო (ვ. მაჭარაძე 1997, გვ. 39, სქოლიო 173). როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ქუთაისის საქალაქო ნაწილი გარდა ციხისა ტოტლებენის მისვლამდე აიღო სოლომონმა, რასაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მისი 20 ივლისით დათარიღებული წერილი მოურავოვისადმი «... пошли кь Кутаису, предместіемь которого мы еще до него (ტოტლებენი რ.ი.) завладели... “ (Грамоты ... 1891, გვ. 156) და იქვე დასძენს, რომ ქუთაისის გარნიზონი მხოლოდ შეწყალებას ითხოვს და ქალაქის ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დათმობის პირობას იძლევაო. იმავეს იმეორებს სოლომონ მეფე ერთი კვირით ადრე ელჩ დავით კვინიხიძისადმი გაგზავნილ წერილშიც «. . .до приезду жь графа все Кутаиское

предмьстіе заняли, а крепость ... содержимь в осаде...» (იქვე... გვ. 152). ასე რომ ნათელია, ტოტლებენს მხოლოდ ციტადელში გამაგრებული გარნიზონის წინააღმდეგ უწევს ბრძოლა. ქალაქის დანარჩენი უბნები, სადაც მოურავოვის ცნობით ხუთასი კომლი მიწათმოქმედი და ვაჭარი თურქი ცხოვრობდა (იქვე... გვ. 71), სოლომონმა 1770 წლის თებერვლიდან ტოტლებენის ჩამოსვლამდე გაათავისუფლა, მუსულმანი მოსახლეობის ნაწილი გაჟლიტა, ნაწილი გააქრისტიანა, მცირე ნაწილი კი გარნიზონს შეეფარა ციტადელში.

ციხის აღების ოპერაცია საკმაოდ დეტალურადაა აღწერილი დე გრაი დე ფუასთან (რომელიც ჯ. ოდიშელის გამოკვლევით ამ დროს უკვე აღარ იმყოფებოდა საქართველოში), იაზაკოვთან, კაპიტან-პორუჩიკ ლვოვის ჩანაწერებში და ამ უკანასკნელზე დაყრდნობით გ. ბოგვერაძესთან.

5 ივლისიდან მოყოლებული აგვისტოს დასაწყისამდე საბრძოლო ოპერაციების პარალელურად მიმდინარეობს მოლაპარაკება გარნიზონთან, სადაც ლვოვის მიხედვით 60-მდე ჯარისკაცი და 220 ორივე სქესის მოქალაქე იმყოფებოდა. დამშეული გარნიზონი პერიოდულად უშვებს ციხიდან მოქალაქეებს, ცდილობს რა დაზოგოს სურსათის მარაგი, ამავე დროს მოლაპარაკებებით აჭიანურებს დროს. რუსთა ბანაკში თანდათან მატულობს ტყვეთა რიცხვიც (160-მდე).

ლვოვის ჩანაწერების მიხედვით ასე გრძელდებოდა 6 აგვისტომდე. ამ დღეს მოალყეებმა შეამჩნიეს, რომ ერთ ადგილზე (გ. ბოგვერაძის მიხედვით აღმოსავლეთის კედელში, რაც ცხადია შეცდომაა რ. ი.) ციხის კედელი საკმაოდ ჩამოიშალა და ამიტომაც კედელთან ახლოს მდგომ სახლში დადგეს 12 ფუნტიანი «ედინოროგი» და 17 გასროლის შემდეგ კედელში დაახლოებით ნახევარი საჟენის (1 მეტრამდე) დიამეტრის ნაპრალი გაჩნდა. ქვემეხის სროლის დროს სახლის ქვის კედლები ჩამოინგრა, რის შემდეგაც ბატარეა მეზობლად მდებარე სახლში გადაიტანეს და კედლის შენგრევა საღამომდე გაგრძელდა. იმავე დროს ტყვე მეციხოვნისგან ცნობილი გახდა, რომ იმ ღამით თურქები გაპარვას აპირებდნენ, რის გამოც ტოტლებენმა გერმანელ ოფიცრებს დაავალა პიკეტების დაცვა. ლვოვის სიტყვებით თურქებს მხოლოდ ერთი მიმართულებით შეეძლოთ გაპარვა. დანარჩენ მხარეებს რიონი, ფორშტატი და რუსთა ბანაკი საზღვრავდა. 4000 კაცით ძნელი არ იყო თურქების შეკავება, მაგრამ დაღამებისთანავე,

როცა ციხის მეორე მხარეს განგაში და სროლა ატყდა გრაფი მიხვდა, რომ თურქები გაიქცნენ და შენგრეული ნაპრალიდან ჰუსართა თანხლებით შევიდა ციხეში, სადაც კოშკში გამაგრებული ორი მეციხოვნის გარდა აღარავინ იყო. განგაშის ხმაზე საგუშაგოებიდან და ბანაკიდან ბრძანების გარეშე მოხსნილი ჯარისკაცები ციხეში შევიდნენ და ძარცვა დაიწყეს (Грамоты ... 1891, გვ. 256-261). იაზიკოვის ცნობით თვით ტოტლებენი აქტიურად ცდილობდა ტყვე თურქებისაგან სავარაუდო განძსაცავის ადგილმდებარეობა დაეზუსტებინა (Грамоты ... 1891, გვ. 182).

დე გრაი დე ფუას მიხედვით ტოტლებენმა «... გააკეთებინა კიბეები და შვიდ ივნისს გავემართეთ საიერიშოდ თურქებმა არავითარი წინააღმდეგობა არ გაგვიწიეს, დავდგით კიბეები და ქალაქში შევედით» (ჯ. ოდიშელი 1985, გვ. 57-58). როგორც აღვნიშნეთ დე გრაი ციხის აღების დროს ქუთაისში არ იმყოფებოდა და მისი ცნობები ცხადია არაზუსტია. იოანე ხუცესი ციხის აღებას 5 აგვისტოთი ათარიღებს. «5 მარიობისთვე. პარასკევს საღამოს 4 საათს რუსები იერიშით ციხეზე მივიდნენ ქუთაისისა და აიღეს ციხე. თათრები ზოგი დახოცეს, ზოგი დაიჭირეს და ზოგნი გაიქცნენ» (შ. ლომსაძე 1979, გვ. 135).

ჩვენთვის ყველაზე სანდო ცხადია, ამ ბატალიების მონაწილის, კაპიტან-პორუჩიკ ლვოვის ცნობებია [აქვე უნდა შევნიშნოთ რომ თვით ტოტლებენი რუსეთის მთავრობისადმი გაგზავნილ წერილში იტყობინება, რომ 7 აგვისტოს ციხე იერიშით ავიღე, მტრის ჯარისკაცების ნაწილი ტყვედ ჩავიგდე, სხვები დავხოცე, თითქმის არავინ გასულა, რუსების ზარალი უმნიშვნელოაო (ვ. მაჭარაძე 1997, გვ. 41, სქოლიო 183)]. მასზე დაყრდნობით ციხის აღებას დაწვრილებით განიხილავს გ. ბოგვერაძე, თუმცა მის მსჯელობაში რამდენიმე აშკარა შეუსაბამობაა:

1. ლვოვისგან განსხვავებით ავტორი წერს, რომ «... რუსმა ოფიცრებმა აღმოსავლეთის კედლის ერთ ნაწილში ჩამოყრილი ქვიშის (? რ.ი.) გროვა შეამჩნიეს...», რაც ცხადია შეუსაბამისობაა. ლვოვის ტექსტიდან აშკარაა, რომ ბატარეა დგას ციხის კედლებთან ახლოს. ციხის აღმოსავლეთის კედელი კი რიონის კლდოვან ქარაფზე დგას და იმ მხარეს ბატარეის დადგმა სრულიად შეუძლებელია. არც ციხის სამხრეთ და ჩრდილოეთის კედლებთან მოხერხდებოდა ბატარეის დადგმა რთული რელიეფის გამო. ერთადერთი მხარე ესაა დასავლეთის მონაკვეთი, სადაც ტაძრის ჩრდილოეთით მდგარ

შენობებს შეეფარა რუსთა ბატარეა. ეს სწორედ ის შენობებია, რომლებიც ჩვენს მიერ გათხრილი ქვაფენილინიანი ქუჩის გარშემო დაფიქსირდა და რომლებიც დიუბეს გეგმაზეცაა დატანილი («ძველი შენობები, რომლებიც ტაძარს არტყია გარშემო» ტაბ. I. B. 14).

გ. ბოგვერაძე თავადაც აღნიშნავს, რომ «... იმდროინდელი ქვემეხების დამიზნების მანძილი ... არ იძლეოდა შორიდან (გულისხმობს მწვანეყვავილას რ. ი.) ციხის კედლების და შენობა-ნაგებობების დანგრევის საშუალებას და იმ დროს არტილერიაში დადგენილი წესების თანახმად ქვემეხი, რომლითაც გამიზნული იყო ქვის ნაგებობის კედლის შენგრევა, სამიზნედან 300 მეტრზე შორს არ უნდა ყოფილიყო» (გ. ბოგვერაძე 2003, გვ. 41), ხოლო ქვემოთ უმატებს, რომ დასუსტებულ კედელში რუსმა არტილერისტებმა «... 60 მ-ის სიშორიდან ზუსტად კორექტირებული ცეცხლით ... ერთ მეტრამდე ნაპრალი გააჩინეს» (იქვე ... გვ. 41). დაახლოებით ეს მანძილია ციხის დასავლეთის კედელსა და ტაძრის ჩრდილოეთით მდგარ «ძველ სახლებს» შორის. მთელი ამ მსჯელობიდან ვფიქრობთ უდავოა, რომ რუსთა საარტილერიო იერიშის მთავარი სამიზნე სწორედ ციხის დასავლეთის კედელი იყო, სადაც გათხრებით გამოვლენილ მონაკვეთში დღესაც შეიმჩნევა რამდენიმე, გვიან ამოქოლილი ადგილი.

2. ავტორის ვარაუდით «თურქების გაქცევა ციხე-ქალაქის დასავლეთ ნაწილში არსებული ზედა პატარა კარიდან მოხდა...» (იქვე ... გვ. 32) და თვალსაჩინოებისათვის უთითებს მის მიერვე ნუმერაცია შეცვლილ (ლიტერი A, 6) დიუბუას გეგმას (სინამდვილეში ლიტერი B. 9), რაც აშკარა შეუსაბამობაა. ჯერ-ერთი ავტორის მითითებული კარი «შიდა ქალაქის» ტერიტორიაზეა, თურქები კი ამ დროს მხოლოდ ციტადელში (ლიტერი A) არიან. მეორეც, ასეთ შემთხვევაშიც ციხიდან გამოჭრილ თურქებს ავტორის მითითებულ კარამდე მისასვლელად რუსთა ბატარეა უნდა გაევლოთ.

3. ლვოვის მიხედვით, როდესაც ციხის მეორე მხარეს თურქთა გაქცევის გამო განგაში ატყდა, რუსთა ნაწილები ცარიელ ციხეში შეიჭრნენ, სადაც რამდენიმე ჰუსართან ერთად განგრეული კედლიდან ტოტლებენიც შევიდა. ცხადია აქ დასავლეთის კედელი იგულისხმება, ხოლო მეორე მხარე, საიდანაც განგაშის ხმა ისმოდა (განგაში ჩანს რუსთა ამ მხარეს მდგარმა საგუშაგომ ატეხა), შესაბამისად ციხის

აღმოსავლეთის კედელია, რომელშიც არსებული «ცოტა კარის» ქვეშ ჩვენს მიერ გათხრებით გამოვლენილი საიდუმლო გასასვლელით ისარგებლეს თურქებმა და დღევანდელი ჭომის (დავით და კონსტანტინეს ქუჩის მონაკვეთი მდ. რუას და რიონის შესართავთან) მიმართულებით გაიპარნენ. გ. ბოგვერაძეს კი «ჰუსართა რაზმის შეჭრა ციხე-ქალაქში» (?) აღმოსავლეთის («ცოტა-კარის») მხრიდან აქვს ნაჩვენები, რაც დიამეტრალურად განსხვავდება ლვოვის ნაამბობისგან და ლოგიკურადაც წარმოუდგენია.

გაქცეულთა დადევნების ნაცვლად რუსთა ნაწილები ციხის ძარცვას შეუდგნენ. გრაფის თხოვნით სოლომონის ჯარისკაცებმა ერთი თურქი მოკლეს და ერთიც დაიჭირეს. ციხიდან გამოსულ თურქებს ლვოვის სიტყვებით მცირე გამოსასყიდის ფასად, ციხის მახლობლად მცხოვრები იმერლების ხელშეწყობით იოლად შეეძლოთ ტყეების გავლით ახალციხის მთებისაკენ გაჭრა.

ტოტლებენის მოქმედება იმერეთსა და ქუთაისში მალევე აისახა ჰამბურგში გამოცემულ წიგნში «რუსეთსა და პორტას შორის მიმდინარე ომის მოქმედებათა ასპარეზი», რომლის ავტორი აღნიშნავს, რომ ტოტლებენი «... თურქულ სახელმწიფოში შეიჭრა და აიღო ციხე-სიმაგრეები შერიპა, ბაღდადი და კოტატისი. იქ მან ხელში ჩაიგდო არა მარტო დიდი რაოდენობით არტილერია, არამედ მთელი გარნიზონები თავისი სარდლებით» (ნ. კანდელაკი 1999. მითითებულია გ. ბოგვერაძის მიხედვით).

ქუთაისის ციხის ოსმალთა საუკუნოვანი ბატონობისგან განთავისუფლება აისახა ქართულ ქრონიკებსა და ზეპირსიტყვიერებაშიც. ქრონიკების ერთი ნაწილი ამ მოვლენას 1769 წლით ათარიღებს (თ. ჟორდანია 1967, გვ. 308-309), ნაწილი კი 1770 წლით (იქვე ... გვ. 309, 321, 637). ზოგი ქრონიკის მიხედვით ქუთაისი რუსთა მხედრობამ აიღო (იქვე. . . გვ. 308 635), არის ისეთი ქრონიკებიც, რომელიც ორივე მხარის დამსახურებას აღნიშნავს (იქვე. . . გვ. 321, 646).

ზეპირსიტყვიერებაში დაცული ცნობებით კი სოლომონ მეფემ ალყაში მოაქცია ქუთაისის ციხე, ოცდახუთი დღის განმავლობაში შიგნით ვერავინ შევიდა, რომ ფოთიდან საზრდო მიეწოდებინა. შემდეგ «ფიცის კაცებმა» წინასწარ გამზადებული სამიათასი კიბე (შეად. დე გრაი დე ფუას ცნობას კიბეების გამოყენების შესახებ) ღამით მიადგეს გალავანს და ფიცის კაცები ერთდროულად ყველა მხრიდან გადაძვრნენ

გალავანში და «... კიკიან ფაშა და ჯარიც სრულებით ამოსწვიტეს» (ქ. სიხარულიძე 1964, გვ. 154-162).

მესამე დღეს «8 მარიობისთვე. ქუთაისის ციხე რუსებმა მეფეს მისცეს» (შ. ლომსაძე 1979, გვ.130), 25 აგვისტოს კი «რუსის ჯარი სილითგან აიყარა და ქუთაისის ციხეს ქცევა დაუწყეს» (იქვე . . . გვ. 130).

უკლებლივ ყველა ძველი ავტორი აღნიშნავს, რომ ციხე (არა მარტო ქუთაისი, არამედ ბაღდათი, ცუცხვათი, შორაპანი) სოლომონ I დაანგრევინა რუსთა ჯარებს. ამ ქმედების მოტივაცია თითქმის ყველა ავტორთან ერთნაირია: იაზიკოვის მიხედვით როცა რუსთა ჯარებმა ქუთაისი აიღეს «... то царь велель стени подорвать выговоривая что онь вь защищенiи города на своихь князей надежды не имееть а гарнизону содержать не в силахь...» (Грамоты ... 1891, стр. 194); უფრო კონკრეტულია დე გრაი დე ფუა. «როდესაც სოლომონი ქუთაისისა და შორაპნის ბატონ-პატრონი გახდა, მან მოშალა მათი ციხე-სიმაგრეები, ვინაიდან იმ შემთხვევაში, თუ თურქები დააპირებდნენ მათ ხელთ გდებას, სოლომონს არ ძალუძდა ამ სიმაგრეთა შენარჩუნება» (ჯ. ოდიშელი 1985, გვ. 58). ნგრევის მასშტაბებს უფრო აზუსტებენ გიულდენშტედტი («... მეფემ ყველა კედელი და განსაკუთრებით კი ციხე მთლიანად დააქცევინა» გიულდენშტედტის... 1962, გვ. 139-149) და დიუბუა დე მონპერე («... გენერალმა მეფე სოლომონის თანხმობით ყველა ეს ადგილები, განსაკუთრებით ქუთაისის ციხე-სიმაგრე, როგორც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, ააფეთქა რათა კვლავ მტერს არ ჩავარდნოდა ხელში. აფეთქების შედეგად ყოველი მხრიდან ჩამოცვივდა უზარმაზარი ნანგრევები, რითაც აივსო მთის ეს ნაწილი»). დიუბუა აღნიშნავს, რომ თავდაპირველად ციხის დანგრევა სოლომონმა სცადა, მაგრამ კედლები იმდენად მტკიცე იყო, რომ «... შეეცადა მის დანგრევას, რათა იქ კვლავ მტერი არ დასადგურებულიყო, ვერ დაანგრია ტყვია-წამლით, რომელიც აქ 100-130 ნაბიჯის სიგრძეზე მიალაგეს. რამდენიმე უზარმაზარი ლოდი მიწაზე გდია, ზოგიც ნახევრად არის გადაყირავებული და ისე ჩამოკიდებული. მხოლოდ ნახევრად არის დანგრეული ორი ოთხკუთხედის ფორმის ძლიერ სქელი, გამაგრებული კოშკი, რომლებიც იჭერენ კიდეს მდინარესთან.» ნგრევის მასშტაბები და მოცულობა (ანგრევენ არა მარტო ციტადელს, არამედ «ქვედა ქალაქის» კედლებსაც) გამოვლინდა ციტადელის გათხრების შედეგად. კერძოდ: ციტადელის ინტერიერსა და ექსტერიერშიც ბევრ

ადგილზე ნგრევის ფენის ქვეშ ფიქსირებულია 10-20 სმ-ის სიმძლავრის ნახშიროვანი შრე (სავარაუდოდ დენთის და ცეცხლის კვალი), რომელზეც ადევს ნანგრევების სქელი ფენა. სასახლის ინტერიერში ამ ფენის სიმძლავრე 2 მეტრზე მეტია, დასავლეთის კედლის ექსტერიერში კი 3-4 მეტრამდე აღწევს აფეთქებული კედლების და კოშკების ფრაგმენტები უსისტემოდ ყრია ფერდობებზე, ზემოდან კი შედარებით წვრილი ნაშალი ღორღი ფარავს (მეორე ნგრევის კვალი. იხ. ქვემოთ). ნახევრადაა ამოყირავებული სამხრეთ-დასავლეთის ნახევარწრიული კოშკი (ტაბ. XXVI. 1), თითქმის საფუძვლამდეა დაქცეული სამხრეთის კედელი და მასზე მიდგმული ნახევარწრიული და სწორკუთხა კოშკები თუ ბურჯები (ტაბ. XXVI. 1), სამხრეთ-აღმოსავლეთის კოშკიდან მხოლოდ ციხის ეზოში გამავალი კარია დარჩენილი (ტაბ. XXVI. 2), თითქმის მთლიანად წაშლილია აღმოსავლეთისა (გადარჩენილია მხოლოდ «ცოტა კარი») და ჩრდილოეთის კედლები. ციტადელის ინტერიერისა და ექსტერიერის გათხრებისას აღნიშნული ნგრევის ფენაში ფიქსირდება სხვადასხვა ყალიბის ქვემეხის ყუმბარები და ფინდიხები (ტაბ. XXXVII. 1). ზოგი მათგანი შენობათა კედლებზე დარტყმისგან შუაზეა გამსკდარი. 1810-15 წლებში რუსთა მიერ აგებული ციხის ჩრდილო-დასავლეთის ნახევარწრიული კოშკის ინტერიერის გაწმენდისას ნგრევის ფენაში (რომელზეც დაშენებულია ნახევარწრიული კოშკი) აღმოჩნდა სპილენძის მცირეყალიბიანი ზარბაზნის ფრაგმენტიც, სავარაუდოდ თურქული გარნიზონის კუთვნილი (ტაბ. XXXIV. 2).

სოლომონ I მოქმედების მოტივაცია სრულიად აშკარაა წყაროების მიხედვით. მისი წინდახედულება გამართლდა 1774 წელს, როცა იმერეთში თურქთა ოთხიათასიანი ლაშქარი შემოიჭრა, რომელიც სოლომონმა დაამარცხა ჩხერის ვიწროებში.

რუსული საექსპედიციო კორპუსის 1771 წლის წარუმატებელი კამპანიის შემდეგ 1772 წ. 4 თებერვალს მისი საქართველოდან გაყვანის ბრძანება გამოვიდა, 5 მაისს კორპუსი ქუთაისიდან გავიდა («5 მაისს რუსის ჯარი გენერალიანად სულ ყველაფრით ქუთაისთაგან წავიდნენ». შ. ლომსაძე 1979, გვ. 137), ხოლო 21 მაისს იმერეთის საზღვრები დატოვა (შ. ბურჯანაძე 1961, გვ. 125).

რუსთა კორპუსი ჯერაც საქართველოს ტერიტორიაზე იყო, როცა რუსეთსა და თურქებს შორის ხელმოწერილ იქნა კონვენცია (1772 წ. 19 მაისს) დაზავების თაობაზე და საზავო მოლაპარაკებისათვის შეირჩა პატარა რუმინული ქალაქი ფოკშანი. რუსეთის

მთავრობამ ელჩებს მისცა ინსტრუქცია, რომლის თანახმადაც მთავარი ამოცანების გადასაწყვეტად უკიდურეს შემთხვევაში ნება ეძლეოდათ ქართული სიმაგრეები დაეტოვებინათ იმავე მდგომარეობაში, როგორც იყო ომამდე.

შესაძლოა სწორედ ეს მოვლენა აისახა იოანე ხუცესის ქრონიკაში («27 მაისს მეფე რუსებისაგან გამობრუნებული ქუთაისს მოვიდა, რუსის და თათრის გარიგება ითქვა» შ. ლომსაძე 1979, გვ. 137). 5 ივნისს დროებითი ზავის შესახებ ცნობა მიიღო კორპუსის მეთაურმა სუხოტინმა, რომელიც უკვე კავკასიის მთებში იმყოფებოდა და იქედან გამოუგზავნა კაპ. ლვოვს, რომელმაც 10 ივნისს ეს ამბავი ახალციხის ფაშას აცნობა.

ფოკშანის კონგრესი 1772 წლის 27 ივლისიდან 28 აგვისტომდე გაგრძელდა და უშედეგოდ დასრულდა (Е. Дружинина 1955, გვ. 172-187), თუმცა ვფიქრობთ მაინც აისახა იმავე ქრონიკაში («5 მარიობას რუსის და ხვანთქრის გარიგება ითქვა» (შ. ლომსაძე 1979 გვ. 138).

1772 წლის 29 ოქტომბრიდან 1773 წლის 9 მარტამდე ორ ეტაპად მიმდინარე ბუქარესტის საზავო მოლაპარაკებებზე კვლავ დაისვა ქუთაისის, ბაღდათისა და შორაპნის ციხეების და საქართველოს პოლიტიკური თვითმყოფადობის საკითხი (Е. Дружинина 1955, გვ. 230) და შემუშავდა მომავალი ზავის პირობები, რომელიც საბოლოოდ დაიდო 1774 წლის 10 ივლისს პატარა სოფელ ქუჩუკ-კაინარჯში. ზავის 23-ე არტიკულში (რომელიც უცვლელად იმეორებს ბუქარესტის კონგრესზე შემუშავებულ ტექსტს) ნათქვამია: «В части Грузии и мингрелии находящиеся крепости: Багдадчик, Кутатись и Шегербан российским оружием завоеванные, будут Россиею признаны принадлежащими тем, кому оно издревле принадлежали, так что ежели подлинно оные города издревле, или с давного времени, были под владением Блистательнои Порты, то будут признани ей принадлежащими.» (იქვე ... გვ. 356). მართალია ტრაქტატი სადავოს ხდიდა იმერეთის ციხეების საკითხს და დასავლეთ საქართველო კვლავ თურქეთის ქვეშევრდომად რჩებოდა, სამაგიეროდ თურქეთი ვალდებულებას კისრულობდა არ შეევიწროვებინა ქართველთა სარწმუნოება, არ დაესაჯა ისინი ომში მონაწილეობისათვის და ხელს იღებდა ხარკზე, რაც საკმაოდ დიდი შეღავათი იყო (1769-74 წლების ომისა და ზავის პირობების შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. საკითხის შესახებ იხ. ვ. მაჭარაძე 1997, გვ. 89-94. იქვე ლიტერატურა).

თუმცა ოფიციალური ცნობა ომის დამთავრების შესახებ საქართველოში 1774 წლის 5 სექტემბერს გამოიგზავნა, გამორიცხული არ არის რომ ამ ამბავს აგვისტოს ბოლოშიც მოეღწია, რისი დასტურიცაა ერეკლეს მიერ 30 აგვისტოს წინასწარ დადებული ზავი ახალციხის ფაშასთან (იქვე ... გვ. 89-94).

ზავის პირობები ერთ ქართულ ქრონიკაშიც აისახა: «უიბ-1774 წლის 10 ივლისს რუსეთ-ოსმალეთი დაზავდნენ კუჩუკ-კაინარჯში. ოსმალეთმა დადო პირობა – საქართველოს აღარ შევაწუხებო. 5 ენკენისთვეს (სექტემბერი რ.ი.) ერეკლეს და სოლომანს აცნობეს» (ა. იოსელიანი 1980, გვ. 137).

ზავის პირობებიდან გამომდინარე სოლომონისათვის ცხადია, რომ თურქეთი პირველსავე ხელასყრელ მომენტში შეეცდებოდა იმერეთში დაკარგული პოზიციების აღდგენას და აქედან გამომდინარე ზავის შედეგების ოფიციალური გაცნობიდან (5 სექტემბერი) ხუთი თვის თავზე იგი კვლავ აგრძელებს ქუთაისის ციხის დარჩენილი ნაწილების ნგრევას (1775 წლის 16 თებერვალს «ქუთაისის ციხეს კვალად ნგრევა დაუწყეს». შ. ლომსაძე 1979, გვ. 147).

ციტადელის გათხრებისას ნათლად გამოიკვეთა ნგრევის მეორე ეტაპის კვალიც. პირველი ნგრევა-აფეთქების (1770 წ.) შედეგად აყირავებული ციხის კედლების და კოშკების ფრაგმენტებს ფარავს მეორე ნგრევისას წარმოშობილი დუღაბისა და ქვაღორღის შედარებით წვრილი ნატეხებისაგან შექმნილი ფენა, რომელიც განსაკუთრებით კარგად დაფიქსირდა სასახლის ინტერიერში და ციხის დასავლეთის კედელის ექსტერიერის გაყოლებით. როგორც ჩანს, მეორე ნგრევისას დენთით აფეთქების მეთოდი აღარ გამოუყენებიათ. წვრილი ღორღი მექანიკური (ხელით) საშუალებების გამოყენების შედეგია.

ამის შემდეგ ციტადელის კომპლექსმა თავდაპირველი სახით ფუნქციონირება შეწყვიტა. მალე მის ნანგრევებზე რიგით მოქალაქეთა დასახლება გაჩნდა.

თ ა ვ ი IV

ქუთაისი 1770 -1810 წლებში

თურქთა ასწლიანი ბატონობისგან მარჯვენა სანაპიროსა და «ქუთაისის ციხის» განთავისუფლების შემდეგ ქალაქის ისტორიის ახალი, ასე თუ ისე აღმავალი ეტაპი იწყება.

რუსეთ-თურქეთის 1769-74 წლების ომში დამარცხებულ თურქეთს წინანდებურად აღარ შეეძლო იმერეთის საქმეებში აქტიური ჩარევა. 1770-84 წლებში სოლომონ I ხელისუფლებამ ძლიერების ზენიტს მიაღწია. მეფემ შეძლო თურქთა გავლენისაგან თავის დაღწევა, შემოიმტკიცა საერისთავოები და ქვეყნის საშინაო მდგომარეობა შედარებით დასტაბილურდა, რაც საქალაქო ცხოვრების აღმავლობაშიც გამოიხატა.

იმდროინდელ წყაროებში მკრთალად, მაგრამ მაინც აისახა სავაჭრო-ეკონომიკური მდგომარეობის გამოცოცხლება, სამშენებლო საქმიანობის აქტივიზაცია და სხვ. იწყება თურქთა ბატონობისა და ომის შედეგად დანგრეული ეკლესიების, საკომუნიკაციო ნაგებობების და სხვათა აღდგენა და ახლის მშენებლობა. ქალაქი ძირითადად მარცხენა სანაპიროზე ვითარდება. ციტადელისა და «შიდა ქალაქის» თავდაცვითი სისტემის მოშლის შედეგად მარჯვენა სანაპიროს კლდოვან ბორცვზე არსებული ძველი კომპლექსი წინანდელ თავდაცვით ფუნქციას კარგავს და ციტადელის ნანგრევებზე რიგით მოქალაქეთა დასახელება ჩნდება.

ქალაქის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გამოცოცხლების ახალი ეტაპის დაწყება საკმაოდ კარგად აისახა იოანე ხუცესის დღიურ წერილებში («ახალციხური ქრონიკები”). წყაროს მიხედვით ნათლად ჩანს, რომ ქალაქის თურქული ეთნოსის ლიკვიდაციის მიუხედავად, ახალციხის საფაშოსთან სავაჭრო ურთიერთობა არ შეწყვეტილა და ამ ურთიერთობის სადავეები ახლა ძირითადად სომეხი გრიგორიანელების და ქართველი კათოლიკების ხელშია. სომხური ეთნოსი თანდათან მრავლდება ქუთაისში და ამ პროცესს, როგორც ვაჭრობა-აღებმიცემობის მასტიმულირებელ ფაქტორს, ხელისუფლება ხელს უწყობს (1770 წლის 21 ღვინობისთვეს «მეფემ სომხები ხონითგან ქუთაისს დაასახლა», შ. ლომსაძე 1979 გვ. 131). პარალელურად ქალაქში საფუძველი ეყრება სამეფო ხელისუფლებისაგან ინიცირებულ სავაჭრო ადგილების გამოცოცხლებას და საბაზრო დღეების დაწესებას. 1770 წლის 29 ენკენისთვეს «ქუთაისს ქალაქობა დაიწყეს» (იქვე..... გვ. 130), იმავე ქრონიკის მეორე ვარიანტით «ქალაქობა დააწესეს» (იქვე..... გვ. 130)

სპეციალურად გამოყოფილ საბაზრო ადგილზე (1775წ. 12 ღვინობისთვე «ქუთაისს ხულები მეიდანში სხვა ადგილას გამოდგეს საქალაქოდ», იქვე.... გვ. 149., 1776 წ. 6 გიორგობისთვე «ახალ ხულებთან ქალაქობა დაიწყეს პირველად», იქვე... გვ. 149) სავაჭრო ნაგებობებიც («ხულები») იდგა, რომელშიც სომხები და ქართველი კათოლიკები ვაჭრობდნენ («იესეს თირისშვილს და სიმონას ქუთაისს ხულა გაუტეხეს და 200 ოქრომდის მოჰპარეს», იქვე..... გვ. 132., «ბეჟანაჲ ცალკე დაჯდა პეტროსას ხულაში», იქვე..... გვ. 145., «ჩვენი იოანე ხულაზედ დაჯდა, სიმონგულაშვილის ბატონჯანას ამხანაკობითა», იქვე..... გვ. 149).

«ხულა» ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში სამეურნეო დანიშნულების ნაგებობათა კომპლექსში შემავალი მარცვლეულის, ხმელი ხილის და სხვ. შესანახი დამხმარე სათავსოა, რომელიც ზოგ შემთხვევაში ტანსაცმელის, სხვა ნივთების და «ნეფე-დედოფლის» პირველი ღამის გასათევადაც იყო გამოყენებული (ჯ. რუხაძე 2003, გვ. 187-188., ჯ. რუხაძე 2003 (ა) გვ. 191-193; ჯ. რუხაძე 1976), ჩვენს მიერ მოტანილ ქრონიკებში კი იგი სავაჭრო დაწესებულების აღმნიშვნელ ტერმინად იხმარება. ამას ისიც ადასტურებს, რომ იმავე ქრონიკების მიხედვით «ხულები» ხონშიც მდგარა («დიაკვანი იოსელიანი ვნახე ხონს, პაატას ხულაში», შ. ლომსაძე 1979, გვ. 127). ხონი იმ ეპოქაში, როგორც ცნობილია, ერთ-ერთ ყველაზე უფრო დაწინაურებულ სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა, სადაც დიდი მასშტაბის ბაზრობები იმართებოდა.

სავაჭრო დაწესებულებათა გარდა ქალაქში ცხადია სახელოსნოებიც არსებობდა (1772 წ. 29 აპრილი, «დავით მღებარმა წასვლის პირობა მისცა იაკობსა». იქვე.... გვ. 137), გაუმჯობესებული პირობების გამო კი ახლებსაც ეყრებოდა საფუძველი («1776 წ. 6 იანვარს ოცხელმან სამღებრო გააღო, იქვე.... გვ. 149).

სავაჭრო ურთიერთობის ორგანიზებული მოწესრიგების სასარგებლოდ ქუთაისში მებაჟის ინსტიტუტის არსებობაც მეტყველებს (1772 წ. 3 ღვინობისთვე «ქუთაისს მეხიდური იოანე ხიდის მებაჟედ დააყენეს» იქვე .... გვ. 138).

ვაჭრობის გამოცოცხლება და საბაჟო გადასახადი სამეფო ხაზინის შევსების ერთ-ერთი წყარო იყო (1772წ. 8 თიბათვე, «მეფე სოლომონმა მანათები ითხოვა ქუთათურებისაგან», იქვე ... გვ. 137).

სავაჭრო საქმიანობის პარალელურად ხელისუფლება იწყებს ქალაქის დანგრეული ინფრასტრუქტურის აღდგენა-მოდერნიზაციას. ამ მხრივ საკომუნიკაციო სისტემის მოწესრიგებას დიდი ადგილი ეჭირა. «ახალციხური ქრონიკების» მიხედვით ამ საქმიანობაში ჩაბმული იყო როგორც სამეფო ხელისუფლება, ასევე კერძო პირებიც: 1771 წ. 11 იანვარს «ქუთაისის ხიდი დააქცევინა ბერმან წულიკიძემ ასაშენებლად» (იქვე..... გვ. 131); 1771 წ. 19 თებერვალს «ხიდი გაათავეს» (იქვე.... გვ. 132); 1773 წ. 27 თებერვალი «მეფემ წყალწითელას ხიდი აკეთებინა (იქვე ... გვ. 140); 1776წ. 22 თიბათვეს «ორი დიდი ქვა ჩავატანინე ხიდისათვის და დავაწყებინე, ქვის დიდი ხიდი ბიძინას (ვარიანტში ბობინას რ.ი) ბაზარში» (იქვე ... გვ. 151).

ბერი წულიკიძის მიერ 1771 წლის 11 იანვრიდან 19 თებერვლამდე აგებულ (განახლებულ) ხიდს დეტალურად აღწერს გიულდენშტედტი, რომელიც ქუთაისში 1772 წ. 10-14 აგვისტოს იმყოფებოდა. «ამის ქვემოთ რიონზე არის 80 ნაბიჯი სიგრძისა და 8 ნაბიჯი სიგანის ხიდი. ორივე ნაპირზე არის 2 თაღი, რომლებიც მდინარეში აღწევენ 25 ნაბიჯამდე და შეერთებული არიან 30 ნაბიჯის სიგრძის ხის ხიდით» (გიულდენშტედტის ... 1962 გვ. 139-149). «ხიდის კარის» მონაკვეთის არქეოლოგიურ შესწავლამდე ძნელია აქ არსებული რამდენიმე ხიდის ნარჩენის დათარიღება. ბერი წულუკიძის მიერ აგებულ და გიულდენშტედტთან მოხსენიებული ხიდის აღწერა გვაძლევს იმის საფუძველს, რომ აქ დღევანდელი ჯაჭვის ხიდის ადგილზე არსებული საკომუნიკაციო ნაგებობა ვიგულისხმოთ. დღემდე შემორჩენილი თაღები ორსავე ნაპირზე და რამდენიმე გადაკეთების კვალიც ვფიქრობთ ამის დასტურია.

გიულდენშტედტის მიხედვით ხიდის ცენტრალური ნაწილი ხის ყოფილა, რასაც საშიშროების შემთხვევაში სწრაფად აყრიდნენ. წყაროში ეს მომენტიც აისახა. 1774 წ., როდესაც თურქთა და ლეკთა ლაშქრის იმერეთში შემოსევის გამო «ქუთაისი აიყარა» და «დადიანისგანაც შიში შეიქნა «(შ. ლომსაძე 1979, გვ. 144), 17 მარტს «ხიდი აჰყარეს».

რაც შეეხება წყაროში მოხსენებული მეორე ხიდის მშენებლობას «ბიძინას» («ბობინას») ბაზარში, ვფიქრობთ აქ შეიძლება დიუბუას გეგმაზე (ტაბ. I. F. 35) ნაჩვენები ის ხიდი იგულისხმებოდეს, რომლის ბურჯების ნაშთები დღემდეა შემორჩენილი ახლანდელი «წითელი ხიდის» ჩრდილოეთით ორივე ნაპირზე. მით უმეტეს, რომ

დიუბუას მიხედვით აქვეა ბაზარიც, თუმცა წყაროში მოხსენებული ტოპონიმი დღეს ქუთაისში აღარ დასტურდება.

როგორც ნაშრომის მესამე თავში ვაჩვენეთ, თურქთა მფლობელობის ხანაში მარცხენა სანაპიროს ზოლი სამეფო ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიას წარმოადგენდა და წყაროებით აქ ქალაქის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ცხოვრობდა.

ტიმოთე გაბაშვილის რუკის მიხედვით ქალაქის ამ ნაწილს («მწვანეყვავილადან» «ოქროს ჩარდახამდე») ეწოდებოდა «ქუთაისის ქალაქი», სადაც რამდენიმე გაურკვეველი დანიშნულების ნაგებობა და ერთი უგუმბათო ეკლესიაც ჩანს (შ. ბურჯანაძე 1959 (ა) გვ. 184-185). ქალაქის ამ მჭიდროდ დასახლებულ უბანს ბუნებრივია საერთო სარგებლობის სანიტარულ-ჰიგიენური დანიშნულების ნაგებობებიც დაჭირდებოდა, ისე როგორც სხვაგანაც (მაგ: გრემის სავაჭრო უბნის აბანო). მარცხენა სანაპიროს არქეოლოგიური შეუსწავლელობის გამო მათზე მხოლოდ წყაროებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ.

«ახალციხური ქრონიკების» ავტორი 1770-72წწ. რამდენჯერმე მოიხსენიებს ქუთაისის აბანოს. როგორც ნაშრომის მესამე თავში ვაჩვენეთ, ოსმალების მიერ აგებული ერთი აბანო «ხიდის კარი»-ს მახლობლად, მარჯვენა სანაპიროზე იდგა. ეს მონაკვეთი თურქთა კონტროლირებად ტერიტორიაზეა და საეჭვოა წყაროში ის იყოს მოხსენიებული. თანაც იგი, როგორც მ. კეზევაძის მიერ მოძიებული საარქივო მონაცემებით ირკვევა, ოსმალების განდევნის დროს დაუნგრევიათ და მხოლოდ 1795 წელს განუახლებია სოლომონ მეორეს. ამდენად, წყაროში მოხსენიებული აბანო ჩვენი აზრით მარჯვენა სანაპიროზე, მეფის კონტროლირებად ტერიტორიაზე იდგა, მაგრამ კონკრეტულად სად, ამის დადგენა კვლევის ამ ეტაპზე შეუძლებელია. ოსმალური აბანოს გამოყენებას ის ფაქტიც გამორიცხავს, რომ 1770 წლის ივნის-აგვისტოში, როცა წყაროში პირველად იხსენება აბანო (1770 წლის 22 თიბათვეს «... აბანოში წავედი,» შ. ლომსაძე 1979, გვ. 129., 1770 წლის 30 თიბათვეს «ქუთაისის აბანოში ვსწირე, წირვაზედ მოვიდნენ კაპიტანი, ოფიცრები და გუსარები», იქვე ... გვ. 130), ჯერ სოლომონ I და მერე კოალიციურ ჯარებს ცხარე ბრძოლები აქვთ ოსმალებთან და ოსმალური აბანოს ტერიტორიაც ამ ბრძოლების ეპიცენტრშია მოქცეული. 1770 წლის 30 აგვისტოსათვის კი, როცა «სურამელ ტერ-გრიგორს აღსარება ვათქმევინე ქუთაისის აბანოში» (იქვე ... გვ.

139), იგი უკვე დანგრეული უნდა იყოს. «ქუთაისის აბანო» რომ მარჯვენა სანაპიროზე იდგა, ამას 1772 წ. 16 მკათათვით (ივლისი) დათარიღებული ქრონიკაც ადასტურებს («ჩვენი ვაჟები ბაირაღ გაშლილი მოვიდნენ აბანოთგან», იქვე... გვ. 138).

სავარაუდოდ აბანო რიონის პირზე იდგა და მდინარის წყლით ან «მწვანეყვავილას» ძირში არსებული წყაროდან გამოყვანილი თიხის მილების მაგისტრალით მარაგდებოდა, ისევე როგორც მთელი ეს უბანი, თუმცა აქ მდინარისპირა წყაროები დღემდე გაედინება და რიონის წყალიც გამოიყენებოდა სასმელად და ტექნიკური საჭიროებისათვის.

თურქთა განდევნის შემდეგ ქუთაისის მაგალითზე შენიშნული საქალაქო ცხოვრების შედარებითი გამოცოცხლება საეკლესიო სფეროსაც დაეტყო. სხვადასხვა სახის წყაროებით ნათლად ჩანს, რომ სამეფო და სასულიერო ხელისუფლება იწყებს დანგრეული ეკლესიების აღდგენას და მათ მატერიალურ უზრუნველყოფას.

წყაროებში ასახული ამ მიმართულებით გადადგმული ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი ციტადელის ეკლესიის ერთი სამშენებლო ეტაპის დასაწყისის გამოსაყოფადაც გამოდგება (1772 წ. 17 მაისს «ქუთათელმან ზარა დაჰკიდა ციხეში ქუთათისს», იქვე ... გვ. 137). ცხადია ეს ნაბიჯი ჯერ მხოლოდ სიმბოლური იყო, რადგანაც ორიოდე თვის შემდეგ გიულდენშტედტის მოსვლის დროს (იგი 5 აგვისტოს მოვიდა ქუთაისში ... იქვე გვ. 130) ჯერაც დგას მეჩეთის კედლები და «თათრული წარწერა» მისი კარიბჭის თავზე, თუმცა პროცესი უკვე შეუქცევადია და 1773 წლისათვის ახალ მასშტაბებს იძენს, ხოლო აღდგენითი სამუშაოების ინიციატორად იმერეთის დედოფალი და ქუთათელი გამოდიან (1774 წ. 14 იანვარი. «დედოფალმან ქუთაისის დანგრეული საყდრების შენება დააწყებინა ხუროებსა» იქვე ... გვ. 140., 1773 წლის 30 მარტი. «ქუთათელმან საყდრის შენება დაიწყო», იქვე... გვ. 141). ჩვენი აზრით, სეკლესიო აღმშენებლობა ძირითადად მარჯვენა სანაპიროს ძეგლებს უფრო შეეხებოდა, რადგანაც 1772 წლისათვის მარცხენა სანაპიროზე გიულდენშტედტის მიხედვით 6 ეკლესია დგას (გიულდენშტედტის ... 1962, გვ. 139-149) და კონტექსტით არ ჩანს, რომ ისინი დანგრეულია და ეს ლოგიკურიც უნდა იყოს.

გვიანდელი გადაკეთების ერთი კვალი აშკარად ჩანს ციტადელის ეკლესიაზეც. კედლები, სარკმლები და შესაძლოა თაღიც ნაგებია სხვადასხვა ზომისა და და ფორმის

ნატეხი ქვებით და აგურებით. ამ გადაკეთების დროინდელი უნდა იყოს ეკლესიის ორივე, უკვე გაუქმებული მინაშენების ინტერიერში, გათხრებით დადასტურებული სახურავის დასაბმელი და დამჭერი სამ მეტრამდე სიგრძის რკინის ოთხკუთხაგანივკვეთიანი ძელები, რომლებიც ზედა ნაწილში კაუჭით (თოკის ან მავთულის ჩასაბმელად), ხოლო ქვედა ნაწილში, რომელიც მიწაში ღრად იყო ჩასული, სამთითათი ბოლოვდებოდა.

ეკლესიის ორფერდა სახურავი ალბათ ყავრით იყო დახურული და საიმედოდ დაბმული, რათა ქარს არ გადაეხადა, რაც არაერთხელ მომხდარა ქუთაისში (1773წ. 7 აგვისტოს «საყდრის [იგულისხმება კათოლიკეთა საყდარი მწვანეყვავილაზე რ.ი.] სახურავი ქარმან მოგლიჯა სრულად». შ. ლომსაძე 1979 გვ. 144). სახურავის ანალოგიური წესით დაჭერა უცხო არ ყოფილა დასავლეთ საქართველოსათვის არც მომდევნო ეპოქაში. მაგ: დიუბუას ალბომის ერთ ნახატზე ჩანს ერთსართულიანი, ორფერდასახურავიანი ნაგებობები ანალოგიური წესით «დაბმული» სახურავით (ტაბ. XXIV). ყავარი კი, ისე როგორც წინა ეპოქაში, ახლაც ხშირად გამოიყენებოდა გადახურვაში, რასაც წყაროებიც ადასტურებს (1771 წლის 7 თებერვალს «ქარმან ქუთაისის საყდარს [იგულისხმება კათოლიკეთა საყდარი რ.ი.] ყავარი ღამით გარდაგლიჯა», იქვე ... გვ. 132) და ციტადელის გათხრებისას აღნიშნული ეპოქის ორმოებში აღმოჩენილი ყავრის ფიცრებიც (ტაბ. XXXVII. 2).

მეფის ინიციატივით გარკვეული სამშენებლო სამუშაოები ჩაუტარებიათ «ოქროს ჩარდახის» ტერიტორიაზეც (1773 22 მარტს «სასახლეში მეფემ სახლები დაადგმევინა», იქვე... გვ. 141. 1776 წ. 26 თიბათვე. «სასახლის საყდარს გულაბანდის შეკვრა და შენება დაუწყეს», იქვე ... გვ. 152). ამ ორ ქრონიკაში მოხსენიებული სასახლე «ოქროს ჩარდახს» გულისხმობს უცილობლად, რადგანაც ციტადელის რეზიდენცია ამ დროს უკვე დანგრეულია. «სასახლეში», რომ «ოქროს ჩარდახი» იგულიხმება ამას იმავე ავტორის ერთი ქრონიკაც ადასტურებს: «1775 წ. 23 აპრილი სასახლეში დიდ ჭადარს თავით თვისით ცეცხლი მოეკიდა და ქვის ტახტიც აიღეს», იქვე ... გვ. 148, «25 აპრილი სასახლეში ჭადარი მოსჭრეს», იქვე..... გვ 148. «ოქროს ჩარდახის» ეზოში მდებარე ორი ჭადარი არაერთ წყაროში ფიქსირდება. მათ შორის ტიმოთე გაბაშვილის რუკაზეც და

მათგან ერთ-ერთი დღემდე დგას, ხოლო ქვის ტახტი, რომელიც ხანძრის შემდეგ აუღიათ, თავის დროზე ნახა გიულდენშტედტმა, ხოლო დიუბუას აღარ დახვედრია.

ეკლესიების აღდგენა-განახლების პარალელურად საერო და სასულიერო ხელისუფალნი ზრუნავენ მისი მატერიალური ბაზის განმტკიცებაზეც, რასაც ადასტურებს არაერთი წყალობისა და შეწირულობის სიგელი. ეს პროცესი სოლომონ II მეფობის დროსაც გრძელდება.

XVIII საუკუნის 60-70-იან წლებში ქუთაისის მოსახლეობის ერთ ნაწილს ქართველი კათოლიკები და სომეხი გრიგორიანელები შეადგენდნენ, რომლებიც ძირითადად ვაჭრობა-ხელოსნობას მისდევდნენ და მყარი სავაჭრო და კულტურული კონტაქტები ჰქონდათ ახალციხესთან. ამ ხანებში კათოლიკებს საკუთარი საყდარიც აქვთ «მწვანეყვავილაზე» («ქუთაისის ციხეს რუსებმან ზარბაზნების სროლა დაუწყეს მწვანეყვავილათგან ჩვენის საყდრითგან», იქვე... გვ. 129). დროის ამ მონაკვეთში ისინი სამეფო ხელისუფლებისაგან პრივილეგირებულ მდგომარეობაში არიან, საკუთარი შემოსავალი და მატერიალური ბაზაც გააჩნიათ და გარკვეულ სამშენებლო სამუშაოებსაც ატარებენ. მათი სულიერი ლიდერი, «ახალციხური ქრონიკების» ერთ-ერთი ავტორი ხოჯავანთ იოანე სამეფო და სასულიერო ხელისუფლებასთან ძალზედ დაახლოებული პირია (1771 წ. 12 ღვინობისთვე. «მალაქია თეთრის მომკრეფად დავაყენე ქუთაისის საყდრისათვის», იქვე... გვ. 134., «საყდართან ქუთაისს ვენახი და ხილნარი ჩავაყრევინე», იქვე... გვ. 141., «1773 წ. 22 გიორგობისთვე, საყდარი დავხურეთ სრულიად», იქვე ... გვ. 144, «1774 წლის 28 გიორგობას საყდარში ფიცრის ოდა გავაკეთებინე», იქვე ... გვ. 147, «1773 წ 23 თებერვალს ქუთაისის საყდრის ყალდურმა /ქვაფენილი/ დავიწყე და შევასრულე», იქვე.... გვ. 140). მასთან ხშირად სტუმრობენ საერო და სასულიერო ხელისუფალნი და თვითონაც მონაწილეობს ქვეყნის პოლიტიკურ და სასულიერო საქმეებში («ბატონიშვილი დაჯიკა, ჩვენს საყდარზედ მოვიდა სანახავად», იქვე... გვ. 141., «ხონის მთავარეპისკოპოსი მოვიდა ჩემთან საყდარში დასადგომად», იქვე... გვ. 134., «კათალიკოსი ქუთაისს მოვიდა მწვანეყვავილაზედა», იქვე... გვ. 144., «რუსების თამაშობა და სროლა ვნახე და ბ. ჯენერალის [იგულისხმება ტოტლებენი რ. ი.] ჭამაშიც ვიყავით. მეფე სოლომონი, კათალიკოსი და მიტროპოლიტი

და თავადებიც იყვნენ», იქვე... გვ. 129., «ქუთათელი მაქსიმე კათალიკოსად აკურთხეს ქუთაისს ყოვლადწმინდის ეკლესიაში რომ მეც თან დავესწარ», იქვე... გვ. 273).

საბოლოოდ სომეხი მღვდელმთავრების დასმენით იგი 1777 წელს იძულებული გახდა ქუთაისიდან წასულიყო («1777 წლის 4 აპრილს მეფემ მოციქულობა დამიწყო ქუთაისს, საყდრისა და ერისათვის», იქვე... გვ. 153., «1777 წლის 5 აპრილს მეფემ საყდარი დამაცლევინა და მიბრძანა წადი ნუ დადგებიო», იქვე... გვ. 153).

როგორც ამ მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, ქუთაისის თურქთა გარნიზონისაგან განთავისუფლებიდან სოლომონ I გარდაცვალებამდე (1784 წ) ქალაქის მარცხენა სანაპიროზე საქალაქო ცხოვრების ერთგვარი აღმავლობა სახეზეა. «ზედა» ქალაქისა და ციტადელის ტერიტორიაზე კი 1775 წლამდე («1775 წლის 16 თებერვალს ქუთაისის ციხეს კვალად ნგრევა დაუწყეს», იქვე... გვ. 147) მაინც არც წყაროებით და არც არქეოლოგიური მონაცემებით ამ მხრივ არავითარი აქტივიზაცია არ შეინიშნება.

1986-90 წლებში ციტადელის ტერიტორიის გათხრებისას გამოვლენილი «ქუთაისის ციხის» კომპლექსის ნანგრევებზე გამართული რიგით მოქალაქეთა კვარტალური დასახლება მხოლოდ 1775 წლის შემდეგ შეიძლებოდა გაჩენილიყო.

ციტადელის სტრატიგრაფია ნათლად უჩვენებს, რომ 1770 წლის ნგრევა-აფეთქების შედეგად კოშკების, გალავნისა და სასახლის კედლების უმრავლესობა აყირავებულია ციხის გარე პერიმეტრის ფერდობებზე და მას ქვეშ 10-20 სანტიმეტრამდე სიმძლავრის შავი, ნახანძრალი შრე უდევს. 1775 წელს დაწყებული ნგრევის (მეორე ეტაპი) ფენა კი წარმოდგენილია წვრილი, ნაშალი ღორღით, რაც ხელით ნგრევა-დაშლის შედეგია და არა აფეთქების. ეს ფენა ყველგან თანაბარი ინტენსივობის არაა. სასახლის მარნის თავზე მისი სიმძლავრე ორ მეტრს აღწევდა. დაახლოებით ამავე სიმძლავრით იყო იგი წარმოდგენილი გალავნის დასავლეთის კედლის გარე პერიმეტრზეც.

დანგრეული ციხის ადგილზე, რომელმაც ცხადია დაკარგა სტრატეგიული მნიშვნელობა, სულ მალე ახალი დასახლება ჩნდება, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში ქვის მშრალი წყობით ნაგებ ფუნდამენტებზე გამართული ხის ნაგებობებითაა წარმოდგენილი. გათხრების ამ ეტაპზე მათი ნაშთები შედარებით დიდ მონაკვეთებზე გამოვლენილია ციტადელის დასავლეთის კედელის გარეთ XXV-XXVI და XXV-XXVI

ნაკვეთების გადაკვეთაზე, ციტადელის ცენტრალური ტერასის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში დარბაზულ ეკლესიასა და გალავნის სამხრეთის კედელს შორის მოქცეულ ფართობზე (KXXVI და KXXVII ნაკვეთებში), ქვედა ტერასაზე კი KXXVIII –XXIX და LXXVIII-XXIX ნაკვეთების გადაკვეთაზე (ტაბ. XXI).

ციტადელის ქვედა ტერასის ცენტრალურ და ჩრდილოეთის ნაწილში მათი არსებობა დადასტურებულია მცირე ზომის საცდელ შურფებში. უკლებლივ ყველა მათგანი საცხოვრებელი ან სამეურნეო დანიშნულებისაა და მხოლოდ ციტადელის მონაკვეთშია ფიქსირებული. სხვაგან ნაქალაქარზე არც გათხრებით, არც ზედაპირული დაზვერვებით ისინი არ ფიქსირდება.

ციხის დასავლეთის კედლის გარეთ არსებული იმდროინდელი დასახლების ნანგრევები ექსპედიციის პირველ წელს ფორსმაჟორში გაიწმინდა, ხოლო ექსპედიციაში დროებით მყოფი ლენინგრადელი არქიტექტორების ანაზომების მოძიება ვეღარ მოხერხდა.

ციტადელის შიგნით გეგმაზომიერად გათხრილი დასახლება კი სათანადო დონეზეა ფიქსირებული და მათ შესახებ უფრო დაწვრილებით შეიძლება მსჯელობა.

ციტადელის ინტერიერში იმდროინდელი ნაგებობების ერთი ნაწილი 1986-1987 წლებში გაითხარა ქვედა ტერასის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ზედაპირული ფენის მოხსნის შემდეგ გამოიკვეთა ქვის მშრალი წყობით ნაგები კედლების ნაშთები (ტაბ.XXI). ამ მონაკვეთს დასავლეთიდან საზღვრავს ტერასის გასამაგრებელი ოვალური მოხაზულობის კედელი, სამხრეთიდან XIX ს. დასაწყისის ციხის კედელი, აღმოსავლეთიდან კი იმავე ციხის ნახევარწრიული კოშკის ინტერიერი. თხრილში სამი ნაგებობის ნაშთი გაიწმინდა. სამივე მათგანი სხვადასხვა ზომის, მეორადი გამოყენების ქვებითაა ნაგები (ერთ-ერთი ნაგებობის კედელში სამშენებლო მასალად გამოყენებული იყო X-XI სს-ით დათარიღებული სვეტისთავი, რომელზეც სამ რელიეფურ «ტოლმკლავა» ჯვართან ერთად მოთავსებულია ასომთავრული წარწერა: წმინდაჲ ეკატერინა, წმინდაჲ ბარბარა, წმინდაჲ მარინა». ვ. სილოგავა 1995, გვ. 64-65), დუღაბი საერთოდ არ არის ნახმარი. კედლების შიდა სივრცე წვრილი, ნატეხი ქვებით, აგურების, თიხის და დუღაბის ნატეხებით არის ამოვსებული. ფასადებზე, ინტერიერის მხარეს, ზოგ ადგილზე კირხსნარის თხელი ფენით შებათქაშების კვალი დასტურდება.

ნაგებობათა იატაკები არ გამოვლენილა. სავარაუდოდ ისინი ხის იყო. შემორჩენილი კედლები ყველა მონაცემით მხოლოდ ცოკოლს ან ფუნდამენტს წარმოადგენდნენ, რომელზეც ზევიდან ხის კონსტრუქციები იდგა, რისი დასტურიცაა სავარაუდო იატაკის დონეზე რამდენიმე ადგილზე დაფიქსირებული დანახშირებული ძელების ფრამგენტები.

სამივე ნაგებობას ზემოდან დაახლოებით 20-30 სანტიმეტრის სიმძლავრის ზედაპირული ჰემუსური ფენა ფარავდა. მასში მრავლადაა წვრილი ფინდიხები, უხეშკეციანი კერამიკისა და თურქული ჩიბუხების ფრაგმენტები.

ნაგებობათა ინტერიერი ამოვსებულია კედლების ნანგრევი ქვაღორღიანი მიწის დაახლოებით 60 სანტიმეტრის სიმძლავრის ფენით. ამ ფენაშიც ანალოგიური მასალები გვხვდება, მხოლოდ ფინდიხები უფრო მცირე რაოდენობით.

პირველი ნაგებობა ტერასის გასამაგრებელ ოვალურ კედელზეა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მიდგმული და ამდენად მისი ერთი კედელი ოვალური ფორმისაა. ნაგებობის აღმოსავლეთის და სამხრეთის კედლების შეერთების ადგილზე კუთხე გარედან მომრგვალებულია. სამხრეთის კედლის სიგრძე 6 მეტრია, აღმოსავლეთისა 8 მეტრი, დასავლეთის კედლის კი 4,5 მეტრი. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ნაგებობა ტერასის გასამაგრებელ ოვალურ კედელზეა მიდგმული. კედლების სიგანე 60-70 სანტიმეტრამდე მერყეობს. მეორე ნაგებობა მის პარალელურად აღმოსავლეთითაა გამართული ისე, რომ მათ შორის ვიწრო, დაახლოებით 80 სანტიმეტრიანი «გასასვლელი» რჩება. მეორე ნაგებობის შემორჩენილი ზომებია 11X6მ. სამხრეთის ნაწილი მოშლილია და ზუსტად აღარ იზომება. ნაგებობა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ უნდა ყოფილიყო დამხრობილი. ორივე ნაგებობას შემოსასვლელი სამხრეთიდან უნდა ჰქონოდა. ამ მხარეზე ზედა ტერასიდან ქვის მეორადი გამოყენების ფილებით შედგენილი კიბე ჩამოდის (შემორჩენილია 4 საფეხური), რომელიც ამ უბნის ნაგებობებს ციტადელის ცენტრალური ტერასის ამავდროულ კვარტალთან აკავშირებდა და ორივე ნაგებობაც კარით ამ მხარეზე უნდა ყოფილიყო გახსნილი. კიბის დიდ ნაწილს სამხრეთიდან XIX ს. გალავნის კედლის ფუნდამენტი ფარავს. შესაძლებელია ასეთი ნაგებობები უფრო სამხრეთითაც ყოფილიყო, რომლებიც თანამედროვე დასახლებამ გაანადგურა.

მესამე ნაგებობა მეორეზე ჩრდილოეთიდან მოდგმულია ისე, რომ მათ ერთი საერთო კედელი ჰქონდათ. იგი ჩრდილოეთით, ეზოსკენ იქნებოდა გახსნილი, რადგან საერთო კედელში კარი არ დასტურდება. კედლის ცენტრალურ ნაწილში მესამე ნაგებობის ინტერიერში «გახსნილი» სწორკუთხა თახჩაა დატნეული (1,1X0,4მ).

მესამე ნაგებობის სიგანე 3,8 მეტრია და ჩრდილოეთით გაუთხრელ ფართობში შედის. ჩრდილოეთის მიმართულებით მისი კედელი 2 მეტრის სიგრძეზეა გამოვლენილი. კედლების სიგანე და სტრუქტურა პირველი ორის ანალოგიურია. მეორე ნაგებობის დასავლეთის ნაწილის ცენტრში სავარაუდო იატაკის დონეზე იწყება ორი მეტრის დიამეტრის ორმო (ტაბ. XXI), რომელიც გაჭრილია ქვედა დონეების კულტურულ ფენებში და მატერიკში. ორმოს ფსკერი კლდემდეა დასული. სიღრმე დაახლოებით 4 მეტრამდე უნდა ყოფილიყო. მასში XVIII საუკუნის ფენებისათვის დამახასიათებელი უსახო კერამიკა, ყუმბარების ნამსხვრევები და ყავრის ფიცრების ფრაგმენტები აღმოჩნდა სალურსმნე ნახვრეტებით. ყავარი ალბათ გადახურვაში იყო გამოყენებული როგორც აქ, ისე სხვა იმ დროის ნაგებობებზე. ამას ისიც ადასტურებს, რომ იმდროინდელი ნაგებობების გათხრებისას კრამიტები არ აღმოჩენილა. როგორც ზემოთ ვნახეთ, იმ ეპოქაში ყავარი ფართოდ გამოიყენებოდა არა მარტო საცხოვრებელი, არამედ საკულტო ნაგებობების დასახურავადაც. ეს შემთხვევა წერილობითი წყაროს («ახალციხური ქრონიკები») არქეოლოგიური დადასტურების კარგი ნიმუშია.

რაც შეეხება მეორე ნაგებობის ინტერიერში აღმოჩენილ ორმოს: დაახლოებით ასეთივე ორმოები კიდევ ორ ადგილზე აღმოჩნდა იმდროინდელი ნაგებობების ინტერიერში. ერთი ცენტრალურ ტერასაზე L XXVIII ნაკვეთის მე-4 და L XXVII ნაკვეთის 1 კვადრატების მონაკვეთში, ასევე მშრალი წყობით ნაშენები ნაგებობების ნაშთების ინტერიერში, მეორე კი L XXVIII ნაკვეთის მე-16 კვადრატში გაჭრილ საცდელ თხრილში გამოვლენილი, ტერასის ოვალურ კედელზე მიდგმული მშრალი წყობით ნაგები შენობის კარიდან დაშორებულ კუთხეში. ორივე მათგანში XVIII საუკუნის მასალა აღმოჩნდა. სამივე ორმო ცილინდრული ფორმისაა და მათი სიღრმე 3-4 მეტრს შორის მერყეობს.

განვითარებული შუასაუკუნეების ეპოქის მსგავსი ფორმისა და ზომების ორმოები ქუთაისის ნაქალაქარის არაერთ უბანზე აღმოჩნდა. ისინი შეისწავლა ა. გაბრიაძემ თავის

საკანდიდატო დისერტაციაში. რამდენიმე მათგანი მსუბუქი კონსტრუქციებით ნაგები «საცხოვრებელი» ნაგებობების ინტერიერშია გამოვლენილი. სადაც ნაგებობათა ნაშთების ფიქსირება ხერხდება ყველგან ჩანს, რომ ისინი ატმოსფერული ზემოქმედებისაგან (მზე, ქარი) დაცულ, შენობის ყველაზე შორეულ ნაწილებშია გამართული, ისევე როგორც ჩვენს შემთხვევაში. ასე, რომ განვითარებული შუასაუკუნეების ასეთი ორმოების ის ნაწილი, რომლებზეც ავტორი აღნიშნავს, რომ ისინი «...საკმაოდ უსისტემოდ არიან განლაგებული» (ა. გაბრიაძე, 1999, გვ. 158), თავის დროზე ასევე ნაგებობათა ინტერიერში უნდა ყოფილიყო გამართული და მათ ირგვლივ გარკვეული ტიპის ნაგებობა უნდა ვიგულისხმოთ. სხვა საქმეა, რომ ორმოების გარშემო ნაგებობათა ფიქსირება ყოველთვის არ ხერხდება. აღნიშნული ეპოქის ორმოების ერთი ნაწილი თავისებურ, ე.წ. «ორიარუსიან» (ა. გაბრიაძე) ვარიანტს წარმოადგენენ, მათი დიამეტრი (1,3 მ). შუა ნაწილს ქვემოთ ვიწროვდება და დაახლოებით 1,5 მ. სიღრმეზე იქმნება ბაქანი, რომელიც წარმოადგენს შუალედურ საყრდენს ორმოს ქვემო ნაწილთან დასაკავშირებლად (იქვე... გვ. 160, ტაბ. XXXVIII, 14). ჩვენს მიერ შესწავლილი ამ ტიპის ორმოები მხოლოდ ერთიარუსიანია

ექსპედიციის პირველ წლებში ამგვარ ორმოებს პირობითად ხაროები ეწოდათ სამუშაო ტერმინად, თუმცა მალევე გაირკვა, რომ ისინი როგორც ფუნქციონალურად, ასევე კონსტრუქციულად დიამეტრალურად განსხვავდებიან აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი (მაგ.: აწყურისა და ჟინვალის ნაქალაქარებზე., მ. მარგველაშვილი 1999, გვ. 28; კვირიკეწმინდისა და ქვათახევის მონასტრებში, ყინწვისის, ჭარებისა და მოხისის ეკლესიებში., გ. ჯალაბაძე, 1960, გვ. 156) და ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დადასტურებული ხაროებისაგან, რომლებიც ბრტყელძირა, ქვევრისებურად ყელშევიწროებულ ორმოებს წარმოადგენენ, უმეტეს შემთხვევაში კედლები ქვითკირით აქვთ ამოყვანილი და რეგიონის მშრალი ჰავის პირობებში მარცვლეულის მარაგის შესანახად გამოიყენებოდნენ (თ. ჩიქოვანი 2004, გვ. 155-159. სურ. 1, 2, 3).

ნაქალაქარის განვითარებული შუასაუკუნეების ხანის ამგვარი ორმოები ა. გაბრიაძემ სავსებით სამართლიანად «ჭა-მაცივრებად» (ე.წ. «საცივები») ანუ სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებად მიიჩნია (ა. გაბრიაძე 1999, გვ. 157). მსგავსი ნაგებობები

ქუთაისის მიდამოებიდან გათხრების დაწყებამდე უცნობი იყო, რაც რეგიონის არქეოლოგიური შესწავლილობის დონითაც შეიძლება აიხსნას. თუმცა არსებობს ცნობა, რომ ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძეს ეკლესიის მახლობლად მოწყობილი ჰქონია ძალიან ღრმა საყინულე ორმო (ვ. ჭელიძე, 1988).

ქართული არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალებით ცნობილია თოვლისა და ყინულის მარაგის შესანახი «საცივების» ოთხი ძირითადი ტიპი: 1. ორმო-თხრილი 2. «კლდე-ნაკვეთები» 3. საყინულე სარდაფები, რომლებიც ქვითკირით იყო ნაგები და გასასვლელით მიწის პირზე ამოდიოდა 4. «ჩავარდნილი ადგილები» მთის კალთებზე, სადაც «ნაბუქს დასდებდა» (ჯ. სონღულაშვილი, 1962, გვ. 172-173).

ამგვარი ნაგებობები შუასაუკუნეთა საქართველოს მეფეთა, დიდებულთა და შეძლებულ პირთა რეზიდენციების ერთ-ერთი უცილობელი ატრიბუტი იყო (იქვე... გვ. 171-174), რომელშიც ყინულს ინახავდნენ (პ. ფირფილაშვილი 1988, გვ. 120) და რომელსაც ექიმები ზოგჯერ ავადმყოფთა სამკურნალოდაც იყენებდნენ (იქვე... გვ. 120). როგორც ქუთაისის მაგალითზე ჩანს, განვითარებულ შუასაუკუნეების ეპოქაში ამგვარ ორმოებში მალფუჭებად პროდუქტებსა და სითხეებს ინახავდნენ, რისი დასტურიცაა მათში აღმოჩენილი სუფრისა და სამზარეულო დანიშნულების ჭურჭლები.

ერთ მეტრამდე დიამეტრისა და ზოგჯერ თორმეტ მეტრამდე სიმაღლის ადრეული შუასაუკუნეების ამგვარი ორმოები აღმოჩენილია თბილისში (პ. ფირფილაშვილი 1988, გვ. 120), ხოლო გვიანი შუასაუკუნეებისა საქართველოს არაერთ პუნქტში (იქვე... გვ. 123). ცნობილია გვიანი ხანის ისეთი ჭა-მაცივრებიც, რომლებიც გათლილი ქვით, აგურით ან კირ-ცემენტის ხსნარით ყოფილა ამოშენებული (ს. დურმიშიძე, 1985, გვ. 12-18).

ქუთაისის ნაქალაქარის განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების ამგვარი ორმოები წარმოადგენენ «ორმო-თხრილებს» და ზომებით, ფორმით, მშენებლობის ტექნიკით (უკლებლივ ყველა მათგანის კედლები მოუპირკეთებლად, პირდაპირ მიწაშია გაჭრილი) და ადგილის შერჩევით (ნაგებობათა ინტერიერში) თითქმის არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რაც ამ სფეროში კულტურული მიმღეობის შესანიშნავი დადასტურებაა.

როგორც აღვნიშნეთ, ციტადელის ქვედა ტერასაზე გათხრილი ნაგებობები ქვის კიბით უკავშირდება ცენტრალურ ტერასაზე ეკლესიის სამხრეთით გამოვლენილ იმავე

დროის კვარტალს. მართალია, ეს უკანასკნელი გაცილებით დიდ ფართობზეა შესწავლილი, მაგრამ მომდევნო ეტაპის (XIX ს-ის 10-15 წ.წ.) მშენებლობით ისეა დაზიანებული, რომ შედარებით სრულად მხოლოდ ერთი ნაგებობის გეგმის დადგენა ხერხდება. სამაგიეროდ ამ უბანზე უკეთესადაა შემორჩენილი ამავე კვარტალის სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ერთმანეთთან და ეზოსთან დამაკავშირებელი, მეორადი გამოყენების ქვის ფილებით მშვენივრად ნივლირებული ეზოს, ქვაფენილში ჩართული სანიაღვრე არხის და ქუჩის ფრაგმენტები (ტაბ. XXI; XXXIX. 1. 2).

ამ კვარტალის ერთი ნაგებობა ეკლესიის სამხრეთით, აბსიდის ახლოს გაითხარა. ის შედარებით უკეთესადაა გადარჩენილი (ტაბ. XXI).

ნაგებობის სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში თავდაყირა იდო დიდი ზომის ქვის როდინი. ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ასეთი როდინები ღომის და ფეტვის გასაცეხვად და წყლის მარაგისათვის გამოიყენება.

ნაგებობის კედლები აქაც მეორადი გამოყენების ქვებითაა ნაგები უდუღაბოდ. კედლების შემორჩენილი სიმაღლე 50 სმ-მდე აღწევს. იგიც მომდევნო ეტაპის მშენებლობისას არის დაზიანებული.

უფრო სამხრეთით იმერეთის მეფეთა სასახლის განაპირა, მართკუთხა ფორმის, აგურის იატაკიანი, უკვე დიდ ხნის გაუქმებული სათავსის თავზე გამოვლენილი იმდროინდელი შენობებიც ანალოგიური წესითაა ნაგები, ოღონდ ისეა დაზიანებული, რომ არც ერთის გეგმა სრულად აღარ იკითხება. ერთ მათგანზე გადაკეთების კვალი და კედლის წყობაში ჩაშენებული ბუხრის ნაშთიც დაფიქსირდა. ამ უბანზე გათხრილი ნაგებობების ნაწილის ფუნდამენტები წინა ეპოქის სასახლის განაპირა სათავსოს აგურის იატაკამდეა დასული, ზოგან კი უკვე გაუქმებულ აგურის იატაკზე დაფენილ 40-50 სმ. სიმძლავრის მოშავო ნახშიროვან და ღორღნარევ ფენაშია ჩაჭრილი. ეს ფენა 1770-75 წლების ნგრევის დროსაა წარმოქმნილი.

მშრალი წყობის ნაგებობათა ერთ ნაწილს მომდევნო ეტაპის (XIX ს. დასაწყისი) ციხის კედლების ფრაგმენტები ფარავს. ერთ ადგილზე მათზე კირხსნარის შრეც გადადიოდა. ეს შრე გვიანდელი ციხის სამშენებლო ფენაა. ამდენად, სტრატიგრაფიული სურათი ნათელია: 1770-75 წლების ნგრევის ფენაზე დასმულია მშრალი წყობით ნაგები

კვარტალის შენობები, მათ კი XIX ს-ის 10-15 წლებში აგებული ციხის, ყაზარმისა და ოფიცერთა სადგომის კედლები ფარავს (იხ. ქვემოთ).

როგორც აღინიშნა, ამ უბანზე თითქმის მთელ ფართობზე შედარებით უკეთაა გადარჩენილი ქვეფენილიანი ეზო და ქუჩა (ტაბ. XXI), რომელიც ეკლესიის აფსიდის ნალს გარედან შემოუვლის და ციტადელის კარიბჭისკენ მიემართება, სადაც ძველ ქვაფენილს უერთდება. ჩანს მთავარი შემოსასვლელი ამ დასახლებას ისევ ჩრდილოეთის მხრიდან, ძველი კარიბჭის ადგილზე ჰქონდა, თუმცა კარიბჭეს თავდაცვითი ფუნქცია ამ ეტაპზე დაკარგული აქვს და მთელი დასახლება სრულიად გაუმაგრებელია.

კვლევის ამ ეტაპზე ძნელია დაბეჯითებით თქმა, რით იყო მოტივირებული ძველი ციტადელის ნანგრევებზე ამ დასახლების გაჩენა. იმის გათვალისწინებით, რომ გათხრილ მონაკვეთებზე გამოვლენილი ნაგებობები აქ მცხოვრებთა სოციალური განსხვავების შესაძლებლობას არ იძლევა, იმის დასტურად მიგვაჩნია, რომ ეს ქუთაისის რიგით მოქალაქეთა დასახლებაა, რომელიც დაახლოებით 1775-1810 წლებში მოქმედებდა.

დროის აღნიშნულ მონაკვეთში საქალაქო ცხოვრების ცენტრი კვლავ მარცხენა სანაპიროზეა. სამეფო რეზიდენცია «ოქროს ჩარდახი» კვლავ ფუნქციონირებს. სოლომონ I გარდაცვალების შემდეგ ტახტის მაძიებელ დავით გიორგის ძესა და დავით არჩილის ძეს შორის 1789-95 წლებში ატეხილი ბრძოლების შემდგომ ტახტზე ეს უკანასკნელი სოლომონ II სახელით დამკვიდრდა (მ. გონიკიშვილი, 1979, გვ. 80-81).

თავისი მეფობის უდიდესი ნაწილი (1805 წლამდე) სოლომონ II «ოქროს ჩარდახში» გაატარა, რომელიც 1852-59 წლებში იმერეთის ვიცე-გუბერნატორ პ. გნილოსაროვის აღწერით (П. Гнилосаров, 1859) ფრიად დამცრობილია. გნილოსაროვის ცნობით სოლომონ II ჰქონდა ორი სასახლე. სასახლის ძირა სართული ქვის იყო და მასში მოსამსახურეები ცხოვრობდნენ. ზედა, ხის სართულზე კი მეფისა და დედოფლის საძინებლები იყო. კედლები აგებული იყო უბრალო, სწორად გაშალაშინებული ხის ფიცრებისაგან. ფანჯრები უმინო იყო, რასაც ს. კაკაბაძის გამოქვეყნებული ერთი გადმოცემაც ადასტურებს. სოლომონ II მეუღლის მარიამ დედოფლის ნაამბობით «ჩვენს სადგომს ქუთაისს, ოქროს ჩარდაყს, ფანჯრები არა ჰქონდაო, ზამთარში ფარდაგებს

ვაფარებდითო»... (ს. კაკაბაძე 1925, გვ. 250-251). სოლომონ II სასახლის ერთ ნაწილზე გნილოსაროვის ცნობით მოგვიანებით გიმნაზიის აბანო დაუშენებიათ, ხოლო კარის ეკლესია და სამრეკლო გიმნაზიის დამხმარე შენობად გადაუკეთებიათ. დიუბუას მიხედვით «მეფეთა ეკლესია დღეს გადაკეთებულია რუსულ ეკლესიად».

1819 წლისათვის გ. ავალიშვილის მიხედვით: «ქალაქსა ამას შინა არს მოედანი რაოდენთამე ჭანდრისა ხეთა თჳს ზედა მტჯრთჲლი. აქ ყოფილა სასახლეჲ ანუ სახლი მეფეთა. არამედ დღეს ნაცულად მისა არიან კაზარმანი როსიის მჴდრობათა. არარაჲმე არს ღირსი ყურადმღებლობისა... ეკლესიანი უგუმბათონი არიან სამნი მართლმადიდებელთა ხრისტიანეთა, ერთი კათოლიკეთა, ერთი სომეხთა და ერთი სინაგოგი ურიათა» (გ. ავალიშვილი, 1967, გვ. 15).

გნილოსაროვის მიხედვით ქალაქის ბაღის მახლობლად (ალბათ, აქ იგულისხმება დიუბუას გეგმაზე ნაჩვენები «მეფისეული ბაღი» (ტაბ. I. F.), სადაც აღნიშნულია ორი ეკლესია და სწორკუთხა ნაგებობა) მდებარეობდა დავით მეფის (დავით გიორგის ძის) ქვრივის კარის ეკლესია და ხით ნაგები სასახლე (სავარაუდოდ დღევანდელ [1]1 გიმნაზიასა და ქალაქის თვითმმართველობას შორის მოქცეულ მონაკვეთში. ამ მონაკვეთში დიუბუას გეგმაზე კიდევ ერთი ეკლესიაა აღნიშნული).

საინტერესოა გნილოსაროვის ერთი ცნობა, რომ «ჰოსპიტლის ცაცხვებთან» (ჰოსპიტალი დიუბუას ნაჩვენები აქვს დღევანდელი წითელი ხიდის მიდამოებში [ტაბ. I. F. 35]) მდებარეობდა 20 ოთახისაგან შემდგარი ვრცელი შენობა, რომელშიც ცხოვრობდა სოლომონ დიდი და, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ გადააკეთეს მეფესთან ჩამოსული თავადებისა და მემამულეების მისაღებად. ამის გამო სოლომონ I ქვრივმა თავისთვის ცალკე ააგო არც თუ მოზრდილი სასახლე იმ ადგილის მახლობლად, სადაც ახლა დგას საუკუნოვანი ცაცხვი». ამ ცნობის სხვა მონაცემებით შემოწმების საშუალება არა გვაქვს. დიუბუას გეგმაზე «ჰოსპიტლის» და «დიდი მოედნის» ჩრდილო-დასავლეთითა და «ყაზარმების» დასავლეთით ნაჩვენებია დიდი ზომის სწორკუთხა შენობა. მდინარის მუხლში ამ ადგილზე დღეს თანამედროვე მჭიდრო დასახლებაა, ხოლო ნაპირზე დღემდე მოჩანს თლილი ქვებით ნაგები შენობების ფრაგმენტები, რომელთა გათხრა ახლა არ ხერხდება. თუ გნილოსაროვის ეს ცნობა და მასთან ნახსენები სოლომონ I ვრცელი სასახლის ჩვენეული ლოკალიზაცია სწორია, მაშინ

ისმება რამდენიმე კითხვა: 1) რა აუცილებლობით იყო გამოწვეული «ოქროს ჩარდახის» ტრადიციული რეზიდენციიდან მოშორებით ახალი სასახლის აგება? 2) გიულდენშტედტი «ოქროს ჩარდახის» აღწერას, სადაც «დგას» ქვიტკირის 2 დიდი საცხოვრებელი შენობა, გალავნის კარებზე სამრეკლო კოშკი და მოედნის შუაში კირქვის მაგიდა, დაეჭვებული ამთავრებს ფრაზით «... მგონია ეს უნდა ყოფილიყო სამეფო კარის ბანაკი (სადგომი)». ხომ არ იყო იმ ხანებში (1772 წ.) «ოქროს ჩარდახი» ისეთ მდგომარეობაში, რომ საჭირო გახდა ახალი სასახლის აგება? მაგრამ რატომ ასე მოშორებით ტრადიციული ადგილიდან? ამ კითხვებს ხომ არ ეხმაურება «ახალციხური ქრონიკების» ცნობა, რომ 1773 წელს «მეფემ სასახლეში სახლები დაადგმევინა», ხოლო 1776 წელს «სასახლის საყდარს გულაბანდის შეკვრა და შეკეთება დაუწყეს» (კონტექსტიის მიხედვით «სასახლე» «ოქროს ჩარდახს» გულისხმობს).

ეს და სხვა არაერთი კითხვა მარცხენა სანაპიროს ამ მონაკვეთების არქეოლოგიურ შესწავლამდე უპასუხოდ რჩება.

გარდა დიდებულთა სასახლეებისა, გნილოსაროვი ქალაქის ამ უბანში აღნიშნავს ხით ნაგებ და თივით გადახურულ ღარიბულ სახლებს და ძველი ხიდის მახლობლად მდებარე 10-15 დუქნისაგან შემდგარ ბაზარს, რომელიც დიუბუას გეგმაზე (F) ურთიერთგადამკვეთი ქუჩებით შემოსაზღვრულ ტრაპეციის ფორმის მონაკვეთს წარმოადგენს, სადაც მიჯრით ჩალაგებული თორმეტამდე სწორკუთხა შენობა დაითვლება. სადღაც ამ მონაკვეთში გიულდენშტედტის მიხედვით «...ააშენეს ქოხები სომხებმაც, რომლებიც მცირე ვაჭრობას ეწევიან... ქუთაისის შიგნით და გარეთ, მდინარის ორივე ნაპირას, ცხოვრობს 50-მდე, ნაწილობრივ სომხების, ნაწილობრივ ქართული ოჯახი» (გიულდენშტედტის... 1962, გვ. 139-149).

სოლომონ II 1804-05 წლამდე ძირითადად ქუთაისში, თავის სასახლეში ცხოვრობდა, შემდგომ კი რუსეთის ჯარის ნაწილების ქუთაისში დაბანაკებისა და რუსეთთან გამწვავებული ურთიერთობის გამო ვარციხეში იმყოფებოდა და რუსულ მხარესთან ურთიერთობას ერიდებოდა.

«გარნა მეფე იმერეთისა არა მოვიდოდა ქუთათის და არცა ნახევდა მხედრობასა (იგულისხმება გენერალ რიკჰოფის ანაკლიიდან ქუთაისში გადმოსროლილი შენაერთი

რ.ი.) და იმყოფებოდა ზამთარ ვარციხეს, ხოლო ზაფხულ ოკრიბისა და გოგს»[11] (ნ. დადიანი, 1962, გვ. 195).

როგორც სოლომონ II ტორმასოვისადმი მიწერილი 1810 წლის 5 იანვრის წერილიდან ირკვევა, ქუთაისში მდგარმა რუსულმა ნაწილებმა «...წაგვართვეს ქალაქიცა ჩვენი ქუთაისი, სადაც არღარა არს მყოფობა ჩვენი ესოდენთა წელიწადთა... ქუთაისს სამეფოსა სასახლესა და თვით საწოლსა შინა ჩემსა დაბალთა მოხელეთა უსხდათ ხასები, წართმეული თავადთა ჩემთა მოახლენი... დააქციეს სამეფო სასახლე ჩემი ქუთაისს ვიდრე საფუძვლამდე» (Акты, 1870, გვ. 214-216).

1805 წლიდან მოყოლებული რუსული გარნიზონი მუდმივად იდგა ქუთაისში, რასაც ბუნებრივია უნდა მოჰყოლოდა ჯარისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის და თავდაცვითი ნაგებობების გაჩენაც. ამის დასტურად შეიძლება ის ფაქტიც გამოდგეს, რომ 1810 წლის იმერეთის აჯანყების დროს ქუთაისში ჩაკეტილი და ალყაშემორტყმული მთელი გარნიზონი და მისი მეთაური «ღიანარალ სიმონოვიჩი შიშვნეულ იმერთაგან დამაგრდა ქუთაისს»... (ლენინგრადის აზიის ხალხთა ინსტიტუტში დაცული ბაგრატ ბატონიშვილის ხელნაწერი, §57. მითითებულია მ. გონიკიშვილი 1979, გვ. 177-ის მიხედვით).

შესაძლოა უკვე ამ პერიოდში ან ცოტა უფრო გვიან 1815 წლამდე (სიმონოვიჩის გარდაცვალების წელი) იყოს აგებული ძველი ციტადელისა და კვარტალური დასახლების ნანგრევებზე «...ესრეთეჲ ძუჲლი ციხეჲ... განახლებული განსუჲნებულისა უფლისა ღენერალ-მაიორისა სიმონოვიჩისა»... მიერ (გ. ავალიშვილი, 1967, გვ. 15).

აღნიშნული ციხე, რომელიც დიუბუას მიხედვით «...აშენებულია ძველის მიმსგავსებით, მაგრამ... უფრო პატარაა და ძველი ციტადელის საფუძვლიდან უკანაა დაწეული», დღემდე დგას და ოთხივე კუთხეში შიგნიდან გახსნილი მრგვალი კოშკებითაა გამაგრებული, რომელთა ზედა, ძირითად მასასთან შედარებით თხელ ნაწილებში შიგნით გაფართოებული, სწორკუთხა საზარბაზნე ღიობებია დატნეული. ციხის კედლები სტრატიგრაფიულად ხის კვარტალურ დასახლებას ფარავს და ფუნდამენტი უმრავლეს შემთხვევაში ძველი ციტადელის ნანგრევებსა და ღორღშია გაჭრილი. კედლებიც და კოშკებიც ცოკოლიდან ზემოთ თანდათან ვიწროვდება და

ნაგებია მეორადი გამოყენების ქვებით, საკმაოდ მტკიცე დუღაბზე (ტაბ. VII, XXI). იგი გეგმაში ძველი ციტადელის კონფიგურაციას იმეორებს.

ციხის შიგნით, ზედა ტერასაზე, იქ სადაც ადრე ჯერ ბაგრატ მეფის, ხოლო შემდეგ იმერეთის მეფეთა სასახლეები იდგა, ჩრდილოეთიდან სამხრეთით დამხრობილი, მეორადი გამოყენების ქვებითა და სუსტი დუღაბით ნაგები რამდენიმე განყოფილებიანი ნაგებობა გაითხარა, რომელსაც ინტერიერში ქვაფენილიანი კორიდორი გასდევს. მის ორივე მხარეს სხვადასხვა ზომის ძალზედ დაზიანებული სათავსების ფუნდამენტები გაიწმინდა. ერთ მათგანში დანახშირებული ღომის თუ ფეტვის მარცვლეულის გროვაც აღმოჩნდა. გეგმარებიდან გამომდინარე ნაგებობას ორფერდა გადახურვა და ქვის საფუძველზე დაყრდნობილი ხის კედლები უნდა ჰქონოდა. სახურავად შესაძლოა აქაც ყავარი იყო გამოყენებული, რადგანაც კრამიტები გათხრების დროს არ დაფიქსირებულა. ჩრდილოეთის და სამხრეთის კედლებს ნატეხი ქვითა და სუსტი კირხსნარით ნაგები, ეზოსკენ (აღმოსავლეთით) მიმართული დახურული ღვარსადენები გაუყვებოდა. კორიდორის გაყოლებით ჩარიგებული სხვადასხვა დანიშნულების (ერთი ალბათ მარცვლეულის მარაგის) სათავსები გვაფიქრებინებს, რომ ეს ციხის რუსული გარნიზონის ყაზარმა უნდა იყოს.

იმავე დროის (ისიც კვარტალურ დასახლებაზე დადგმული) კიდევ ერთი ნაგებობა ეკლესიის სამხრეთის მინაშენის გაყოლებით K XXVII ნაკვეთის მე-2, 3, 4, 6, 7, 8, 10, 11, 12 კვადრატებში გაითხარა. მას განადგურებული აქვს იმერეთის მეფეთა სასახლის განაპირა სათავსის ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხისა და კვარტალური დასახლების საკმაო ნაწილი.

ნაგებობა მართკუთხა ფორმისაა და წაგრძელებულია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ეკლესიის მინაშენის პარალელურად (ტაბ. XXI; XXIII). მისი გამოვლენილი სიგრძე 13,8 მეტრია (ზუსტად დადგენა არ ხერხდება აღმოსავლეთის ნაწილის ცუდი დაცულობის გამო), სიგანე 9,8 მეტრი, კედლების სიგანე 0,7 მეტრია, მაქსიმალურად შემორჩენილი სიმაღლე 0,8 მეტრი. სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლები ფუნდამენტამდეა დანგრეული, აღმოსავლეთისა კი საერთოდ ვერ დავაფიქსირეთ. ყველაზე კარგად დასავლეთის კედელია შემორჩენილი.

კედლები ნაგებია მეორადი გამოყენების ქვებით. შიდა სივრცე ამოვსებულია ნატეხი ქვებითა და ძალზედ სუსტი, ნაწილობრივ დამიწებული დუღაბით. ფუნდამენტი ღრმა არ არის (0,5 მ) და მასში დუღაბი კიდევ უფრო მომჭირნედაა ნახმარი. ინტერიერის შემორჩენილ ნაწილზე იმავე ხარისხის დუღაბის შელესილობის კვალი დაფიქსირდა. დასავლეთის კედელში (კუთხეებსა და ცენტრში) წყობაში ადრევე დატოვებული, სამი ოთხკუთხა ღრმული დაფიქსირდა. ერთ-ერთ მათგანში აღმოჩენილი მასიური ხის ბოძის ნაშთები მიუთითებს, რომ ქვის ცოკოლს ზემოთ კედელი ხისგან იყო ნაგები. ამას ისიც ადასტურებს, რომ ინტერიერში კედლებიდან ჩამოცვენილი ქვები არ ფიქსირდება. ნაგებობის წაგრძელებული ფორმა ორფერდა გადახურვაზე მიუთითებს, კრამიტები არც აქ აღმოჩენილა და სახურავად ალბათ აქაც ყავარი იყო გამოყენებული. გადახურვის კონსტრუქციის ელემენტები ინტერიერში იატაკის დონეზე არ ჩანს. აღმოსავლეთის ნაწილის ცენტრში იატაკის დონეზე ფიქსირებული მრგვალი ფორმის ორმო შესაძლოა ტიხრით ორად გაყოფილ არათანაბარი მოცულობის სივრცეზე ან სულაც ამ ნაწილში ღია დერეფანზე მიუთითებდეს.

ინტერიერში კარგად ნიველირებული აგურფენილი იატაკი დაფიქსირდა. იატაკის ფრაგმენტები შემორჩენილია მხოლოდ კედლების გაყოლებით, ერთ ადგილზე ცენტრშიც. ყველაზე კარგად დასავლეთის კედელთანაა შენარჩუნებული. აგურები პირდაპირ მიწაზეა დაწყობილი, მხოლოდ კედლების გასწვრივი პირველი რიგია დუღაბზე დაფენილი. აგურის ზომებია 25X13X5. ისინი კარგადაა გამომწვარი, რაიმე დამღა ან ნიშანი მათზე არ შეიმჩნევა.

ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, იატაკზე ფიქსირებული მუნდირის სპილენძის ღილებისა და აღკაზმულობის გროვა (ტაბ. XXXIX. 3) გვაფიქრებინებს, რომ ეს რუსული გარნიზონის ოფიცერთა სადგომია.

დ ა ს კ ვ ნ ა

ქუთაისის ნაქალაქარზე წარმოებული ოცწლიანი საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიებისა და წყაროების შეჯერებისას იმერეთის სამეფოს დედაქალაქობის ხანის ქუთაისის ისტორია შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

XV-XVIII სს-ში ქუთაისი კვლავ ინარჩუნებს დასავლეთ საქართველოს ბუნებრივი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და კულტურულ-ეკონომიკური ცენტრის როლს. მოხერხებული სტრატეგიული მდებარეობა და ბუნებრივი გარემო კვლავ არსებით როლს თამაშობს ქალაქის ისტორიის ამ მონაკვეთშიც.

წინა ეპოქებთან შედარებით მეტი ინფორმაციის შემცველი ქართული და უცხოური წყაროები საკვლევი ეპოქის ყველა მონაკვეთზე ნაწილდება და არქეოლოგიურ მასალასთან მიმართებაში არაერთი დეტალის დაზუსტების და ქრონოლოგიური ეტაპების გამოყოფის საშუალებას იძლევა.

XV-XVIII სს-ის ქალაქის გარეგნული სახის ჩამოყალიბებაში კვლავ არსებით როლს თამაშობს რელიეფი და მდინარე რიონი. XVს-ის შუახანებიდან იწყება მდინარის მარცხენა სანაპიროს განაშენიანების შეუქცევადი პროცესი. მდინარე რიონი ქალაქს ორი ძირითად ნაწილად ჰყოფს. ქალაქის განაშენიანების ძირითად ორიენტირებად კვლავ რჩებიან წინა ეპოქებში ჩამოყალიბებული უბნები.

მარჯვენა სანაპიროზე არსებული «დიდი ქუთათისი» კვლავ სამნაწილიანია (ციტადელი, «შიდა ქალაქი» და «ქვედა ქალაქი»). დომინანტს და მთავარ ორიენტირს საფუძვლიანად განახლებული, ჯერ კიდევ IV-VI საუკუნეებში ფორმირებული ციტადელი წარმოადგენს, რომელიც მკვეთრად გამოიყოფა ქალაქის დანარჩენი ნაწილისაგან.

«შიდა ქალაქი» კვლავ რჩება ერთ-ერთ ძირითად ორიენტირად, თუმცა ციტადელთან შედარებით აქ კულტურული ფენები შედარებით თხელია და ახალი სასიმაგრო მშენებლობის კვალიც ინტენსიური არაა. ძირითადად გამოიყენება ადრეშუასაუკუნეების თავდაცვითი ნაგებობები. განსაკუთრებული ინტენსიური ცხოვრება ჩანს ბაგრატის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე.

«ქვედა ქალაქის» ტერიტორიაზე ფუნქციონირებას აგრძელებს ადრეშუასაუკუნეების საფორტიფიკაციო სისტემა. ამ უბნის არქეოლოგიური

შეუსწავლობის მიუხედავად წერილობით წყაროებზე დაყრდნობით მაინც ხერხდება საკვლევი ეპოქის სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა გამოყოფა.

მარცხენა სანაპიროზე «ოქროს ჩარდახის» სამეფო რეზიდენციის გაჩენა ქალაქის ამ ნაწილის განაშენიანების მასტიმულირებელი ფაქტორი გახდა. ქალაქის ეს ნაწილი საგანგებოდ არაა გამაგრებული. სანაპირო ზოლზე წყაროთა მონაცემებით ფიქსირდება დიდებულთა, ვაჭარ-ხელოსანთა და რიგით მცხოვრებთა დასახლება, საკულტო, საერო, საკომუნიკაციო, სანიტარულ-ჰიგიენური და სავაჭრო ნაგებობები. «ქვედა» ანუ «პატარა ქუთაისის» ტერიტორიაზე იზოლირებულად გამოიყოფა «ოქროს ჩარდახის» სამეფო რეზიდენცია.

წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალების შედარებით საკვლევი ეპოქის ქუთაისის ისტორიაში ხერხდება სამი ქრონოლოგიური ეტაპის გამოყოფა.

1. XVს-ის შუახანებიდან 1660 წლამდე მონაკვეთი ქალაქის ისტორიის შედარებით სტაბილური და გარკვეულწილად აღმავალი ეტაპია.

წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალების კვლევის შედეგად დგინდება, რომ XVს-ის შუახანებისათვის (ბაგრატ II იმერეთის მეფის აქტივობის ხანა) ძველი ციტადელის ადგილზე შენდება ახალი, საგანგებო თავდაცვითი ნაგებობა «ქუთაისის ციხე» და საფუძველი ეყრება «ოქროს ჩარდახის» რეზიდენციას მარცხენა სანაპიროზე.

გარკვეულ მოდერნიზაციას განიცდის წინა ეპოქებში ჩამოყალიბებული თავდაცვითი სისტემა, რომლის მთავარი ღერძი ციტადელის კომპლექსია. კომპლექსის შემადგენლობაში შედის სამეფო სასახლე, ეკლესია, ხაზინა, აბანო, წყალმომარაგების რთული სისტემა, მარნები და სამეურნეო დანიშნულების სხვა ნაგებობები.

XVII ს-ის შუახანებისათვის კომპლექსის გარეგნული იერსახის ფორმირება ფაქტიურად დასრულებულია.

გარეგნული სახით ამ დროისათვის უკვე გაფორმებულია მარცხენა სანაპიროც და «ოქროს ჩარდახიც», რომლის გალავანშემორტყმულ ტერიტორიაზე წყაროებით დასტურდება სამი ძირითადი საცხოვრებელი ნაგებობა, ეკლესია, ხაზინა და სამეურნეო სათავსები.

უკვე ფორმირებულია ქალაქის გარეუბნებიც, რომელთაგან ზოგიერთის ორიენტირად გათხრების შედეგად გამოვლენილი ეკლესიები უნდა მივიჩნიოთ.

2. იმერეთის მეფე ალექსანდრე მესამის გარდაცვალების (1660წ.) შემდეგ სამეფოში დაწყებული ხანგრძლივი შინააშლილობა და ანარქია საქალაქო ცხოვრების განვითარებაზეც აისახა. არსებული მდგომარეობით კარგად სარგებლობს მეზობელი აგრესორი_თურქეთი, რომლის გარნიზონები ფეხს იკიდებენ შუაგულ იმერეთში. «ქუთაისის ციხეში» თურქული გარნიზონის ჩადგომამ და ასწლიანმა ბატონობამ დიდად შეაფერხა ქალაქის ისტორიული განვითარება.

1660-1770 წლებში «დიდი ქუთათისის» ძირითად ნაწილს პრაქტიკულად თურქები აკონტროლებენ, რომლებიც თანდათანობით, ეტაპობრივად იკავებენ ქალაქის სხვადასხვა უბნებს და თავიანთი ინტერესებისათვის იყენებენ სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებს. თურქული გარნიზონისაგან ქუთაისის განთავისუფლების ყველა ცდა მარცხით დამთავრდა. 1698 წელს ერთ-ერთი ასეთი წარუმატებელი აქციის შემდეგ თურქებმა ზარბაზნებით დაანგრიეს ბაგრატის დიდებული ტაძარიც.

არქეოლოგიური მასალებითა და წერილობითი წყაროების მონაცემებით ფიქსირდება თურქთა მიერ ციტადელის თავდაცვითი სისტემის განახლება, გათხრებით გამოვლენილი საიდუმლო გასასვლელი «ცოტა კარის» ქვეშ, ხის კონსტრუქციებით ნაგები ჭა ყოფილი სამეფო სასახლის ერთ-ერთ სათავსში, მეჩეთი და თიხის მილების წყალსადენი.

3. რუსეთ-თურქეთის 1769-74 წლების ომში თურქეთის მარცხი მომენტალურად აისახა ქალაქის ისტორიაზეც. 1770 წლის დასაწყისიდან სოლომონ პირველმა შესძლო ქალაქის ძირითადი ნაწილის გაწმენდა თურქული ეთნოსისაგან, ხოლო იმავე წლის 6 აგვისტოს რუსულმა საექსპედიციო კორპუსმა გენერალ ტოტლებენის მეთაურობით თურქთა ასწლოვანი ბატონობისაგან გაანთავისუფლა ქუთაისის ციხე, რის შემდეგაც იგი სოლომონ I სურვილით აფეთქებულ იქნა. ქუჩუკ-კაინარჯის ზავის (1774 წლის 10 აგვისტო) 23-ე მუხლის პირობებიდან გამომდინარე ციხის ნგრევა 1775 წლამდე გაგრძელდა. არქეოლოგიური კვლევის შედეგად კარგად დადასტურდა ორივე ნგრევის კვალი ციტადელის ინტერიერში და ექსტერიერში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ციტადელმა დაკარგა სტრატეგიული მნიშვნელობა და მის ნანგრევებზე რიგით

მოქალაქეთა კვარტალური დასახლება ჩნდება, რომლის ნაშთებიც გათხრებით გამოვლენილია ციტადელის ექსტერიერში, ცენტრალურ და ქვედა ტერასებზე. მეორადი გამოყენების ქვის მშრალი წყობით ნაგებ ფუნდამენტებზე გამართული ხის ნაგებობები ძალზე ფრაგმენტულად შემოინახა. უკეთაა გადარჩენილი ცალკეულ ნაგებობათა დამაკავშირებელი ქვაფენილიანი ეზოები და ღვარსადენიანი ქუჩა.

მარცხენა სანაპიროზე სახეზეა საქალაქო ცხოვრების (ვაჭრობა, ხელოსნობა, სასახლეების, ეკლესიების, ხიდების განახლება) გარკვეული გამოცოცხლება და აღმავლობა. XVIII ს-ის მიწურულს დამცრობილი სახით, მაგრამ მაინც ფუნქციონირებს «ოქროს ჩარდახის» რეზიდენცია.

1810 წლიდან ქუთაისი უკვე რუსული მმართველობის ხელშია. «ოქროს ჩარდახის რეზიდენციაში» რუსული ჯარის ნაწილები დგას მისი ცალკეული შენობები ინგრევა, ნაწილს კი ფუნქცია ეცვლება. დანგრეული ციტადელის და ხის კვარტალური დასახლების ადგილზე 1810-15 წლებში შენდება ოთხი წრიული კოშკით გამაგრებული ახალი ციხე, ხოლო მის შიგნით მეფეთა სასახლის ნანგრევებზე აიგო ყაზარმა და ოფიცერთა სადგომი.

XIX ს-ის ათიანი წლებიდან ქუთაისის ისტორიის სრულიად ახალი ეტაპი იწყება.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი :

1. ვისარგებლეთ პ.გნილოსაროვის თხზულების ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის დოცენტების პ. ვაჭრიძისა და ზ. დათუაშვილის ხელნაწერი თარგმანით, რისთვისაც მათ მადლობას ვუხდით.
2. დღევანდელი ცაცხვების უბნისა და წმ. გიორგის ეკლესიის (1890 წ.) მიმდებარე თანამედროვე მჭიდროდ განაშენიანებულ ტერიტორიაზე არსებული ნაგებობათა ნაშთები ძნელია ორგანულად დაუკავშირდეს «ზედა ქალაქის" სასიმაგრო სისტემას და მის შემადგენელი ნაწილად მივიჩნიოთ. დიუბუას გეგმაზე (ტაბ. I. E. 24, 25, 26, 27, 28, 29) აქ ჩანს რამდენიმე ეკლესია, «ძველი კაპიტალური შენობების ნარჩენები, გარშემორთყმული დიდი კედლით, «ხის ქალაქი", «ძველი ბაზარი", ქუჩა და სხვა. თვით დიუბუას მიხედვით ეს უბანი არც ერთიან ზღუდეშია მოქცეული და არც რაიმეთი

უკავშირდება «ზედა ქალაქის» სასიმაგრო სისტემას. ვ. ბერიძე ამ უბანს ფორშტატს (გარეუბანს) უწოდებს (ვ. ბერიძე, 1983 გვ. 68). ამრიგად ამ უბნის ვ. ცინცაძისეული აღდგენის (ვ. ცინცაძე 1964, გვ. 6, სურ. 1., გვ. 17, სურ. 9) დამადასტურებელი ან უარსაყოფი მასალა ჯერჯერობით არ მოგვეპოვება, რადგან არქეოლოგიურად იგი სავსებით შეუსწავლელია (ტაბ. II-III).

3. ციტადელის მთავარი კარიბჭის დროში ადგილმონაცვლეობის შესახებ იხ. ნაშრომის II თავში.

4 დიუბუას მიერ აქ აღმოჩენილი და ქუთაისის მუზეუმში დაცული წარწერით ეს ეკლესია 1013 ან 1113 წლით თარიღდება (იხ. ვ. ჩაკვეტაძე 1960, გვ. 98., ვ. სილოგავა 1980, გვ. 149., ა. გაბრიაძე 1999, გვ. 80-83.)

5. ავტორებს ამ პუბლიკაციაში მოტანილი აქვთ ნამის თხზულების მოკლე მიმოხილვა. თვით ტექსტზე ჩვენ ხელი არ მიგვიწვდა.

6. ჯ. ოდიშელის მიხედვით ეს ქრონიკა 1674 წლით თარიღდება. (იხ. ჯ. ოდიშელი, 1968. გვ. 58). თ. ჟორდანიასთანაც ამ ქრონიკაზე ერთდროულად ორი თარიღია (1672 და 1674) მითითებული. ჩვენი აზრით 1672 წელი უფრო მისაღებია.

7. გამოყენებულია სხვადასხვა ზომის საფასადო ქვები. არის რამდენიმე ჩუქურთმიანი ფილაც. ერთ მათგანზე ძალზე დაზიანებული ასომთავრული წარწერაა შემორჩენილი.

8. კიკიანის წარმომავლობისა და შთამომავლების შესახებ იხ. მ. ალავიძე 1989. ს. კაკაბაძე 1928, გვ. 124

9. ქართლსა და იმერეთში ტოტლებენის კორპუსის მოქმედების შესახებ იხ. მ. რეხვიაშვილი 1989, გვ. 217-250., ვ. მაჭარაძე, 1957; ვ. მაჭარაძე 1997, გვ. 5-42; შ. ბურჯანაძე 1961, გვ. 113-129.

10. იოანე ხუცესი (ხოჯავანთ იოანე) 1767-77 წლებში ცხოვრობდა ქუთაისში, დიდად დაფასებული, სამეფო კარზე მიღებული, განათლებული და მწიგნობარი პიროვნება იყო. ახალციხის ფაშასთან, იმერეთის მეფესთან და დიდებულებთან სიახლოვე მას საშუალებას აძლევდა «... ქვეყანაში მომხდარი ამბები თავის დროზე და სისწორით შეეტანა ქრონიკებში» (შ. ლომსაძე 1979, გვ. 89). ამდენად იოანე ხუცესის «დღიური წერილები» XVIII ს-ის 60-70 იანი წლების ქუთაისის ისტორიის სხვადასხვა საკითხზე

(პოლიტიკური, სამხედრო, სამშენებლო, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული თუ სხვ.) ფასდაუდებელ პირველწყაროს წარმოადგენენ.

11. სოფელი თერჯოლის რაიონის მთიან ზონაში, სადაც დღემდეა შემორჩენილი ერთ კომპლექსად გასააზრებელი ციხის, ეკლესიის და სხვა ნაგებობათა ნაშთები. ამ ადგილს ადგილობრივი მოსახლეობა «სასახლეს» ეძახის. სავარაუდოდ აქ მეფის ერთ-ართი საზაფხულო რეზიდენცია იყო. ამ სოფელს სოლომონ II 1810 წლის აჯანყების დროს 3000 კაციანი ჯარით ერთი კვირით შეაფარა თავი (იხ. Акты 1870, გვ. 313-315, 328. მ. გონიკიშვილი 1979, გვ. 191).

წყაროები და ლიტერატურა:

1. გ. ავალიშვილი 1967_მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე, თბ. 1967 ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ელ. მეტრეველმა. «მეცნიერება».
2. ც. აბულაძე, ნ. შენგელია 1987 __ ც. აბულაძე, ნ. შენგელია, ნამის «საქართველოს დაპყრობის წიგნი”, ქართული წყაროთმცოდნეობა, VII. თბ. 1987. «მეცნიერება».
3. ნ. ასათიანი 1973 _ ნ. ასათიანი, მასალები XVIII ს-ის საქართველოს ისტორიისათვის, თბ. 1973, «მეცნიერება” .
4. მ. ალავიძე 1989 _ მ. ალავიძე, «კიკიანი” თუ «გრიგოლაშვილი”, გაზ. «ქუთაისი” 28 ივნისი 1989 წ.
5. თ. არჩვაძე 1989 _ თ. არჩვაძე, აღმოსავლეთ საქართველოს გვიანფეოდალური ხანის მოჭიქული თიხის ნაწარმი _ ფსაძ, III, 1978.
6. ნ. ბერძენიშვილი 1975 _ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VIII. თბ. 1975, «მეცნიერება”.
7. ნ. ბერძენიშვილი, 1937, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში (დოკუმენტი კრიტიკული წერილით), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვეთი I. ტფილისი. 1937. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა.

8. შ.ბურჯანაძე 1953 _ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები. ტ. II. ისტორიული დოკუმენტები. შ. ბურჯანაძის რედაქციით. თბ. 1953.
9. შ. ბურჯანაძე 1959 _ ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466-1770). შ. ბურჯანაძის რედაქციით, თბ. 1959.
10. შ. ბურჯანაძე 1959 (ა) _ შ. ბურჯანაძე, ლიხთ-იმერეთის 1737 წლის რუკა, როგორც ფეოდალური საქართველოს ისტორიის პირველწყარო. ხელნაწერთა ინსტიტუტის «მოამბე" I. თბ. 1959.
11. თ. ბუგიანიშვილი 1991 _ თ. ბუგიანიშვილი, ქვედა პალეოლითი, საქართველოს არქეოლოგია (8 ტომად), ტ. I, თბ. 1991. «მეცნიერება»
12. შ. ბურჯანაძე 1961 _ შ. ბურჯანაძე, იმერეთის სამეფო 1768-1784 წლებში (შემოკლებული პოლიტიკური მიმოხილვა). საქ. მეც. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის «მოამბე" III, თბ. 1961.
13. ნ. ბალანჩივაძე 1958 _ ნ. ბალანჩივაძე, ისტორიულ-არქეოლოგიური ეტიუდები, გაზ. «სტალინელი", ქუთ. 1958, [1]14-27.
14. ნ. ბალანჩივაძე 1959 _ ნ. ბალანჩივაძე, ფურცლები ქუთაისის ისტორიიდან, გაზ. სტალინელი, ქუთ. 1959. [1]104.
15. ვ.ბერიძე 1983 _ ვ.ბერიძე, XVI-XVIII სს-ის ქართული ხუროთმოძღვრება, ტ. I, თბ. 1983. «ხელოვნება»
16. ნ. ბერძენიშვილი 1973 _ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი VI, თბ. 1973. «მეცნიერება".
17. ნ.ბერძენიშვილი 1965 _ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II, თბ. 1965.
18. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში 1962 _ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გ. გელაშვილის გამოცემა, თბ. 1962. თბ. სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა.
19. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში 1964 _ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, თბ. 1964. თბ. სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა.

20. გეორგიკა 1965 _ გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. II, მეორე შევსებული გამოცემა, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბ. 1965 _ «მეცნიერება».
21. ა. გაბრიაძე 1998 _ ა. გაბრიაძე, ქუთაისის ციტადელის წმ. გიორგის ეკლესია, «ძიებანი» არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი. თბ. 1998 არქეოოგიური კვლევის ცენტრის გამომცემლობა.
22. ა. გაბრიაძე 1999 _ ა. გაბრიაძე ქუთაისი X_XV სს-ში, საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი. ქუთ. 1999 წ. ინახება ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში. თბ. უზნაძის ქ. 14.
23. გ. გაბუნია 1993 _ გ. გაბუნია, ქუთაისი და «ქუთათისის ქვეყანა" («შიდა ეგრისი"), ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, კრ. VI, ქუთ. 1993.
24. კ. გრიგოლია 1942 _ კ. გრიგოლია, ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერა, ენიმკის «მოამბე", XIII. თბ. 1942.
25. მ. გონიკიშვილი 1979 _ მ. გონიკიშვილი, იმერეთი XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე. თბ. «მეცნიერება».
26. ნ. დადიანი 1962 _ ნიკო დადიანი, ქართველთ ცხოვრება, შ. ბურჯანაძის რედაქციით. თბ. 1962. მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
27. დონ პიეტრო ავიტაბილე 1977 __ დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.) შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბეჟან გიორგაძისა, თბ. 1977 წ.
28. დონ კრისტოფორე დე კასტელი 1976 _ დონ კრისტოფორე დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბ. 1976. გამომცემლობა «მეცნიერება"
29. დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი 1964 _ დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე (იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბეჟან გიორგაძემ) თბ. 1964. «საბჭოთა საქართველო"
30. ი. დოლიძე 1965 _ ქართული სამართლის ძეგლები, ისიდორე დოლიძის რედაქციით, ტ. II. თბ. 1965.

31. დე გრაი დე ფუა 1985 _ დე გრაი დე ფუა საქართველოს სესახებ. ფრანგულიდან თარგმნა , შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა _ თბ. 1985.
32. ს. დურმიშიძე 1985 _ ს. დურმიშიძე, ზოგი რამ წარსულიდან, თბ. 1985.
33. ზ. დათუაშვილი 1994 _ ზ. დათუაშვილი, ეპიზოდი საქართველოს სამეფოს პოლიტიკური დაშლის ისტორიიდან. საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების შესწავლის საკითხები. რესპუბლიკური სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები. თბილისი-ქუთაისი 1994. სააქციო საზოგადოება გ. ტაბიძის №5 სტამბა.
34. ვახუშტი ბაგრატიონი 1973 _ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი, ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, თბ. 1973. «საბჭოთა საქართველო».
35. პ. ვაჭრიძე, გ. გაბუნია 1967 _ პ. ვაჭრიძე, გ. გაბუნია, ქუთაისი საბჭოთა ხელისუფლების წლებში, თბ. «საბჭოთა საქართველო”.
36. პ.ვაჭრიძე 1999 _ პ.ვაჭრიძე, მწვანეყვავილას ისტორიულ_არქიტექტურული კომპლექსი, ჟურნ. «მწვანეყვავილა” ქუთ, 1999, №2.
37. ე. თაყაიშვილი 1913 _ ე. თაყაიშვილი, ძველი სააქართველო, ტ. II. განყ. III. ტფ. 1913. «მეცნიერება”.
38. პ. ზაქარაია 1963 _ პ. ზაქარაია, XVI-XVIII სს. სასახლეები სსმმ, XXIV B, თბ. 1963. მეცნ. აკად. გამომც.
39. ა. იევლევის ... 1650-52 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა («მუხლობრივი აღწერილობა”), რუსული ტექსტი ხელნაწერების მიხედვით და ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა იასე ცინცაძემ, თბ. 1969.
40. ა. იოსელიანი 1980 _ ა. იოსელიანი, საქართველოს ისტორიის ქრონიკები (ქართლ-კახეთის XVII-XVIII სს. ქრონიკები) თბ. 1980.
41. რ. ისაკაძე 1990 _ რ. ისაკაძე _ ახალი არქეოლოგიური მონაცემები გვიანფეოდალური ხანის ქუთაისისათვის, ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის

სახელობის სახელწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის XXXIX სესიის თეზისები. ქუთ. 1990.

42. რ. ისაკაძე 1995 _ რ. ისაკაძე, ქუთაისის ციხე მე-18 ს-ის ბოლოსა და მე-19 ს-ის დასაწყისში არქეოლოგიური მასალების მიხედვით. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის 53-ე სამეცნიერო სესიის თეზისები. ქუთ. 1995.
43. რ. ისაკაძე 1996 _ რ. ისაკაძე, ქუთაისი XVIII-XIX სს-თა მიჯნაზე (არქეოლოგიური მასალების მიხედვით), ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის «მასალები", კრ. VIII, ქუთ. 1996 წ. მეცნიერება.
44. რ. ისაკაძე 1998 _ რ. ისაკაძე, გვიანი შუასაუკუნეების ქუთაისი არქეოლოგიური მასალების მიხედვით _ «ძიებანი" (არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი) №1, თბ. 1998.
45. რ. ისაკაძე 1999 _ რ. ისაკაძე, არქეოლოგიური მასალები XV-XVIII სს-ის ქუთაისის წყალმომარაგებისათვის, კულტურის ისტორიის საკითხები, VII, თბ. 1999. გამომცემლობა «ცოდნის წყარო" თბ. უნივერსიტეტის სტამბა.
46. ნ.კანდელაკი 1999 _ ნ. კანდელაკი, გერმანული წყარო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ (1771 წ.), საისტორიო ალმანახი «კლიო", №4. თბ. 1999.
47. ს.კაკაბაძე 1926 _ ს. კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ტფ.1926.
48. ს.კაკაბაძე 1921 _ ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I. ტფ. 1921. «თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა".
49. ს.კაკაბაძე 1921 (ა) _ ს.კაკაბაძე, დასავლეთ საქართველს საეკლესიო საბუთები წ. II. ტფ. 1921. «თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა"
50. ს. კაკაბაძე 1925 _ ს. კაკაბაძე, გადმოცემა იმერეთის სამეფოს უკანასკნელი დროის სესახებ. პატარა წერილები და შენიშვნები. საისტორიო მოამბე, წ. I. ტფილისი 1925.
51. ს.კაკაბაძე 1928 _ ს. კაკაბაძე, ქუთაისის ციხის ოსმალების მეთაურთა ვინაობისათვის XVIII ს-ში. მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალურ და ეკონომიკურ ისტორიისათვის. საისტორიო კრებული, წ. III ტფ. 1928.
52. მ. კეზევაძე 1988 _ მ.კეზევაძე, ოსმალური აბანო ქუთაისში, გაზ. «ქუთაისი", 22 ოქტომბერი 1988 წ.

53. მ.კეზევაძე 1985 _ მ. კეზევაძე, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის საკითხისათვის, გაზ. «ქუთაისი” _ 20 ივნისი, 1985 წ.
54. ე. კავლელაშვილი 2004 _ ე. კავლელაშვილი, სეტიელები და სვანეთის საისტორიო აქტების ქრონოლოგიის საკითხები. აკად. შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები, IX თბ. 2004 წ. ხელოვნების მუზეუმის სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილება.
55. ო. ლანჩავა, რ.ისაკაძე და სხვები... 2006 წ. _ ო. ლანჩავა, რ.ისაკაძე, დ. ბერძენიშვილი, მ.ჭუმბურიძე, ნ.ქარციძე _ ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის 2005 წლის ანგარიში, ხელნაბეჭდი, ქუთ. 2006 წ. ინახება ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტში. თბ. უზნაძის ქ. 14.
56. ო.ლანჩავა, რ.ისაკაძე, 2004 _ ო. ლანჩავა, რ.ისაკაძე არქეოლოგიური გათხრები ბაგრატის ტაძრის ინტერიერში. ქართველური მემკვიდრეობა, VIII, ქუთ. 2004 წ. «ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი”.
57. ო.ლანჩავა, რ.ისაკაძე, დ. ბერძენიშვილი 2004 _ ო. ლანჩავა, რ. ისაკაძე, დ. ბერძენიშვილი, ქუთაისის-არქეოლოგიური ექსპედიციის 2003 წლის საველე სამუშაოების ანგარიში, ქუთ. 2004 ხელნაწერი ინახება ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტში. თბ. უზნაძის ქ. 14.
58. ო. ლანჩავა 1974 _ ო.ლანჩავა, დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან («მუხურისი”), მაცნე, ისტორიის სერია №4, თბ. 1974. მეცნ. აკად. გამომცემლობა.
59. ო. ლანჩავა 1996 _ ო. ლანჩავა, ქუთაისი ეგრის-ლაზიკის ციხე-ქალაქთა სისტემაში, ქუთ. 1996. გ. ტაბიძის სახელობის საგამომცემლო ცეტრი.
60. შ. ლომსაძე 1979 _ შ. ლომსაძე, გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან «ახალციხური ქრონიკები”თბ. 1979.წ. «მეცნიერება»
61. ოთ. ლორთქიფანიძე 1966 _ ოთ. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ. 1966. «თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა».
62. ოთ. ლორთქიფანიძე 1994 _ ოთ. ლორთქიფანიძე, «ქუთაისის ქვეყანა”, ისტორიის გეოგრაფიული ფონი, კრ. ქუთაისი უძველესი დროიდან XIII ს-მდე, თბ. ქუთ. 1994 წ.

63. ვ. მაჭარაძე 1988 _ ვ. მაჭარაძე, მასალები XVIII ს მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის ნაწ. III, ნაკვ I, თბ, 1988. «თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტი”
64. ვ. მაჭარაძე 1957 _ ვ.მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, თბ. 1957წ. «სახელგამი”.
65. ვ. მაჭარაძე 1997 _ ვ. მაჭარაძე, მასალები XVIII ს მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის ნაწ. III, ნაკვ I, (რუსეთ-თურქეთის ომი 1768-74 წლებში და საქართველო). თბ, 1997. «თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა».
66. გ. მახარაძე და სხვა... 2004_ გ. მახარაძე, ზ. ბრაგვაძე, გ. გაგოშიძე, მ. წერეთელი. გ. ლომთაძე, დ. ბერიკაშვილი, არქეოლოგიური გათხრები სოფელ ქვედა ბერეთისაში. ნარკვევები IX, თბ. 2004. საქ. ხელოვნების მუზეუმის სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილება.
67. ე. მამისთვალაშვილი 1975 _ იხ. წიგნი ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები, თბ. 1975 წ.
68. ი. მათურელი 1949 _ ი. მათურელი, იმერეთის მეფის ალექსანდრე მეხუთის რუკა. ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. IX, ქუთ, 1949 წ.
69. მ. მარგველაშვილი 1999 _ მ. მარგველაშვილი, ქალაქი ჟინვალი, საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ. 1999 წ.
70. შ.მესხია 1986 _ შ.მესხია, გვიანფეოდალური საქართველოს ქალაქები, «საისტორიო ძიებანი”, ტ. III თბ. 1986. «მეცნიერება».
71. მ. მიწიშვილი 1998 _ მ. მიწიშვილი, შუასაკუნეთა ქართული მოჭიქული კერამიკა (IX-XIII სს). სადოქტორო დისერტაციის ხელნაწერი თბ. 1998 წ.
72. მოამბე 1894 _ იტალიელი მოგზაურები საქართველოში, ჟურნალი «მოამბე», №XI. ილია ჭყონიას თარგმანი ტფ. 1894წ.
73. მ. ნიკოლეიშვილი 1966 _ მ. ნიკოლეიშვილი, «მწვანეყვავილას” ისტორიული ძეგლები, ძეგლის მეგობარი, №6 1966 წ. «საბჭოთა საქართველო».
74. მ. ნიკოლეიშვილი 1958 _ მ. ნიკოლეიშვილი , ქუთაისის ძველი ციხე-ქალაქი, გაზეთი «სტალინელი”, 20 ივლისი 1958 წ.

75. მ ნიკოლეიშვილი 1958 (ა) _ მ. ნიკოლეიშვილი, მოსკოველი ელჩები ქუთაისში მე-17 საუკუნეში, გაზ. «სტალინელი”, 10 აგვისტო 1958 წ.
76. მ. ნიკოლეიშვილი 1970 _ მ. ნიკოლეიშვილი, «ოქროს ჩარდახი», ძეგლის მეგობარი, ¹22, თბ. 1970 წ. «საბჭოთა საქართველო”.
77. ნ.ნიკოლაძე 1962 _ ნ.ნიკოლაძე, თხზ. ტ. I თბ. 1962 წ.
78. გ. ნიორაძე 1953 _ გ ნიორაძე, ქვისხანის ადამიანი საკაჟიას გამოქვაბულში, თბ. 1953. «ტექნიკა და შრომა”.
79. დ. ნინიძე 1994 _ დ. ნინიძე, «ქუთაისის ქვეყანა” და ლიხთ-იქითის მეფეთა საკითხი. საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების შესწავლის შედეგები. რესპუბლიკური სამეცნიერო სესია. მოხსენებათა თეზისები. თბ. ქუთ. 1994. სააქც. საზ გ. ტაბიძის სტამბა №5.
80. დ.ნინიძე 1994 (ა). _ დ. ნინიძე «ჩალაღანის” საკითხისათვის, «ორიენტალისტური ძიებანი” კრ. I. თბ. 1994წ.
81. დ. ნინიძე 1995 _ დ. ნინიძე, პროვინციის მეფეები XIV-XV სს-ის საქართველოში. თბ. 1995. «თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა».
82. ჯ. ოდიშელი 1968 _ ჯ. ოდიშელი, მცირე ქრონიკები, თბ. 1968, «მეცნიერება».
83. პაპუნა ორბელიანი 1913 _ პაპუნა ორბელიანი «ამბავნი ქართლისანი”, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა. თბ. 1913.
84. გ. პაიჭაძე 1970 _ გ. პაიჭაძე, ტიმოთე გაბაშვილის ელჩობა რუსეთში 1737-1740 წლებში, «ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან”, I. თბ. 1970.
85. თ.ჟორდანია 1897 _ თ. ჟორდანია, ქრონიკები წ. II, ტფ. 1897. «მეცნიერება”.
86. თ. ჟორდანია 1967_ თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი. ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ წ. III (1700 წლიდან XIX ს-ის 60 –იან წლებამდე). გამოსაცემად მოამზადეს გივი ჟორდანიამ და შოთა ხანთაძემ. თბ. 1967. «მეცნიერება”
87. მ. რეხვიაშვილი 1989 _ მ. რეხვიაშვილი, იმერეთის სამეფო (1462-1810 წწ), თბ. 1989. «თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა».

88. ჯ. რუხაძე 1976 _ ჯ. რუხაძე, ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ. 1976. «მეცნიერება”.

89. ჯ. რუხაძე 2003 _ ჯ. რუხაძე, ეთნოგრაფიული მასალა ზოგიერთი მონათესავე ტერმინების სესხების, წარმომავლობისა და მნიშვნელობის დასადგენად, ქართველური მემკვიდრეობა, VII, ქუთ. 2003 წ. «ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი”.

90. ჯ. რუხაძე 2003 (ა) _ ჯ. რუხაძე, ქართული ხალხური სამეურნეო ტრადიციებისა და ზოგიერთ ხალხურ ტერმინთა რეგიონალური თავისებურება. ქართველური მემკვიდრეობა, VII, ქუთ. 2003. «ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი”.

91. საქართველოს ისტორიის ნარკვევები 1973 _ საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. IV თბ. 1973წ. «საბჭოთა საქართველო”.

92. ქ. სიხარულიძე 1964 _ ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერება II. ქსენია სიხარულიძის გამოცემა. თბ. 1964. «თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი”.

93. ვ.სილოგავა 1980 _ ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები, ტ. II, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვეთი I, (IX-XIII სს.) შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ თბ. 1980 «მეცნიერება”.

94. ვ. სილოგავა 1995 _ ვ. სილოგავა, ეპიგრაფიკული მასალა ბაგრატის ტაძრიდან და მისი მიდამოების არქეოლოგიური გათხრებიდან. ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე № 4, ქუთ. 1995 «ქუთაისის უნივერსიტეტის გამომცემლობა».

95. ჯ. სონღულაშვილი 1962 _ ჯ. სონღულაშვილი, თოვლისა და ყინულის შენახვის ხალხური წესები თბილისის სანახებში. სსმმ ტ. XXIII, თბ. 1962 «მეცნიერება”.

96. ჟან ბატისტ ტავერნიე 1974 _ ჟან ბატისტ ტავერნიე, დიდი სანაოსნოს სამეფო კარის ახალი აღწერა, ფრანგულიდან თარგმნა და გამოსცა კ. გურულმა თბ. 1974.

97. ნ. ტოლოჩანოვის ... 1970 _ ნ. ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-52 წწ. რუსული ტექსტი ხელნაწერების მიმოხილვით და ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა იასე ცინცაძემ, თბ. 1970. «მეცნიერება”.

98. პ. ფირფილაშვილი 1988 _ პ. ფირფილაშვილი, მაღალაძეთა ნასახლარზე შემორჩენილი მრავალთახჩიანი ნაგებობა, მაცნე, ისტორიის... სერია ¹4, თბ. 1988. «მეცნიერება”.

99. ქართლის ცხოვრება 1955 _ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ ტ. I, თბ. 1955. გამომცემლობა «სახელგამი”

100. ქართლის ცხოვრება 1959 __ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ ტ. II თბ. 1959. «საბჭოთა საქართველო”.

101. ა. ქალდანი 1981 _ ა. ქალდანი, სვანური საცხოვრებელი კომპლექსის კარი და მასთან დაკავშირებული ერთი ჩვეულება, მაცნე, ისტორიის ... №4, თბ. 1981. «მეცნიერება”.

102. ქუთაისის ისტორიული-ეთნოგრაფიული მუზეუმის არქივი, საბუთი №76

103. ქუთაისის ისტორიული-ეთნოგრაფიული მუზეუმის არქივი, საქმე №387.

104. დ. ხახანაშვილი 1986 _ დ. ხახანაშვილი, ქუთაისი ქრისტოფორო დე კასტელის ალბომში, ძეგლის მეგობარი №4 თბ. 1986. «საბჭოთა საქართველო”.

105. ჟან შარდენის მოგზაურობა ... 1975 _ ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ. 1975. «მეცნიერება”.

106. ნ. შენგელია, ნ. ჯაველიძე 1979 _ ნ. შენგელია, ნ. ჯაველიძე, ჩემში ზადე მუსტაფა რეშიდის ცნობები დასავლეთ საქართველოს შესახებ, «მაცნე» ისტორიის ... №3 თბ. 1979. «მეცნიერება.”

107. ნ.შენგელია 1983 _ ნ.შენგელია, ოსმალური საფინანსო დოკუმენტები ქუთაისის შესახებ, «მაცნე” ისტორიის…... №1. თბ. 1983. «მეცნიერება”.

108. ნ. შენგელია 1985 _ ნ. შენგელია, ოსმალური არზები ქუთაისის ციხის შესახებ, ქართული წყაროთმცოდნეობა, VI, თბ. 1985. «მეცნიერება”.

109. ძველი და ახალი ქუთაისი 1973 _ ძველი და ახალი ქუთაისი, თბ. 1973. «საბჭოთა საქართველო».

110. ვ. ჩაკვეტაძე 1960 _ ვ. ჩაკვეტაძე, ქუთაისის ისტორიიდან, თბ. 1960. «მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა».

111. ჩხეიძის ქრონიკა 1913 _ ჩხეიძის ქრონიკა «საქართველოს ცხოვრება". ზ.ჭიჭინაძის გამოცემა თბ. 1913.

112. ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი 1971 _ ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ, ნაკვეთი I, თბ. 1971.

113. ქათიბ ჩელების... 1978 _ ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ. თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო გიული ალასანიამ თბ. 1978. «მეცნიერება".

114. თ. ჩიქოვანი 2004 _ თ. ჩიქოვანი, ხარო მარცვლეულის მიწისქვეშა საცავი, «ძიებანი» №13-14, თბ. 2004. «არქეოლოგიური კვლევის ცენტრის გამომცემლობა».

115. ვ. ჩოჩიევი 1976 _ ვ. ჩოჩიევი, იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI ს-ის ბოლო მეოთხედში (უცნობი თურქული დოკუმენტი იმერეთის შესახებ). «მაცნე». ისტორიის ... ¹4 თბ. 1976 «მეცნიერება".

116. ცისკარი 1859 _ ღვინის დაყენება საქართველოში, «ცისკარი", ტომი III, წიგნი 9, თბ. 1859.

117. ვ. ცინცაძე 1964 _ ვ. ცინცაძე, ბაგრატის ტაძარი, თბ. 1964. «საბჭოთა საქართველო».

118. ვ. ჭელიძე 1988 _ ვ. ჭელიძე, კაცად კაცმან თავისი ტვირთი იტვირთოს, გაზ. «ლიტერატურული საქართველო» № 35. 26. 08. 88.

119. ლ. ჭილაშვილი 1980 _ ლ.ჭილაშვილი კახეთის ქალაქები (XIV-XVII სს). თბ. 1980. «მეცნიერება".

120. ნ. ჯაველიძე 1984 _ ნ. ჯაველიძე, ოსმალო ისტორიკოსი ფუნდუკლულუ მეჰმედ აღა დასავლეთ საქართველოს შესახებ. თსუ შრომები (აღმოსავლეთმცოდნეობის სერია 250). თბ. 1985. «უნივერსიტეტის გამომცემლობა».

121. ვ. ჯაოშვილი 1989 _ ვ. ჯაოშვილი, ქუთაისი (ეკონომიკურ-გეოგრაფიული დახასიათება). თბ. 1989. «მეცნიერება".

122. ვ. ჯაფარიძე 1989 _ ვ. ჯაფარიძე, ვარდციხის ნაქალაქარი, თბ. 1989, «მეცნიერება”.

123. გ. ჯალაბაძე 1960 _ გ. ჯალაბაძე, აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღის ისტორიიდან. თბ. 1960.

124. ივ. ჯავახიშვილი 1941 _ ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III. თბ. 1941. «მეცნიერებათა აკადემია”.

125. ს. ჯიქია 1976 _ ს. ჯიქია, XVIII ს-ის თურქული წარწერა ქუთაისიდან. ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბ. 1976. «მეცნიერება”.

126. ლ. ჯიქია 1984 _ ლ. ჯიქია, ქუთაისის მიდამოების ქვევრსამარხები, ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, კრ. 4, ქუთ. 1984. «მეცნიერება».

127. ლ. ჯიქია 1993 _ ლ. ჯიქია, ქუთაისისა და მისი მიდამოების არქეოლოგიური ძეგლები, ქუთ. 1993. «სარანგი”.

128. Акты ... 1870 - Акты собранные Кавказскои археографической комиссией под редакцией А.П. Берже, т. IV. Тифлис, 1870 г.

129. А. Берже 1879 - А. Берже, Кавказ в археологическом отношении, "Записки общества любителей Кавказской археологии" I, Тифлис, 1879.

130. Т. Беленько 1882 - Т. Беленько - Дневник археологических раскопки на 95-ой версте Поти-Тифлисской железной дороги, в близи р. Квирилы, "Протоколы подготовительного Комитета археологического съезда в Тифлисе, М. 1882.

131. М. Броссе 1861 - М. Броссе, Переписка ... грузинских царей сь россійскими государями от 1659 г. по 1770. С. Петербургь 1861.

132. Бурнашов 1896 - Бурнашов, Картина Грузии, СПб. 1896.

133. Грамоты ... 1898-Грамоты и другие исторические документы относяшиЕся к Грузии. подь редакціей А. Цагарели. Т. II вып. I, С.П.б. 1898.

134. Грамоты ... 1891 - Грамоты и другіе историческіе документы XVIII столетія относящіЕся кь Грузии, Т. I, СПб. 1891.

135. П. Гнилосаров 1859 - П. Гнилосаров, О царе Соломоне II и бывшем при нем управлении, "Кавказский календарь за 1858 г., Тифлис. 1859.

136. Н. дубровин 1871 - Н. Дубровин, История войны и владычество русских на Кавказе, Т. I, СПб 1871.

137. Н. Дубровин 1888 - Н. Дубровин, История войны и владычество русских на Кавказе, Т. V. СПб. 1888.

138. Е. Дружинина 1955 – Е. Дружинина, Кючик-каинарджийский мир. М. 1955.

139. П. Закарая 1969 - П. Закарая, Древние крепости Грузии, Тб., 1963.

140. Е. Такаишвили 1895 - Е. Такаишвили, материалы для истории Грузии, Тифл. 1895.

141. М. Иващенко 1941 - М. Иващенко, Материалы к изучению культуры колхов. Материалы по истории Грузии и Кавказа, вып. II. Тб. 1941.

142. П. Иоселиани 1850 - П. Иоселиани, Города сушествовавщие и сушествующие в Грузии, Тифлис, 1850.

143. История дипломатии 1941 - История дипломатии, I, М. 1941.

144. Кавказ 1881 - Кавказ, №268, 1881 г.

145. Б. Куфтин 1974 - Б. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция в бассейнах рек Лиахви, Проне, Квирилы и среднего Риони в 1951 г. სსმმ, XXX - B, თბ. 1974.

146. К. Кверфелд 1947 - К. Кверфелд, Керамика Ближнего востока. Лен. 1947.

147. О. Маркова 1966 - О. Маркова, Россия, закавказские и международные отношения в XVIII веке, М. 1966.

148. Ю. Мюллер 1972 - Ю. Мюллер, художественная керамика Турции. Л. 1972.

149. Парижская хроника 1991 - Парижская хроника. Тб. 1991.

150. Г. Церетели 1882 - Г. Церетели, заметки о курганах и раскопках по Рионской долине, "Протоколы подготовительного комитета V археологического съезда в Тифлисе", М. 1882.

151. Dubois de Montpereus 1839 - Dubois de Montpereus, Volyage autour du Caucase, t. I, Paris 1839.

152. M. Tooke 1801 - M. Tooke, Histoire de L'empiere de Russie, sous le renge de Catherine II et le fin du dixhuitieme siecle, tome VI, Parus, 1801.

153. Silahdar Findiklili Mehmet Ağa 1964 - Silahdar Findiklili Mehmet Ağa, Nusretname, Sadelestiren ismet Parmaksizoğlu, ist., 1964, cilt I, Fasik I, III.

შემოკლებათა განმარტება

1. ფსაძ ..... ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები.
2. ენიმკის მოამბე ..... ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის მოამბე.
3. სსმმ ..... საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე.